

08260 ქართველი სახელმწიფო უნივერსიტეტი  
პუბლიკური მეცნიერებათა ფაკულტეტი

06800 შრომის უზრუნველყოფის

## თამარ მდივანი

გიგლიოზი ენობრივი სისტემის  
გერმიკალურ და კორიზონტალურ ჰარილები

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს მ რ თ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი  
პროფესორი მანანა რუსიეშვილი



2008

## სარჩევი

შესაგალი .....	3
I ნაღოლი: პიბლიუზმების ზოგადი დახასიათება .....	8
1.1 ბიბლიიზმი და ფრაზეოლოგია.....	8
1.2. ბიბლიიზმი და ლექსიკოლოგია.....	21
1.3 ბიბლიიზმი და პარემიოლოგია.....	36
1.4. ბიბლიიზმების კვლევის ისტორია .....	46
1.5. ბიბლიიზმები სხვადასხვა ენობრივ დონეზე.....	56
II ნაჭოლი: პიბლიუზმის პლასივიკაცია და .....	58
კლასიფიკაციის კრიტერიუმები.....	58
2.1. ბიბლიიზმების სემანტიკურ-ეტიმოლოგიური კლასიფიკაცია .....	58
2.2 ბიბლიიზმების სემანტიკური კლასიფიკაცია .....	67
III ნაზოლი: პიბლიუზმების სტრუქტურული მახასიათებლები და	
თავისებურებანი .....	70
3.1 ბიბლიიზმი და სინტაქტიკა .....	70
3.2 ვარიაცია ბიბლიიზმებში.....	75
3.3 ბიბლიიზმების გაგრცობა და რედუცირება.....	89
IV ნაზოლი: პიბლიუზმი სემანტიკურ დონეზე .....	92
4.1 მნიშვნელობის სკეციფიზირების მიმართულება ბიბლიიზმებში .....	92
4.2 ეკვივალენტურობა ბიბლიიზმებში .....	102
4.3. ხატოვნება ბიბლიიზმებში.....	113
4.4 მეორადი ფრაზეოლოგიზაცია ბიბლიიზმებში .....	119
4.5. ბიბლიიზმი და კონტაცია .....	122
V ნაჭოლი: პიბლიუზმი და პრაგმატიკა .....	126
5.1 პრაგმატიკა, ლინგვისტიკის განვითარების უახლესი ეტაპი .....	126
5.2 სამეტყველო აქტების თეორია და ბიბლიიზმი .....	129
5.3 ბიბლიიზმი და სოციოლინგვისტიკა .....	145
5.4 ბიბლიიზმი და ხმარების რეგისტრი .....	148
5.5 ხმარების სიხშირის ხარისხი ბიბლიიზმებში .....	152
დასკვნები .....	157
გამოყენებული ლიტერატურა .....	168
დანართები .....	179

## შესაბამი

ბიბლიიზმი ანუ ბიბლიური ერთეული—ესაა ტერმინი ყველა იმ ენობრივი ერთეულის აღსანიშნად, რომელიც ბიბლიას უკავშირდება და ნებისმიერი ქრისტიანი ერის ენის ფრაზეოლოგიური ფონდის ძირითად საყრდენსა და არსეს წარმოადგენს. ბიბლიის პლევას საუკუნეები მიეძღვნა და თავისი ლირებულების გამო იგი ჯერ კიდევ არაა ბოლომდე ამოწურული, რადგან «ბიბლიასთან შედარებით, ყველა ადამიანური წიგნი, თვით ყველაზე საუკეთესონიც კი, იმ პლანეტებს პგავს, რომლებიც თავის შექსა და ნათებას მზისაგან იღებს» (ბოელი 2003: 12).

ქრისტიან ხალხებს, მიუხედავად გეოგრაფიული, კულტურული და ეთნოლოგიური სხვაობებისა, სამყაროს მსგავსი აღქმა, მსგავსი თეზაურული აერთიანებთ (ვერშბიცკა 1992: 34), რადგანაც რელიგია გარკვეულწილად განსაზღვრავს ხალხის ცნობიერებასა და მსოფლმხედველობას, სამყაროს აღქმასა და შემეცნებას. ეს, ჩვენი აზრით, მტკიცდება ქრისტიანული კოგნიტური მეტაფორის არსებობით, რომელიც ენობრივ რეალობაში ხორცშესხმული შეიძლება იყოს სხვადასხვა ფორმით, მათ შორის, ისეთი ენობრივი გამოვლინებებით, რომლებსაც ბიბლიიზმებს უუწოდებთ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს საკვლევ ენებს: ინგლისურს, ქართულს, იტალიურსა და რუსულს განსხვავებული სპეციფიკა, სემანტიკური თუ რელიგიური სეგმენტაცია ახასიათებს, მათ და შესაბამისად, ამ ენების მატარებელ ხალხებს საერთო აქვთ ზოგადი ქრისტიანული თეზაურული, რელიგიური სქემატა, რომელიც კონკრეტულ ენებში დროთა განმავლობაში სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნას სეგმენტირებული და გამოვლენილი.

სპეციალური ლიტერატურის გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ:

1. ბიბლიიზმი ლინგვისტური პოზიციებიდან ჯერ კიდევ ზედაპირულადად შესწავლილი;
2. თვით არსებული კვლევა არასრულფასოვანია, რადგან იგი ძირითადად მიმდინარეობს მხოლოდ სემანტიკური ან სინტაქსური ნიშნის გათვალისწინებით.

როგორც აღმოჩნდა, საენათმეცნიერო ლიტერატურაში ბიბლიიზმთა კვლევა უმთავრესად ფრაზეოლოგიის რაკურსითაა წარმართული (კუნინი 1972,

ფედულენჯოვა 1997, ნაუმოვა 2001, ხაჭაპურიძე 2004 და სხვ). მიუხედავად იმისა, რომ ჩვენც ამ რაკურსს მივყვებით, ტრადიციული თვალსაზრისისაგან განსხვავებით, ბიბლიიზმებს განსხვავებულ დატვირთვას ვაძლევთ და ფრაზეოლოგიური ერთეულების გარდა, მათში ვაერთიანებთ ყველა დამოუკიდებლად ფუნქციონირებად ბიბლიურ ერთეულს, რომლებსაც გამოყოფთ ისეთ ძირითად მახასიათებლებზე დაყრდნობით, როგორიცაა სემანტიკური გადააზრებულობა და ბიბლიური ეტიმოლოგია. ასეთი ერთეულები ერთი დარგის საზღვრებში ვერ მოთავსდა და მოიცვა ისეთი დისციპლინები, როგორიცაა ლექსიკოლოგია, პარემიოლოგია, სტილისტიკა და სოციოლინგვისტიკა, თუმცა, ცენტრალური ადგილი მაინც ფრაზეოლოგიას უკავია, გამომდინარე იქიდან, რომ ბიბლიიზმების უმრავლესობას ფრაზეოლოგიური ერთეულები შეადგენს. ასე რომ, ბიბლიიზმი ერთდროულად რამდენიმე ლინგვისტური დისციპლინის საკვლევი ერთეული ხდება, რაც ნაშრომის აქტუალობას განსაზღვრავს.

ნაშრომის ძირი წარმოადგენს ბიბლიიზმის, როგორც ლინგვისტური ინტერდისციპლინალური ერთეულის კვლევა 1. ენობრივი სისტემის კერტიკალურ ჭრილში, რაც გულისხმობს მის შესწავლას ენის იერარქიული დონეების მიხედვით (ლებანიძე 1998: 24-34) და 2. მისი ერთ-ერთი ნაირსახეობის კერძოდ, ბიბლიური ფრაზეოლოგიური ერთეულის ენობრივი სისტემის ჰორიზონტალურ ჭრილში კვლევა ენობრივი ნიშნის სამგანზომილებიანი სისტემის-სინტაქტიკის, სემანტიკისა და პრაგმატიკის პოზიციებიდან, როგორც შიდაენობრივი, ასევე ენათა შეპირისპირების თვალსაზრისით.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, ხდება ბიბლიიზმის, როგორც ინტერდისციპლინალური ერთეულის რამდენიმე მიმართულებით შესწავლა, კერძოდ:

- მისი ლინგვისტური სტატუსის განსაზღვრა;
- ტიპოლოგიზაცია ეტიმოლოგიურ-სემანტიკური და სემანტიკური ნიშნების საფუძველზე;
- სხვადასხვა ტიპის ბიბლიიზმების ურთიერთდამოკიდებულების განსაზღვრა;
- ბიბლიიზმის სტრუქტურული მახასიათებლების შესწავლა როგორც შიდაენობრივი, ასევე ენათა შეპირისპირების გზით;

- ბიბლიიზმის სემანტიკური სტრუქტურის შესწავლა, რაც მოიცავს ერთეულის, როგორც ენობრივი ერთეულის ზოგადი სემანტიკური მახასიათებლების დადგენასა და საკვლევი ენის ბიბლიიზმებში სემანტიკური იზომორფიზმისა და ალომორფიზმის ფაქტების გამოვლენას, რაც თავის მხრივ, განპირობებული შეიძლება იყოს ან ენობრივი სპეციფიკით ან ენის მატარებელი ხალხის ცნობიერებით და მსოფლადქმით;
  - ბიბლიიზმის ფორმალური სტრუქტურის შესწავლა;
  - ბიბლიიზმის პრაგმატული პარამეტრების შესწავლა როგორც შიდაენობრივი, ასევე ენობრივი შეპირისპირების სპეციფიკის პოზიციებიდან;
  - ბიბლიიზმის ხმარების რეგისტრის შესწავლა და სიხშირის ხარისხის დადგენა ინფორმატიკულთან წარმოებული ანალიზისა და სხვადასხვა ტიპის დისკურსებზე დაკვირვების გზით.
- ბიბლიიზმების აღნიშნული მიმართულებებით კვლევა ხდება ერთი მხრივ, ენათმეცნიერების სხვადასხვა დისციპლინაში უპევ დებულებად ჩამოყალიბებული თეორიების საფუძველზე, ხოლო მეორე მხრივ, ლინგვისტიკის ისეთი აქტუალური თეორიების საფუძველზე, როგორიცაა ენობრივი ნიშნის სამგანზომილებიანი სისტემა, სამეტყველო აქტების თეორია, ეკვივალენტურობა, სოციოლინგვისტიკა და სხვა.

ზოგადად, ნაშრომით შევეცადეთ ჩავწედომოდით ისეთ რთულ და მრავალტევად ენობრივ ერთეულს, როგორიცა ბიბლიიზმია, ლინგვისტიკის ფარგლებში განგვესაზღვრა მისი რაობა და სტატუსი, მისი კავშირი სხვადასხვა დისციპლინასთან და ამის შემდეგ, როგორც უკვე აღინიშნა, მოგვეხდინა მისი ერთ-ერთი ნაირსახეობის-ბიბლიური ფრაზეოლოგიური ერთეულების კვლევა ენობრივი ნიშნის სამგანზომილებიანი სისტემის პოზიციებიდან. ყველა ტიპის ბიბლიიზმის პრაქტიკული კვლევა/შეპირისპირება (ბიბლიური სიტყვა, ფრაზეოლოგიური ერთეული, ანდაზა და აფორიზმი) ძალიან ფართო და მრავალტევადი იქნებოდა, რადგანაც ბიბლიიზმის თითოეული სახეობა ბევრი სპეციფიკური ნიშან-თვისების მატარებელია და ამდენად, კვლევის ცალკე-ცალკე მასალასაც გვთავაზობს.

კვლევის მასალად აღებულია საკვლევ ენებში: ინგლისურ, ქართულ, იტალიურსა და რუსულში სხვადასხვა გზით (სხვადასხვა ტიპის

ლექსიკონებიდან, ლიტერატურული ნაწარმოებებიდან, საგაზეთო სტატიებიდან, სატელევიზიო გადაცემებიდან, ზეპირი დისკურსებიდან და სხვა) შეგროვებული ბიბლიური ერთეულები. კვლევის მასალად გამოყენებულია 1501 ერთეული (აქედან 376 ინგლისური, 321 ქართული, 497 იტალიური და 307 რუსული), რომელიც აერთიანებს სხვადასხვა ენისა და ტიპის ბიბლიოზმებს.

ნაშრომის თემრიული სამეცნიერო სიახლე მოცემული სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს ბიბლიოზმის, როგორც ლინგვისტური ინტერდისციაპლინალური ენობრივი ერთეულის ახლებურ გააზრებას, რომელიც მოიცავს რამდენიმე საკვლევ სფეროს. ნაშრომში ბიბლიოზმების კვლევა წარმართულია არა მხოლოდ ცალკეული ასკექტების გათვალისწინებით, არამედ ზოგადადაც, ენობრივი სისტემის როგორც ჰორიზონტალურ, ასევე ვერტიკალურ ჭრილებში ლინგვისტური კვლევის ყველა შესაძლო მიმართულებით. ბიბლიოზმის, როგორც ინტერდისციაპლინალური ერთეულის შესწავლით გამოვლინდა არა მხოლოდ მათი დისტინქციური მახასიათებლები და საკვლევი ენებისთვის დამახასიათებელი სპეციფიკა, არამედ ზოგადად, სხვადასხვა ლინგვისტური დისციპლინის საკვლევი ობიექტების თავისებურებები.

კვლევის მეთოდოლოგია: ნაშრომში გამოყენებულია როგორც აღწერითი, ასევე შეპირისპირებითი მეთოდი; ამასთან ერთად, სემანტიკური სტრუქტურის კვლევის, სემური ანალიზის, სტატისტიკური კვლევის, სხვადასხვა ტიპის დისკურსებისა და ინფორმატიგებთან წარმოებული ანალიზის მეთოდები.

ნაშრომის ხერგებურა: სადისერტაციო ნაშრომი შედგება 192 გვერდისაგან, რომელშიც შედის შესავალი, 5 ნაწილი, (რომელიც თავის მხრივ, მოიცავს 20 თავს), დასკვნები, გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა და დანართები. პირველი ნაწილი ეძღვნება ბიბლიოზმის ზოგად დახასიათებას. მასში გაშუქებულია ყველა იმ დისციპლინის პრობლემატიკა, რომლის ფარგლებშიც შემდგომში ხდება სხვადასხვა ტიპის ბიბლიოზმის კვლევა (ფრაზეოლოგია, ლექსიკოლოგია, პარემოლოგია). ამავე ნაწილში მიმოხილულია ბიბლიოზმების კვლევის ისტორია და დადგენილია ბიბლიოზმის, როგორც სხვადასხვა ენობრივი დონის ერთეულის ლინგვისტური სტატუსი. ნაშრომის მეთოდი ნაწილში მოცემულია ბიბლიოზმის, როგორც ენათმეცნიერების ინტერდისციაპლინალური ერთეულის სხვადასხვა ტიპის კლასიფიკაცია, კერძოდ, სემანტიკურ-ეტიმოლოგიური და საკუთრივ სემანტიკური. სხვადასხვა კრიტერიუმის გათვალისწინებით გამიჯნულია სხვადასხვა სახის ბიბლიოზმები.

ნაშრომის მეხამე ნაწილში კი იწყება ბიბლიიზმის კვლევა ენობრივი სისტემის პორიზონტალურ ჭრილში და ხდება ბიბლიიზმის შესწავლა სინტაქტიკის პოზიციებიდან, კერძოდ, ენათაშორისი ბიბლიიზმების სტრუქტურული მახასიათებლებისა და თავისებურებების განსაზღვრა შიდაენობრივი და ენათაშეპირისპირების პოზიციებიდან, ერთეულების სინტაქტიკან დაკავშირებული ისეთი მოვლენების შესწავლა, როგორიცაა ვარიაცია, ერთეულების გავრცელა და რედუცირება. კვლევა მოიცავს როგორც ზოგადად ბიბლიიზმის სინტაქტურ კვლევას, ასევე საკვლევი ენების შეპირისპირებითი პოზიციებიდან სხვადასხვა ენის ბიბლიიზმების სინტაქტური მახასიათებლების შეპირისპირებით შესწავლას. მომდევნო, მეოთხე ნაწილი მოიცავს ბიბლიიზმების კვლევას პორიზონტალური ჭრილის მეორე განზომილების პოზიციებიდან, კერძოდ, ბიბლიიზმის სემანტიკური სტრუქტურის მიმართებით. ამ ეტაპზე გამოიყო კვლევის რამდენიმე მიმართებები: მნიშვნელობის სპეციფიზირების, ეკვივალენტურობის გამოვლენის, ხატოვნების განსაზღვრის, მეორადი ფრაზეოლოგიზაციისა და კონოტაციის დადგენის მიმართებები. შესაბამისად, ბიბლიიზმების შესწავლა/კვლევა ხდება როგორც ერთი ენობრივი სისტემის ფარგლებში, ასევე შეპირისპირების გზითაც. ნაშრომის ბოლო ნაწილი-ბიბლიიზმი და პრაგმატიკა, ეძღვნება ბიბლიიზმის ენათმეცნიერების ისეთი აქტუალური დისციპლინის პოზიციებიდან შესწავლას, როგორიცაა პრაგმატიკა. გაშუქებულია პრაგმატიკის საკვანძო საკითხები და დისციპლინის ფარგლებში არსებული მიმართებებით (სამეტყველო აქტების თეორია, სოციოლინგვისტიკა და სხვ) დადგენილია ბიბლიიზმების ზოგადი პრაგმატიკული პარამეტრები, რაც გვაძლევს ენობრივ სისტემაში რეალურად ხმარებული ბიბლიიზმების სრულ სურათს. ამავე ნაწილში ხდება ბიბლიიზმების ხმარების რეგისტრის მიხედვით შესწავლა და ინფორმატებთან წარმოებული ანალიზით მათი გამოყენების სისტემის ხარისხის დადგენა.

#### ნაშრომის თეორიული დირექტულება მდგომარეობს იმაში, რომ იგი ახდენს

1. ბიბლიიზმის, როგორც ინტერდისციპლინალური ერთეულის ახლებურ გააზრებას და 2. ენათმეცნიერების ისეთი აქტუალური საკითხების გაშუქებას, როგორიცაა ეკვივალენტურობა, ფრაზეოლოგიური ერთეულის რაობა და მახასიათებლები, მეტაფორული სიტყვისა და ფრაზეოლოგიური ერთეულის ურთიერთდამოკიდებულება, პარემიოლოგია და მისი შესასწავლი ერთეული.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ მიღებული შედეგები შეიძლება გამოიყენონ ლექსიკოლოგიის, ფრაზეოლოგიის, სემანტიკის სასწავლო კურსებში. ასევე ნაშრომის შედეგებით შესაძლოა ისარგებლონ აღნიშნული დისციპლინების პრობლემატიკით დაინტერესებულმა სპეციალისტებმა, ისევე როგორც სამყაროს ენობრივი აღქმის რელიგიურ-ეროვნულ-კულტურული თავისებურებებით დაინტერესებულმა სპეციალისტებმა და რა თქმა უნდა, ბიბლიური ერთეულების სხვადასხვა ლინგვისტური ასპექტის მკვლევარებმა.

## I ნაშილი

### გიბლიიზმების ზოგადი დახასიათება

#### 1.1 ბიბლიიზმი და ფრაზეოლოგია

გასული საუკუნის მეორე ნახევარში ბიბლიიზმების შესახებ მიმდინარე საენათმეცნიერო კვლევა ძირითადად წარმართული იყო ფრაზეოლოგიის პოზიციებიდან. ბიბლიიზმი აღიქმებოდა, როგორც ფრაზეოლოგიური ერთეულის ნაირსახეობა (კუნინი 1972: 86-102, საყვარელიძე 2001: 103-137...). უკვე ბოლო წლებში ბიბლიიზმის კვლევას საქმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო, გაჩნდა ბიბლიიზმების ცალკე ჯგუფად კვლევის ტენდენციაც (ფედულენკოვა 1997, დუბროვინა 1998, ნაუმოვა 2001, მარტიაშვილი 2004...). თუ რესი ენათმეცნიერის ა. კუნინისა და მისი თანამედროვეების ნაშრომებში ბიბლიიზმი განიხილებოდა როგორც ბიბლიური ფრაზეოლოგიური ერთეულის ეპივალენტი, ახლა მეცნიერების უურადღების ცენტრში მოექცა დამოუკიდებლად შესასწავლი ბიბლიური ერთეული (ხაჭაპურიძე 2004, გაკი 1997, ზაგორი 2004, შორსტკინა 2000 და სხვ).

ბიბლიიზმის მხოლოდ ფრაზეოლოგიურ ერთეულთან გაიგივება, როგორც ამას საენათმეცნიერო ნაშრომებში ვხვდებით, ჩვენი აზრით, გაუმართლებელია. მიუხედავად იმისა, რომ ფრაზეოლოგიას ბიბლიიზმთა კვლევაში ძალიან მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, გამომდინარე იქიდან, რომ ბიბლიური ერთეულების უმრავლესობა წარმოდგენილია ფრაზეოლოგიური ერთეულებით, იგი არაა ერთადერთი დისციპლინა, რომელიც ბიბლიურ

ერთეულებს მოიცავს. გარდა ბიბლიური ფრაზეოლოგიური ერთეულისა, არსებობს ანდაზა/აფორიზმი–ბიბლიოზმი ანუ ბიბლიოზმი, როგორც პარემიოლოგიური ერთეული, სიტყვა-ბიბლიოზმი ალუზიური ან სხვა სტილისტური დატვირთვით ანუ ბიბლიოზმი, როგორც ლექსიკოლოგიური ერთეული და ა. შ. შესაბამისად, ბიბლიოზმები აერთიანებს რამდენიმე ტიპის ერთეულს, თუმცა, როგორც ავლნიშნეთ, ცენტრალური ადგილი, რაოდენობის მხრივ, ფრაზეოლოგიას უკავია. ამიტომ მიმოვიხილავთ ფრაზეოლოგიასთან დაკავშირებულ პრობლემატიკას რაც, თავის მხრივ, შემდგომში დაგვეხმარება ბიბლიური ფრაზეოლოგიური ერთეულების კლასიფიკაციაში.

ფრაზეოლოგიის კვლევა XX საუკუნის II ნახევრამდე მიმდინარეობდა სტილისტიკის, ლექსიკოლოგიის და ენის ისტორიის პოზიციებიდან, რადგანაც ფრაზეოლოგია მიიჩნეოდა ინტერდისციპლინად. ფრაზეოლოგიის, როგორც ცალკე დისციპლინის განვითარება დასაბამს იდებს გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან, როდესაც ჩ. ბალის ტერმინი ლოკურური ფრაზეოლოგიზმი (locutions phraseologiques) შედის ლექსიკოლოგიისა და ლექსიკოგრაფიის საზღვრებში და მოგვიანებით, XX საუკუნის II ნახევარში რუსი მეცნიერის ვ. ვინოგრადოვის იდეის თანახმად, საფუძველს უდებს ფრაზეოლოგიური ფონდის ცალკე დისციპლინად გამოყოფას. თუმცა დღესაც, თითქმის 80 წლის შემდეგ, არ არსებობს ფრაზეოლოგიის სრულფასოვანი განმარტება, რადგან ფრაზეოლოგია წარმოადგენს რთულ სისტემას, რომელიც ერთი კლასიფიკაციის ჩარჩოში ვერ თავსდება და ზოგჯერ ერთი ენისათვის მისაღები განმარტება მეორე ენისთვის არ გამოდგება. მოგვიანებით, ვ. ვინოგრადოვის იდეის გარშემო იქმნება რუსული უფრო ზუსტად, ყოფილი საბჭოთა კავშირის ფრაზეოლოგიური ერთეულის საკვლევი სკოლა, სადაც მოხდა ფრაზეოლოგიის მთავარი დებულებების შემუშავება. ფრაზეოლოგიურ ერთეულებთან დაკავშირებით გამოითქვა უამრავი მოსაზრება. ყველა მეცნიერი ფრაზეოლოგიური ერთეულის სხვადასხვა ასპექტს წამოწევდა წინ და ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ ამ სკოლაზე დაყრდნობით, ფე-ს\* კლასიფიკაცია არაერთგვაროვანია. შესაბამისად, არსებობს განსხვავება მეცნიერთა მოსაზრებებს შორის, რაც ძირითადად, განპირობებულია იმით, რომ ისინი კლასიფიკაციისათვის სხვადასხვა კრიტერიუმს ირჩევდნენ.

\* აბრევიატურა “ფე” ნაშრომში გამოიყენება ფრაზეოლოგიური ერთეულის აღსანიშნად

ფრაზეოლოგიური ფონდის კვლევასთან დაკავშირებით შეიმჩნევა საინტერესო ტენდენცია: თუ რუსულ და საერთოდ, ყოფილ საბჭოთა ლინგვისტურ სკოლაში ფრაზეოლოგია კარგად შესწავლილ დისციპლინად ითვლება, ევროპის ქვეყნებში ფრაზეოლოგიური ერთეულის კვლევა ფეხს მხოლოდ XX საუკუნის 90-იანი წლებიდან იყიდებს. მაშინ, როცა ე.წ. საბჭოთა სკოლის მეცნიერები ცდილობდნენ შეემუშავებინათ ფრაზეოლოგიის დებულებები, ევროპის ენათმეცნიერებაში ფრაზეოლოგიის საკითხისადმი მხოლოდ ერთეულები ინტერესდებოდნენ (უეინრიხი 1969, არნოლდი 1973, ლიპკა 1972). დიდ ბრიტანეთში, ისევე როგორც მთელს დასავლეთ ევროპაში, ფრაზეოლოგიის განვითარება ბოლო თცდათი წლის განმავლობაში შეინიშნება, რისი დასტურიცაა ისეთი საზოგადოებების შექმნა, როგორიცაა ფრაზეოლოგიის ევროპული საზოგადოება და ლექსიკოგრაფიის ევროპული ასოციაცია (European Society of Phraseology (EUROPHRAS), the European Association for Lexicography (EURALEX)\*. იმ პერიოდში კი, როდესაც გამოდიოდა უამრავი ე.წ. რუსული სკოლის ნაშრომი ფრაზეოლოგიის პრობლემასთან დაკავშირებით, ევროპის ქვეყნებში მეცნიერები არ ცდილობდნენ მოქმედინათ ერთეულების ტოპოლოგიზაცია და კლასიფიკაცია. ისინი მხოლოდ აგროვებდნენ ერთეულებს, რომლებიც მათვის საინტერესო ჩანდა სტილით ან წარმოშობით, მათ იდიომებს უწოდებდნენ და მხოლოდ ამითი იფარგლებოდნენ (უეინრიხი 1969, მენსერი 1990) დღესდღისობით კი, როგორც ადინიშნა, დიდ ბრიტანეთში ფრაზეოლოგიური ერთეულისადმი, როგორც ცალკე დისციპლინის საკვლევი ერთეულისადმი, გაცილებით მეტი ინტერესი იგრძნობა (უენგი 1985, ვუდი 1986, ვერჯბიცა 1991, სტაბზი 2002 და სხვ.) იტალიურ ლინგვისტურ რეალობაში კი, როგორც დაკვირვებამ გვიჩვენა, ფრაზეოლოგიას ნაკლები ყურადღება ეთმობა და ფაქტობრივად, ძალიან მწირი ლიტერატურა მოიპოვება ამ დისციპლინის შესახებ. უფრო მეტიც, იტალიული ავტორების უმრავლესობისთვის ნებისმიერი ტიპის გამოთქმა თუ ანდაზა დიდი ხნის განმავლობაში წარმოადგენდა ე.წ. modo di dire-ს ანუ სპეციფიკური ტიპის გამოთქმას, რომელიც არის მხოლოდ გამოთქმა, ე.ი. განსხვავებული ჩვეულებრივი ფრაზისაგან. უფრო დრმად კი ამ გამოთქმებში იტალიული ავტორები ნაკლებად იხედებიან და შესაბამისად, არც ფრაზეოლოგიის ცალკე დისციპლინად შესწავლაზეა დიდი ყურადღება

\* სამწუხაროდ, ადნიშნული საზოგადოებების მიერ შემუშავებული ნაშრომები ჩვენთვის ხელმისაწვდომი არ აღმოჩნდა (თ.მ.).

გამახვილებული, თუ არ ჩავთვლით ბოლო წლებში გამოჩენილ ცალკეულ იტალიელ ენათმეცნიერთა სტატიებს და ნაშრომებს (ვიუტრი 1984, კასადეი 1996, ჩერდანცევა 1997, პაბლო 1999, უეისბერგი 2001), სადაც ხდება არა ზოგადად, ფრაზეოლოგიის დებულებების ჩამოყალიბება და მისი საზღვრების განსაზღვრა, არამედ იტალიური ფრაზეოლოგიური ერთეულების აღწერა. ამიტომ, სავსებით რეალურად გვქმვნება გერმანელი ფრაზეოლოგის, მ. ნიკლაუსის მოსაზრება იმის შესახებ, რომ როგორც ასეთი, იტალიური ფრაზეოლოგია დღემდე არ არსებობს (ნიკლაუსი 1999).

ფრაზეოლოგია, ენათმეცნიერების შედარებით ახალი დისციპლინა ქართულ ენციკლოპედიაში განმარტებულია, როგორც «ენათმეცნიერების დარგი, რომელიც შეისწავლის მყარ შესიტყვებებს, მის წარმოშობა-განვითარებას და ფუნქციონირებას ენის სისტემაში» (ქართული ენციკლოპედია 1986: 388). ტერმინი ბერძნულიდან მოდის: «phrasis» ნიშნავს გამონათქვამს, ხოლო «logia»—მეცნიერებას. რუსმა მეცნიერებმა ტერმინი-ფრაზეოლოგიური ერთეული შემოიტანეს სპეციფიკური ტიპის გამოთქმის აღსანიშნად. თუმცა, ჯერ კიდევ ვერ შეთანხმდნენ, თუ რა წარმოადგენს ფრაზეოლოგიური ერთეულის დისტინქციურ ნიშანს. ამის მიზეზი ისაა, რომ არ არსებობს მკვეთრი ზღვარი ფრაზეოლოგიურ ერთეულსა და ჩვეულებრივ, თავისუფალ გამოთქმას შორის. საქმეს ტერმინოლოგიური განსხვავებაც ართულებს, რადგან სხვადასხვა ლინგვისტი ფრაზეოლოგიურ ერთეულს სხვადასხვა სახელს უწოდებს: მყარი შესატყვისი, სიტყვა-უკიგალენტი, იდიომი, ფრაზემა, ლექსიკალიზებული შესატყვისი და სხვა. თვით ამ ტერმინების სახელწოდება მიუთითებს იმაზე, თუ რა მიაჩნიათ ლინგვისტებს ფრაზეოლოგიური ერთეულის დისტინქციურ მახასიათებლად. არსებობს ფრაზეოლოგიური ერთეულის სხვადასხვა კლასიფიკაცია: უკვე ზემოთნასხენები რუსი მეცნიერის ვ. ვინოგრადოვის კლასიფიკაციის ამოსავალი კრიტერიუმია კომპონენტების სტაბილურობა და მოტივირებულობის ხარისხი (ვინოგრადოვი 1947: 42-97). კლასიფიკაციის მიხედვით, გამოიყოფა სამი ტიპის ფრაზეოლოგიური ერთეული:

1. ფრაზეოლოგიური ნაერთები (phraseological fusions);
2. ფრაზეოლოგიური ერთეულები (phraseological unities);
3. ფრაზეოლოგიური კოლოკაციები (phraseological collocations).

სამივე ტიპის ერთეულს ვ. ვინოგრადოვის აზრით, ახასიათებს არაგალენტურობა, მზა სახით გამოყენება ენის სისტემაში და განსხვავდება სტაბილურობის და

მოტივაციის ხარისხით (ვინოგრადოვი 1947: 91). პირველი ჯგუფის ფრაზეოლოგიური ერთეულები სრულად არამოტივირებულებია, ე.ი. იდიომატურობა ერწყმის სრულ მდგრადობას. მეორე ჯგუფის ერთეულები ნაწილობრივადაა მოტივირებული, მაშინ როცა ფრაზეოლოგიური კოლოკაციები მოტივირებული ერთეულებია და მათ სპეციფიკურობას განსაზღვრავს ლექსიკური ვალენტობა. მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ განხილულ მოსაზრებაში არის ცდა, გაიხსნას ფრაზეოლოგიური ერთეულის ბუნება, იგი არ შეიძლება სრულად ჩაითვალოს. იდიომატურობის კრიტერიუმი არ შეიძლება განსაზღვრული და განმარტებული იყოს, რადგან ის, რაც ერთი ენისათვის იდიომატურია, შეიძლება მეორე ენისათვის არაიდიომატური აღმოჩნდეს (ფლორიანი 1981: 12). ვ. ვინოგრადოვის მიერ შემოთავაზებული სტაბილურობის კრიტერიუმიც ვერ აღმოჩნდა სრულფასოვანი, რადგან სტაბილურობა ახასიათებს ფრაზეოლოგიური ერთეულების მხოლოდ ნაწილს. აქედან გამომდინარე, იგი ვერ იქნება ერთეულების ტოპოლოგიური მახასიათებელი. უფრო მეტიც, სტაბილურობა ახასიათებს არა მხოლოდ ფრაზეოლოგიურ ერთეულს, არამედ ჩვეულებრივ ფრაზასაც (გინზბურგი 1979: 230-235).

მეორე ცნობილი კლასიფიკაციის ავტორია ა. სმირნიცკი და მისი ამოსავალია ფუნქციონალური კრიტერიუმი (სმირნიცკი 1956: 34-97). ამ კლასიფიკაციის მიხედვით, ფრაზეოლოგიური ერთეული წარმოადგენს სპეციფიკურ გამოთქმას—სიტყვის ეპივალენტს, რომლის დისტინქციური მახასიათებელია სემანტიკური და გრამატიკული მდგრადობა (მაგალითად: *heavy father*), რითაც იგი განსხვავდება ჩვეულებრივი ფრაზისაგან. გარდა ამისა, ფრაზეოლოგიური ერთეული, აღნიშნული კლასიფიკაციის მიხედვით, მეტყველებაში უნდა ხასიათდებოდეს გარკვეული სტილისტური შეფერილობითაც. ა. სმირნიცკის თავის კლასიფიკაციაში არ შეაქვს იდიომატურობის ცნება და არ ანიჭებს მას მნიშვნელოვან როლს, პირიქით, თვლის, რომ იდიომატურობა არ არის აუცილებელი პირობა ფრაზეოლოგიური ერთეულისათვის. იგი ანსხვავებს ფრაზეოლოგიურ ერთეულებს (ანუ სიტყვა-მატყვალენტებს) საკუთრივ იდიომებისაგან, რომლებიც დამოუკიდებელ გამოთქმებად არსებობენ და თვლის, რომ ასეთი ერთეულების შესწავლა არ უნდა მოხდეს ფრაზეოლოგიის საზღვრებში.

ფრაზეოლოგიური ერთეულების შემდგომმა კვლევამ დაადასტურა, რომ სიტყვასა და ფრაზეოლოგიურ ერთეულს შორის არსებობს განსხვავება,

რომელიც ფრაზეოლოგიური ერთეულებისა და სიტყვა-ეპიფალენტების მსგავსებას ეჭკვეშ აყენებს. ეს, უპირველეს ყოვლისა, არის ფრაზეოლოგიური მნიშვნელობის, როგორც ენობრივი კატეგორიის არსებობა, მისი რთული სტრუქტურა, პარადიგმის დეფექტურობა. ამას ემატება ისიც, რომ ფრაზეოლოგიურ ერთეულს შეუძლია შეასრულოს არა მარტო ერთი სინტაქსური წევრის ფუნქცია, არამედ მას შეიძლება ახასიათებდეს მარტივი და რთული წინადადების სტრუქტურაც. შესაბამისად, იგი შეიძლება ფუნქციონირებდეს როგორც დამოუკიდებელი სინტაქსური ერთეული (არნოლდი 1973: 105, რუსიეშვილი 1989: 34).

მომდევნო კლასიფიკაცია კუთვნის 6. ამოსოვას და მისი ამოსაგალი კრიტერიუმია კონტექსტი (ამოსოვა 1963). ავტორის მოსაზრებით, ფრაზეოლოგიური ერთეული მხოლოდ კონტექსტის გათვალისწინებით შეიძლება დახასიათდეს, კონტექსტი კი ყოველთვის ფიქსირებულია. მაგალითად: გამოთქმა *small hours* ნიშნავს პერიოდს დამის 12 საათიდან ადრეულ დილამდე და ხასიათდება ფიქსირებული კონტექსტით. მასში ლექსიკური კომპონენტის შეცვლა გამოიწვევს აზრის დარღვევას. ამ კლასიფიკაციის თანახმად, ფრაზეოლოგიური ერთეული იყოფა ორ ჯგუფად: ფრაზემებად და იდიომებად. ფრაზემაში მხოლოდ ერთ კომპონენტს აქვს გადააზრებული მნიშვნელობა, იდიომში კი გადააზრებულია მთლიანად ერთეული. მიუხედავად იმისა, რომ კონტექსტუალური ანალიზი, სხვა კონცეფციებთან შედარებით, წინ გადადგმულ ნაბიჯად გვეჩენება, იგიც არაა სრულფასოვანი. ჩვენი აზრით, სტრუქტურული მდგრადობა არ შეიძლება განსაზღვრავდეს ერთეულის სპეციფიკურ მნიშვნელობას, რადგან გადააზრებული სემანტიკა ყველა შემთხვევაში მდგრადობას არ გულისხმობს. ეს რომ ასე იყოს, არ იარსებებდა თუნდაც პოეტური მეტაფორული ერთეულები და პოეზიის არსებობა ეჭვჭვეშ დადგებოდა (რუსიეშვილი 1989: 59).

ჩვენი აზრით, ზემოთ განხილულ სამივე მიღებავად განსხვავებისა, ბევრი აქვს საერთო. კერძოდ, მათ აერთიანებს ისეთი მახასიათებლების აღიარება და მათთვის განსაკუთრებული სტატუსის მინიჭება, როგორიცაა სპეციფიკური მნიშვნელობა და სტაბილურობა.

მაშინ, როდესაც ფეს განვითარების პირველ ეტაპზე გ.წ. საბჭოთა სკოლა ტერმინთა არაერთგვაროვანი ხმარებით ხასიათდება, ინგლისურენოვან ენათმეცნიერებაში ფე ძირითადად ასოცირებულია იდიომთან და შესაბამისად,

ტერმინი ოდიომი მოიცავს ყველა იმ ერთეულს, რასაც საბჭოთა სკოლაში ფრაზოლგიურ ერთეულს უწოდებენ (ლიპკა 1972: 274-285, უეინრიხი 1969: 164-214, არნოლდი 1973: 34-127 და სხვ.).

რადგანაც ფრაზეოლოგიის განვითარების აღნიშნულ ეტაპზე ინგლისურენოვან ენათმეცნიერებაში მეცნიერების შედარებით მცირე ჯგუფი ინტერესდება ამ პრობლემით, გავეცანით ამ პერიოდის იდიომთა ლექსიკონის ავტორების მოსაზრებებს, რათა უფრო ნათელი წარმოდგენა შეგვქმნოდა ინგლისურენოვან რეალობაში ფესადმი დამოკიდებულებაზე.

o. გალენდი, ინგლისურ იდიომთა ლექსიკონის ერთ-ერთი ავტორი წერს, რომ იდიომი, წარმოადგენს სიტყვათა წექბას, რომელიც ერთმანეთთან შეერთების შემდეგ იძენს განსხვავებულ მნიშვნელობას (გალენდი 1979: 2-5). ამ მნიშვნელობის გაგება ცალკეული სიტყვების სემანტიკული მნიშვნელობის ცოდნით შეუძლებელია. ავტორის მიხედვით, იდიომს შეიძლება ჰქონდეს ჩვეულებრივი და უწვეულო ფორმა, ან შეიძლება არ ემორჩილებოდეს გრამატიკულ წესებს. o. გალენდს, რომლისთვისაც იდიომის მნიშვნელობის გაგება არაა დამოკიდებული გრამატიკულ სისტორეზე, თავისი თვალსაზრისის გასამყარებლად მოჰყავს შემდეგი მაგალითები:

1. ფორმა უწვეულო, მნიშვნელობა ნათელი: «*To give someone to understand*»;
2. ფორმა ჩვეულებრივი, მნიშვნელობა გაურკვეველი: «*To cut no ice*»;
3. ფორმა უწვეულო, მნიშვნელობა გაურკვეველი: «*To be at large*».

ცხადია, აქ ნათელ და არანათელ მნიშვნელობებში, რუსული სკოლის წარმომადგენელთა ტერმინები რომ მოვიშველიოთ, იგულისხმება იდიომი და ფრაზეოლოგიზმი მოტივაციის სხვადასხვა სახით: ფრაზეოლოგიზმის მნიშვნელობა ნათელია ანუ გამჭირვალე, იდიომის კი - ხშირად არა. ფორმაზე კი ფრაზეოლოგიის განვითარების პირველი ეტაპის რუსი მეცნიერები ნაკლებად ამახვილებდნენ ყურადღებას.

გ. ჰოვერი, იდიომთა ლექსიკონის კიდევ ერთი ავტორი, გამოყოფს ფიქსირებულ იდიომებს, რომლებშიც არცერთი წევრის შეცვლა არ შეიძლება. (ჰოვერი 1983: 1-7). ეს მიღვომაც საკამათოდ მიგვაჩნია (იხ. ქვემოთ: თავი 3.1, გვ.71).

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენთვის ინგლისურენოვანი ტრადიციული ავტორების კონცეფციები მნიშვნელოვანია, ვთვლით, რომ ისინი უფრო

ზედაპირულად შესწავლის შთაბეჭდილებას ტოვებს, რადგანაც,  
ტრადიციულ ინგლისურენოვან ენათმეცნიერებაში არ არსებობს  
ფრაზეოლოგიურ ერთეულის სიღრმისეული კვლევა.

ფრაზეოლოგიის განვითარების იმ ეტაპზე, როდესაც წამოჭრილი იყო  
უამრავი სადაო საკითხი და როდესაც მიმდინარეობდა კამათი  
ფრაზეოლოგიური ერთეულის არსის შესახებ, გამოვიდა ა. კუნინის  
ნაშრომები, რომლებმაც, როგორც ბევრი მეცნიერი მიიჩნევს, გადაჭრა  
ფრაზეოლოგიის მრავალი ბუნდოვანი საკითხი (რუსიეშვილი 1989: 23).

ა. კუნინი, თავისი შემოქმედების პირველ ეტაპზე ფრაზეოლოგიას ორად  
ყოფს: ფრაზეომატიკად და იდიომატიკად. ფრაზეომატიკის ერთეულია  
ფრაზეოლოგიზმი, იდიომატიკის–იდიომი, ორივე ერთიანდება  
ფრაზეოლოგიური ერთეულის სახელწოდებაში, რომელსაც ა. კუნინი ასე  
განმარტავს: «Это устойчивые сочетания лексем с полностью или частично  
переосмысленным значением» (კუნინი 1967: 23). ეს ერთეულები მოიცავს  
სხვადასხვა ტიპს და შეიძლება იყოს როგორც მოტივირებულნი, ასევე  
არამოტივირებულნი. იდიომს, ა. კუნინის აზრით, ახასიათებს კომპონენტთა  
სრული გადაზრებულობა სემანტიკურ ასპექტში, ხოლო  
ფრაზეოლოგიზმს–ნაწილობრივი ანუ მასში ერთ კომპონენტს მაინც აქვს  
შენარჩუნებული დენოტაციური მნიშვნელობა. აქედან გამომდინარე,  
საზღვარი ამ ორ ჯგუფს შორის გადის სემანტიკური  
გადააზრებულობის ხარისხზე. იდიომს, გარდა ლექსემების სრული  
გადააზრებულობისა, ახასიათებს შედარებით ჩაკეტილი სტრუქტურა. იგი  
არის ნომინაციური, საკომუნიკაციო, მოდალური ან ნომინაციურ-  
საკომუნიკაციო ფუნქციის მქონე ერთეული, ცალკე გაფორმებულობითა  
და მდგრადობით. ფრაზეოლოგიზმი კი გამოიყოფა სემანტიკური ბირთვი,  
რომელიც განსაზღვრავს მთელი ერთეულის მნიშვნელობას. ა. კუნინი  
ფრაზეოლოგიური ერთეულის კლასიფიკაციას ახდენს სტრუქტურულ-  
სემანტიკურ პრინციპზე დაყრდნობით, რომელიც თავის მხრივ, ქმნის ამ  
ერთეულთა ფუნქციონალურ განსხვავებას. ფრაზეოლოგიის საზღვრები  
აღნიშნული კლასიფიკაციის მიხედვით, სტრუქტურულ პლანში  
გულისხმობს მანძილს შესიტყვებიდან რთულ წინადადებამდე, ხოლო  
სემანტიკურ პლანში–აუცილებლად ითვლება ფრაზეოლოგიურ ერთეულთა  
კომპონენტების მთლიანი ან ნაწილობრივი სემანტიკური გადააზრება,

რომელზე დაყრდნობითაც გამოიყოფა მნიშვნელობის სხვადასხვა ტიპი (კუნინი 1967: 23-97). თავის უახლეს ნაშრომში ა. კუნინს კლასიფიკაციაში შეაქვს რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება რომელიც, ერთი მხრივ, ეწინააღმდეგება, მეორე მხრივ, ართულებს მის წინა კლასიფიკაციას. კერძოდ, ახალ კლასიფიკაციაში შეცვლილია თვით კლასიფიკაციის კრიტერიუმი. თუ პირველ კლასიფიკაციაში ამოსავალ კრიტერიუმად გვევლინება ფრაზეოლოგიური ერთეულის მთლიანად ან ნაწილობრივ გადააზრებული მნიშვნელობა, მეორე კლასიფიკაცია ეყრდნობა ფრაზეოლოგიური მნიშვნელობის კომპლიკაციურობის სარისეს აქ ფრაზეოლოგიური ერთეული განმარტებულია, როგორც შემდა სახის მდგრადი შესიტყვება, რომელსაც ახასიათებს გართულებული კომპლიკაციური მნიშვნელობა (კუნინი 1972: 34) ე.ი. ა. კუნინის მიერ მოწოდებული ფრაზეოლოგიური ერთეულის ახალ განმარტებაში არ ფიგურირებს გადააზრებულობა, რომელიც პირველ კლასიფიკაციაში ფრაზეოლოგიური ერთეულის ძირითადი დიფერენციალური ნიშანია.

ახალი კლასიფიკაციის მიხედვით ფრაზეოლოგიური ერთეული იყოფა სამ ტიპად: იდიომად, იდიოფრაზემატად და ფრაზემატად. შესაბამისად, გამოიყო ფრაზეოლოგიის სამი ქვესისტემა: იდიომატიკა, იდეოფრაზემატიკა და ფრაზემატიკა. იდიომატიკის საზღვრებში ავტორს შეაქვს იდიომები (იდიომატიზმები), რომლებიც განიმარტება, როგორც მყარი შესიტყვებები ნაწილობრივ ან სრულად გადააზრებული მნიშვნელობით. წინა კლასიფიკაციაში იდიომის და ფრაზეოლოგიზმის განსხვავება ხდებოდა გადააზრებულობის ნიშნით, აქ კი ეს დარღვეულია და როგორც იდიომი, ასევე ფრაზეოლოგიზმი ერთ ჯგუფშია მოქცეული. იდეოფრაზემატიკის შემადგენლობაში ა. კუნინს შეაქვს ისეთი ერთეულები, რომლებიც ცხოვრების სხვადასხვა სფეროდან შევიდა ფრაზეოლოგიაში და დაკავშირებულია ადამიანის ექსტრალინგვისტური საქმიანობის, გამოცდილების ფრაზეოლოგიურ ინტერპრეტაციასთან. მაგ. გამოთქმა «In the wake of» ნიშნავს კილვატერშს, ხოლო ფრაზეოლოგიური მნიშვნელობით-კვალში ჩადგომას. ადრინდელ კლასიფიკაციაში ასეთი ერთეულები იდიომის კვალური კლასიფიკაციაში მესამე ნაწილის-ფრაზემატიკის შემადგენლობაში ა. კუნინი აერთიანებს არაიდიომატური ხასიათის

ფრაზეოლოგიზმებს, რომლებსაც კომპლიკაციური მნიშვნელობა ახასიათებს. თუმცა, ამის შემდეგაც ავტორს თავის კლასიფიკაციაში შეაქვს რამოდენიმე ცვლილება. ა. კუნინისეული შეცვლილი საბოლოო კონცეფციის საკვანძო მომენტები კი შემდეგნაირად შეიძლება იქნას ჩამოყალიბებული:

1. ფრაზეოლოგია-ესაა ენათმეცნიერების დამოუკიდებელი დისციპლინა;
2. ფრაზეოლოგია სწავლობს ენის ფრაზეოლოგიურ სისტემას და არა ცალკეულ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს;
3. ფრაზეოლოგია სწავლობს ყველა ტიპის მყარ შესატყვისებს;
4. მყარი შესატყვისები იყოფა: ფრაზეოლოგიურ ერთეულებად, ფრაზეომატულ ერთეულებად და გარდამავალი ტიპის შემთხვევებად—შერეული ტიპის ერთეულებად. ძირითადი განსხვავება პირველ და მეორე კლასს შორის მდგომარეობს იმაში, რომ ფრაზეოლოგიურ ერთეულს გააჩნია ნაწილობრივად ან სრულად გადააზრებული მნიშვნელობა, ხოლო ფრაზეომატულ ერთეულებში აღემენტები პირდაპირი მნიშვნელობით გამოიყენება.
5. ფრაზეოლოგიური და ფრაზეომატული ერთეულები არ შეიძლება განვიხილოთ როგორც სიტყვა-ეკვივალენტები;
6. ფრაზეოლოგიური და ფრაზეომატული ერთეულები წარმოადგენს მყარ შესიტყვებებს და მათი მდგრადობა გვევლინება მათ დისტინქციურ ნიშნად;
7. ფრაზეოლოგიურ და ფრაზეომატულ ერთეულებს აქვთ სპეციფიკური სტრუქტურა და ახასიათებთ ხმარების, ლექსიკური ან სემანტიკური სტაბილურობა.

ფრაზეოლოგიური ერთეულის სტრუქტურა სემანტიკასთან შედარებით, ნაკლებადაა შესწავლილი, თუმცა, თითქმის ყველა მეცნიერთა კონცეფციაში მას მეორეხარისხოვანი ადგილი მაინც უკავია. ა. კუნინს, სხვა საბჭოთა ფრაზეოლოგების მსგავსად, ფრაზეოლოგიური ერთეულის სტრუქტურა ჩაკეტილად მიაჩნია; უფრო მეტიც, მას ფრაზეოლოგიური ერთეულის დიფერენციალურ ნიშანსაც უწოდებს (კუნინი 1972: 85). თუმცა, ისიც აღსანიშნია, რომ მისთვის ვარიაცია და ჩაკეტილი სტრუქტურა არაა ურთიერთგამომრიცხავი ტერმინები, რადგან ერთეული შეიძლება უშვებდეს ვარიაციას, მაგრამ არ იცვლებოდეს მისი ჩაკეტილი სტრუქტურა. ეს ვარიაცია ა. კუნინის აზრით, ლექსიკური იდენტობის

ფარგლებში ხდება ანუ იგი არ ცვლის ერთეულის სემანტიკურ მნიშვნელობას და აქედან გამომდინარე, არ იცვლება ფრაზეოლოგიური ერთეულის ჩაკეტილი სტრუქტურა.

რაც შეეხება ქართველ მეცნიერთა მოსაზრებას ფრაზეოლოგიური ერთეულის შესახებ დისკიპლინის განვითარების პირველ ეტაპზე, ამ მხრივ აღსანიშნია ა. თაყაიშვილი, რომელმაც ქართულ ფრაზეოლოგიას გამოკვლევა მიუძღვნა (თაყაიშვილი 1961). საინტერესოა ის, რომ ა. თაყაიშვილი მსჯელობს იდიომზე, როგორც ფრაზეოლოგიის საკვლევ ობიექტზე და გამოყოფს მის ოთხ მახასიათებელს:

1. იდიომის სემანტიკურად დაუშლელია—იგი სიტყვის გაგოგალენტია;
2. იდიომის მნიშვნელობა არ უდრის კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამს;
3. იდიომი ექსპრესიულია;
4. იდიომს აქვს შესატყვისის ფორმა.

ა. თაყაიშვილს მიაჩნია, რომ ამ ოთხი თვისების ერთიანობა ქმნის იდიომს. თუ ერთეულს ამ თვისებიდან ერთი მაინც აკლია, იგი არაა იდიომი. ავტორი ასევე მსჯელობს ფრაზეოლოგიურ შესიტყვებებზე, რომლებსაც, მისი აზრით, იდიომის მსგავსად, მყარი სემანტიკა არ გააჩნია (მაგ. ოცნებაში წავიდა). ჩვენი აზრით, ა. თაყაიშვილი ფრაზეოლოგიურ შესიტყვებაში ა. კუნინის მიერ შემოთავაზებულ ფრაზეოლოგიზმს გულისხმობს, სადაც გადააზრებულია ერთი სიტყვა, თუმცა ავტორი არ ავლებს მკვეთრ საზს ამ ორი სახის ფრაზეოლოგიურ ერთეულებს შორის და არ განიხილავს მსგავსება-განსხვავებას მათ შორის. ამავე პერიოდში, ინგლისურენოვან საენათმეცნიერო სფეროს მსგავსად, ზოგადად, ქართველი ენათმეცნიერებიც ფრაზეოლოგიურ ერთეულს იდიომად განიხილავდნენ და მასში აერთიანებდნენ ფეს ფართო გაგებით (ონიანი 1966, გამრეკებლი 1956..).

რაც შეეხება იტალიურ ფრაზეოლოგიას, როგორც აღინიშნა, ამ მხრივ იტალიურ ენათმეცნიერებაში სურათი არცოუ ისე სახარბიელოა რადგან, იტალიელი ენათმეცნიერები ძალიან ნაკლებად იყვნენ და არიან დაინტერესებული ფრაზეოლოგიის შესწავლით. თვით ტერმინი «ფრაზეოლოგიაც» კი უჩვეულოა იტალიური ენათმეცნიერებისათვის, რომ არაფერი ვთქვათ ფრაზეოლოგიის დებულებების შემუშავებაზე (ნიკლაუსი 1999:

23). კ. ბაჩიკოვას ნაშრომში, რომელიც მან იტალიურ ფრაზეოლოგიურ გამოთქმებს მიუძღვნა, ვკითხეულობთ, რომ იტალიურ ენაში არ არსებობს ფრაზოლოგიის სრული დახასიათება და კლასიფიკაცია და რომ თვით არსებული მცირე მასშტაბით შესწავლა, მხოლოდ ფეს ცალკეული ასპექტის შესწავლიდან გამომდინარეობს (ბაჩიკოვა 2008: 3). იმ მცირერიცხვანი იტალიული ლინგვისტებიდან, რომლებიც ინტერესდებიან ფრაზეოლოგიით, აღსანიშნია ს. ვიეტრი, რომელმაც იტალიურ ფრაზეოლოგიას რამოდენიმე ნაშრომი მიუძღვნა. ს. ვიეტრი ფრაზეოლოგიურ ერთეულად მიიჩნევს გადააზრებულ ერთეულს და ძირითად ყურადღებას სტრუქტურაზე ამახვილებს (ვიეტრი 1985).<sup>\*</sup> ასევე იმ მცირერიცხვან იტალიულ ლინგვისტთა შორის, რომლებმაც ფეს კვლევები მიუძღვნეს, აღსანიშნია ფ. კასადეი, რომლისთვისაც იდიომატური გამოთქმა არის კონვენციონალური ტიპის გამოთქმა, ნაკლებად ცვალებადი და ფიქსირებული მნიშვნელობის (კასადეი 1995: 235) და კ. კაჩიარი, რომელიც ასევე მსჯელობს იდიომატურ გამოთქმაზე და არა ფრაზეოლოგიურ ერთეულზე. მისთვის იდიომატური გამოთქმა არის ერთი ან მეტი სიტყვის ნაერთი, კონვენციონალური სემანტიკით ანუ შემადგენელი ელემენტების ჯამური მნიშვნელობით (კაჩიარი 1993: 423).

ფრაზეოლოგიის განვითარების ახლანდელ ეტაპზე, როგორც აღინიშნა, ინგლისურენოვან საენათმეცნიერო სფეროში დისციპლინისადმი მზარდი ინტერესი იგრძნობა. ამის ნათელი დადასტურებაა მთელი რიგი მეცნიერთა ნაშრომები ფრაზეოლოგიის გარშემო (მაკაი 1988, ჰოვერსი 1999, 2000, ჯიბზი 1995 და სხვ.). შესაბამისად, უფრო მრავალფეროვანი ხდება თვით ფე-ის განმარტებაც. მაგალითად, თანამედროვე ინგლისერი მეცნიერი, რ. გლეისერი ფიქრობს, რომ

*«A phraseological unit is a lexicalized, reproducible blexemic or polylexemic word group in common use, which has relative syntactic and semantic stability, may be idiomatized, may carry connotations and may have an emphatic or intensifying function in a text»* (გლეისერი 1998:78).

ფრაზეოლოგიური ერთეულის სხვადასხვა კლასიფიკაციების განხილვის შემდეგ ჩვენთვის ბიბლიოზმ-ფრაზეოლოგიურ ერთეულებზე მორგებადი აღმოჩნდა ა. კუნინის ძველი კლასიფიკაცია, რომლის მიხედვითაც, ფრაზეოლოგიური ერთეული გვევლინება ერთ შემთხვევაში იდიომად ანუ

\* იხ. ნაწ. III თავი 3.1 გვ. 74

სრულად გადააზრებული მნიშვნელობის მქონე ერთეულად, მეორე შემთხვევაში კი-ფრაზეოლოგიზმად ანუ ნახევრად გადააზრებული მნიშვნელობის ერთეულად (კუნინი 1967: 87). თუმცა, ჩვენი აზრით, ზოგადად ფეს კლასიფიკაციის დროს ამ ორ დანაყოფს უნდა მივუმატოთ ასევე არაიდიომატური მყარი შესატყვისები-ფრაზები (ვ. ვინოგრადოვის მიერ ცალკე ჯგუფად გამოყოფილი ფრაზეოლოგიური კოლოკაციები ფაქტობრივად, ემთხვევა ჩვენს მიერ ნახსენებ ფრაზა-მყარ შესატყვისებს), რომელიც დანარჩენ ორს დაუპირისპირდება როგორც სემანტიკური, ასევე სტრუქტურული თვალსაზრისით:

1. იდიომი-სრულად გადააზრებული, გარიაციის შესაძლებლობით: «ქრისტეს ვირი/ქრისტეს ჯორი»;
2. ფრაზეოლოგიზმი-ნახევრად გადააზრებული, გარიაციის შესაძლებლობით: «to rule with a heavy hand/high hand»;
3. მყარი ფრაზები-მნიშვნელობა სრულად გადაუაზრებული, ვარიაცია-დაუშვებელი: «by the way».

სამი ტიპის ფრაზეოლოგიური ერთეულიდან სამივე ერთმანეთს სემანტიკურ პლანში უპირისპირდება—გადააზრებული, ნახევრად გადააზრებული და გადაუაზრებული. სტრუქტურულ პლანში კი დაპირისპირება მხოლოდ პირველსა და მესამეს, მეორესა და მესამეს შორის ხდება, რადგან იდიომისა და ფრაზეოლოგიზმის სტრუქტურა ყოველთვის ჩაკეტილი არაა, მაშინ როდესაც ფრაზეოლოგიური ერთეული-მყარი შესატყვისის სტრუქტურა ყოველთვის ჩაკეტილია.

თქმულიდან გამომდინარე, ჩვენ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს ვახასიათებთ, როგორც მინიმუმ ორი სიტყვის ნაერთს სპეციფიკური (და არა მხოლოდ იდიომატური) მნიშვნელობით. ჩვენი კვლევის ობიექტიდან გამომდინარე, ბიბლიიზმ-ფრაზეოლოგიური ერთეულების კლასიფიკაციის დროს დავეყრდნობით ა. კუნინის ძველ, ტრადიციულ კლასიფიკაციას, რომელიც, როგორც შემდგომ დავინახავთ, ბიბლიიზმების სწორად დაჯგუფებაში დაგეხმარება.

## 12. ბიბლიიზმი და ლუქსორლოგია

ბიბლია (ეტიპ. ბერძნ.-ბიბლია, (ta) *biblia*, βιβλίο) – საღმრთო წიგნი, კაცობრიობის უდიდესი საგანძურია, რომელიც მრავალი საუკუნის მანძილზე მრავალი მეცნიერების ინტერესის სფეროში იყო და არის მოქცეული. სავსებით მართალია ის, რომ «*The Bible has influenced not only religion, but language, law and....natural philosophy of mainstream civilization*» (ონ.ლაინ სტატია: [http://www.jesuschristinfo.com/About\\_The\\_Bible.html](http://www.jesuschristinfo.com/About_The_Bible.html)).

გამოთქმების მრავალფეროვნებით იგი მდიდარ მასალას თავაზობს ენათმეცნიერებსაც. შეიძლება, არც კი ვიცოდეთ, რომ უამრავი სიტყვა, ფრაზა თუ სხვა საკომუნიკაციო ერთეული, რომელსაც ყოველდღიურ საუბარში ძალიან ხშირად ვიყენებთ, ბიბლიიდან წარმოიშვა, დროთა განმავლობაში შეიძინა უზუალობა და დამკვიდრდა იდიომატური მნიშვნელობის ერთეულებად. ბიბლიიზმები პროდუქტიულია და ფართო მასშტაბით გამოიყენება მრავალ ენაში, მათ შორის ჩვენს საკვლევ ენებში: ინგლისურში, ქართულში, იტალიურსა და რუსულში.\*

როგორც აღმოჩნდა, ენათმეცნიერებაში ბიბლიიზმის შესწავლის ორი ძირითადი მიმართება არსებობს: პირველი, როგორც ზევით აღინიშნა, ემთხვევა ფრაზეოლოგიის ცალკე დისციპლინად ჩამოყალიბებისა და განვითარების ეტაპს, კერძოდ, გასული საუკუნის 60/80-იან წლებს. ამ კონცეფციის მიხედვით, ბიბლიიზმი წარმოადგენს ინტერნაციონალური ფრაზეოლოგიური ერთეულების ერთ-ერთ ნაირსახეობას და ახასიათებს ყველა ის თავისებურება, როთაც ზოგადად, ინტერნაციონალური ფე ხასიათდება. (კუნინი 1972: 87-99, რუსიული 1989: 55-59, ფედულენკოვა 1997: 1-97, დუბროვინა 1998: 1-9 ნაუმოვა: 2001: 3-44 და სხვ) ასეთი ტიპის ბიბლიიზმებია: «*ხელების დაბანა*», «*უმატე рукам*», «*to wash one's hands*», «*lavarsene le mani*», «*შვიდობის მერყეობის*», «*голуб мира*», «*dove of peace*», «*golondrina della pace*» და სხვ. მეორე კონცეფცია შედარებით ახალია და სათავეს XX საუკუნის 90-იანი წლებიდან იღებს, როდესაც ენათმეცნიერებაში ჩანასახის სახით გაჩნდა ინტერდისციპლინალური ერთეულის ბიბლიიზმის ცალკე ჯგუფად შესწავლის ინტერესი (შანსკი 1985, ზაგორი 2004, შორსტკინა 2000, ხაჭაპურიძე 2004 და

\* თუმცა, ყველა საკვლევ ენაში მათი გამოყენება არაერთგვაროვანი და სპეციფიკურია, რაც აიხსნება ამ ენების ჰატარებების ერტების ისტორიით, ყოფით და სხვა ექსტრალინგვისტური ფაქტორებით.

სხვ.) ამ კონცეფციის ავტორები ბიბლიიზმს აღიქვამენ არა როგორც ფე-ის ნაირსახეობად, არამედ როგორც სხვადასხვა ენობრივი დონის პუთვნილ ერთეულად, თუმცა ავტორები ამ მიმართულებით ბიბლიიზმების გამიჯვნას არ უდრმავდებიან და არ ახდენენ მათ ტოპოლოგიურ დაჯგუფებას.

ჩვენი აზრით, ბიბლიიზმი წარმოადგენს არა მხოლოდ ფრაზეოლოგიური ერთეულის ნაირსახეობას, არამედ რამდენიმე დისციპლინის საკვლევ ერთეულს. ისეთი ბიბლიური ფრაზეოლოგიური ერთეულების გვერდით, როგორიცაა «მამა აბრამის ბატყანი», «*Essere un corpo e un'anima*», «*To bear one's cross*», «*ქრისტეს პერანგი გახდაოთ*», «*Кто не работает, тому не ест*» და ა.შ., არსებობს სხვა ტიპის ბიბლიიზმებიც, რომლებსაც ახასიათებს ყველა ის თავისებურება, რომელიც ბიბლიიზმის განმარტებაში შევიტანეთ ანუ თუ ჩვენ ბიბლიიზმს განვმარტავთ, როგორც ბიბლიური წარმოშობის გადააზრებული ტიპის ერთეულად, ვიგულისხმებთ არა მხოლოდ ბიბლიურ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს, არამედ სხვადასხვა ენობრივი დონის კუთვნილ ბიბლიურ ერთეულებსაც, რომლებიც დღესდღეობით ბიბლიიზმებად გვევლინება. ამ შემთხვევაში, ბიბლიიზმებს ვსწავლობთ ენობრივი სისტემის ვერტიკალურ ჭრილში, ენის იერარქიული სტრუქტურის საფუძველზე. შესაბამისად, პირველი ჯგუფის ბიბლიიზმებად გვევლინება მორფოლოგიური და ლექსიკური დონის კუთვნილი ერთეულები-სიტყვა/ლექსემა-ბიბლიიზმები, რომლებიც ბიბლიური ფრაზეოლოგიური ერთეულების მსგავსად, ბიბლიური წარმოშობისაა და ახასიათებს გადააზრებულობა. ასეთი ერთეულებია: «ხამოთხე», «рай», «heaven», «paradiso», «ანგელოზი», «ангел», «angel», «აღდგომა», «Иуда», «იუდა», «Giuda», «Judas», «გოლგოთა», «Golgotha», «Голгофа», «Golgota» და სხვა მრავალი. უფრო ზუსტად, ეს ერთეულები წარმოადგენს ბიბლიური ეტიმოლოგიის ლექსემებს, რომელთა აქტუალიზებაც ხდება გადააზრებული მნიშვნელობით (თუმცა გადააზრებულობამ დროთა განმავლობაში შეიძლება ცვეთა განიცადოს და გაჭირდეს მისი მეტაფორული აღქმა) და რომლის, როგორც ბიბლიიზმების ერთ-ერთი ტიპის დიფერენციალური მახასიათებელია იდიომატურობა. არ შეიძლება, შევისწავლოთ ისეთი გამოთქმა, როგორიცაა: «იობის მომინება» და გვერდი ავუაროთ წინადადებას «ნაძღვილი წარღვნა გათენდა». პირველი ბიბლიური ფრაზეოლოგიური ერთეულია, მეორე კი წინადადება, რომელშიც აქტუალიზებულია ბიბლიური აღუზიური მნიშვნელობის ლექსემა «წარღვნა». ასევე შევადაროთ ორი წინადადება:

«გამოხვედი შენი მამა აბრამის ბატკანი» და «ახლა ერთი საინტერესი წიგნი მომნათლავდა» (წინადაღებები აღებულია ზეპირი დისკურსიდან). ლირებულების თვალსაზრისით, ორივე წინადაღება მსგავსი ლირებულებისაა: ორივე ხატოვანია, ორივე გადააზრებული და სტილისტურად დატვირთული. ამას პირველ წინადაღებაში ქმნის ფრაზა «მამა აბრამის ბატკანი», რომელიც ბიბლიური წარმოშობის ფრაზეოლოგიური ერთეულია, მეორეში კი სიტყვა «მონათვლა», რომელიც ქრისტიანისთვის ბიბლიური წარმოშობის მეტაფორული სიტყვა. ორივე მათგანი—სიტყვაც და ფრაზაც იდიომატურია და შესაბამისი ეფექტი აქვთ კომუნიკაციაშიც. თქმულის თანახმად, მიგვაჩნია, რომ არსებობს მეტაფორული ბიბლიური სიტყვები, რომელიც ლირებულების თვალსაზრისით, შეიძლება, არ ჩამოუვარდეს ბიბლიურ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს.

ზოგადად ფრაზეოლოგიური ერთეულის და სიტყვის ურთიერთმიმართება ენათმეცნიერების ერთ-ერთ საინტერესო საკითხს წარმოადგენს. როგორც სპეციალური ლიტერატურის გაცნობამ დაგვანახა, ძალიან ხშირად ხდებოდა ფრაზეოლოგიური ერთეულის და მეტაფორული სიტყვის გაიგივება. მეცნიერები ხშირად შენიშნავდნენ, რომ ორ ერთეულს ერთმანეთთან ბევრი რამ, უპირველესად, მეტაფორულობა აერთიანებს (რეფორმაცი 1967: 245-255, ლოსევი 1997: 40-67, კაჩიარი 1993: 26-55). მაგალითად, ა. რეფორმატსკი გადატანითი მნიშვნელობით ნახმარ სიტყვებს იდიომად თვლის (რეფორმაცი 1967: 253). ორი ერთეულის გაიგივება ძირითადად, ხდებოდა მეტაფორულობის ნიშნით. მეტაფორულობა კი ჩვენი აზრით, ძალიან ზოგადი კატეგორიაა, რადგან იგი არ არის მხოლოდ ფრაზეოლოგიური ერთეულის დიფერენციალური ნიშანი. არსებობს უამრავი სხვა ერთეული, მაგ. ანდაზები, აფორიზმები და სხვა, რომლებსაც მეტაფორულობა ახასიათებს, მაგრამ არ ეპუთვნის ფრაზეოლოგიის სისტემას (ბლექი 1979: 186-201, რუსიეშვილი 2005: 23-27). მიუხედავად იმისა, რომ სემანტიკურ ასპექტში მეტაფორული სიტყვა და ფრაზეოლოგიური ერთეული ერთგვარ კავშირს ავლენს, (ბერგერი 1998: 30-36, ალეხინა 1989: 22-77) მათი სტრუქტურა არ უნდა დავივიწყოთ, რადგან ერთია სიტყვა—მეტყველების უმცირესი შინაარსის მქონე ერთეული და სხვაა სიტყვათშეერთება, შესიტყვება. სიტყვა ჯერ შესიტყვების ელემენტია და შემდეგ წინადაღების. როგორც ა. იაკოვიესკაია ამბობს, «ლექსების კომპონენტები ერთიანდებიან ერთ მთელად, ქმნიან ბერით ერთიანობას,

ფრაზების კომპონენტები კი ინახავენ სიტყვათცვლილების შესაძლებლობას, დაკავშირებული არიან აზრობრივი და გრამატიკული კავშირებით». (იაკოვიესკაია 1949: 47). აქედან გამომდინარე, ჩვენი აზრით, ფრაზეოლოგიის საკვლევი ობიექტი არის ფრაზა, რომელიც უნდა იყოს მინიმუმ ორი სიტყვის ერთობლიობა. სიტყვა კი, თავის მხრივ, რაგინდ რთულიც არ უნდა იყოს სემანტიკური სტრუქტურით, რაგინდ იდიომატური და არ ითარგმნებოდეს სხვა ენაზე, არ განეკუთვნება ფრაზეოლოგიის სფეროს—ისაა ლექსიკოგრაფიის და ლექსიკოლოგიის ობიექტი (ლარინი 1956: 34-55). ლექსიკოლოგიასთან ერთად, მეტაფორული სიტყვების შესწავლის დროს, ჩვენი აზრით, მოშველიებული უნდა იქნას სტილისტიკაც, ლექსემებში დაფიქსირებული სტილისტიკური საშუალებების გასაშიფრად.

თქმულიდან გამომდინარე, ყველა ის დისკიპლინები, რომლებიც სიტყვის მიმართ პრეტენზიას გამოთქვამდნენ, მხოლოდ მოშველიებული შეიძლება იყოს სიტყვის სხვადასხვა ასპექტის შესასწავლად, სიტყვის საკვლევ ცენტრალურ დისციპლინად კი ლექსიკოლოგია რჩება (სზაბი 2002: 34).

როგორც აღინიშნა, ბიბლიოზმთა იერარქიაში სიტყვა-ბიბლიოზმები, რომლებიც ენობრივი სისტემის მორფოლოგიური და ლექსიკურ დონეს მიეკუთვნებიან, მის პირველ ჯგუფს შეადგენენ. ბიბლიური წარმოშობის სიტყვა-ბიბლიოზმები, როგორც დაკვირვებამ გვიჩვენა, ორპლანოვანებით ხასიათდება და გულისხმობს ტრაპის არსებობას სემანტიკურ სტრუქტურაში. კვლევამ გვიჩვენა, რომ ასეთი სიტყვები ძირითადად ასახელებს ბიბლიურ

1. ხდომილებებს;
2. საგნებს და
3. პერსონაჟებს.


ზემოთოქმულიდან გამომდინარე, სიტყვა-ბიბლიოზმი წარმოადგენს მორფოლოგიური და ლექსიკური დონის ერთულს-ბიბლიური ეტიმოლოგიის ლექსემას/სიტყვას, გადააზრებული მნიშვნელობით, რომლის დისტინქციული მახასიათებელია იდიომატურობა, ბიბლიური ეტიმოლოგია და ერთ-წევრა ხტრუქტურა.

სიტყვა-ბიბლიოზმებზე საუბრისას, უნდა გაიმიჯნოს «ჩვეულებრივი ბიბლიური სიტყვები» და «სიტყვა-ბიბლიოზმები». რუსი ენათმეცნიერის რ. შორსტკინას აზრით, ბიბლიური სიტყვა-ბიბლიოზმები ორ ჯგუფად იყოფა: პირველია საზოგადო სახელები—ხატი, ამინ, სული და სხვა, ხოლო მეორე


ჯგუფი აერთიანებს საკუთარ სახელებს, რომლებიც დღესდღეისობით შედის რესული\* კანონიკური ანთროპოლოგიის საზღვრებში: ოთანე, პავლე, მათე, პეტრე, მარიამი, ანა და სხვა (შორსტკინა 2000: 8-18). საენათმეცნიერო ლიტერატურაში მოძიებულ ბიბლიური სიტყვის ამ ერთადერთ კლასიფიკაციაში აქცენტი კეთდება ბიბლიურ ეტიმოლოგიაზე, რომელიც სიტყვა-ბიბლიიზმის დისტინქციურ მახასიათებლად გვევლინება. აქედან გამომდინარე, 6. შორსტკინას აზრით, სიტყვა-ბიბლიიზმები აერთიანებს მეტაფორულ და არამეტა-ფორულ სიტყვებს. ჩვენი აზრით კი, მეორე ჯგუფის სიტყვები ნამდვილად შედის კანონიკურ ანთროპოლოგიაში არა მხოლოდ რესულ, არამედ ყველა ქრისტიანულ ენებში, მაგრამ მათ ვერ განვიხილავთ სიტყვა-ბიბლიიზმებად იმ გაგებით, რომელსაც ჩვენ სიტყვა-ბიბლიიზმს ვანიჭებთ, იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ გამოიყენებიან სემანტიკური გადააზრებული მნიშვნელობით. აქედან გამომდინარე, ჩვენი აზრით, ყველა ბიბლიური წარმოშობის სიტყვა არ შეიძლება სიტყვა-ბიბლიიზმად დახასიათდეს. ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს: «ჩვეულებრივი ბიბლიური სიტყვები» და «საკუთრივ სიტყვა-ბიბლიიზმები». ჩვეულებრივი ბიბლიური სიტყვა, წარმოადგენს ბიბლიასთან დაკავშირებულ ნებისმიერ სიტვას, გადაუაზრებელი რელიგიური დატვირთვით. მაგალითად, თვით «ბიბლია», «საკურთხეველი», «ზიარება» და სხვა: «ბიბლია»-ქრისტიანების წმინდა წიგნი, რომელიც შედგება ძველი და ახალი აღთქმისგან, «საკურთხეველი» ეკლესიის წინა ნაწილი, სადაც სამდვდელო პირები დვოისმსახურებას ასრულებენ, «ზიარება» ქრისტიანული რელიგიის ერთ-ერთი ცენტრალური საიდუმლოება და სხვა. სიტყვა-ბიბლიიზმის შემთხვევაში, სიტყვა კვლავ ბიბლიას უკავშირდება, მაგრამ ჩვეულებრივი ბიბლიური სიტყვისაგან განსხვავებით, მის სემანტიკურ სტრუქტურაში შედის ტროპი და ძირითადად, მისი ხმარებაც გადააზრებული მნიშვნელობით ხდება. აქედან გამომდინარე, როცა ვსაუბრობთ კანონიკური ანთროპოლოგიის რომელიმე სიტყვაზე, იგულისხმება მხოლოდ ბიბლიური ეტიმოლოგია, ხოლო სიტყვა-ბიბლიიზმის მეორე დისტინქციური მახასიათებელი, კერძოდ, იდიომატურობა ნულოვანი შესატყვისით ხასიათდება.

\* ამ შემთხვევაში აგტორის კლევა კრიკელდება მხოლოდ რესულ ენაზე

სქემა 1



სქემა 2



როგორც უკვე ითქვა, მიზანშეწონილია სიტყვა-ბიბლიოზმები შევისწავლოთ ლექსიკოლოგიის პოზიციიდან, რადგან ლექსიკოლოგია შეისწავლის სიტყვას (ლექსემას) თავისი ფართო გაგებით და სტილისტიკიდან, რადგან სტილისტიკის უურადღების ცენტრშია ერთეულის სტილისტური გამოყენება და ერთეულში აქტუალიზებული სხვადასხვა სტილისტური ხერხი. ბიბლიოური-სიტყვა, რომელსაც ახასიათებს გადააზრებულობა, უმთავრესად არის ან მეტაფორულად გადააზრებული ან ალუზიური მნიშვნელობის. ალუზია, მეტაფორა კი სტილისტური ხერხებია და მათი შესწავლა სტილისტიკის ჩარჩოებში ხდება. განსხვავება სიტყვა-ბიბლიოზმებსა და ჩვეულებრივ სიტყვებს შორის, ისევე როგორც სიტყვა-ბიბლიოზმებსა და სხვა ტიპის ბიბლიოზმებს შორის მდგომარეობს იმაშიც, რომ ისინი შინაარსის ორი პლანით ხასიათდება: ერთია-პირდაპირი მნიშვნელობის, მეორე კი- გადააზრებულის. ყველა ქრისტიანულ ენაში, რომელშიც ბიბლიოზმი გამოიყენება, გადააზრებული მნიშვნელობა დომინირებს პირდაპირ

მნიშვნელობაზე. მაგალითად: ოთხენოვანი სიტყვა-ბიბლიიზმი «იუდა», «*Juda*», «*Judas*» (წარმ: ბერძ. Iosuadas) გარდა იმისა, რომ წარმოადგენს ებრაულ სახელს (პირდაპირი მნიშვნელობის პლანი), უკელა საპლევ ენაში ასოცირებულია გამცემთან, მოღალატესთან (გადააზრებული მნიშვნელობის პლანი), გამომდინარე იქიდან, რომ მოციქულმა იუდამ ქრისტე ბიბლიის მიხედვით, 30 ვერცხლად გაყიდა, მაშინ როცა არაქრისტიანისთვის შეიძლება ეს სახელი არაფრის მთქმელი იყოს.\* დღესდღეობით ჩვენს საკვლევ ენებში იუდა და გამცემი ფაქტიურად ერთმანეთის სინონიმებად აღიქმება შემდეგი განსხვავებით: გამცემი, ესაა ჩვეულებრივი ლექსემა, სადაც მნიშვნელობის აქტუალიზაცია ხდება დენოტაციური მნიშვნელობით, ხოლო ლექსემა იუდა-ესაა სიტყვა-ბიბლიიზმი, რომლის სემანტიკურ სტრუქტურაში კონოტაციური მნიშვნელობა დომინირებს დენოტაციურს. «Non dormiro` insieme a questa *Giuda* nella stessa camera», (იტალიური ფილმი: Carabinieri თარგ: არ დავიძინებ ამ იუდასთან ერთად ოთახში) ამბობს ფილმის ერთ-ერთი პერსონაჟი, რომელიც ფიქრობს, რომ მეგობარმა უდალატა. აღსანიშნია ისიც, რომ სიტყვა-ბიბლიიზმების უმრავლესობა თანაარსებობს საკვლევ ენებში. მსგავსი სემანტიკური თანაარსებობა გასაკვირი არაა ლექსემის სემანტიკური დატვირთვის და ქრისტიანი ერების საერთო თეზაურულის გათვალისწინებით.

თქმულიდან გამომდინარე, სიტყვა-ბიბლიიზმის შემთხვევაში, ერთ ენობრივ ნიშანს შეესაბამება ორი აღსანიშნი, რომელიც ერთმანეთთან ძირითადად მსგავსების კრიტერიუმითაა დაკავშირებული. პირველ პლანში, სიტყვა-ბიბლიიზმები წარმოდგენილია თავიანთი ბიბლიური, რელიგიური მნიშვნელობით. მაგ. პეტრე-ქრისტეს მოციქული, იოანე-ქრისტეს ნათლისმცემელი და სხვ. მეორე პლანში კი-გადააზრებული მნიშვნელობით: მაგ. სამოთხე-ლამაზი, კეთილმოწყობილი ადგილი, ფარისეგველი-პირმოთნე ადამიანი და სხვა. ყველა ამ სიტყვა-ბიბლიიზმში მეორე პლანის მნიშვნელობა უფრო მძაფრია, ვიდრე პირველის-დენოტაციური მნიშვნელობა, რაც ჩვენი აზრით, მსგავს სიტყვებს სიტყვა-ბიბლიიზმის სტატუსს ანიჭებს.

ქრისტიან ხალხებს სინამდვილის და მოვლენების მსგავსი აღქმა, შემეცნების საერთო პრიზმები აერთიანებთ, რაც უპირველეს ყოვლისა, მტკიცდება ერთნაირად აღქმადი ბიბლიიზმების, როგორც ენობრივი

\* თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბიბლიიზმებს ჩვენი დაკვირვებით, იყენებოთ არა მხილიდ ქრისტიანები, არამედ არაქრისტიანებიც, ძირითადად, ქრისტიანულ ქვეყანები მცხოვრები არაქრისტიანული მოსახლეობა, მაგ. საქართველოს მცხოვრები აზერბაიჯანებიცი, ქურთები და სხვა. ეს, ჩვენი აზრით, განაირობებულია ამ ხალხებისთვის საერთო სიციო-პრაგმატიკული გარემოთი.

ერთეულების და ზოგადად, ქრისტიანული კოგნიტური მსოფლმხედველობის არსებობით (სთინი 2002: 54). გამოთქმებში გამოყენებულ ბიბლიური სიტყვების უმრავლესობაში, როგორც აღინიშნა, გადააზრებულობის პლანი დომინირებს. ასეთ შემთხვევებში უკვე ცალკე აღებული სიტყვა გულისხმობს სემანტიკურ გადააზრებულებას. ამის მაგალითია სიტყვა «ჯვარი», «cross», «croce», «крест», (ბერძ. σταυρός, διασταυρώνω), რომელსაც, როგორც ყველა სიტყვა-ბიბლიიზმს, ორმაგი ასოციაცია, ორმაგი შინაარსის პლანი მოეპოვება. ზოგადად, ჯვარი-ესაა ქრისტიანების მთავარი სიმბოლო, რომელზე გაპვრითაც, მაცხოვარმა კაცობრიობა იხსნა ადამის ცოდვისაგან. ამასთან ერთად, სიტყვა ჯვარს ხატოვანი მნიშვნელობა მოეპოვება და სხვადასხვა ენაში შეიძლება ნიშნავდეს ვინმეს ტვირთსა და მოვალეობას. მაგალითად: «*у碌лaс тaзoиeо ჯaрo ажбa*»\*, იტალიური «Ognuno ha la propria croce» (New Italian-Russian Dictionary 1998: 230), ან რაიმეს ბოლოს: «Зачеркивать не надо, но надо поставить крест» (საგანი 1997: 77). საინტერესო ის, რომ თვით გადააზრებულ-შინაარსობრივ პლანშიც სიტყვა შეიძლება პოლისემანტურობით ხასიათდებოდეს. ბიბლიიზმ «ჯვარის» მაგალითზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ თუ წინადადებაში: «ჯვარს მაცვა» იგი დაკავშირებულია ტანჯვასთან, ისევე როგორც ეს მნიშვნელობაა აქტივიზირებული ა. ბლოკის ლექსში:

«Пред лицом родины суровой

Я закачаюсь на кресте» (Блок 1996: 37)

მეორე შემთხვევაში, იგი უკავშირდება ხსნას, გადარჩენას: «აბა ჯვარი გამოვხახოთ და საქმეს შევუდგეთ» (ხახუა 1979: 950).

«აღდგომა» გარდა იმისა, რომ უდიდესი დღესასწაულია ქრისტიანებისათვის და ქრისტეს აღდგომას უკავშირდება, გადააზრებულ შინაარსობრივ პლანში გამოიყენება უდიდესი სიხარულის აღსანიშნად. თუმცა უნდა გავითვალისწინოთ შიდა ენობრივი პრაგმატიკული ორიენტაცია, რადგან ერთი ენისთვის ბუნებრივი გამოთქმა ან მეტაფორული სიტყვა მეორე ენისთვის შეიძლება არაბუნებრივი აღმოჩნდეს, მიუხედავად, იმისა რომ, სიტყვა-ბიბლიიზმების უმრავლესობა თანაარსებობს ქრისტიან ენებში. ამ შემთხვევასთან გვაქვს სწორედ საქმე სიტყვა-ბიბლიიზმ «აღდგომის» შემთხვევაში, რომელსაც გადააზრებული მნიშვნელობა, ჩვენი დაკვირვებით,

\* მაგალითი აღებულია ქოველდღიური ტეპირი დისტურსიდან

საკვლევი ენებიდან მხოლოდ ქართულში მოეპოვება. შესაბამისად, «ნამდვილი აღდგომა გამითებდათ» იტყვის ქართველი თავისი უდიდესი სიხარულის გამოსახატავად.

ზოგადად, როგორც კვლევამ დაგვანახა, შესწავლიდი 214

სიტყვა-ბიბლიიზმების 53% (დანართი I) თანაარსებობს სულ მცირე ორ საკვლევ ენაში და განსხვავდება მხოლოდ 47%. ეს სხვაობა, ჩვენი აზრით, განპირობებულია ენით და ენის მატარებელ ხალხთან დაკავშირებული სპეციფიკური ფაქტორებით. ლექსემებში დაფიქსირებული ენობრივი კოლექტივის წარმოდგენები სამყაროზე ხალხის ცხოვრებისეული გამოცდილების შედეგია. ამიტომ ლექსემა კულტურულ-ისტორიული ოდენობაა (გამყრელიძე: 2003: 353). ამის გამო, საერთო ქრისტიანული თეზაურუსის მიუხედავად, ბიბლიიდან კონკრეტული სიტყვის სესხების და მეტაფორული მნიშვნელობით ენობრივ სისტემაში შეტანის პროცესში ჩართულია სხვადასხვა ექსტრალინგვისტური ფაქტორი და სწორედ ამიტომ ხდება ბიბლიური სიტყვის კონკრეტულ კულტურულ-ისტორიული საწყისებიდან აღქმა. სწორედ ამიტომ წინადადება ასხლა ეს მე მომნათლავდა» სწორად დეკოდირებული იქნება მხოლოდ ქართველის მიერ, მაშინ როცა სხვა საკვლევ ენებში ბიბლიიზმი «მონათვლა», ისევე როგორც «აღდგომა» მხოლოდ ტვეულებრივი ბიბლიური სიტყვის» კატეგორიაში შევა. იგივე შეიძლება ითქვას იტალიურ სიტყვა-ბიბლიიზმზე «flat», რომელიც ნიშნავს უცებ, მოულოდნელად, თუმცა დანარჩენს საკვლევ ენებში მას შესატყვისი არ მოეპოვება.

ბიბლიიზმი «სამოთხე», «рай», «heaven», «paradiso» გარდა იმისა, რომ არის ზეციური სამყოფელი, სადაც მართალთა სულები იმყოფებიან, გადატანითი მნიშვნელობით ნიშნავს ნეტარების ან კეთილმოწყობილ ადგილსაც. «ანგელოზი», «angel», «angelo», «ангел» ბიბლიური მნიშვნელობის გარდა, აღნიშნავს ყოვლად საონო, გულისხმიერ, პატიოსან, ლამაზ ადამიანს და ამ მნიშვნელობით გამოყენება ყველა ქრისტიანული ენისთვის აბსოლიტურად ბუნებრივი და თან ხატოვანია: «Sei proprio un'angelo», ეტყვის იტალიელი მოსაუბრებს, რომელმაც მას კეთილი საქმე გაუკუთა. «ნამდვილი ანგელოზია», იტყვის ქართველი ბავშვის მოალერსების დროს, «Be an angel and give me a hand», (international dictionary of English 1996: 44) ეტყვის ინგლისელი თანამოსაუბრის დახმარების სათხოვნად.

იდიომატურმა ბიბლიურმა ლექსემამ ჩვენი დაკვირვებით, შეიძლება შექმნას ოკაზიონალური ფრაზეოლოგიზმი. ოკაზიონალური ხასიათის ბიბლიური წარმოშობის ფრაზეოლოგიზმებს ვუწოდებთ ისეთ ერთეულებს, რომლებიც შედგება იდიომატური სიტყვისა და დენოტაციური მნიშვნელობის მქონე უზუალური ლექსემისაგან. ასეთი ბიბლიიზმები განპირობებულია კონტექსტით, მათი გამოყენება ინდივიდუალური ხასიათისაა და ამიტომ არაა შეტანილი იდიომთა ლექსიკონებში. თვით სახელწოდება მიგვითითებს იმაზე, რომ ეს ბიბლიიზმები არაა მზა სახის ერთეულები, განსხვავებით ფრაზეოლოგიზმებისგან. მაგალითად, საუბარში შეიძლება გამოვიყენოთ ერთეული «რა იუდასავით იქცევი», *You are behaving like Judas*, *Ты ведешь себя как Иуда*, *stai comportando come Giuda*. ამ ბიბლიიზმს, რა თქმა უნდა, მოგპოვება იდიომატური გადააზრებულობა და ნიშნავს—რა მოღალატესავით იქცევი. ბიბლიიზმი «იუდასავით მოქცევა» ოკაზიონალურია, რადგან იგი არაა მზა სახის ბიბლიიზმი, არც რომელიმე ბიბლიიზმის ვარირეული ფორმა, რის გამოც არ ხდება მისი შეტანა ლექსიკონებში. ანუ ისეთი მზა სახის უზუალური ბიბლიური ერთეულების გვერდით, რომლის სტრუქტურაშიც შედის სიტყვა იუდა: «იუდა ისკარიოტელი», *the kiss of Judas*, *il bacio di Giuda*, *иоцелуй Иуды*, არსებობს ასევე იდიომატური სიტყვა «იუდა»—დამოუკიდებლად ფუნქციონირებადი იდიომატური ლექსემა, რომელმაც სათავე შეიძლება დაუდოს სხვადასხვა ოკაზიონალურ ფრაზეოლოგიზმს, რომლებმაც თავის მხრივ, შეიძლება, ხშირი ხმარების შედეგად, შეიძინოს უზუალობა და ენაში ჩვეულებრივი უზუალური სახის ფრაზეოლოგიზმად მოგვევლონოს. გარდა ამ მოვლენისა-როდესაც ბიბლიური ლექსემა სათავეს უდებს ბიბლიურ გამოთქმებს, ენებში აღინიშნება საწინააღმდეგო მოვლენაც, როდესაც ბიბლიური გამოთქმა სათავეს უდებს ბიბლიურ გადააზრებულ ლექსემას. ამ შემთხვევაში ცვლილების მიმართულება შემდეგნაირია: ბიბლიური გამოთქმა → ბიბლიური ლექსემა. მაგალითად, ბიბლიური გამოთქმა, *«კეთილი ხამარიტელი»* *«Добрый Самаритянин»*, *A good Samaritan*, *Il buon Samaritano*» წარმოადგენს ფრაზეოლოგიზმს, სადაც მხოლოდ ლექსემა «სამარიტელი» გააჩნია გადააზრებული მნიშვნელობა, სიტყვა *«კეთილი»* კი აქტუალიზებულია პირდაპირი მნიშვნელობით. ამ შემთხვევაში, ფიქსირებული კონტექსტი გამოთქმის განმსაზღვრელად გვევლინება, რადგან თუ ლექსიკის დონეზე რომელიმე ლექსემას შევცვლით, მაშინ აზრი დაირღვევა. მაგალითად,

არ შეიძლება ვიხმაროთ კარგი სამარიტელი, ნაცვლად, «კუთილი სამარიტელისა» (გარდა ოკაზიონალური, პონტექსტით განპირობებული შემთხვევებისა, ისევე როგორც *kind Samaritan*, ნაცვლად *good Samaritan-ისა*). ასეთ შემთხვევაში ძალიან მისაღები და ბუნებრივია ფრაზის სიტყვად ტრანსფორმაცია: გარდა ზემოთადნიშნული გამოთქმისა, ჩვენ შეიძლება ფრაზაში შეგვხვდეს ცალკე სიტყვა სამარიტელი, როგორც დამოუკიდებლად გაფორმებული, კონკრეტული სემანტიკით დატვირთული ერთეული და ეს მოვლენა ძალიან ბუნებრივადაც აღვიქვათ\*. მაგ. «ნაძღვილი სამარიტელი ხარს ფრაზაში აბსოლიტურად გასაგებად ფიქსირდება ალუზია და მნიშვნელობაც მოტივირებულია. იგივე მნიშვნელობა ექნებოდა შემდეგ გამოთქმას: «ნაძღვილი კუთილი სამარიტელი ხარ», თუმცა ფრაზა ბიბლიურ ლექსემასთან შედარებით, უფრო დატვირთული აღმოჩნდებოდა. ამ შემთხვევაში განსხვავება მხოლოდ მნიშვნელობის სიმძაფრეშია, ტრანსფორმაციის მიმართულება კი გამოთქმიდან სიტყვამდეა.

ბიბლიური მეტაფორულ სიტყვებზე საუბრისას, უნდა ავღნიშნოთ, რომ ეს ერთეულები ბიბლიიდან ენობრივ რეალობაში შესვლის სხვადასხვა დროს განიცდიან სხვადასხვა ტიპის მოდიფიკაციას და ტრანსფორმაციას. ერთ-ერთი ასეთი ცვლილების შედეგია კონკრეტული ერთეულის ბიბლიიზმად ფორმირების პერიოდში ბიბლიური საკუთარი სახელის ტრანსფორმაცია საზოგადო სახელად, გამომდინარე ამ სახელის მატარებელი პერსონაჟის თვისება თუ ქმედებიდან. ეს პროცესი შეიძლება დასრულდეს იმით, რომ ენაში დამკვიდრებული სახელი აღარ აღიქმებოდეს როგორც საკუთარი სახელი, არამედ როგორც სრულუფლებიანი საზოგადო სახელი, რომლის მოტივირებულობა შეიძლება მხოლოდ მისი ეტიმოლოგიური კვლევის დროს დადგინდეს. თქმულის ნათელსაყოფად, მოვიყვანოთ სიტყვა «ხამი», რომელიც დღესდღეობით გაუმაძღარ, უნახავ ადამიანს აღნიშნავს. ქართულში ალბათ ცოტამ თუ იცის, რომ ესაა ბიბლიური პერსონაჟი ნოეს შვილი ქამი. საკვლევი ენებიდან რუსულსა და ქართულში ამ სახელის აღნიშნული მნიშვნელობით დამკვიდრების მიზეზი შემდეგია: ნოემ, ბიბლიის მიხედვით, თავისი დაწურული ღვინო დალია და ნასვამს დაეძინა. ამ მდგომარეობაში იგი თავისმა შვილმა ქამმა ნახა და მამის ყოფით გამხიარულებულმა მას დასცინა, უფრო მეტიც,

\* თუმცა, ისიც სადათ შეიძლება აღმოჩნდეს, არის კი ეს საერთოდ ფრაზიდან სიტყვად ტრანსფორმაციის შედეგი თუ ლექსემა წარმოადგენს დამოუკიდებლად გაფორმებულ ბიბლიიზმს.

ამის შესახებ ძმებს უამბო. სწორედ ეს გახდა იმის საფუძველი, რომ «ხამი», «Хам» (ზაგორი 2004: 109) (ჩვენის აზრით, ქართულში სიტყვა დამკვიდრებულია რუსულის ანალოგით და არა ბიბლიური ფორმით-ქამი) დამკვიდრდა ქართულსა და რუსულ ენებში უნახავი ადამიანის აღსანიშნავად (სახოკია 1979: 673, ზაგორი 2003: 109)

ბიბლიურ ლექსემებში განხორციელებულ მოდიფიკაციათაგანია ბიბლიოზმების ლექსიკოლოგიურ-მორფოლოგიური ცვლილებები. ენის სპეციფიკურობიდან და მოქნილობიდან გამომდინარე, ბიბლიურმა სიტყვებმა შეიძლება განიცადოს ლექსიკოლოგიური ხასიათის ცვლილებები, რაც აისახება ბიბლიოზმის მორფოლოგიური სტრუქტურის ცვლილებაში. ისევ აღნიშნულ მაგალითს რომ დავუბრუნდეთ, სამარიტელი, როგორც ბიბლიური სიტყვა, წარმოადგენს არსებით სახელს და გამოთქმებშიც და ფრაზებშიც ძირითადად, არსებით სახელად გვევლინება. მაგრამ გარდა ამისა, ქართული ენა იძლევა ამ სიტყვის ვერბალიზაციის საშუალებას. «ნუ სამარიტელობს თუ ვეტყვით მოსაუბრეს, უკვე საქმე გვექნება ვერბალიზებულ ბიბლიურ ლექსემასთან, რომლის მნიშვნელობაც აბსოლიტურად მოტივირებულია. იგივე შეიძლება ითქვას შემდეგ ქართულ ბიბლიურ სიტყვაზეც «სოდომ-გომორი», რაც ნიშნავს დიდ არეულობას და გაურკვევლობას. მისი ვერბალიზებული ვარიანტი იქნება «მოსოდომ-გომორება», (განადგურება, მოსპობა). მაგ. «მტერმა მოასოდომ-გომორა ჩვენი მხარე» (სახოკია 1979: 420). ასევე უკვე მოყვანილ მაგალითს «ხამს» თუ დავუბრუნდებით, ვნახავთ, რომ ლექსემამ შეიძლება ვერბალიზაცია განიცადოს: «დახამდა» ვიტყვით ქართულში, როდესაც გვინდა არსებითი სახელი «ხამს» მნიშვნელობა და შესაბამისად, ქამის მიერ ჩადენილი ქმედება ზმნით გამოვხატოთ. მსგავსი სახის მოვლენა ბუნებრივია რუსული და იტალიური ენებისთვისაც: «не Самаритянчай», «не Иудаичай» ან «Хамитъ». იგივე ტიპის იტალიური მაგალითით «Non pilateggiare», (პილატესავით ნუ იქცევი) და სხვა. ყველა ეს ცვლილება შეიძლება იყოს როგორც ოკაზიონალური, ასევე უზუალური ხასიათის. მაგალითად, «მოსოდომ-გომორება», უკვე უზუალიზებული ბიბლიოზმია, ისევე როგორც «დახამდა», მაშინ როდესაც «не Самаритянчай», «не Иудаичай» ოკაზიონალური ტიპისაა. ენის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, მსგავსი ცვლილების საშუალებას არ იძლევა ინგლისური, რადგან ჩვენს საკვლევ ენებს შორის ინგლისური ყველაზე მეტად ანალიზური ენაა და არსებითი სახელის ვერბალიზაციის დროს მასში

აუცილებლად გაჩნდება ე.წ. ზმნა-მაკავშირებელი «to be». სამაგიეროდ, ინგლისურში შესაძლოა დერივაციის შედეგად მივიღოთ ზმნისზედა, ასევე დერივაციით ნაწარმოები ზედსართავი სახელიდან. მაგ. *angel-angelic-angelically*, მაშინ როდესაც ქართული ენა ბიბლიური სიტყვის ზედსართავად გარდაქმნის შესაძლებლობას ხშირად არ იძლება (ნაკლებად ბუნებრივია ანგელოზური, ანგელოზურად, უფრო ბუნებრივია სახელი ნათესაობით ბრუნვაში—ანგელოზის და შესაბამისად, ანგელოზისავით). რუსული ენა კი ამ მხრივ, არ იძლევა შეზღუდვას: *ангельское—ангельски*. იტალიურისთვის, ამ შემთხვევაში, ბუნებრივი იქნება მხოლოდ ზედსართავი სახელის წარმოება არსებითიდან და არა ზმნისზედის: *angelo-angelico*.

რა თქმა უნდა, ყველა მსგავსი შეზღუდვა-დაშვება გამომდინარეობს არა მხოლოდ კონკრეტული შემთხვევებიდან, არამედ ზოგადად, ენის ბუნებიდან. მაგალითად, ინგლისურ ენაში სიხშირის ძალიან მაღალი ხარისხით ხასიათდება ზედსართავი სახელიდან ზმნისზედის წარმოება *by* სუფიქსით, (მაგ. *glad—gladly, haste—hastily* და სხვ.), როდესაც იტალიური ენა უფრო ნაკლებად აწარმოებს ზედსართავი სახელიდან ზმნისზედას (თუ აწარმოებს სინთეზური ფორმით, ძირითადად, სუფიქს *mente—ს* გამოყენებით, მაგ: *facile—facilmente, breve—brevemente* და სხვ.). მსგავსი ტიპის წარმოება თუ სინთეზურად არ ხდება, მაშინ აზრი გამოიხატება ანალიზური ფორმით ზედსართავი სახელის მეშვეობით. მაგ. *in modo angelico, in maniera angelica ....*

სიტყვათწარმოების კიდევ შემთხვევა იქნება ბიბლიიზმი *«heaven»* (ბერძ. ουρνός)—*«heavenly»*, *«heavenwards;* რუსული: «рай»—«райский»; (ქართულში ბიბლიიზმ სამოხილახ სიტყვათწარმოების შემთხვევები არ ფიქსირდება), იტალიური: *«paradiso»*—*«paradisiaco»*.

უმავ ენათაშორისი სიტყვა—ბიბლიიზმების შესწავლის პოზიციიდან, ძალიან საინტერესო მოვლენად მიგვაჩნია ის, რომ რომელიმე კონკრეტულ საკვლევ ენაში შეიძლება დამკვიდრებული იყოს სიტყვა-ბიბლიიზმი, მაშინ როდესაც სხვა ენაში მას შეიძლება იგივე დატვირთვის ფრაზა—ბიბლიიზმი შეესაბამებოდეს. ამის მაგალითია ბიბლიიზმი *«განტევების გაცო»*, *«кошелок отпущения»*, *«capro espiatorio»*. გამოთქმა ნიშნავს ადამიანს ან ადამიანთა ჯგუფს, რომელსაც უხდებათ სხვების ცოდვებსა და შეცდომებზე პასუხისმგება (ზაგორი 2003: 198) და უკავშირდება ებრაელების ძველ წესს: ცოდვების

მონანიების დღეს ებრაელებს გამოჰყავდათ ცხოველები, მათ შორის ორი ვაცი. მღვდელმთავარს უნდა გადაეწყვიტა რომელი ვაცი იქნებოდა ღმერთისთვის მიძღვნილი. არჩეული ვაცი იკვლებოდა, ხოლო მეორე ვაცზე მღვდელმთავარსა და მღვდლებს გადაჰქონდათ თავიანთი და ხალხის ცოდვები და ამის შემდეგ, მას უდაბნოში უშვებდნენ. მიიჩნეოდა, რომ ამგვარად ხდებოდა ცოდვებისგან გათავისუფლება. ინგლისურში დანარჩენი საკვლევი ენებისაგან განსხვავებით, ამ მოვლენიდან დამკვიდრდა სიტყვა-ბიბლიიზმი, რომელიც არის ორი სიტყვის—*escape* და *goat*-ის ერთ რთულ სიტყვად ფორმირების შედეგი: «*scapegoat*», მაშინ როდესაც, დანარჩენ სამ ენაში ბიბლიიზმი ფრაზადაა დამკვიდრებული: «განტევების ვაცო», «*козел отпущения*», «*capro espiatorio*».

როგორც დაკვირვებამ გვიჩვენა, სიტყვა-ბიბლიიზმი (ისევე როგორც სხვა სახის ბიბლიიზმები) ენაში შესაძლოა შევიდეს არასწორი ინტერირების გზითაც და ფორმირებული იქმნას მისი ისეთი მნიშვნელობა, რომელიც არსებითად სცილდება ლექსემის ბიბლიურ დატვირთვას. ამის მაგალითად დავასახელებთ ბიბლიიზმ «მიქელ-გაბრიელს», რომელიც დღესდღეობით ქართულში წარმოადგენს ევფემიზმს, გაიგივებულია სიკვდილთან და ქმნის ისეთ ოკაზიონალურ იდიომებს, როგორიცაა «მიქელ-გაბრიელმა მოაკითხა» ანუ ადამიანს გარდაცვალების დრო დაუდგა, «მიქელ-გაბრიელის მოსვლამდე» და სხვა. სინამდვილეში, მიქაელი და გაბრიელი ესაა ორი მთავარანგელოზი, რომელსაც გარდაცვალებასთან პირდაპირი კავშირი არ აქვთ. ამიტომ ბიბლიიზმი «მიქელ-გაბრიელი» ჩვენი აზრით, ქართულში არასწორი ინტერპრეტაციის გზითაა ინგლისურსა და ქართულში შესული სიტყვა *კამბრიუნა-imp.* ინგლისურში, სიტყვა ნიშნავს ცედი ყოფაქცევის ბავშვს (Cambridge International Dictionary 1996: 708), ხოლო ქართულში მისი მნიშვნელობა გაცემილ შობილებულია და სიტყვა გამოიყენება ბავშვის მოფერების, მოალერსების, მისი სიცელქის და გამჭრიახობის გამოხატვის მიზნით.

ბიბლია, როგორც დასაწყისში აღინიშნა, იმდენად დიდი დატვირთვის მატარებელია, რომ ბიბლიური სიტყვები და მოტივები არა მხოლოდ ენაში, არამედ რეალობაშიც აღწევს. ეს ის შემთხვევებია, როდესაც კოგნიტურ დონეზე მოქმედებს ბიბლიური აღუზის ფუნქციონირების წესი და ბიბლიიზმი ხდება სახელდების წყარო (სზაბი 2002: 249). ამის შედეგად, ძალიან ხშირად რომელიმე ბიბლიურ სახელს მისი დატვირთვიდან გამომდინარე, უწოდებენ

რაიმე ორგანიზაციასა თუ დაწესებულებას. ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია ყველასათვის კარგად ცნობილი საერთაშორისო ორგანიზაცია «წითელი ჯვარი», (რუს. *Красный Крест*, ინგლ. *Red Cross*, იტალ. *Croce Rossa*), სადაც ლექსემა «ჯვრის» პირველადი აქტივიზაციის სემა იქნება შვება, დახმარება. გარდა ამისა, მოვიძიეთ ისეთი შემთხვევები, როდესაც, მაგ. ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთ-ერთ ორგანიზაციის სახელწოდებაა *«Samaritan Ministry»*, გამომდინარე სიტყვა სამარიტელის დატვირთვიდან. ამ შემთხვევაში, თვით სახელწოდება მოტივირებულია და რომც არ ვიცოდეთ რა ტიპის სამინისტროზეა საუბარი, ლექსემა სამარიტელი მოტივირებულს ხდის მნიშვნელობას და ადვილად მისახვდრია, რომ ესაა ქველმოდებასთან დაკავშირებული დაწესებულება. იგივე ტიპის მაგალითებია: *«Samaritan hospice»*, ბაგშვთა სახლი ნიუ ჯერსიში, *«Good Samaritan law»*, რომელიც ენციკლოპედიაში ასეა განმარტებული: «the law to protect from liability those who choose to aid people who are seriously ill or injured» (Wikipeadia: ინტერნეტ მისამართი: [http://en.wikipedia.org/wiki/Good\\_Samaritan\\_law](http://en.wikipedia.org/wiki/Good_Samaritan_law)) ბრიტანეთის საქველმოქმედო დაწესებულება *«the Samaritans»* ასე შემდეგ.

ზემოთთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ სიტყვა-ბიბლიიზმები ყველა ქრისტიანი ერის ენისა და რეალობის ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილია. ენობრივი სისტემის ვერტიკალურ ჭრილში ისინი გვევლინება ბიბლიიზმების პირველ ჯგუფად-ლექსიკური დონის ერთეულებად ბიბლიური ეტიმოლოგიით და გადააზრებული მნიშვნელობით. ამ ტიპის ბიბლიიზმები ერთი მხრივ, უპირისპირდება სხვა ტიპის ბიბლიიზმებს (ბიბლიურ ფრაზეოლოგიურ ერთეულებსა და ბიბლიურ პარემიოლოგიურ ერთეულებს) და ეს დაპირისპირება გადის სტრუქტურულ ხაზზე, რადგან ყველა დანარჩენი ტიპის ბიბლიიზმებისაგან განსხვავებით, სიტყვა-ბიბლიიზმი არის ერთწევრა ერთეული; ხოლო, მეორე მხრივ, სიტყვა-ბიბლიიზმები უპირისპირდება წვეულებრივ ბიბლიურ სიტყვებს, რომლებსაც არ ახასიათებს სიტყვა-ბიბლიიზმის ერთ-ერთი დისტინქციური მახასიათებელი, კერძოდ, გადააზრებული მნიშვნელობა. ჩვენი აზრით, ცალკე ბიბლიური იდიომატური სიტყვების შესწავლა და სხვადასხვა ენის ბიბლიიზმთა შეპირისპირებითი დახასიათება ლინგვისტური კვლევისთვის უდავოდ მდიდარ მასალას გვთავაზობს, თუმცა ამჟამად ჩვენი კვლევის მიზანს არ წარმოადგენს და

აქედან გამომდინარე, მხოლოდ მათი ზოგადი შესწავლა/დაკვირვებით შემოვიფარგლებით.

### 13 ბიბლიიზმი და პარემიოლოგია

როგორც აღინიშნა, ბიბლიიზმი მოიცავს რამდენიმე დისციპლინის საკვლევ ერთეულს და შესაბამისად, გვევლინება ენათმეცნიერების ინტერდისციპლინალურ ერთეულად. განხილული სიტყვა—ბიბლიიზმისა და ფრაზეოლოგიური ერთეული—ბიბლიიზმის გარდა, არსებობს სხვა ტიპის ბიბლიიური ერთეულიც, კერძოდ, ბიბლიიზმი, როგორც პარემიოლოგიური ერთეული, რომელთაგანაც უპირველესად, უნდა გამოიყოს ანდაზა—ბიბლიიზმი. ვიდრე უშუალოდ პარემიოლოგიის დისციპლინის პრობლემატიკის მიმოხილვასა და პარემიოლოგიური ერთეული—ბიბლიიზმის განხილვაზე გადავიდოდეთ, უნდა ითქვას, რომ ფრაზეოლოგიის მოსაზღვრე კატეგორიებიდან სირთულეს ქმნის ანდაზასთან ფრაზეოლოგიური ერთეულის მიმართების გარკვევა. ზოგადად, ანდაზის შესახებ ბეგრი თქმულა თუ დაწერილა, მაგრამ ბოლომდე ვერ დადგენილა მისი სტატუსი (აჯენო 1960, თაყაიშვილი 1961, ქრემი 1983, მიდერი 2002 და რუსიეშვილი 1999, 2005 და სხვა). შესაბამისად, ანდაზის შესახებ არსებობს სრულიად განსხვავებული შეხედულებები და კონცეფციები, რომლებიც სამ ძირითად მიმართულებად შეიძლება დაგეოთ (რუსიეშვილი 2005: 6). პირველი მიდგომა ემთხვევა ფრაზეოლოგიის განვითარების პირველ ეტაპს და გამომდინარეობს თვალსაზრისიდან, რომ ანდაზა ფრაზეოლოგიური ფონდის ნაწილია, თუმცა განსხვავებული საკუთრივ იდიომისაგან (კუნინი 1967, სმირნიცკი: 1956, აჯენო 1960). ამ თვალსაზრისის მიხედვით, ანდაზას ახასიათებს ფრაზეოლოგიური ერთეულის რამდენიმე ნიშანი, კერძოდ, ხატოვანება, ფიქსირებული ფორმა და გადააზრებულება, მაგრამ აქვს მახასიათებელი, რომლითაც განსხვავდება ფრაზეოლოგიური ერთეულისაგან. თუ ფრაზეოლოგიური ერთეული არის ნომინაციური ფუნქციის მქონე, ანდაზის ფუნქცია კომუნიკაციურია. ა. კუნინის მიხედვით, ის, რომ ანდაზა ფრაზეოლოგიის ნაწილია, მტკიცდება მისი და იდიომის საერთო მახასიათებლებით, კერძოდ:

1. გადატანითი მნიშვნელობა;
2. მუდმივი ლექსიკური შემადგენლობა;
3. მზადის სახით არსებობა;
4. არქაიზმები. თუმცა, ა. კუნინი, ამავე დროს, აღიარებს

ანდაზის ისეთ თვისებას, როგორიცაა სულ მცირე წინადაღების ფორმა, დიდაქტიკური დანიშნულება და მსჯელობის ფორმა (კუნინი 1967: 55-127).

საპირისპირო შეხედულებით, მეცნიერთა მეორე ნაწილი ფიქრობს, რომ ანდაზა არ უნდა შევიდეს ფრაზეოლოგიის საზღვრებში, რადგან ანდაზა არაა ფრაზეოლოგიური ერთეული (ლეჟავა 1959: 139-167, ანდერსონი 1971: 79-190, გმისოვა და ავალიანი 1967: 40-61, თაყაიშვილი 1961: 65-78, რუსიეშვილი 1999).

ა. თაყაიშვილი ორ ენობრივ ერთეულს შემდეგნაირად ანსხვავებს ერთმანეთისაგან:

1. ფრაზეოლოგიური ერთეული ფორმით შესიტყვებაა, ანდაზა წინადაღება; ერთი და იგივე აზრის გადმოცემა შეიძლება მოხდეს ან შესიტყვებით ან წინადაღებით;
2. ფრაზეოლოგიური ერთეული მეტყველებაში იძენს პირს და შემასმენელს, ანდაზა კი თავიდანვე დასრულებული სახისაა;
3. ფრაზეოლოგიური ერთეული სიტყვის ეკვივალენტია, ანდაზა-წინადაღების;
4. ფრაზეოლოგიური ერთეული ფორმას იცვლის სხვადასხვა გრამატიკული კატეგორიების მიხედვით, ანდაზა კი უცვლელი სინტაქსის მქონეა;
5. ფრაზეოლოგიური ერთეული ფაქტს აღნიშნავს, ანდაზა კი ამასთან ერთად დიდაქტიკურია (თაყაიშვილი 1961: 65-78). ასევე ა. თაყაიშვილის აზრით, კავშირი ფრაზეოლოგიურ ერთეულსა და ანდაზას შორის არსებობს იმდენად, რამდენადაც ხშირად ანდაზისგან იდიომი იქმნება.

მეორე კონცეფციის მკვლევარებიც სხვადასხვა პოზიციაზე დგანან. მაგალითად, ლ. ლეჟავას აზრით, ანდაზა არა ენობრივი ერთეული, არამედ მხატვრული ნაწარმოებია (ლეჟავა 1959:139-167). ა. ემიროვას და ი. ავალიანს მიაჩნიათ, რომ ანდაზა ლოგიკურად უკავშირდება მსჯელობას და კომუნიკაციური ბუნებისაა (ავალიანი... 1976: 40-51). რაც შეეხება მესამე კონცეფციას, მის მიხედვით, ანდაზა განიხილება, როგორც ცალკე ენობრივი ნიშანი, ენის იერარქიული სისტემის ერთ-ერთი დონის ერთეული (დანდესი 1975, კარტოზია 1995..).

ამ მოსაზრებების ფონზე, მიუხედავად იმისა, რომ ანდაზის სტატუსის განსაზღვრა ჩვენი კვლევის მიზანი არაა, ვეთანხმებით მოსაზრებას, რომ ანდაზა არაა ფრაზეოლოგიური ერთეული, არამედ სხვა ტიპის ენობრივი

ერთეული (და არა ცალკე ენობრივი ნიშანი) რომელსაც მოქმოვება თავისი დისტინქციული ნიშნები, კერძოდ:

1. იგი კომუნიკაციური ერთეულია;
2. მას დიდაქტიკური ფუნქცია და მსჯელობის ფორმა აქვს მიუხედავად ანდაზასა და ფრაზეოლოგიურ ერთეულის მსგავსებისა, არსებობს ისეთი მასასიათებლები, რომელიც ამ ორ ერთეულს სხვადასხვა ჯგუფში აერთიანებს:
  1. ანდაზა ზოგადრეულერენტული ერთეულია, განსხვავებით ფრაზეოლოგიური ერთეულისაგან, რომელსაც აქვს თავისი კონკრეტული რეფერენტი და 2. ანდაზას საფუძვლად უდევს ადამიანის მიერ სამყაროს სიღრმისეული, ენათა კანონზომიერების ხატოვანი გააზრება, ფრაზეოლოგიური ერთეული კი სამყაროს რაიმე მოვლენის სენსორულ-ფიზიკური, ზედაპირული შთაბეჭდილების ხატოვანი, უზუალიზებური ნომინაცია (რუსიეშვილი 2005: 9). ისევ მ. რუსიეშვილის მოსაზრებას თუ მოვიშველიერთ 1. თუმცა ანდაზის, ისევე როგორც ფრაზეოლოგიური ერთეულის, სემანტიკურ სტრუქტურაში მოიპოვება უზუალური ტროპი, ანდაზის იერარქიული სტრუქტურის ერთ-ერთ შრეზე ფონად ცნობიერდება სემანტიკური აზრობრივი ოპოზიციური სტრუქტურა, ეს თვისება კი ფრაზეოლოგიურ ერთეულებს არ ახასიათებს;
  2. ანდაზა, სულ ცოტა წინადადებაა, ფრაზეოლოგიური ერთეული კი შეიძლება ორწევრა ფრაზაც იყოს (რუსიეშვილი 2005: 15-18).

ანდაზის კვლევის თითოეულმა ეტაპმა დროთა განმავლობაში გარკვეული როლი შეასრულა ანდაზის მასასიათებლების, დიფერენციალური ნიშნების დაღვენის საკითხში. გაჩნდა ანდაზის შესწავლის უკვე ახალი მიდგომა. კერძოდ, ანდაზა გახდა პარემიოლოგიის საკვლევი ერთეული (რუსიეშვილი 2005, მიდერი 1995, ბელოზეროვა 1998, ბურგერი 1998 და სხვა).

ანდაზა (ლათ. *proverbium*), «short sentences drawn from long experience»\* ინგლისურენოვანი ენციკლოპედიის განმარტებით *«is a pithy saying which had gained credence through widespread or frequent use»*, რომელიც გამოხატავს «basic truth or practical precept». ხოლო, როდესაც ანდაზით გამოიხატება ქცევის ნორმა მაშინ საქმე გვაქვს «მაქსიმასთან» (Wikipedia, ონლაინ ენციკლოპედია, მის.: <http://en.wikipedia.org/wiki/Paremiology>).

\* (ქ. სერგანტების გამონათქვამები, ინტერნეტ მის. <http://www.brainyquote.com/quotes/quotes/m/migueldecel57092.html>)

გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებიდან ძალიან აქტუალური ხდება პარემიოლოგიის კვლევა. მეცნიერთა აზრი, იმის შესახებ თუ რა შედის პარემიოლოგიის კვლევის საზღვრებში, განსხვავებულია. პირველი მოსაზრებით, პარემიოლოგია მხოლოდ ანდაზის შემსწავლელი დარგია, (თვით ბერძნული წარმოშობის ტერმინი «პარემია» ანდაზად ითარგმნება), მაშინ როდესაც, საპირისპირო შეხედულებით, მოშლილია ზღვარი პარემიოლოგიასა და ფოლკლორისტიკას შორის და პარემიოლოგიის საკვლევ ობიექტად მიიჩნევა არა მხოლოდ ანდაზები და აფორიზმები, არამედ ისეთი ერთეულები, როგორიცაა გამოცანები, ანეგდოტები, ზოგისთვის თვით ზღაპრები და იგავებიც კი (დიაკონიძე 2004, ქინდერსტრანდი 1988 და სხვა). იმის დადგენა და განსაზღვრა, თუ რამდენად შესაძლებელია პარემიად ყველა ჩამოთვლილი ერთეულის აღიარება, უდავოდ ძალიან საინტერესო შესასწავლი და განსასაზღვრია, მაგრამ ამ შემთხვევაში, ჩვენ მხოლოდ პირველები პარემიის—ანდაზის (და ნაწილობრივ აფორიზმის) განხილვით შემოვიფარგლებით და არ შევეხებით პარემიის სხვა ფორმებს, იმ მიზნით, რომ ჩვენს საკვლევ სფეროს არ გავცდეთ. ერთი კი მაინც უნდა აღინიშნოს—თუ დავეთანხმებით მეორე მოსაზრებას და იგავს შევიტანო პარემიოლოგიის კვლევის საზღვრებში, მაშინ ბიბლიოზმების კვლევის სპეციალისტი კიდევ უფრო გაფართოვდება და თვით ბიბლიოზმის ერთ-ერთ ნაირსახეობად გახდება ბიბლიური იგავები, რომლებიც ასევე ძალიან დიდი დატვირთვის მატარებელია და ანდაზის მსგავსად, მათ სიღრმისეულ სტრუქტურაში იღებება სამყაროს ხატოვანი გააზრება. ამ მოსაზრების საპირისპირო, ჩვენი აზრით, ისეთი ენობრივი ერთეულები, როგორიცაა ზღაპარი და იგავი, უფრო მეტად ფოლკლორისტიკის საკვლევი ობიექტებია, თუმცა შეიძლება პარემიოლოგიის საკვლევ ობიექტებთან ანალოგიის გამოქვება. სწორედ ეს ანალოგია აძლევს მეცნიერებს იმის საფუძველს, რომ ანდაზა კომპრესიონებულ იგავად მიიჩნიონ. რაც შევხება პარემიის ისეთ ფორმებს, როგორიცაა გამოცანა და ანეგდოტი, ისინი უბრალოდ არარელევანტურია ჩვენი კვლევისთვის იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ბიბლიური გამოცანა ან ბიბლიური ანეგდოტი არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს.

ისევ ანდაზას რომ დავუბრუნდეთ და ამასთანავე, იმ მოსაზრებას, რომ ანდაზაში იღებება სამყაროს სიღრმისეული გააზრება და კოგნიტური მსოფლეობა (რუსიეშვილი 2005: 9-10, ჰონეკი 1997: 75-80, მანდალა 1988: 11-13),

ჩვენი აზრით, ეს უპირველესად ბიბლიურ ანდაზებს ეხება, რადგან მათში ასახულია ყველა შესაძლო სიტუაცია თუ ხდომილება, რომლის წინაშეც ადამიანი შეიძლება დადგეს, ასევე მოცემულია პასუხი ყველა იმ საკითხესა თუ პრობლემაზე, რაც კი შეიძლება ქვეყნიერებაზე არსებობდეს. სწორედ მზა სახის ბიბლიურ ანდაზებშია გამოხატული მთელი სახარებისეული ჭეშმარიტების სიღრმისეული გააზრება. ჩვენი აზრით, სწორედ ამაშიც მდგომარეობს განსხვავება ბიბლიურ ანდაზასა და ფრაზეოლოგიურ ერთეულ-ბიბლიოზმებს შორის, რადგან ბიბლიური ფრაზეოლოგიური ერთეული მეტ-ნაკლებად ადამიანის მიერ აღქმული, ინტეპრირებული ბიბლიაა, ხოლო ანდაზა უკვე არაა მხოლოდ ადამიანის მიერ აღქმული და ინტეპრირებული, არამედ მზა სახის, უდიდესი დატვირთვის, ყველა მდგომარეობაზე მორგებადი, სიბრძნის მატერებელი ერთეული.

ჩვენი დროის გამოჩენილი პარემიოლოგისტის ვ. მიდერის განმარტებით «*Proverbs (are) those old gems of generationally-tested wisdom, help us in our everyday life and communication to cope with the complexities of the modern human condition*» (მიდერი 1995: 28). ხოლო ა. გარლენდის აზრით, «*proverbs are verbal strategies for dealing with social situations*» (გარლენდი 1996: 597).

ჩვენი აზრით, ანდაზა-ბიბლიოზმები უდიდესი მნიშვნელობისანია არა მხოლოდ ენობრივი, არამედ დიდაქტიკური და ეთიკური თვალსაზრისითაც, რადგან ისინი გადმოგვცემს უდიდეს სიბრძნეს. ბიბლიოზმი-ანდაზების მაგალითებად შეგვიძლია მოვიყვანოთ ისეთი ერთეულები, როგორიცაა ინგლისური: «*Not to let one's left hand know what one's right hand does*», «*Let us not be weary in well doing*», «*He who lives by the sword shall die by the sword*», «*When the blind leads the blind, both shall fall into the ditch*», «*Better a dinner of herbs than a stalled ox where hate is*», იტალიური: «*Il buon vino allieta i cuori degli uomini*», «*lasciare i morti seppeliscano i morti*», «*non dare le perle ai porci*», «*perche seminarano vento e raccoglieranno tempesto*», ქართული: «*ნუ ხელი მარცხენა ჰეთი, რახა იქმოდე მარჯვენა ჰეთი*», «*რახაც დახოუბ, იმას მთიდვი*», რუსული «*Пусть левая твоя рука не знает, что творит правая!*» «*кто находится между живыми, тому есть еще надежда, так как и псу живому лучше, нежели мертвому льву*», «*пусть мертвые погребают своих мертвцевов*», «*будь скор на слышание, медлен на слова, медлен на гнев*», «*делая добро, да не унываем, слово ваше да будет всегда с благодатию*» და სხვა მრავალი (იხ. დანართი VII).

საინტერესოა ისიც, რომ მიუხედავად იმისა, რომ ბიბლიური ანდაზები ბიბლიური სიბრძნის მატარებელია, სხვადასხვა გარემოში და დროს მათ მოდიფიკაცია შეიძლება განიცადოს. ვ. მიდერის აზრით, ანდაზები დროთა განმავლობაში ცვლილებას განიცდის, ეს დასაწყისში არის მხოლოდ ფორმის ან შინაარსის ნაწილობრივი ცვლილება, რომელსაც, საბოლოო ჯამში, აუცილებლად მიგყავართ მნიშვნელობის ცვლილებასთან. შეცვლილი მნიშვნელობის ანდაზა კი შეიძლება აბსოლიტურად უპირისპირდებოდეს საწყის მნიშვნელობას. როდესაც ანდაზის მნიშვნელობა იცვლება და სცილდება საწყისს, მაშინ ვ. მიდერის თქმით, საქმე გვაქვს, «ანტიანდაზასთან». ამ არგუმენტს იგი ასე ხსნის: «*The alleged claim to truth of these formulaic carriers of wisdom is ridiculed or sharply negated through ironic or satiric distortions or additions. Thereby the proverbs' seemingly universal truth turns out to be a generalized half truth which cannot lay claim to an indisputable universal validity*» (მიდერი 1991: 91).

იმის კვლევა და იმაზე კამათი, არის თუ არა ეს ანდაზა თუ ანტიანდაზა, ალბათ ცალკე შესასწავლია, მაგრამ ბიბლიურ ანდაზებთან დაკავშირებით, აუცილებელია, ვახსენოთ, რომ სხვადასხვა სოციალურ-ეთნოლოგიურ კონტექსტში მნიშვნელობის ცვლილება შეიძლება განიცადოს ასევე სიღრმისეული სიბრძნის მატარებელმა ბიბლიურმა ანდაზებმაც. ანდაზების ცვლილება ბიბლიოზმებში, ჩვენი დაკვირვებით, შეიძლება იყოს რამდენიმე ტიპის:

1. როდესაც ანდაზა მოდიფიცირდება ფრაზეოლოგიურ ერთულად (ოკაზიონალურ ან უზუალურად), აზრობრივი ინგარიანტის შენარჩუნებით;
2. როდესაც იცვლება ანდაზის ხტრუქტურა და მასთან ერთად, მნიშვნელობაც;
3. როდესაც ბიბლიური სიუკეტის მიხედვით, ადამიანთა აღქმით, იქმნება «ანდაზა», რომლის აზრი შეიძლება არც იყოს გატარებული ბიბლიაში.

პირველ შემთხვევაში, ბიბლიოზმი ანდაზის სიღრმისეული მნიშვნელობის გაშლა შეიძლება მოხდეს ოკაზიონალურ ფრაზეოლოგიურ ერთულად. მაგალითად: «მიუყარს უფრო მისი მარჯვენა, ხულ ერთია მათრახით არის მოხილი თუ უმათრახოდ, ორივე შემთხვევაში კარგია, იმიტომ რომ ისე დაიჭერს ხოლმე საქმეს, რომ მარცხენაც კერ შეიტყობს, სახარების ხიტყვისამებრ» (სახოკია 1950:471)\*. როგორც დავინახეთ, წინადადებაში აქტუალიზებულია ბიბლიური ანდაზის: «ნუ ხცნობს მარცხენა შენი, რახა

\* თ. სახოკიას მაგალითები მოყვანილი აქვს სხვადსხვა ლიტერატურული ნაწარმოებებიდან

იქმოდებ მარჯვენა შენი» მოდიფიცირებული ვარიანტი ოკაზიონალურ ფრაზეოლოგიზმად, კერძოდ, «მარცხენაც კერ შეიტყობს». ავტორს იმის თავიდან ასაცილებლად, რომ ნათქვამი დეკოდირებული არ ყოფილიყო ჩვეულებრივ ფრაზად ან შეცდომით, უფრო დაუკონკრეტებია სიტუაცია სიტყვებით: «ხახარებისეული ხიტყვისამებრ», რაც მსმენელს დაქმარებოდა სამეცყველო აქტის სწორად აღქმაში. ამავე ტიპის მაგალითია ანდაზიდან: «*Blind leading the blind will fall in the ditch*» ოკაზიონალურ ფრაზეოლოგიზმად გამოყენებული ფორმა «ბრძან ბრძას როგორ წაიყვანე? ორივე ხომ თხრილში ჩავარდება» (საუბრები მართლმადიდებელ მოძღვართან, საპატრიარქოს რადიო «ივერია» 2007 წ. 15 მარტი). მოდიფიცირების მეორე ტიპთან გვაქვს საქმე განხილული ანდაზის რუსულ შესატყვისში: «*Пусть левая твоя рука не ведает, что делает правая*». ყველა ქრისტიან ენაში ამ ბიბლიური ანდაზის საწყისი მნიშვნელობა არის: «*Не хвастайся своими добрыми делами - пусть тебя похвалят другие*» (ზაგორი 2004: 144). ამ შემთხვევაში რუსულ ენაში აღნიშნულმა ბიბლიიზმა განიცადა სტრუქტურული ცვლილება, კერძოდ, ამოვარდა პირველი ლექსემა «пусты», რომლის შედეგადაც მივიღეთ ბიბლიური ფრაზეოლოგიური გამოთქმასთან ახლოს მდგომი ანდაზის მოდიფიცირებული ფორმა «*его левая рука не знает, чтотворит правая*». ერთეული გამოიყენება მაშინ, როდესაც, ორგანიზაციაში ცუდი მმართველობაა, როდესაც იქ მომუშავეებმა არ იციან თავიანთი მოვალეობები და უფლებები (ზაგორი 2004: 144). მნიშვნელობის შეცვლის ეს მიმართულება კონკრეტულ სოციალური-ეთნოლოგიური გარემოს მაგალითზე უნდა განიხილოს, რადგან აღნიშნულ ერთეულში მოდიფიცირება დაფიქსირდა მხოლოდ რუსულში, სხვა საკვლევ ენებში კი მას, ჩვენი დაკვირვებით, ანალოგი არ მოეპოვება. აღნიშნული მაგალითით კიდევ ერთხელ დასტურდება ვ. მიდერის არგუმენტი იმის შესახებ, რომ ანდაზაში ფორმის შეცვლას აუცილებლად მივყავართ მნიშვნელობის შეცვლასთან, რამაც საბოლოო ჯამში, შეიძლება ანტიანდაზაც მოგვცეს შედეგად (მიდერი 1991: 89).

მესამე შემთხვევაში კონკრეტულ სოციალურ-ლინგვისტურ კონტექსში იქმნება კ.წ. ანდაზა-ბიბლიიზმი, რომელიც ადამიანის მიერ აღქმული ბიბლიური მოვლენის გააზრების და მეორადი ფრაზეოლოგიზაციის შედეგია. მაგ: «*The forbidden fruit is the sweetest*» (მოპარული ხილი უბებილებია, რაც ადამისა და ევას ბიბლიურ სიუჟეტს უკავშირდება). ასეთ შემთხვევებში

შექმნილი ანდაზა ერგება არა ზოგადსაკაცობრიო კონტექსტს, არამედ მისი გამოყენების სფერო ვიწროვდება და ფრაზეოლოგიური ერთეულის ნომინაციურ-კომუნიკაციურ ფუნქციას იძენს.

პარემოლოგიის საკვლევი ხდება ასევე ბიბლიოზმი-აფორიზმიც. სიტყვა «აფორიზმი» ბერძნულიდან მოდის და ნიშნავს პორიზონტის გავლებასა და გაფართოებას. ისევ ინგლისური ენციკლოპედიის განმარტება რომ მოვიშველიოთ: «*An aphorism is a wise saying that bears repetition*» (ონლაინ სტატია, მის.: <http://www.nationmaster.com/encyclopedia/Scandinavian-languages>) ან «*афоризм – лаконичное, отточенное по форме выражение, отражающее обобщенную мысль изречения*» (როზენბალი 1985: 271). აფორიზმი ანდაზასთან ძალიან ახლოს დგას და მისგან განასხვავებს უმთავრესად: «*particularly good style*». (ონლაინ სტატია, ინტერნეტ მის.: <http://www.experiencefestival.com/aphorism>).

ბიბლიოურ აფორიზმებში უხვად შევხვდებით ისეთ სტილისტურ ხერხებს, როგორიცაა ალიტერაცია, მეტონიმია, ანაფორა, რიტმა და სხვა, რასაც შეიძლება ბიბლიური ანდაზა ასეთი დოზით მოკლებული იყოს. აქედან გამომდინარე, ჩვენი აზრით, განსხვავება ანდაზასა და აფორიზმს შორის მდგომარეობს იმაში, რომ აფორიზმი სტილისტურად უფრო დატვირთულია, ვიდრე ანდაზა. თუმცა არსებობს მოსაზრება იმის შესახებ, რომ ყველა აფორიზმი არაა პარემია. ერთი მოსაზრების მიხედვით, პარემიად მხოლოდ ისეთი აფორიზმები შეიძლება ჩაითვალოს, რომელიც საერთო სახალხო კუთვნილებაა და ზოგადსაკაცობრიო სიბრძნეს ასახავს, რასაც მკითხველი ინტუიციით გრძნობს (დიაკონიძე 2004). საკითხისადმი ასეთი მიღეობით, ჩვენი აზრით, ანდაზების ჯგუფშიც უნდა გაევლოს ზღვარი, არის თუ არა იგი ზოგადსაკაცობიო სიბრძნის მატარებელი ან გრძნობს თუ არა მას ინტუიტურად მკითხველი, რაც, ჩვენი აზრით, არაა მიზანშეწონილი, რადგან ანდაზის და აფორიზმის არსებობა (თუ ეს არაა ზემოთ ნახსენები ანტიანდაზის ან ანტიაფორიზმის ტიპი) უკვე თავისთავად გულისხმობთ ზოგადსაკაცობრიო ცოდნას და სიბრძნეს.


ჩვენი დაკვირვებით, ანდაზასა და აფორიზმს შორის განსხვავება გადის სტრუქტურის ხაზზეც. ანდაზას ძირითადად, აქვს რთული წინადადების ფორმა, მაშინ როდესაც აფორიზმი უფრო ლაკონურია და შესაბამისად, სტრუქტურულად ფრაზას ან მარტივ წინადადებას უფრო შევადარებთ, ვიდრე რთულ წინადადებას.

ბიბლიიზმი აფორიზმების მაგალითებად მოვიყვანო: «Ask and you shall receive», «seek and you shall find» «chi bene ama, bene castiga», «picchiate e vi sara aperto», «кто ищет, найдет», «что посеешь, то пожнешь» და სხვა.

განხილული ბიბლიიზმების გვერდით, საინტერესოა ვახსენოთ ბიბლიური ციტატებიც «дословная выдержка из какого-либо текста или в точности приводимые чьи-либо слова» (როზენტალი 1985: 385). (მიუხედავად იმისა, რომ ბიბლიური ციტატა არ შედის ჩვენს მიერ იდენტიცირებულ ბიბლიიზმთა კატეგორიაში), რომლებიც ასევე ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის მატარებლები არიან და მათ სხვადასხვა დატვირთვა და გამოყენება შეიძლება ჰქონდეთ. ციტატების გამოყენების არსი ჩვენი აზრით, მდგომარეობს იმაში, რომ უფრო მეტი სიცხადით წარმოაჩინოს თქმული არგუმენტი, რადგანაც, როგორც უკვე ავღნიშნეთ, ბიბლიაში დაწერილი საზოგადოებაში არსებულ ყველა ფორმის ურთიერთობასა თუ პრობლემას ესადაგება და ერთგარად, მათხე პასუხსაც კი გვთავაზობს. სწორედ ამიტომ ხდება, რომ უამრავი მწერალი ნაწარმოების მოტივის სიცხადის უფრო მკვეთრად წარმოსახენად ძალიან ხშირად მიმართავს ბიბლიურ ციტატას. ხშირადაა, რომ ეპიგრაფად წამდლვარებული ერთი ბიბლიური ციტატა მოიცავს მთელი ნაწარმოების არსეს, ისევე როგორც ნაწარმოების სათაურად გამოყენებული ბიბლიური ციტატა (ან ფრაზა ციტატიდან) შეიძლება წარმოადგენდეს ბიბლიურ ალუზიას და მთელი ნაწარმოებში კონკრეტული მოტივის გაშლას. ამის მაგალითები ძალიან ბუნებრივი და ხშირია ლიტერატურისთვის, მაგალითად: უ. ფოლკნერის «აბესალომ, აბესალომ», მ. მიტჩელის «ქარწალებულნი», გ. დოჩანაშვილის «სამოსი პირველი», ქ. ჰემინგუეის ნაწარმოების «მშვიდობით იარაღო!» ეპიგრაფი: «there is nothing new under the sun», ბ. შოუს რომანი «Bread upon the waters», ჯ. მილტონის «Paradise lost» და სხვ. ასეთ შემთხვევებში, მწერლების ნაწარმოებები ფაქტობრივად მხატრული გაშლა და ავტორისეული ხედვაა იმ ზოგადსაკაცობრიო და მუდმივმოქმედი კანონებისა თუ მოვლენებისა, რომელსაც კონკრეტული ბიბლიური ციტატა იტევს. ჩვენი კვლევისთვის ბიბლიური ციტატა მნიშვნელობას იმ შემთხვევაში იძენს, როდესაც იგი სათავეს უდებს კონკრეტულ ფრაზეოლოგიური დატვირთვის მქონე ერთგულს. ციტატა ჩვენთვის ასევე საინტერესო შეიძლება აღმოჩნდეს იმდენადაც, რამდენადაც კონკრეტული ციტატის გაშიფრის შედეგად შეიძლება

გამოვიძიოთ კონკრეტული ერთეულის სიდრმისეული სტრუქტურა და აზრობრივი დატვირთვა. ბიბლიური ციტატა ყოველთვის გულისხმობს პირდაპირი ბიბლიური ალუზიის არსებობას, ისევე როგორც პარემიოლოგიური ერთეული-ბიბლიოზმი და სიტყვა-ბიბლიოზმი, მაშინ როდესაც პირდაპირი ალუზია არაა დამახასიათებელი ფრაზეოლოგიური ერთეული ბიბლიოზმებისათვის.


სქემა 3



წარმოდგენილი არგუმენტების საფუძველზე, ბიბლიოზმები, ფართო გაგებით, გუწვდებთ არა კონკრეტულად რომელიმე ლინგვისტური დისციპლინის საკვლევ ობიექტს, არამედ მინიმუმ სიტყვისა და მაქსიმუმ წინადაღების ფორმის მქონე ენობრივ ერთეულს (სიტყვა, ანდაზა, აფორიზმი, ფრაზეოლოგიური ერთეული), რომელიც ხასიათდება იდიომატურობით (გადააზრებული მნიშვნელობა) და ბიბლიური ეტიმოლოგიით. ასეთი ერთეულები კი სხვადასხვა დისციპლინის საკვლევია, რაც ბიბლიოზმები ინტერდისციპლინალური ერთეულის სტატუსს ანიჭებს.

## სქემა 4

ბიბლიიდან დამკვიდრებული მეტაფორული ერეულები



### 1.4. ბიბლიიზმების კვლევის ისტორია

როგორც უკვე აღინიშნა, ბიბლიიზმის მცირე მასშტაბებით კვლევა XX საუკუნის მეორე ნახევარში ძირითადად ფრაზეოლოგის პრობლემატიკის ზოგად ფონზე მიმდინარეობდა. ბიბლიიზმი მოიაზრებოდა, როგორც ფრაზეოლოგიური ერთეულის ნაირსახეობა, რომელზედაც კრცელდებოდა ის წესი თუ შეზღუდვა, რაც საერთოდ ფრაზეოლოგიურ ერთეულს ახასიათებდა. ამ პერიოდის არცერთი ფრაზეოლოგი ბიბლიიზმის ცალკე დახასიათებას არ ცდილობდა. პირველი ენათმეცნიერი, რომელმაც ბიბლიური ფრაზეოლოგიური ერთეულები ცალკე ჯგუფად გამოყო და შეეცადა მის დამოუკიდებლად დახასიათებას, არის ისევ და ისევ ფრაზეოლოგიის მამათავარი ა. ქუნინი. მის კვლევაში «Фразеология современного английского языка» ბიბლიიზმებს ცალკე თავი ეძღვნება სახელწოდებით «Библеизми» (ქუნინი 1972: 86-102). მაგრამ, აქაც ავტორის დაინტერესება გამომდინარეობს არა ბიბლიური ერთეულების ცალკე ჯგუფად შესწავლის სურვილით, არამედ იქიდან, რომ ბიბლიიზმი წარმოადგენს ინტერნაციონალური ფრაზეოლოგიური ერთეულის ნაირსახეობას და მისი შესწავლით შესაძლებელი იყო დადგენილიყო ფეს ზოგადი კანონზომიერებანი.

ნაშრომის ამ ნაწილში ჩვენ მიმოვიხილავთ ბიბლიიზმების\* პვლევის ისტორიას, რომელიც არაა მრავალფეროვანი და ბოლომდე ამოწურული, შემოგთავაზებო მის შესახებ არსებულ კლასიფიკაციებს, მომდევნო ეტაპზე კი წარმოგიდგენთ ბიბლიიზმების ახლებურ კლასიფიკაციას, რომელშიც მიუხედავად იმისა, რომ არის ა. კუნინის მიერ შემოთავაზებული კლასიფიკაციის ელემენტები, შევხვდებით ბიბლიიზმების ახლებურ ტიპოლოგიზაციას.

ა. კუნინის ზემოთხსენებულ ნაშრომში ბიბლიიზმებისადმი მიძღვნილი ნაწილი იწყება ი. სმითის ციტაციით: «О колосальном влиянии, которые оказали на Английский язык переводы Библии, говорилось и писалось много; В течение столетии Библия была наиболее широко читаемой и цитируемой в Англии книгой. Не только отдельные слова, но и целые идиоматические выражения (часто буквальные переводы древнееврейских и греческих идиомов) вошли в английский язык со страниц Библии. Число Библейских оборотов и выражений, вошедших в английский язык так велико, что собрать и перечислить их было бы весьма нелёгкой задачей» (კუნინი 1972: 87).

ზემოთქმული ჩვენი აზრით, სხვადასხვა დოზითა და ხარისხით ეხება ყველა ჩვენს საკვლევ ენებსაც. ა. კუნინი, სხვადასხვა ტიპის ბიბლიიზმებზე დაკვირვების შემდეგ შენიშნავს, რომ მიუხედავად მათ შორის არსებული სხვაობებისა, ისინი ერთიანდება ერთი მთავარი ნიშნით-ეტიმოლოგიური კრიტერიუმით. ამის საფუძველზე, ავტორი ახდენს ბიბლიურ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა შემდგენაირ კლასიფიკაციას: პირველ ჯგუფში გაერთიანებულია ბიბლიიზმები, რომლებიც ბიბლიაში პირდაპირი მნიშვნელობით გამოიყენება. ასეთ შემთხვევაში არსებობს ბიბლიური თავისუფალი ოკაზიონალური ფრაზა, ხოლო ბიბლიიზმის შექმნა თავისუფალი ფრაზის გადააზრების და ენაში გადააზრებული მნიშვნელობით დაფიქსირების შედეგია. მაგალითად ბიბლიიზმი «To cast the first stone at somebody», «бросить первый камень на кого-либо» ნიშნავს ვინმეს პირველი განსჯას და უკავშირდებოდა იუდეველთა ქვეყანაში არსებულ ქვების სროლით დასჯის ფორმას. როგორც ბიბლიაში ვკითხულობთ,

\* ტერმინი «ბიბლიიზმი» შესაძლოა გამოიყენებოდეს ფართო და ვიწრო გაგებით. «ბიბლიიზმი» ფართო გაგებით მოიცავს ინტერდისციალურ ერთეულს: ფრაზეოლოგიურ ერთეულს, ანდასას, სიტყვასა და აფორიზმს, ხოლო ვიწრო გაგებით «ბიბლიიზმს» ვუწეობ ბიბლიური ფრაზეოლოგიური ერთეულის ეკვივალენტად, იმ გაგებით, რომლითაც იგი მრავალი წლის განმავლობაში მოიაზრებოდა საჭარბეული ლიტერატურაში.

იქსო ფარისევლებს, რომლებმაც უფალთან მემავი ქალი მიიყვანეს განსაკითხავად, ასე მიმართავს: «He, that is without sin among you, let him first cast a stone at her» (იოანე 8:7)\*. აქ ფრაზა თავისუფალი მნიშვნელობით გამოიყენება, ხოლო ბიბლიიზმი «to cast the first stone» მისი გადააზრების შედეგია. ასევეა ბიბლიიზმი: «the daily bread», «хлеб насытный», რომელიც საუფლო ლოცვა «მამაო ჩვენო»-ში პირდაპირი მნიშვნელობით გამოიყენება: «Give us this today our daily bread», «хлеб наш насытныйажды нас сегодня» (ლუკა 11:4). დღეს კი ამ გამოთქმას ხატოვანი მნიშვნელობა მოეპოვება და ნიშნავს რაიმე არსებითსა და მნიშვნელოვანს. ამ ტიპის ბიბლიიზმების სხვა მაგალითებად ავტორს მოყვანილი აქვს შემდეგი ბიბლიიზმები: «to kill the fatted calf», «about one's neck», «thirty pieces of silver», თავისი რუსული შესატყვისით: «тридцать серебренников», «to wash one's hands off», «умыть руки». ამ ჯგუფის ბიბლიიზმებში ავტორი განასხვავებს გამოთქმებს, რომლებიც ფორმით განსხვავდება ბიბლიური პროტოტიპისაგან. მაგ. «ათი ცნების» ინგლისური ვარიანტი დღეს გამოიყენება განსაზღვრული არტიკლთან the-სთან ერთად და შესაბამისად, ენაში არსებობს ფორმით: «the Ten Commandment», მაშინ როცა ბიბლიაში ამ ფრაზას არტიკლის გარეშე ვხვდებით. მეორე ჯგუფის ბიბლიიზმებს ა. კუნინი ისეთ შემთხვევებს მიაკუთვნებს, როდესაც ბიბლიური პროტოტიპის ვარიანტი მკვიდრდება ფრაზეოლოგიურ ერთეულად. მაგალითად, ბიბლიაში შევხვდებით ფრაზას: «To eat the fat of the land», რომელმაც ფრაზეოლოგიურ ერთეულად ჩამოყალიბების პროცესში განიცადა მოდიფიკაცია და ფრაზეოლოგიის ფონდში შემდეგი ფორმით შევიდა: «To live on the fat of the land» და რაც ფუფუნებაში ცხოვრებას ნიშნავს.

მესამე ჯგუფის ბიბლიიზმებში მეორე ჯგუფის მსგავსად, ხდება ცვლილება, მაგრამ ეს არის არა ერთი სიტყვის შეცვლა მეორე განსხვავებული მნიშვნელობის მქონე სიტყვით, არამედ ან სინტაქსური წეობის შეცვლა (მაგ: «gall and wormwood» (საძულველი) წარმოადგენს ბიბლიური გამოთქმის «the worwood and the gall»-ის წეობის შეცვლილ

---

\* ბიბლიიზმების ციტატები მოყვანილი იქნება ლიტერატურის ნუსხაში მითითებული ბიბლიის გამოცემებიდან

ფორმას) ან წინდებულის შეცვლა, (მაგ: «A drop in the bucket», რომელიც მომდინარეობს შემდეგი ფრაზით «Behold the nations as a drop of a bucket» (იხაია 40:15) ან სიტყვის შეცვლა სინონიმით (მაგ: «Pride goes before a fall» წარმოიშვა ფრაზით: «pride goes before destruction and a haughty spirit before a fall» (იგავები 16:18). ავტორს ამავე ჯგუფში შეაქვს ანდაზა, რომელიც, მისი აზრით, წარმოადგენს არქაული ანდაზის «მოდერნიზებულ» ფორმას: «Not to let one's left hand know what one's right hand does», «рука не ведает, что делает правая».<sup>1</sup> აღნიშნული მაგალითის განხილვისას, ა. კუნინი დასძენს, რომ ეს გამოთქმა ბიბლიაში პოზიტიური მნიშვნელობით იხმარებოდა, დღეს კი პირიქით, უარყოფითი კონტაცია მოეპოვება.

მეოთხე ტიპის ბიბლიიზმებს აღნიშნული კლასიფიკაციით შეადგენს არასწორი ციტირებისა შედეგად დამკვიდრებული ერთეულები: გამოთქმა «He, that runs, may read» წარმოიშვა შემდეგი ბიბლიური ფრაზისგან: «And the Lord answered me and said: write the version and make it plain upon tables, that he may run that readeth it» (იგავები 28.27). ბიბლიიზმი «to cast in one's lot with somebody», რაც ვინახეთან ბედის დაკავშირებას ნიშნავს, წარმოიშვა შემდეგი ფრაზით: «Cast in the lot among us let us all have one purse».

მეხუთე ჯგუფში გაერთიანებულია ბიბლიიზმები, რომლებიც ბიბლიაში პირდაპირი მნიშვნელობით გამოიყენება, თუმცა მათ კომპონენტებს ურთ ფრაზაში ვერ შევხვდებით. მაგალითად: ახალი აღთქმის ერთ-ერთ ადგილას ვკითხულობთ თუ როგორ დააპურა ქრისტემ მის მოსასმენად შეგრებილი ათასობით ადამიანი ხუთი პურითა და ორი თევზით. ბიბლიის ამ ეპიზოდში ხშირად შევხვდებით სიტყვებს «loaves» და «fishes», მაგრამ არა ერთ ფრაზაში და ურთიერთმიმართებაში. დღესდღეისობით კი ბიბლიიზმი «Loaves and fishes» ერთ მთლიან გამოთქმას წარმოადგენს და ერთი აზრის გამოთქმას ემსახურება. იგივე ტიპის მაგალითია «The writing on the wall» (ძველი აღქმა, დანიელი 5.25). მევე ბალთაზარმა, ბიბლიის მიხედვით, წვეულების დროს კედელზე დაწერილი სიტყვები დაინახა, რაც ცუდის ნიშანი აღმოჩნდა, რადგან მევე მოკლეს და სამეფო დაიშალა. ბიბლიაში არაა

<sup>1</sup> ხაინტერესო ის, რომ ამ ბიბლიული ანდაზამ მოდერნიზაცია მხელოდ რესულსა და ინგლისურში განიცადა, ქართულში კი არქაული ფორმით დარჩის: «ხუ პეცნობზ მარცხენა შენი, რახა იქმიდებ მარჯვენა შენი».

გამოყენებული სიტყვათშეთანხმება «Writing on the wall», თუმცა ცალკე-ცალკე გამოიყენება სიტყვები «wall» და «writing». მოგვიანებით ამ ბიბლიურ გამოთქმას გაუჩნდა ვარიანტი «The handwriting on wall».

მეექსე ჯგუფში ა. კუნის შეაქვს ბიბლიოზმები, რომლებიც ბიბლიურ სიუჟეტთანაა დაკავშირებული, მაგრამ ბიბლიაში პროტოტიპი არ მოეპოვება. მაგალითად: «David and Jonathan», «Давид и Ионафан», ნიშნავს განუყრელ მეგობრებს, თუმცა ამ ფრაზის პროტოტიპს ვერ შევხვდებით ბიბლიაში. იგივე ტიპის მაგალითებია: «A doubting Thomas», «Фома неверныи/неверующий», «forbidden fruit», «запретный плод», «the golden (ბიბლიაში molten) calf» – «златой/залатой телец» და სხვა.

მეშვიდე ჯგუფს მიეკუთვნება ბიბლიური გამოთქმების ანალოგიით შექმნილი ერთეულები: «Свет лица господня», «Lord, life thou up the light of thy countenance upon us», «the land of Nod» - «царство сна». ბოლო მაგალითში აღგილი აქვს სიტყვების თამაშს, რაც სიტყვის პოლისემანტურ ბუნებას ეფუძნება. «Nod» ინგლისურში ნიშნავს თვლემას და ამავე დროს, წარმოადგენს ბიბლიურ პერსონაჟს, ამიტომ გამოთქმების «Земля Нод» – «Land of Nod» საფუძველზე, წარმოიშვა გამოთქმა «the land of Nod» და შესაბამისად: «Царство сна».

ა. კუნის მიერ შემოთავაზებულ აღნიშნულ კლასიფიკაციაში, რომელიც ბიბლიოზმების შვიდ ჯგუფს აერთიანებს, ჩვენი აზრით, ბიბლიოზმების სხვადასხვა ტიპი საკმარისად ამომწურავად არაა განსაზღვრული და ზოგ მათგანს შორის მოშლილია საზღვარი. უპირველესად, ავღნიშნავთ იმას, რომ რატომლაც, ავტორი ცალკე გამოყოფს შემთხვევებს: «To live on the fat of the land», რომელიც არაა დამკვიდრებული ბიბლიური ფორმით, არამედ ზმა to eat-ით. შესაბამისად, ენაში არსებობს ფე «To eat the fat of the land». იგივე მოვლენას აქვს აღგილი ბიბლიოზმში «A drop of a bucket», რომელიც ასევე «a drop of the bucket»-ად ანუ ზუსტი ბიბლიური ფორმით არაა დამკვიდრებული ინგლისურში. ამ გამოთქმებში ჩვენი აზრით, ერთი სახის მოვლენა ფიქსირდება, ისევე როგორც მსგავსი კანონზომიერება მოქმედებს იდიომში «A lost sheep», რომელიც წარმოიშვა ფრაზისაგან «For I have found my sheep which was lost» (მათე 10:6) და უკვე მოყვანილ გამოთქმაში «Te writing on the wall». პირველი ბიბლიური გამოთქმა ამ

კლასიფიკაციით მეორე ჯგუფს ეპუთვნის, მეორე კი-ეხუთეს, რისი საფუძველიც ჩვენთვის გაურკვეველია. ჩვენთვის ასევე გაუგებარია, რატომ მიიჩნევს ა. კუნინი არასწორი ციტირების შედეგად ფრაზას «To possess one's soul in patience», რომელზეც აკეთებს კომენტარს, რომ ზმნა *to possess* გამოყენებულია თავისი ძველი მნიშვნელობით ანუ მნიშვნელობით, რომელიც ოქსფორდის ლექსიკონში განმარტებულია, როგორც «come into possession or obtain». შეიძლება ვადიაროთ, რომ ზმნა *to possess* ბიბლიიზმში: «possess one's soul in patience» აქტუალიზებულია ძველი მნიშვნელობით, მაგრამ ეს არაა მნიშვნელობის არასწორი ციტირება. ჩვენთვის ასევე გაურკვეველია რა განსხვავებაა გამოთქმა «David and Jonathan», რომელიც, როგორც ავტორი ამბობს, ბიბლიურ სიუჟეტს უკავშირდება, მაგრამ პროტოტიპი არ მოეპოვება ბიბლიაში (თუმცა ეს ორი სახელი ბიბლიის ტექსტში მოცემულია) და გამოთქმა «loaves and fishes» შორის, რომელსაც მეხუთე ჯგუფს მიაკუთვნებს (შემთხვევა, როდესაც ფრაზაში დამკვიდრებული კომპონენტები ბიბლიაში პირდაპირი მნიშვნელობით, თუმცა არა ერთ ფრაზად გამოიყენება). ამის გარდა, ა. კუნინის მიერ შემოთავაზებულ ბიბლიიზმთა კლასიფიკაციაში არის სხვა უამრავი სადაო საკითხიც. ეს ჩვენი აზრით, გამოწვეულია იმით, რომ მას არ აქვს არჩეული ერთგვაროვანი კრიტერიუმი, იქნება ეს სემანტიკური, ეტიმოლოგიური თუ სხვა, რომლის მიხედვითაც მოახდენდა ბიბლიურ ერთეულთა კლასიფიკაციას. ამიტომ ხდება ის, რომ სხვადასხვა ტიპის ბიბლიიზმი არაა ურთიერთგამომრიცხავი ანუ ავტორი არ ირჩევს ისეთ ტოპოლოგიურ ნიშანს, რომლითაც მოახდენდა ბიბლიიზმების გამიჯვნას. განსაზღვრული კრიტერიუმი ა. კუნინს საშუალებას მისცემდა კონკრეტული ნიშნის საფუძველზე მოეხდინა კლასიფიკაცია.

ბიბლიიზმის კვლევის ისტორიის მიმოხილვისას, აღსანიშნია რუსი ლინგვისტი ტ. ფედულენკოვა, რომელმაც ბიბლიიზმებს თავისი გამოკვლევა მიუძღვნა (ფედულენკოვა 1997). მის ყურადღების ცენტრში მოქცეულია მხოლოდ ბიბლიური ფრაზეოლოგიური ერთეულები და კვლევაც მოიცავს არა ბიბლიიზმების ყოველმხრივ შესწავლას, არამედ ძირითადად, მათ სტრუქტურულ შესწავლას. სტრუქტურის მიხედვით,

ტ. ფედულენკოვა ბიბლიიზმებს ვარიაციის ტიპის მიხედვით ყოფს (იხ. თავი 3.2, გვ. 76-77).

გარდა აღნიშნული კლასიფიკაციისა, ტ. ფედულენკოვას ნაშრომში ვხვდებით ბიბლიიზმების «ეთიკური» ნიშნით დაჯგუფებას. ავტორს მიაჩნია, რომ ბიბლიიზმები დიდი ეთიკური დირქულების მატარებელი არიან, რასაც ჩვენ სრულად ვეთანხმებით. ეთიკურობის საფუძველზე ტ. ფედულენკოვა ახდენს ერთგულების კლასიფიკაციას ორ არათანაბარ ჯგუფად. პირველში აერთიანებს ბიბლიიზმებს, რომლებიც მიზანმიერთება ბოროტების, ნაკლოვანების მხილებაზე, მეორეში კი-მცირერიცხოვან ბიბლიიზმებს, რომლებიც ადამიანის კეთილქმედებასა და კეთილ ბუნებას აქებს. როგორც კლასიფიკაციის ავტორს მიაჩნია, ეს არათანაბრობა გამოწვეულია იმით, რომ დადგებითი თვისებები, მისივე სიტყვებით «Are comprehended by people's mentality as something that must be taken for granted, and negative sides...arose closer attention, but from the point of unfavourable criticism» (ფედულენკოვა 1997: 73)

ტ. ფედულენკოვას ნაშრომში განხილულია ბიბლიიზმების არალინგვისტური ასპექტებიც. მაგალითად: ცალკე თავებად ვხვდებით ისეთ თემებს, როგორიცაა «Gospel truth that Biblicalisms preach», და «Cultural and ethical value of Biblicalisms». ცხადია, ეს თავისთავად საინტერესოა, მაგრამ ჩვენი შრომისათვის ნაკლებად რელევანტური. ნაშრომში ყველაზე მეტად, ჩვენი უურადღება მიიპყრო იმან, რომ ავტორი ეხება პრაგმატიკულ ასპექტს, რაც ა. კუნინის კონცეფციას აკლია. ეს თავისთავად ცხადია, რადგან იმ პერიოდის ლინგვისტიკა, რომელსაც ა. კუნინი ეკუთვნის, არ ინტერესდება ლინგვისტიკაში ახლად გამოჩენილი დარგით-პრაგმატიკით, რომლის თეორიები და კონცეფციები იმ დროს ჩამოყალიბებული არ იყო.

ბიბლიიზმების კვლევის ისტორიის ერთ-ერთი ეტაპია ქ. დუბროვინას ნაშრომი, «რუსული ბიბლიური ფრაზეოლოგიური ერთეულების სემანტიკური თავისებურებანი» (დუბროვინა 1998). ნაშრომის მიხედვით, «Библейская фразеология – это фразеологические единицы, источником которых является Библия - книги священного писания Ветхого и Нового Заветов» (დუბროვინა 2001: 2). ჩვენი აზრით, ქ. დუბროვინას ნაშრომში საინტერესო ისაა, რომ განსხვავებით სხვა ავტორებისაგან, იგი არ იყენებს ტერმინ «ბიბლიიზმს» ბიბლიური ფრაზეოლოგიური ერთეულის აღსანიშნავად, არამედ სრულ ტერმინს–ბიბლიური ფრაზეოლოგიურ ერთეულს ანუ მას შესაძლოა მიაჩნია, რომ ბიბლიიზმი არაა მხოლოდ ფრაზეოლოგიური

ერთეული, არამედ იტევს სხვა, არაფრაზეოლოგიურ ერთეულებსაც, თუმცა ავტორი ექსპლიციტურად ამაზე ყურადღებას არ ამახვილებს. მიუხედავად ამისა, კ. დუბროვინა ბიბლიურ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს მაინც მიაკუთვნებს ინტერნაციონალურ ფრაზეოლოგიური ერთეულების ჯგუფს: «Большое количество Библейских фразеологизмов встречается во многих языках народов, исповедующих христианскую религию и могут быть квалифицированы как интернациональные» (დუბროვინა 2001: 1). იგი ასევე მსჯელობს რუსული ბიბლიური ფრაზეოლოგიური ერთეულების სემანტიკის ცალკეულ ასპექტზე.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში, რუსულსა და ქართულ ლინგვისტიკაში შეიმჩნევა მზარდი ინტერესი ბიბლიოზმებისადმი, რასაც ვერ ვიტყვით ინგლისური და მითუმეტეს, იტალიური სკოლების შესახებ. რუსულ ლინგვისტურ სივრცეში, გაჩდნენ ბიბლიოზმების ცალკე ჯგუფად შესწავლით დაინტერესებული მეცნიერები, რომლებმაც ბიბლიური ფრაზეოლოგიური ერთეულების შესწავლას ნაშრომები მიუძღვნეს, სადაც ძირითადად ეხებიან ერთეულების რუსულ ენაზე ზეგავლენის საკითხს და ცდილობენ მოახდინონ მათი კლასიფიცირება (შანსკი 1985, ვერემაგინი 1993, გაკი 1995, მანტვევა 1993 და სხვა). მაგალითად, ახალგაზრდა რუსი ენათმეცნიერის ნ. შორსტკინას აზრით, ბიბლიური ფრაზეოლოგიური ერთეულები ორ ჯგუფად უნდა დაიყოს. პირველ ჯგუფს იგი მიაკუთვნებს ერთეულებს, რომელთა სტრუქტურაშიც არაა რაიმე თანამედროვე და არარუსული. ასეთი ბიბლიოზმების მაგალითად კი მოჰყავს შემდეგი ერთეულები: «бросить камень», «корень зла», «голову приклонить», «соль земли», «не пошевелить пальцем» და ა.შ. მეორე ჯგუფს კი მიაკუთვნებს ისეთ ერთეულებს, რომელთა სტრუქტურაშიც, მისივე სიტყვები რომ მოვიშველიოთ, «Содержится либо словесная, либо грамматическая «особинка» в виде устаревших слов, морфологических форм или библейских имен собственных». მაგალითად: «мир дому сему», «да минует меня чаша сия», «Иов многострадальный», «притча во языцах», «кесарево кесарю», «глас вопиющего в пустыне» (შორსტკინა 2000: 8).

ვ. გაკი, თავის ნაშრომში «Особенности библейских фразеологизмов в русском языке» (გაკი 1997) მიმოიხილავს ბიბლიის ტექსტისა და ბიბლიური ფრაზეოლოგიზმების ურთიერთმიმართებას და ბიბლიოზმებს ყოფს: ციტატურ (კონტექსტურ) და სიტუაციურ ბიბლიოზმებად. პირველ შემთხვევაში, ბიბლიურ

ფრაზა აღმოცენებულია ბიბლიური ტექსტიდან. მაგ. ფრაზა «камень преткновения», რომელსაც ბიბლიაში ორ ადგილას ვხვდებით, ხოლო მეორე შემთხვევაში, ბიბლიაში ვერ შევხვდებით იმ გამოთქმას, რომელსაც ენაში ვიყენებთ, თუმცა ეს გამოთქმა უკავშირდება კონკრეტულ ბიბლიურ სიტუაციას, მაგ: «Ноев ковчег». ვ. გაკის აზრით, უპრიანია ბიბლიური ფრაზეოლოგიური ერთეულების პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობის ერთეულებად დაყოფა. ბიბლიურმა გამოთქმამ ვ. გაკის აზრით, შეიძლება შეინარჩუნოს ფორმა, ხოლო მისმა სემანტიკამ კი ტრანფორმაცია განიცადოს. ამის მაგალითად მას მოჰყავს რუსული ბიბლიოზმი: «тъма кромешная», რომელიც პირდაპირი მნიშვნელობით ნიშნავდა ცოდვილთა ადგილს. დღესდღეისობით კი სემანტიკური ტრანსფორმაციის შედეგად გამოთქმას მოეპოვება მნიშვნელობაა «беспространную темноту» (გაკი 1997: 76). მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კლასიფიკაცია საინტერესო ელემენტებს შეიცავს, მას ერთეულების ტიპოლოგიზაციისას ვერ გამოვიყენებთ, რადგან ბიბლიოზმების განმარტებაში თავიდანვე ვდებთ უკვე სემანტიკური ტრანსფორმაციის შედეგად მიღებულ ბიბლიურ ერთეულს. სემანტიკური გადააზრებულობა, როგორც ზემოთ იქნა ნახსენები, ბიბლიოზმების დისტინქციური ნიშანია. გადაუაზრებელ ბიბლიურ ერთეულს კი ვუწოდებთ არა ბიბლიოზმს, არამედ ბიბლიურ თავისუფალ ფრაზას, რომლებიც მოკლებულები არიან გადააზრებულ მნიშვნელობას.

აღსანიშნია ის, რომ ბოლო დროს რუსულენოვან ავტორებში ბიბლიოზმების, როგორც ცალკე ჯგუფის შესწავლის ინტერესის შედეგია მ. ზაგორის რუსულ-ინგლისური ბიბლიოზმების ლექსიკონი (ზაგორი 2003), სადაც შესულია ყველა ტიპის ბიბლიოზმი, დაწყებული სიტყვიდან, დასრულებული ანდაზით, რომლებიც რუსულ და ინგლისურ ენებში რეალურად ან პოტენციურად არსებობს. მ. ზაგორს მოყვანილი აქვს ბიბლიური ფრაზების მაგალითები, რომელთაც ბიბლიოზმებს უწოდებს, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მათგანი შეიძლება ენაში არ გამოიყენებოდეს, არამედ მხოლოდ პოტენციურად არსებობდეს, როგორც გადააზრებული ერთეული. მაგალითად, ფრაზა «I appeal to Cesar» მას ასენილი აქვს როგორც მიმართვა უმაღლესი ხელისუფლებისადმი გაპროტესტების მიზნით. ავტორი ასევე აღწერს იმ კონკრეტულ ისტორიას, რომელიც ფრაზას საფუძვლად უდევს. თუმცა, ჩვენი აზრით, ამ ფრაზას არცერთი რუსულ თუ ინგლისურენოვანი არ გამოიყენებს ყოველდღიურ საუბარში, მაგრამ შესაძლოა ბიბლიური აღუზის

ლიტერატურულ ნაწარმოებში მისი გამოყენება ანუ ეს ფრაზა, ჩვენი აზრით, არის პოტენციური ბიბლიოზმი, რომელიც განსხვავდება რეალურად, ენაში არსებული ისეთი ბიბლიოზმებისაგან, როგორიცაა «Judge not that you be not judged», «Не судите да не судими будете», «Мэдзиоджебиს მტრედი», «Colomba della pace» და სხვა.

რაც შეეხება საქართველოს რეალობაში ბიბლიოზმების შესწავლის ისტორიას, უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლების განმავლობაში შეინიშნება ბიბლიოზმების ლინგვისტური პოზიციიდან სხვადასხვა კუთხით შესწავლის მზარდი ინტერესი. ამის დასტურია მაგ. ქ. მარტიაშვილის ნაშრომი «ბიბლიურ ალუზიათა ლინგვო-სტილისტური ფუნქციები ინგლისურენოვან მხატვრულ პროზაში» (მარტიაშვილი 2004), სადაც ავტორი ინტერესდება არა ზოგადად ბიბლიური გამოთქმით, არამედ ინგლისურ ლიტერატურაში სხვადასხვა სახით ხორცშესხმულ ბიბლიური ალუზით. ჩვენი კვლევისთვის კი ყველაზე რელევანტურია ლ. ხაჭაპურიძის ნაშრომი: «ქართველ მართლმადიდებელ მრევლთა მეტყველება», (ხაჭაპურიძე 2004), სადაც შესწავლილია, როგორც მართლმადიდებელი ერის ლექსიკა, ასევე ის ფრაზეოლოგიური ერთულები, რომლებსაც მრევლის წევრები იყენებენ.

ლ. ხაჭაპურიძე მიჯნავს ბიბლიურ ერთულების რამოდენიმე ტიპს:

1. ბიბლიურ პირთა ქადაგებიდან მომდინარე ფრაზეოლოგიურ ერთულები;
2. ბიბლიური სიუჟეტებიდან მომდინარე შესიტყვებები;
3. ბიბლიურ სახელებთან დაკავშირებულ შესიტყვებები;
4. მართლმადიდებელ წეს-ჩვეულებიდან მომდინარე ფრაზეოლოგიურ ერთულები;
5. ხალხურ წარმოდგენებთან დაკავშირებული საეკლესიო ტერმინების შემცვლელ შესიტყვებები (ხაჭაპურიძე 2004: 34-45).

ამ კლასიფიკაციიაში მოცემული თითოეული ჯგუფი უდავოდ საინტერესო და სპეციფიკური შესასწავლია, თუმცა, როგორც შემდეგ დავინახავთ, ბიბლიოზმების კლასიფიკაციის განსხვავებულ კრიტერიუმებს ვირჩევთ და დაინტერესებული გართ ზოგადად, ენობრივ რეალობაში არსებული და ხმარებული ბიბლიოზმებით.

სამწუხაროდ, იტალიურ და ინგლისურ ლინგვისტიკაში უშუალოდ ბიბლიოზმების შესახებ ნაშრომები ან არ მოიპოვება ან თუ მოიპოვება, იმდენად ახალია, რომ ჩვენთვის ხელმისაწვდომი ვერ აღმოჩნდა.

## 15. ბიბლიოზმი სხვადასხვა ენობრივ დონეზე

ზოგადად, ბიბლიოზმების კლასიფიკაცია შეიძლება მოხდეს სინტაგმატურ და პარადიგმატურ ჭრილებში. თუ ენობრივი ნიშნის მოდელს დავეყრდნობით (ლებანიძე 1998: 25), ვერტიკალურ ჭრილში ბიბლიოზმი შეიძლება შევისწავლოთ სხვადასხვა ენობრივ დონეზე, დაწყებული სიტყვა-ბიბლიოზმიდან დასრულებული წინადადება-ბიბლიოზმით, ხოლო პორიზონტალურ ჭრილში შესაძლოა ბიბლიოზმის სამგანზომილებიანი სისტემის გათვალისწინებით შესწავლა. ე.ო. ვერტიკალურ ჭრილში, როგორც დავინახეთ, ვსწავლობთ სხვადასხვა ენობრივი დონის კუთვნილ ბიბლიოზმებს:

1. სიტყვა-ბიბლიოზმებს-ენის მორფოლოგიური და ლექსიკური დონე;
2. ფრაზეოლოგიურ-ერთეულ-ბიბლიოზმებს-ენის ლექსიკური დონე;
3. ანდაზა/აფორიზმ-ბიბლიოზმებს-ენის სემანტიკური დონე.


სიტყვა-ბიბლიოზმი ფე-ბიბლიოზმს სტრუქტურული ნიშნით უპირისპირდება: სიტყვა-ბიბლიოზმი ერთი ლექსემა, ერთწევრა ერთეულია, მაშინ როდესაც ფრაზეოლოგიური ერთეული-ბიბლიოზმი აუცილებლად გულისხმობს მინიმუმ ორი ლექსემის არსებობას. ეს დაპირისპირება ერთი მხრივ, სიტყვა-ბიბლიოზმისა და ფე-ბიბლიოზმის ანდაზა-ბიბლიოზმის მიმართ როგორც სტრუქტურულ, ასევე სემანტიკურ ხაზზე გადის: სიტყვა-ბიბლიოზმი ერთწევრა ერთეულია, ანდაზა-ბიბლიოზმი კი წინადადების ფორმის მქონე ერთეული, რომელიც ასევე სტრუქტურულად უპირისპირდება ფე-ბიბლიოზმს-მინიმუმ ორი ლექსემის შეერთებას\*. სიტყვა და ფრაზეოლოგიური ერთეული-ბიბლიოზმები გადააზრებული ერთეულებია, როგორც ანდაზა, მაგრამ ანდაზისაგან განსხვავებით, ისინი რაიმე მოვლენის შედარებით ზედაპირული, ექსპლიციტური ხატოვანი აღქმაა, ანდაზა კი ბიბლიური ზოგადმოქმედი მოვლენის თუ კანონზომიერების სიღრმისეული გააზრება. (იხ. თავი 1.3 გვ. 36–46).

სამივე ჯგუფის ერთეული, ჩვენი აზრით, ერთმანეთთან მჰიდრო კავშირს ავლენს და ხშირად ჩვენი დაკვირვებით, ერთი ტიპის ბიბლიოზმი სათავეს უდებს მეორე ტიპის ბიბლიოზმის შექმნას. მაგ. სიტყვისგან შეიძლება წარმოიშვას ფე და პირიქით (იხ. ზევით, თავი 1.2 გვ. 29-30).


\* და არა დასრულებული წინადადების სტრუქტურის მქონე ერთეულს

ბიბლიური ანდაზიდან ასევე შეიძლება წარმოიშვას ფრაზეოლოგიური ერთეული. ეს პროცესი უკვე განხილული პროცესის მსგავსია: როდესაც სიტყვა იქცევა ოკაზიონალურ ფრაზად, თუმცა ცვლილების მიმართულება განსხვავებულია, რადგან, სიტყვის შემთხვევაში, ხდება ერთეულის სტრუქტურის (და შესაბამისად, სემანტიკის) გაზრდა, ანდაზის ფე-ად ტრანსფორმაციის დროს კი-სტრუქტურის შექმნება და სემანტიკური სტრუქტურის დაკონკრეტება. შეცვლის პროცესის სქემატური რეპრეზენტაცია შემდეგნაირად შეიძლება მოვახდინოთ:

სქემა 5



სქემა 6



თქმულიდან გამომდინარე, ბიბლიოზმები გვვლინება ხევადახევა ენობრივი დონის ერთეულად, რომლებსაც ერთმანეთთან აკავშირებენ ბიბლიური ეტიმოლოგია და გადააზრებული მნიშვნელობა.

## II ნაწილი

ბიბლიოზმის პლასივიპაცია და  
პლასივიპაციის პრიტერიუმები

### 2.1. ბიბლიიზმების სემანტიკურ-ეტიმოლოგიური კლასიფიკაცია

ბიბლიიზმების ლინგვისტური სტატუსის განსაზღვრის შემდეგ გადავდივართ მათ პრაქტიკულ კვლევაზე, რომლის შემთხვევაშიც ვიყენებთ მხოლოდ ბიბლიურ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს. შესაბამისად, ტერმინი ««ბიბლიიზმი»» გამოყენებული იქნება ვიწრო, დიფერენციალური გაგებით მხოლოდ ბიბლიური ფრაზეოლოგიური ერთეულების ეკვივალენტად\*.

მეორე ჯგუფის ბიბლიიზმები ანუ ბიბლიური ფრაზეოლოგიური ერთეულები, როგორც დაკვირვებამ გვიჩვენა, ხასიათდება სპეციფიკური კანონზომიერებებითა და მახასიათებლებით. აქედან გამომდინარე, ერთეულების კლასიფიკაციას ვახდენთ სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით. სწორედ ამგვარ კრიტერიუმად გვევლინება სემანტიკურ-ეტიმოლოგიური კრიტერიუმი, რომელიც საფუძვლად უდევს ჩვენს მიერ შემუშავებულ სემანტიკურ-ეტიმოლოგიურ კლასიფიკაციას, რომლის მიხედვითაც ვანსხვავებთ ორი ტიპის ერთეულს:

1. საკუთრივ ბიბლიიზმებს;
2. ბიბლიიზე დაფუძნებულ ერთეულებს.

ამის შემდგომ ვახდენთ თითოეული ჯგუფის ქვეკლასიფიკაციას, რომლის შედეგადაც, გამოვყოფთ:

- ა. ბიბლიიზმებს, რომლებიც ბიბლიაშივე გადააზრდული მნიშვნელობით გამოიყენება და
- ბ. ბიბლიიზმებს, რომლებიც ბიბლიაში პირდაპირი მნიშვნელობით გამოიყენება;

მეორე ანუ ბიბლიიზე დაფუძნებული ერთეულების შემთხვევაში კი მეორადი ქვეკლასიფიკაციის დროს გამოვყოფთ ასევე ორ ქვეჯგუფს:

\* მიუხედავად იმისა, რომ საენათმეცნიერო დიტერატურაში ვხვდებით ტერმინ ბიბლიიზმს, ვიყენებთ ტერმინს ბიბლიიზმს და მიგვაჩნია, რომ სუფიქსთან ერთად ორი ერთნაირი სტრიქის გამოყენება არ ქმნის ფონგეტიკურ უხერხულობას.

- ა. ბიბლიურ ხდომილებაზე/პერსონაჟზე დაფუძნებულ ერთეულებს, სადაც  
აქტუალიზებულია ხდომილების/პერსონაჟის მთავარი სემა;
- ბ. ბიბლიურ პერსონაჟზე დაფუძნებულ ერთეულებს, რომლებიც ენაში  
დამკვიდრებულია კონკრეტული პერსონაჟის მეორეხარისხოვანი სემით.
- პირველ ჯგუფს, როგორც ითქვა, მივაპუნებთ იმ ბიბლიურ  
ერთეულებს, რომლებიც უშეალოდ ბიბლიიდან აღმოცენდნენ,  
კონკრეტული ბიბლიური ციტატიდან დამკვიდრდნენ მოცემულ ენაში, ე.ი.  
რომლებსაც ბიბლიაში მოეპოვებათ პროტოტიპი. ასეთ ერთეულებს  
ხაკუთრივ ბიბლიის მებებს ვუწოდებთ. მაგალითად: საკუთრივ ბიბლიიზე «პური  
არსობისა», «Daily bread», «Хлеб насыщний», «Pane quotidiano», წარმოიშვა  
საუფლო ლოცვიდან «მამაო ჩვენო»: «Give us today our daily bread», «პური ჩვენი<sup>o</sup>  
არსობისა მოგვეც ჩვენ დღეს», «Хлеб наш насыщный дааждь нам днес»,  
«Dacci oggi il nostro pane necessario» (მათე 6:11). დღესდღეობით ბიბლიიზე  
ნიშნავს ყველაფერ საჭიროს, აუცილებელს. გამოთქმა იმდენად ბუნებრივია  
საკვლევი ენებისათვის, რომ შესაძლოა სხვადასხვა ტიპის დისკურსში  
შეგვხვდეს მისგან ნაწარმოები ოკაზიონალურ ფრაზაც გამონათქვამისათვის  
მეტი ექსპრესიულობის მისანიჭებლად, სადაც მხოლოდ პირველწეროს ერთი  
ელემენტი დაფიქსირდება, მაგ. «ეკონომიკა ჩვენი არსობისა», (გადაცემა  
«დროება» 13 ივნისი, 2004 წ. ტელეკომპანია «იმედი»). თუ ავიღებთ დისკურსში  
აქტუალიზებულ აღნიშნულ ბიბლიიზე: «პური არსობისა, რომელსაც რეგლამა  
ქვია, უნდა შემოგვეჭრას ეთერში» (ანრი კაშიას გადაცემა, 19 იანვარი, 2004,  
ტელეკომპანია «იმედი»), დავინახავთ, რომ ერთეულის  
მნიშვნელობაა—ყველაფერი, რაც ადამიანისათვის აუცილებელი გამხდარა. იგივე  
ტიპის მაგალითებია ბიბლიიზები: «ედემის ბალი», «სამოთხის კარი», «ედლის  
გვირგვინი», «კისარს კისრისა», «A crown of thorns», «A drop in the bucket», «Una  
doccia nell'oceano», «ზღვაში წვეთი», «Капля в море», «To build on sand», «Abraham's  
bosom», «აბრაამის წიაღი», «Лоно Авраамово», «An eye for an eye, tooth for a tooth»,  
«თვალი თვალის წილ, ჯბილი ჯბილის წილ», «L'occhio per l'occhio, dente per  
dente», «Ока за ока, зуб за зуб», «Gate of heaven», «Врата небесные», «სამოთხის  
კარი», «L'uomo di poca fede», «Essere il sale della terra,» «Un piatto di lenticchie»  
«Scagliare la prima pietra», «Essere la pietra angolare», «ოხბის შეჭამანდი», «მამა  
აბრაამის ბატკანი», «ქრისტეს ვიწრო და გალიანი გზა», «Метать бимер перед

*свинями*, «Кесарево кесарю», «Альфа и омега» და სხვა. ყველა ამ ერთეულს უშეალოდ ბიბლიაში გააჩნია პროტოტიპი, მათი პირველწყარო შეიძლება იყოს თავისუფალი ფრაზა ან უკვე ბიბლიაში გადააზრებული მნიშვნელობით გამოყენებული ერთეული.

საკვლევი ენების ამ ტიპის ბიბლიოზმების ძირითადი ნაწილი ერთმანეთს ემთხვევა როგორც სემანტიკურად, ასევე ფორმალურად. აღსანიშნია ისიც, რომ სწორედ ამ ჯგუფის ბიბლიოზმები ქმნის ენათაშორის ბიბლიურ ეკვივალენტებს (იხ. ქვევით თავი 4.2) ანუ ამ ჯგუფის ბიბლიოზმები ენების მიხედვით არ მონაცელეობს. თუმცა შესაძლოა, რომ ერთ ენაში დამკვიდრებული იყოს ბიბლიოზმი და მას სმარების მაღალი სიხშირის ხარისხი ახასიათებდეს, სხვა ენაში კი შესაძლებელია, იმავე ბიბლიოზმს დაბალი სიხშირის ხარისხი ახასიათებდეს, ან ხასიათდებოდეს ნულოვანი შესატყვისით (თუმცა ასეთი შემთხვევა იშვიათია). მაგალითად, ბიბლიოზმი «The salt of earth» თავისი იტალიური და რუსული შესატყვისით «Il sale della terra», «Соль земли» შემდეგი ბიბლიური ციტატიდან მოდის: «You are the salt of the earth» (მათვ 5:13). ბიბლიოზმი ნიშნავს გამორჩეულ ადამიანს, მაშინ როდესაც ერთეულის ქართული შესატყვისი «მარილი ამა ქვეყნისა» რეალურად არსებული ბიბლიოზმია, მაგრამ მისი ხმარების სიხშირის ხარისხი სხვა საკვლევ ენებთან შედარებით, დაბალია, რადგან იგი ძირითადად საეკლესიო წრეებში გამოიყენება ქრისტეს გზაზე მოსიარულე ადამიანის ადსანიშნად. მაგალითად: «ეკლესიური ადამიანი არის მარილი ამა სოფლისა!» (საპატრიარქოს რადიო «ივერია», საუბრების მართლმადიდებელ მოძღვართან, 2005 წლის 18 მარტი). იგივე შეიძლება ითქვას ქართულ ბიბლიოზმზე «უკუნითი უკუნისამდე», რომელსაც ეკლესიური დატვირთვა მოეპოვება და ნიშნავს სამუდამოდ. ქართულში ეს მხოლოდ საეკლესიო გარემოში იხმარება, მაშინ როდესაც მისი ინგლისური შესატყვისი «For ever and ever» ჩვენი დაკვირვებით, უკვე ენაში ძალიან ხშირად ხმარებულ გამოთქმად დამკვიდრებულა, რასაც ვერ ვიტყვით იტალიურ და რუსულ ენებზე.

როგორც დაკვირვებამ გვიჩვენა, აღნიშნული ჯგუფის ბიბლიიზმებმა დროთა განმავლობაში ენების მიხედვით შეიძლება ცვლილებაც განიცადოს და შედეგად, შეიქმნას ერთეულის გარიობებული ფორმა. ახალი ერთეული მხოლოდ პირველწყაროს ვარიანტი იქნება და პირველწყაროსთან ერთად იქნება დაფიქსირებული ლექსიკონში. მაგ. ინგლისური ბიბლიიზმი: «*It is better to*

*give, than to receive»* ლექსიკონში დაფიქსირებულია მის ვარირებულ პირველწყარო-ფორმასთან ერთად: «*it is better to give than to take*», (Cambridge International Dictionary of Idioms and Phrases 1998: 67), ისევე როგორც იტალიური «*Aspettare il Messia*»—პირველწყარო ფორმით «*Aspettare la befana*» და სხვა. ასევე შეიძლება რომელიმე ბიბლიიზმის საფუძველზე შეიქმნას სრულიად განსხვავებული დატვირთვის მქონე ბიბლიიზმი. მაგალითად: «*lavarsene le mani*», სიტყვასიტყვით ითარგმნება როგორც ხელების დაბანა, იტალიურში ამ გამოთქმასთან ერთად შეიქმნა ერთეულის სახუმარო ფორმა «*lavarsene le mani e i piedi*» (იხ. ქვემოთ, თავი 4.4, გვ. 122).

ენათაშორისი საკუთრივ ბიბლიიზმების შესწავლამ დაგვანახა, რომ ამ ჯგუფის ბიბლიიზმების პროცენტულად უველაზე მაღალი რაოდენობა ინგლისურ ენაში დაფიქსირდა, სადაც შესწავლილი ბიბლიიზმების 68% საკუთრივ ბიბლიიზმია, მაშინ როცა, საკუთრივ ბიბლიიზმების უველაზე დაბალი რაოდენობა ქართულ ენაში დაფიქსირდა, რადგან შეგროვებული ბიბლიიზმების მხოლოდ 42%-ი ეკუთვნის ამ ჯგუფს. მაღალი მაჩვენებლის მიხედვით მეორე ადგილზეა რუსული ენა, სადაც საკუთრივ ბიბლიიზმების რაოდენობა მთლიანის 61%-ია, რის შემდეგაც მოდის იტალიური ენა, სადაც აღნიშნულმა მაჩვენებელმა 52% შეადგინა.

ბიბლიიზმების მეორე ჯგუფს მიგაკუთვნეთ ბიბლიურ ხდომილებაზე, ამბავსა და პერსონაჟზე დაფუძნებულ ბიბლიიზმებს. ეს ის ბიბლიიზმებია, რომლებსაც ბიბლიაში პროტოტიპული ფრაზა არ მოეპოვება—ისინი მხოლოდ რომელიმე ხდომილებას, პერსონაჟს ან ამბავს ეფუძნება და მათ საფუძველზე იქმნება. ასეთი ერთეულები ძირითადად, ენებს შორის მონაცემებს. იმ ბიბლიურ ერთეულების უმრავლესობა, რომელთა ანალოგიც სხვა ენის ბიბლიურ ერთეულთა ფონდში ვერ მოვიძიეთ, სწორედ ამ ჯგუფს მიეკუთვნება. თუმცა ხშირია შემთხვევები, როდესაც ენები ერთი და იგივე ხდომილებაზე დაფუძნებით ქმნიან ბიბლიურ ერთეულს, ოდონდ ამისთვის იყენებენ სხვადასხვა ან მსგავს ლექსიკურ ერთეულებს. ბიბლიაზეა დაფუძნებული ქართული ბიბლიური ერთეული «კეთილი საქმეები» სამენოვანი შესატყვისით: «*good works*», «*affari buoni*», «*модные дела*». როგორც ვხედავთ, ქართულმა და რუსულმა ერთეულში გამოიყენა სიტყვა «კეთილი», ხოლო ინგლისურმა და იტალიურმა «კარგი». ასევე ბიბლიურ ხდომილებაზეა დაფუძნებული ერთეული «ზეციური

მანა», «*manna dal cielo*», «*manna from heaven*», «*манна небесное*», რომელიც ძველი აღქმიდან წარმოიშვა და ნიშნავს მოულოდნელ მატერიალურ დახმარებას ან წყალობას. აღნიშნული შემთხვევების გარდა, შეიძლება სხვა კანონზომიერებამაც იმოქმედოს: გარდა იმ ბიბლიურ სიუჟეტებზე დაფუძნებული ბიბლიიზმებისა, რომლებიც ზოგადსაკაცობრიო და შეუცვლელი დატვირთვისანი არიან, ენამ შეიძლება ბიბლიიდან ისესხოს სიტყვა და თავისი სპეციფიკიდან და საჭიროებიდან გამომდინარე, მის საფუძველზე ააგოს ფრაზეოლოგიური ერთეული. ასეთი ერთეულები უკავშირდება ბიბლიურ ამბავს, პერსონაჟს ან ხდომილებას. ეს ბიბლიიზმები ენებში იშვიათად ემთხვევა ერთმანეთს, ალბათ იმიტომ, რომ ენას გააჩნია თავისი სპეციფიკა-ურველი ენა სხვადასხვაგარად აღიქვამს და გარდაქმნის ამა თუ იმ მოვლენას და აქედან გამომდინარე, ამ ჯგუფის ერთეულები განსხვავდება საკვლევ ენებში. მაგალითად: ქართულ ში არსებობს გამოთქმა «იუდას კერძი», რაც არცერთ სამ საკვლევ ენაში არ არსებობს, ისევე როგორც იტალიურ ში არსებობს ბიბლიიზმი «*ai tempi di Noè*»\*, რომელიც სიტყვასიტყვით ქართულად ითარგმნება: «ნოეს დროინდელი» და აღნიშნავს ძალიან ძველს. იგივე ტიპის მაგალითია რუსული: «*Как у Христа за пазухой*», რაც კარგად ცხოვრებას ნიშნავს, «имеюший уши, да услышит», ქართული «*ქრისტეს ტირილი*», რაც დიდ მწუხარებას ნიშნავს, «с Богом», «Боже вас сохрани», ინგლისური «good heavens», «amen to that» და სხვა. ამ ჯგუფის ენათაშორისი ბიბლიიზმების პროცენტული მაჩვენებლები ასე ნაწილდება: ყველაზე მაღალი რაოდენობით ბიბლიაზე დაფუძვნებული ერთეულები დაფიქსირდა ქართულ ში, სადაც ამ მაჩვენებელმა მთლიანი ფონის ერთეულების 58% შეადგინა; შემდეგ მოდის იტალიური-48%-ით, რუსული-39%-ითა და ინგლისური, ყველაზე დაბალი მაჩვენებლით-32%-ით.

ეტიმოლოგიურ-სემანტიკური კრიტერიუმით ბიბლიიზმების პირველადი კლასიფიკაციის დროს ერთეულები შემდეგნაირად უპირისპირდებიან ერთმანეთს: 1. ბიბლიური წარმოშობის ბიბლიიზმები ანუ საკუთრივ ბიბლიიზმები და 2. ბიბლიურ ხდომილებაზე, ამბავზე ან პერსონაჟზე დაფუძნებული ბიბლიიზმები.

\* ამ შემთხვევაში ბიბლიიური ერთეული სპეციფიკურად იგბა ყველა ენაში. მოყვანილ ერთეულ ში *boidzgadis* გამოსახატავად იტალიურ ში დამკვირდა ლუქსემბა ნოჟ, ხოლო ქართულ ში— ადამი. გადააზრების მიმართეულება ორივე ენისათვის მხგავს: როგორც ადამი, ასევე ნოჟ, სიძველის მნიშვნელობით გამოიყენება

ბიბლიიზმების თითოეულ ჯგუფში ვახდენთ ქვეპლასიფიკაციას, რომლის მიხედვითაც ორივე ტიპის ერთეულებს უკვე საკუთრივ სემანტიკურ კრიტერიუმზე დაყრდნობით ვყოფთ ორ ქვეჯგუფად. საკუთრივ ბიბლიიზმების შემთხვევაში პირველ ქვეჯგუფში ვაერთიანებთ ბიბლიიზმებს, რომლებიც ბიბლიაშივე გადააზრებული იდიომატური მნიშვნელობით გამოიყენებოდა. ამ ჯგუფს ქვეპლასიფიკაციის დროს გამოვყოფთ, ხოლო ა. ქუნინი, როგორც ვნახეთ, მსგავს ბიბლიიზმებს ცალკე ჯგუფად ახასიათებს. ამ ტიპის ბიბლიიზმის მაგალითი იქნება უკვე განხილული ერთეული: «*Essere il sale della terra*», «*The salt of earth*», «*Соль земли*», «*мъртвите погреби съмът*». ბიბლიიზმი ქრისტეს სწავლებიდან მოდის: «*Voi siete il sale della ferro, ma se il sale perde il sapore con che cosa gli ristituirà*» (მათე 5:13), და თავიდანვე ხატოვანი მნიშვნელობით გამოიყენებოდა. ამავე ტიპისა ბიბლიური გამოთქმა: «*det the dead bury the dead*», «*lasciare che i morti sapelliscano i morti.*» (ქართულსა და რუსულში ხმარებულ ფრაზეოლოგიურ ერთეულებად არ შეგვხვედრია). ეს ბიბლიიზმიც ბიბლიაში ხატოვანი მნიშვნელობითაა გამოყენებული: «*follow me, and let the dead bury the dead*» ( მათე 8:21-22) და ნიშნავს: რაც მოხდა, მოხდა, ახლა ხვალინდება დღეზე ვიზიტორ. ასევე შემდეგი ბიბლიიზმი: «*вдруга иль вдруга в пустыне*», «*essere una voce nel deserto*», «*a voice crying out in the wilderness*», რომელიც ნიშნავს ფუჭ, უსარგებლო ძალისხმევასა და მცდელობას. მნიშვნელობის ნათლად ილუსტრირებისათვის მოვიყვანოთ მაგალითი: «*когда вы обещали землю* და *заповеди* ხმად მღადადებლისა უდაბნოსა შინა» (რუსთავი 2, ასლან აბაშიძის მიმართვა, საინფორმაციო გადაცემა «კურიერი» 2003). იგივე ტიპის ბიბლიიზმების მაგალითებია: «*essere un sepolchro imbiancato*», «*гроб поваленный*» «*a whitened sepulchre*», «*заповеди на свинью*», «*cast pearls before swine*», «*без разумом моргавлю боязлив*», «*gettare le perle ai porchi*», «*бросить жемчуг перед свиньями*», «*promised land*» და სხვა. ჩვენი დაკვირვებით, ამ ქვეჯგუფის ბიბლიიზმებს ძირითადად შეადგენებ ქრისტეს იგავებიდან დამკვიდრებული ერთეულები რომლებიც, ბუნებრივია, იგავებშივე გადააზრებულ პლანში გამოიყენებოდა. მეორე ქვეჯგუფს მივაკუთვნებთ იმ ბიბლიურ ერთეულებს, რომლებიც ბიბლიაში პირდაპირი მნიშვნელობით გამოიყენებოდა, შემდეგ კი შეიძინა

იდიომატურობა და გადააზრებული მნიშვნელობით შევიდა ენის ფრაზეოლოგურ ფონდში. ასეთი ბიბლიური ფრაზეოლოგიური ერთეულებია: «მშვიდობის მტრედო» თავისი სამენოვანი შესატყვისით «*the dove of peace*», «*la colomba della pace*», «*голуб мира*». ნოემ, ბიბლიის თანახმად, წარდგნის მეორმოცე დღეს წარდგნის დასრულება სწორედ მტრედისაგან შეიტყო: მან გააგზავნა მტრედი – მის მიერ გაგზავნილი მტრედი რამდენიმე დღეში ზეთისხილის ტოტით დაბრუნდა. აქედან საკვლევ ენებში დამკვიდრებულია გამოთქმა «მშვიდობის მტრედი», «*the dove of peace*», «*голуб мира*», «*la colomba della pace*», რომელიც მშვიდობისმყოფელი, კეთილგანწყობილი ადამიანის დასახასიათებლად იხმარება; «*to sell one's birthright for a mess of pottage*», «*vendere qualcosa per un piatto di lenticchie*», «*продать что-то за миску чечевичной похлебки*», «(რაიმე) გაყიდვა ოსპის შეჭამანდუა». ინგლისური იდიომების ლექსიკონის მიხედვით ამ ბიბლიიზმში: «the allusion is made to Esau's birthright which he sold to his brother Jacob for a mess of pottage» (ლონგმენის ლექსიკონი 1990: 97).\* იგივე ტიპის მაგალითად შეგვიძლია განვიხილოთ «*thirty pieces of silver*», «*тридцати злотых*», «*trenta monete d'argento*», «*тридцать (серебров) сребренников*». როგორც ცნობილია, იუდამ ქრისტე თცდათ გერცხლად გაყიდა. დღესდღეობით «*тридцати злотых*» ნიშნავს ყველაფერ იმას, როთაც დაცემა, დალატი ხდება. ბიბლიიზმი «*უძღები შვილი*», «*prodigal son*», «*il figlio prodigo*», «*блудный сын*» ქრისტეს იგავიდან მოდის, სადაც მოთხოვბილია თუ როგორ გაფლანგა შვილმა მამის ქონება და ბოლოს კვლავ მშობელს მიადგა ულუქმაპუროდ დარჩენილი. დღესდღეობით, ბიბლიიზმი «*უძღები შვილი*» ის ადამიანია, რომელიც არ ემორჩილება სხვების ნებას და თავის ნებაზე ცხოვრობს. «*სოდომი და გომორი*», «*Sodom and Gomorrah*», «*Содом и Гоморри*», «*Sodoma e Gomora*» სახელია თრი ბიბლიური ქალაქისა, სადაც ბიბლიის მიხედვით, «*არამართალნი*» ცხოვრობდნენ და რომელიც უფალმა განადგურებით დასაჯა. ამ სახელებს პირდაპირი მნიშვნელობის გვერდით გადააზრებული მნიშვნელობაც გააჩნია და ნიშნავს საშინელი არეულობას, ხოლო მისი ვარირებული ვარიანტი «*სოდომ-გომორის ცოდვა*» მამათმავლობას ნიშნავს. გამოთქმა «*lavarsene le mani*», «*wash ones*

\* როგორც ვხედავთ, ბიბლიიში გამოყენებული ლექსება «მემკვიდრეობა» მხოლოდ ინგლისურ ერთეულშია შემთხახული

*hands», «безъягоди с рука», «умыть руки» альчиоаа პილატის ქმედებისა. კერძოდ, პილატემ ბიბლიის თანახმად, შეიგრძნო ქრისტეს უცოდველობა, მაგრამ მის გამართლებაში ჩარევა არ მოინდომა. მოატანინა წყალი, დაიბანა ხელები და ამით პასუხისმგებლობა მოიხსნა\*. ბიბლიიზე არ შეგვხვდრია. ბიბლიაში იგი პირდაპირი მნიშვნელობითაა გამოყენებული—ალუზია კვლავ პილატეს ქმედებას უკავშირდება. პილატემ, როგორც ბიბლია გვაუწყებს, დარწმუნებულმა ქრისტეს უდანაშაულობაში, პასუხისმგებლობა მოიხსნა და ქრისტე ჰეროდესთან გააგზავნა, რომელმაც, თავის მხრივ, უდანაშაულო ადამიანი კვლავ პილატეს მიჰგარა. დღესდღეობით აღნიშნული იტალიური გამოთქმა ნიშნავს სხვისი ბედისადმი უინტერესობის გამოჩენას, სხვების გასაჭირის უგულებელყოფას. ამავე ტიპის ერთეულები იქნება: «*a lost sheep*», «*гъаадьбъеулъо ცѣгаრо*», «*заблудшая овца*», «*pecora smarrita*», «*forbidden fruit*», «*ајрдаლъуло бољо*», «*il frutto proibito/vietato*», «*запретный плод*» და სხვა\*.*

საკუთრივ ბიბლიიზემების ორ ქვეჯგუფის სტატისტიკური მაჩვენებლები შემდგნაირად გამოიყერება: ინგლისურსა და რუსულში 43% პირველი ქვეჯგუფის ერთეულებია, 57%-მეორესი. სხვა ენებში ეს მაჩვენებლები ასე ნაწილება: ქართული 36%-64% და იტალიური 44%-56%. ე.ი. იტალიურში ყველაზე ხშირია უკვე ბიბლიაში იდიომატურად გამოყენებული ბიბლიიზმების შემთხვევები, მას მოსდევს ინგლისური და რუსული და ბოლოს—ქართული.

მეორე ჯგუფის ბიბლიიზმებში (ე.ი. ბიბლიურ პერსონაჟებ, ქმედებაზე დაფუძნებულს ერთეულებში) ასევე ორ ქვეჯგუფს გამოვყოფთ: ბიბლიიზმები, რომლებიც ბიბლიურ ხდომილებას/პერსონაჟს ეფუძნება მთავარი სემის აქტუალიზაციით: «*ხოლომონ ბრძენი*», «*იობის დღეში ჩავარდნა*», «*essere una Babele*», «*Fare quanto Nemo*», «*Беден как Иоф*», «*the Old Adam*» და სხვა. ასეთ შემთხვევებში მიუხედავად იმისა, რომ ერთეულების სტრუქტურა შეიცავს ბიბლიური ერთეულებიდან გამომდინარე საკუთარ სახელებს, უტრირებულია ქმედება და ერთეულიც დატვირთვასაც ამა—თუ იმ პერსონაჟის ქმედებიდან გამომდინარე იღებს. მაგალითად: ბიბლიიზმში «fare


\* ხელების დაბანის პროცედურა ერთაედების ედლებისური მსახურების ნაწილი იყო: მდგრელი გამოატანინებდა წყალს, დაიბანდა ხელებს, რაც ცოდვებისგან გათავისუფლებას ნიშნავდა;

\* ამ და სხვა ტიპის ბიბლიიზმების მაგალითები იხ. დანართები II, III, IV და V

come Pilato» (თარგ: პილატესავით მოქცევა), ეს ქმედება პილატეს მიერ პასუხისმგებლობის მოხსნაა. მეორე ქვეჯგუფში კი შედის ბიბლიურ პერსონაჟები დაფუძნებული ერთეულები, რომლებშიც საკუთარი სახელი მთავარი განსაზღვრული სემით არაა დამკვიდრებული. მაგალითად: თუ «ლაზარე» ასოცირდება დვოის სასწაულით აღმდგარ ადამიანთან, გამოთქმაში «ლაზარესებრ დასველება» ეს სემა არარელევანტურია და არ განაპირობებს ერთეულის სემანტიკურ დატვირთვას. იგივე შეიძლება ითქვას იტალიურ ბიბლიიზმზე «Venire dalla costola d'Adam». (თარგ: ადამის ნეკნიდან წარმოქმნილი), სადაც არარელევანტურია «ადამის» მთავარი სემები: «ძელი» ან «ცოდვილიანობა». უფრო ზუსტად, ეს ისეთი შემთხვევებია, როდესაც დარღვეულია კავშირი ლექსემის ძირითად მნიშვნელობას და ერთეულში ამ ლექსემის აქტუალიზებულ მნიშვნელობას შორის: ამ დროს წინ წამოიწევს სემა, რომელსაც სემათა იერარქიაში მეორადი ადგილი უკავია და სწორედ პერიფერიული სემით ხდება ერთეულის მნიშვნელობის აქტუალიზაცია. ადნიშნული ქვეჯგუფის სხვა ბიბლიიზმების მაგალითებად შეგვიძლია მოვიყვანოთ: «ai tempi di Noè», (ნოეს დროინდელი) «პილატეს ცრემლი» (არაყი) «იუდას კერძი» (მატუურა), «Adam's apple», «Давид и Ионафан», «ромо d'adamo» და სხვა.

როგორც პვლევამ გვიჩვენა, პირველი ქვეჯგუფის ერთეულები სტატისტიკური მონაცემებით ყველა საკვლევ ენაში აღემატება მეორე ქვეჯგუფის ბიბლიიზმებს. კერძოდ, მთავარი სემით აქტუალიზებული ერთეულების მაჩვენებლები შემდეგნაირად გამოიყურება: ინგლისურსა და რუსულში იგი შეადგენს 67%, ქართულში 56%, ხოლო იტალიურში-86%. შესაბამისად, მეორე ქვეჯგუფის ერთეულები, სადაც არ ხდება მთავარი სემის უტრირება საკვლევ ენებში შემდეგნაირად განაწილდა: ინგლისური და რუსული 33%, ქართული 44% და იტალიური 14%.

მიმართება პირველი ჯგუფის ბიბლიიზმების ქვეჯგუფებს შორის შემდეგნაირია: უზუალური მნიშვნელობის ბიბლიიზმის პროტოტიპი VS ოკაზიონალური მნიშვნელობის ბიბლიური პროტოტიპი. ხოლო მეორე ჯგუფის ბიბლიიზმებში კი-ხდომილებაზე/პერსონაჟები დაფუძნებული ბიბლიიზმები, სადაც რელევანტურია მთავარი სემა VS პერსონაჟები დაფუძნებული ერთეულები, სადაც მთავარი სემა არარელევანტურია.



## 2.2 ბიბლიის სემანტიკური კლასიფიკაცია

ბიბლიიზმების მომდევნო ტიპოლოგიურ კლასიფიკაციას საფუძვლად დავუდეთ უშუალოდ სემანტიკურ კრიტერიუმი. ამ შემთხვევაში, ვიკლევთ ბიბლიიზმებს შორის არსებულ იმ სხვაობებს, რომლებიც ერთეულებს შორის უშუალოდ სემანტიკურ ხაზზე გადის. ბიბლიიზმების ამ კუთხით კლასიფიკირების დროს ვეურდნობით ა. კუნინის ძველ კლასიფიკაციას (კუნინი 1967: 34-55) და გამოვყოფთ ორი ტიპის ბიბლიურ ფრაზეოლოგიურ ერთეულს: იდიომს, სრულად გადააზრუნვლი მნიშვნელობით და ფრაზეოლოგიზმს, ნაწილობრივ გადააზრუნვლი მნიშვნელობით. განსხვავება ორი ტიპის ბიბლიურ ერთეულს შორის სემანტიკურ ზღვარზე გადის: იდიომი-ბიბლიიზმები სრულად გადააზრუნვლი ერთეულებია, რომლის არცერთი კომპონენტი არ ინარჩუნებს დენოტაციურ მნიშვნელობას, თუმცა შეიძლება იყოს მოტივირებულები და არამოტივირებულები. მოტივაცია, ჩვენი დაკვირვებით, ერთეულის შიდა სტრუქტურის გამჭირვალობის ან ერთეულის ხშირი გამოყენების შედეგია. ხატოვნების ხარისხიც სწორედ მოტივაციის ხარისხითაა განპირობებული. იდიომ-ბიბლიიზმთან გვაქვს საქმე ერთეულ «აბრაამის წიაღის» შემთხვევაში, (თავისი სამენვანი შესატყვისით: «*Abraham's bosom*», «*l'orto di Abramo*», «*лоно Абраамово*»). აღნიშნული ერთეული წარმოშვა შემდეგი ბიბლიური ციტატიდან: «*And it came down to pass that the beggar died and was carried by the angels into Abraham's bosom*» (ლუკა 16: 22-23) და მისი მნიშვნელობაა *ხამოთხე*<sup>\*</sup>. თუ ამ

\* შემოკლებების სია იხ. დანართი VII

\* აღსანიშნია, რომ ეს გამოთქმა ხმარების მაღალი ხარისხით ხასიათდება ინგლისურ, ქართულ და იტალიურ ენებში, რესულში კი მსგავსი მნიშვნელობის გამოხახულებად უფრო გამოყენებადია გამოთქმა «ангелское терпение» (ხაგომი 2004: 179).

ბიბლიიზმის სემურ ანალიზს მივმართავთ, დავინახავთ, რომ მასში არცერთი კომპონენტი პირდაპირი მნიშვნელობით არ გამოიყენება, კომპონენტების კომბინაცია კი გვაძლევს თვისობრივად ახალ მნიშვნელობას—სამოთხეს. ერთეული მოტივირებულია, რადგან ჩვენი ფონური ცოდნიდან გამომდინარე, ვხვდებით თუ რა იმპლიკაციის მატარებელია ლექსემა აბრაამი, რომ რომ ესაა ქელი აღქმის პატრიარქი, რომლის სახელთანაცაა დაკავშირებული მნიშვნელობანი ბიბლიური მოვლენები. თუმცა ზოგადად, მოტივაციის გაგებაც, როგორც აღინიშნა, შეიძლება, საკამათო აღმოჩნდეს. შეიძლება, წარმოიშვას კითხვა: რა არის მოტივაცია, არსებობს კი მისი დადგენის ზოგადი კრიტერიუმი? მოტივაცია, ჩვენი აზრით, მონაცემებს ინდივიდების, ჯგუფების და ა. შ. მიხედვით. ის, რაც ერთისოვის მოტივირებულია, შეიძლება არამოტივირებული აღმოჩნდეს მეორესათვის. მაგალითად, გამოთქმა «*Jacob's ladder*» ბიბლიური იაკობის სიზმარს უკავშირდება, როდესაც მან სიზმარში ზეცაში ამავალი კიბე ნახა. გამოთქმა შესაბამისად, გამოიყენება ზეცაში ასასვლელი გზის აღსანიშნად. ბიბლიიზმი შეიძლება მოტივირებული იყოს ინდივიდთა ერთი ნაწილისათვის, ვინც აღნიშნულ ისტორიას იცნობს და არამოტივირებული—მეორე ჯგუფისათვის, რომლისთვისაც ორი სიტყვის Jacob-ისა და ladder-ის კომბინაცია ბევრი არაფრის მთქმელია. მსგავსი შემთხვევები გარკვეულწილად, ფონურ ცოდნასა და ბიბლიური ერთეულის ეტიმოლოგიის ცოდნას უკავშირდება. გარდა ამისა, არსებობს სხვა შემთხვევაც, კერძოდ: როდესაც ერთეულის მომხმარებელმა არ იცის ერთეულის ეტიმოლოგია, მაგრამ ერთეული მისთვის მოტივირებულია. მაგალითად, ბიბლიიზმის «ორი ბატონის მსახურება» (თავისი სამენოვანი ეკვივალენტით «servire ai due padroni», «serve God and mammon», «служить Богу и маммоне») შემთხვევაში შესაძლოა, ერთეულის მომხმარებელმა არ იცოდეს რა მსახურებაზეა საუბარი, მაგრამ კონტექსტში მართებულად დააკავშიროს აღმნიშვნელი აღსანიშნება.

მეორე ჯგუფის ბიბლიიზმებში—ბიბლიურ ფრაზეოლოგიზმებში სულ მცირე ერთი კომპონენტი თავისი საწყისი მნიშვნელობით უნდა იყოს აქტუალიზებული. იტალიური ბიბლიური ფრაზეოლოგიზმი «fare come Pilato», სიტყვასიტყვით პილატესაგით მოქვევას ნიშნავს. ჩვენი აზრით, ეს მაგალითი სწორედ თკაზიონალური ფრაზეოლოგიზმის უზუალურად გადაქცევის

შედეგია: ენამ ნასესხები სიტყვა «Pilato»-საგან-იდიომატური მნიშვნელობით დატვირთული ლექსემისგან შექმნა გამოთქმა «Fare come Pilato», რომელიც მეტყველებაში ხშირი ხმარების შედეგად გახდა მზა სახის ფრაზეოლოგიზმი, (ნიშნავს პასუხისმგებლობის აცილების მცდელობას). თუმცა, აუცილებელი არა, რომ ერთეულმა მსგავსი გზა გაიაროს, რადგან, ფრაზეოლოგიზმების ნაწილი ენაში სხვა ფონდიდან არ დამკვიდრებულა. ბიბლიური ფრაზეოლოგიზმის მაგალითი იქნება «avere pazienza di Giobbe», «to have the patience of Job», «*и отъи* братия небеса» პირდაპირი მნიშვნელობა მოეპოვება, რაც ერთეულს ნაწილობრივ მოტივირებულს ხდის.

ბიბლიური ფრაზეოლოგიზმების სხვა მაგალითებია:

1. *Братия* ( братия პირდაპირი მნიშვნელობით);
2. *Беден как Иоахим* ( беден პირდაპირი მნიშვნელობით);
3. *Ai tempi di Noe* (tempi პირდაპირი მნიშვნელობით);
4. *A doubting Thomas*-Фома неверный, устроивший сомнение ( устроивший პირდაპირი მნიშვნელობით);
5. *отец лжи* (ложь პირდაპირი მნიშვნელობით);
6. *Беден как Иов* (беден პირდაპირი მნიშვნელობით);
7. *Essere un Eden* (essere პირდაპირი მნიშვნელობით);
8. *Aspettare il corvo* (corvo პირდაპირი მნიშვნელობით);
9. *Lord is my Sheperd* (Lord პირდაპირი მნიშვნელობით ) და სხვ.

როგორც კვლევამ გვიჩვენა, შესწავლითი იტალიური ბიბლიიზმების 58% იდიომია, ხოლო 42% ფრაზეოლოგიზმი, ქართულში კი 65% იდიომი და 35% ფრაზეოლოგიზმი; თითქმის მსგავსი მონაცემებია რუსულში, სადაც 64% იდიომია, ხოლო 36% ფრაზეოლოგიზმი, მაშინ როდესაც ინგლისურში იდიომების ყველაზე დიდი რაოდენობა დაფიქსირდა, კერძოდ 72%, ფრაზეოლოგიზმის კი-მხოლოდ 28%<sup>1</sup>.

<sup>1</sup>

კვლევისთვის გამოყენებულია სულ 987 ოთხნოვანი ბიბლიური ფრაზეოლოგიური ერთეული, აქტერი: ინგლისური-316, ქართული-201, იტალიური-281 და რუსული-189

### III ნაშილი

#### ბიბლიოგრაფიული სტრუქტურული მახასიათებლები და თავისებურებანი

##### 3.1 ბიბლიოგრაფიული და სინტაქტიკა

ენობრივი ნიშნის ცნება გულისხმობს ნიშნის სტრუქტურის ორმაგ აღნაგობას—მის მოცულობას პორიზონტალურ და ვერტიკალურ ჭრილებში (ლებანიძე 1998: 24-29). ყოველი ნიშანი პორიზონტალურ ჭრილში იერარქიის რომელ დონეზეც არ უნდა იმყოფებოდეს, ხასიათდება სამი განზომილებით, რომლებსაც სემიოტიკის, როგორც ერთიანი მოძღვრების მიხედვით, ეწოდება სინტაქტიკა, სემანტიკა და პრაგმატიკა. პირველი განზომილების—სინტაქტიკის ფარგლებში ვახდენთ ბიბლიოგრაფიის სტრუქტურული მახასიათებლების და თავისებურებების შესწავლას, აგრეთვე ბიბლიოგრაფიის სინტაქსური მიმართებების დადგენასა და მათი შეპირისპირებითი კვლევას.

სინტაქტიკა (ბერძ. Syntaxis შედგენა, თანწყობა) ანუ სინტაქსი ენათმეცნიერების განვითარების პირველ ეტაპზე ლინგვისტთა ყურადღების ცენტრში იმყოფებოდა. შესაბამისად, ხდებოდა ენობრივ ნიშნებს შორის არსებული სინტაქსური მიმართებების, ნიშანთა შორის არსებული წრფივი მიმართებების, მიმდევრობაში ნიშანთა განაწილების შესწავლა. მოგვიანებით აქცენტმა სემანტიკაზე გადაინაცვლა, (ბერძ. semantikos-მნიშვნელობის მქონე) ანუ ენათმეცნიერთა ყურადღების ცენტრში მოექცა, შეესწავლათ თუ რა მიმართება არსებობდა აღსანიშნს და აღმნიშვნელს შორის. ენათმეცნიერების განვითარების მესამე ეტაპზე კი წინ წამოიწია პრაგმატიკულმა განზომილებამ, (ბერძ. pragma-საქმე) ანუ იმის დადგენამ, თუ რა დამოკიდებულობაშია აღსანიშნი და აღმნიშვნელი ენის მომხმარებელთან. ენის პრაგმატიკული ასპექტი მოიცავს როგორც სინტაქსურ, ასევე სემანტიკურ ასპექტებს, ამიტომ იგი ყველაზე ტევადი და ფართოა. სწორედ ეს სამი დისციპლინა ქმნის ენობრივი ნიშნის სამგანზომილებიან სისტემას. მეცნიერთა აზრი იმის შესახებ, თუ რომელი განზომილება უფრო მნიშვნელოვანია, ცვალებადია. თუმცა, ბოლო დროის ტენდენციით, უპირატესობა პრაგმატიკულ ასპექტს ენიჭება, რადგან იგი მოიცავს როგორც სინტაქტიკურ, ასევე სემანტიკურ ასპექტებს (გამყრელიძე 2003: 34). ბიბლიოგრაფიის შესწავლა აღნიშნული სამი დისციპლინის

პოზიციებიდან თავისთავად გულისხმობს ერთეულების შესწავლას ენობრივი სისტემის პორიზონტალურ ჭრილში. ენობრივი ნიშნის სამგანზომილებიანი სისტემის პირველი განზომილების პოზიციიდან ნაშრომში ხდება ბიბლიიზმის, როგორც აღმნიშვნელის შესწავლა თავისი მახასიათებლებითა და თავისებურებებით. ბიბლიიზმებში აღმნიშვნელსა და ადსანიშს შორის არსებული მიმართებების შესწავლა სემანტიკის პრეროგატივაა, ხოლო უკვე პრაგმატიკის სახდვრებში ხდება ნიშნის მომხმარებლის დამოკიდებულების კვლევა ბიბლიიზმისადმი (გამყრელიძე 2003: 30).

ბიბლიიზმების სინტაქტიკური კვლევა უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს მათ სტრუქტურულ კვლევას. ბიბლიიზმი, როგორც ავლიშნებო, მრავალი წლის განმავლობაში მოიაზრებოდა ფრაზეოლოგიური ერთეულის ნაირსახეობად. ფრაზეოლოგიური ერთეულის სტრუქტურა კი სემანტიკასთან შედარებით, ნაკლებადაა შესწავლილი. თუმცა მოკლედ, მაგრამ მაინც გამოითქმებოდა აზრი ფრაზეოლოგიური ერთეულის სტრუქტურის შესახებ. ვ. ვინოგრადოვი, ზემოთგანხილული სემანტიკური კლასიფიკაციის ავტორი თვლის, რომ ნებისმიერი სახის ფრაზეოლოგიური ერთეული წარმოადგენს მზა სახის გამოთქმას, რომელიც მეტყველებაში არ იცვლება და რომელსაც გააჩნია მდგრადი ლექსიკური კომპონენტები (ვინოგრადოვი 1947: 98-102). მაგალითად, ბიბლიიზმს «*the kiss of Judas*» სტაბილურობა ახასიათებს. მასში ლექსემა *Judas* სხვა ლექსემით ცანაცვლება ერთეულის აზრის რღვევას გამოიწვევს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ვ. ვინოგრადოვი ფრაზეოლოგიურ ერთეულში უარყოფს ვარიაციის შესაძლებლობას. ჩვენი აზრით, ეს მოსაზრება ფრაზეოლოგიური ერთეულების მხოლოდ ნაწილზე ვრცელდება, რადგან როგორც კვლევაზ დაგვანახა, ბიბლიიზმების მხოლოდ ნაწილია მდგრადი ლექსიკური კომპონენტების მქონე, ნაწილი კი ვარიაციას უშვებს. ამის თვალსაჩინო მაგალითია ბიბლიური ერთეული «*stolen fruit*», რომელიც არ წარმოადგენს სტაბილურ ერთეულს, რადგან იგივე აზრის გამოხატვა შეიძლება ვარირებული ფორმით «*forbidden fruit*». ამავე ტიპის მაგალითები შეიძლება მოვიყვანოთ სხვა ენებშიც: ქართულ ბიბლიიზმში «*კაუნის ბეჭედი*» ლექსემა «*ბეჭედი*» ვარირებს ლექსემა «*ნიშანთან*», რუსული ბიბლიიზმის «*сосуд скудельный*» ვარირებული ფორმაა «*некоштнеший сосуд*», იტალური ერთეულში «*predicare la croce adosso a qualcuno*» კი ლექსემა «*predicare*» ვარირებს «*bandire*-სთან და სხვა. ასე რომ,

თქმულიდან გამომდინარე, ვ. ვინოგრადოვის შეხედულება ფრაზეოლოგიური ერთეულის სტრუქტურაზე ჩვენთვის მიუღებელია.

ა. სმირნიცკი, ფუნქციონალური კლასიფიკაციის ავტორი უფრო უდრმავდება ფრაზეოლოგიური ერთეულის სტრუქტურას და მიიჩნევს, რომ მისთვის დამახასიათებელია სემანტიკური და ლექსიკური მდგრადობა, რითაც ფრაზეოლოგიური ერთეული სხვა ენობრივი ერთეულისაგან განსხვავდება (სმირნიცკი 1956: 54-97). მაგალითად: *«even last words»* მდგრადი ერთეული იქნება, რადგან მნიშვნელობა მიღწეულია სიტყვების ჯამით და თავისებური ფორმით. თუ ჩვენ სიტყვა *«words»*-ის ნაცვლად ამავე ლექსემის მხოლობით ფორმა *«word»*-ს გამოვიყენებოთ, გრამატიკულ წყობასთან ერთად, აზრიც დაირღვევა. ასეთი გრამატიკული სტაბილურობა, ჩვენი დაკვირვებით, თავს იჩენს ბიბლიური ფრაზეოლოგიური ერთეულის მხოლოდ მცირე ნაწილში და შესაბამისად, მას ვერ მივიჩნევთ ბიბლიოზმების ტოპოლოგიურ ნიშნად.

ბიბლიიზმებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ზოგადად, ფრაზეოლოგიური ერთეული არ არის გრამატიკულად მდგრადი, რადგან შესაძლოა ერთეულის კომპონენტის გრამატიკული ცვლილება. არც ლექსიკური მდგრადობაა მისი დამახასიათებელი დიფერენციალური ნიშანი, რადგან მაგალითისათვის *«ქრისტეს გამყიდველს»* ვიტყვით თუ *«ქრისტეს გამცემს»*, აზრი არ დაირღვევა.

ა.სმირნიცკი, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ფრაზეოლოგიურ ერთეულებს სიტყვის ეკვივალენტებად მიიჩნევს (სმირნიცკი 1956: 48). მაგალითად, ბიბლიიზმი *«a widow's mite»* მისთვის არსებითი სახელის ეკვივალენტი იქნებოდა, *«to pass by the other side»* კი-ზმნისა. ჩვენ ამ აზრის საპირისპიროდ, ვეთანხმებით მეცნიერთა იმ მოსაზრებას (ბარანოვი 1995: 99-105, რუსიქშვილი 1989, ჩერდასტევა 1997: 347-412, ბოლკენი 1996: 20-25, ჩერჩი.. 1994: 153-177 და სხვა), რომლის მიხედვითაც აღნიშნული მახასიათებელიც არაა ფრაზეოლოგიური ერთეულის აბსოლიტური დისტინქციური ნიშანი რადგან, გარდა სიტყვა-ეკვივალენტებისა, არსებობს წინადადების ფორმის მქონე ფრაზეოლოგიური ერთეულებიც: *«To him that has shall be given»*, *«to reap what one has sown»*, *«guardare la pagliuzza nell'occhio altrui»*, *«mandare qualcuno da Erode a Pilato»*, *«у́жто ծе́рғо та́мьса а́р მოგაյლდება»*, *«ქრისტეს გიწრ და ეკლიან გზაზე სვლა»*, *«бросить первый камень на кого-то»* და ა.შ.. აქედან გამომდინარე, ბიბლიური ერთეულების სტრუქტურის კვლევას ვერც ა. სმირნიცკის მოსაზრებაზე ზედაყრდნობით წარვმართავთ.

6. ამოსოვასათვის, კონკონტექსტუალური კლასიფიკაციის ავტორისათვის, ფრაზეოლოგიური ერთეულის სტრუქტურა ჩაკეტილია, კონტექსტი-ფიქსირებული (ამოსოვა 1963: 39). ფიქსირებულ კონტექსტში 6. ამოსოვა, ჩვენი აზრით, ვარიაციას გულისხმობს, ე.ი. ფიქსირებული კონტექსტი ითვალისწინებს ჩაკეტილ სტრუქტურას. ეს მოსაზრებაც ეჭვს იწვევს, რადგან მხოლოდ ფიქსირებული კონტექსტი ვერ იქნება ფრაზეოლოგიური ერთეულის მახასიათებელი. ფიქსირებული კონტექსტი სავარაუდოდ, დამახასიათებელია როგორც ხატოვანი, ასევე არახატოვანი გამოთქმებისთვისაც. ასევე, ჩვენი დაკვირვებით, ბიბლიოზმების ნაწილს არაფიქსირებული კონტექსტიც ახასიათებს: «*to have the patience of Job*»—«*to have Job's patience*», «*a promised land-«a land of promise»* და სხვ.

ზემოთნახსენები სამი ლინგვისტის შრომები ეპუთვნის ფრაზეოლოგიის განვითარების პირველ ეტაპს, როდესაც ერთეულის ჩაკეტილი სტრუქტურა მიიჩნევდა ფრაზეოლოგიური ერთეულის დიფერენციალურ ნიშნად და გამორიცხული იყო ერთეულის კომპონენტების სინონიმური კომპონენტებით შეცვლის, ფრაზეოლოგიური ერთეულის ყოველგვარი გავრცობის შესაძლებლობა (არხანგელსი 1964, ბაბკინი 1970, შანსკი 1985..). ფრაზეოლოგიის განვითარების მომდევნო ეტაპზე კი ფრაზეოლოგიური ერთეულის სტრუქტურული და სემანტიკური განუყოფელობა არ აღმოჩნდა აბსოლუტური ნიშანი. ჩაითვალა, რომ თუმცა ფრაზეოლოგიური ერთეული სტაბილურია, მისი მორფოლოგიური სტრუქტურა შედარებით მობილურია და სემანტიკური იდენტობის ფარგლებში, ვარიაცია დასაშვებია. სწორედ ამ მოსაზრებაზე დგას ა.კუნინი, რომელსაც მიაჩნია, რომ ფრაზეოლოგიურ ერთეულსს ახასიათებს ლექსიკური, ხმარების და სემანტიკური სტაბილურობა (კუნინი 1967: 24). თუმცა იგი ამავე დროს, მსჯელობს ვარიაციაზე, რომელიც არ ცვლის სემანტიკურ სტრუქტურას და აქედან გამომდინარე, არ იცვლება ფრაზეოლოგიური ერთეულის ჩაკეტილი სემანტიკური სტრუქტურაც. მიუხედავად იმისა, რომ ა. კუნინის მოსაზრება ფრაზეოლოგიური ერთეულის სემანტიკაზე ჩვენთვის მისაღები და ძალიან საინტერესოა, ვერ დავეთანხმებით მის მოსაზრებას ფრაზეოლოგიური ერთეულის სტრუქტურაზე, რადგან ბიბლიური ფრაზეოლოგიური ერთეულის კვლევამ, როგორც ამას დავინახავთ, ეს აზრი გააბათილა.

წინა საუგუნის ოთხმოციან წლებში მოდგაწერ რესი ფრაზეოლოგის

6. შანსკის აზრითაც, ფრაზეოლოგიური ერთეულის სტრუქტურა ჩაკეტილი და მთლიანია. იგი ფრაზეოლოგიური ერთეულების სტრუქტურულ მასასიათებლებზე მსჯელობისას შემოიფარგლება ფრაზეოლოგიური ერთეულის ორ ჯგუფად დაყოფით: ფრაზის და წინადადების მქონე ერთეულებად და აღგენს თითოეული ჯგუფის სტრუქტურულ მოდელს (შანსკი 1985: 71-85).

იტალიელი ფრაზეოლოგი ს. ვიეტრი ფრაზეოლოგიურ ერთეულებს ყოფს ორ ჯგუფად: პირველი ნაწილი სტრუქტურაში შეიცავს ჩვეულებრივ სრულმნიშვნელობიან ზმნებს, ხოლო მეორე კი-დამხმარე ზმნებს. ე. პირველი სახის ერთეულებში ზმნა არის ერთეულის ბირთვული ნაწილი, მაგ. «*Tagliare la corda*», «*prendere il toro per la corna*», «*rompere i timpani*», «*rompere le scatole*» და სხვა. ასეთი ერთეულები შეიძლება შეიცავდეს სხვა გარირებულ ან არაგარირებულ ელემენტებს და მოგვევლინოს სხვადასხვა გრამატიკულ ფორმაში. მეორე ჯგუფის შემთხვევაში კი ზმნა არ ხდება ერთეულის ცენტრალური ნაწილი, არამედ დამხმარე ფორმა, პერიფერიული ნაწილი, რომელიც შესაძლოა ჩანაცვლდეს სხვა დამხმარე ფორმის ზმნით. მაგალითად, გამოთქმაში «*Essere sul lastrico*» ზმნა «*essere*» შეიძლება შეიცვალოს ზმნებით: *mettere, gettare, vivere* და ასე შემდეგ, ერთეულის სემანტიკის ცვლილებასთან ერთად, ძირითადი დატვირთვის შენარჩუნებით. თუმცა ს. ვიეტრისაც მიაჩნია, რომ ფრაზეოლოგიური ერთეული ესაა მთლიანი, გაფორმებული ერთეული, რომელშიც რომელიმე კომპონენტის შეცვლა აუცილებლად გამოიწვევს აზრის რდვევას (გარდა დამხმარე ზმნისა) ანუ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს ახასიათებთ აბსოლუტური სტაბილურობა (ვიეტრი 1984: 378).

გ. გალენდი (გალენდი 1979: 3-5) სტრუქტურული ნიშნით ფრაზეოლოგიურ ერთეულს ორად ჰქონდს:

1. იდიომი ჩვეულებრივი ფორმით, ე. რომელიც ექვემდებარება გრამატიკულ წესებს, მაგ. «*to cut no ice*»;
2. იდიომი უჩვეულო ფორმით, ე. რომელიც არ ექვემდებარება გრამატიკულ წესს, მაგ: «*to be at large*».

ჩვენი აზრით, ასეთი დაყოფა ზოგადად ფრაზეოლოგიური ერთეულის სტრუქტურული დაჯგუფებისთვის მხედველობაში მისაღებია, თუმცა ამ ნიშნით ბიბლიური ფრაზეოლოგიური ერთეულების გამიჯვნა არასაიმედოდ მიგვაჩნია, რადგან როგორც დაკვირვებამ გვიჩვენა, ე.წ. უჩვეულო ფორმის ბიბლიური

ერთეულების რიცხვი საკვლევ ენებში ძალიან მცირე აღმოჩნდა (თუ არ ჩავთვლით ენაში არქაული ფორმით დამკვიდრებულ ბიბლიოზებს). ასეთი ბიბლიოზების მაგალითი იქნება: «*the powers that be*», «*judge not, that you be not judged*», «*eyes that see not*» და სხვა.

გ. პოვერი კი გამოყოფს ფიქსირებულ იდიომებს, რომლებშიც არცერთი წევრის შეცვლა არაა შესაძლებელი (პოვერი 1983: 1-7). ასეთი ბიბლიოზები იქნება: «*the crown of thorns*», (ე.ი. ეს არის ფრაზეოლოგიური ერთეული, რომელიც არ უშვებს ვარიაციას). მეორე ჯგუფს კი მიაკუთვნებს არაფიქსირებულ იდიომებს (ე.ი. რომლებიც უშვებს ვარიაციას), სადაც შესაძლოა რომელიმე კომპონენტის ჩანაცვლება. ფიქსირებულ ერთეულთა პრობლემას საენათმეცნიერო ლიტერატურაში ხშირად ვარიანტულობის პრობლემის სახელწოდებით ვხვდებით.

ვარიაციაზე ამახვილებს ყურადღებას ა. თაყაიშვილიც, რომელიც გამოყოფს ვარიაციის სამ ტიპს:

1. სტრუქტურულს, რომლის დროსაც ერთი ლექსემა იცვლება არასინონიმური მნიშვნელობის მქონე ლექსემით, რომელიც, თავის მხრივ, შეცვლილი ლექსემის კონტექსტუალურ სინონიმად შეიძლება მივიჩნიოთ და რომლის მაგალითიც იქნება «*a whitened sepulchre»-«a painted sepulchre»».*
2. სინონიმურს, მაგ. «*there is nothing new under the sun»-«there exists nothing new under the sun».*
3. ერთიდაიგივე მეტყველების ნაწილის გრამატიკული ვარიაციას, მაგ. «*to strengthen somebody's hand»-«strengthen somebody's hands».*

### **3.2 ვარიაცია ბიბლიოზებში**

ბიბლიოზების სტრუქტურა, როგორც კვლევამ გვიჩვენა, არაა ჩატეტილი, პირიქით, ბიბლიოზები—ესაა სტრუქტურულად მობილური ერთეულები, რომლებიც ვარიაციას უშვებს. ამ მოვლენასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ ა.კუნინი აღნიშნავდა, რომ ბიბლიოზებიდან შეიძლება წარმოიშვას ვარიანტული ბიბლიოზები. მაგალითად, ბიბლიური ეტიმოლოგიის ფრაზადან: «*To cast in one's lot with somebody*» მოგვიანებით წარმოიშვა ფრაზა—ვარიანტიც: «*to cast/throw in one's lot with somebody*» (კუნინი 1972: 95-123). მასვე მოჰყავს სხვა

მაგალითებიც: «*proclaim/cry/ /shout from /upon/ the house/tops*», «*a drop in the bucket/ocean, «the land of promise/ the promised land»*»და სხვა.

ზოგადად, ა. კუნინი გამოყოფს ბიბლიიზმების ვარიაციის შემდეგ ტიპებს:

1. ლექსიკურს-რომლის დროსაც ხდება ლექსემის შეცვლა სინონიმური მნიშვნელობის ლექსემით: «*shout in the wilderness*»-«*crying in the wilderness*»;
2. მორფოლოგიურს, რომლის დროსაც ხდება ერთეულის სტრუქტურის შეცვლა: «*γέλειδος θρολού*»-«*γέλειδος θρολόγοι*», «*il figlio prodigo*»-«*i figli prodighi*»\*;
3. პოზიციურს, რომლის დროსაც ხდება პოზიციის ანუ სიტყვების წყობის ცვლილება: «*ρωτοίς καθηγός*»-«*καθηγός ρωτοίς*»;
4. რაოდენობრივს, რომლის მაგალითიც იქნება: «*the sins of fathers are visited on the sons*»-«*the sins of fathers are visited on poor sons*».
5. შერეული, ილუსტრირებული მაგალითით: «*to try the patience of Job*»-«*to try Job's patience*».
6. მორფოლოგიურ-სინტაქსური: «*Cain's mark*»-«*the mark of Cain*», «*печать Каина*»-«*Каинова печать*».

ბიბლიიზმების სტრუქტურის ვრცელ კვლევას გვთავაზობს ტ. ფედოულენკოვა, რომლის აზრითაც, ბიბლიური ფრაზეოლოგიური ერთეულები არ წარმოადგენს შეცვლელ გამოთქმებს, რადგან მათ კომპონენტებს ახასიათებს სინტაქსური ცვლებადობა და შესაბამისად, ვარიაციაც. ერთეულის სტრუქტურაში იცვლება რომელიმე კომპონენტი რომელიც, დროთა განმავლობაში, სტაბილურობას იძენს და გამოთქმის ფიქსირებული ნაწილი ხდება. ამის შედეგად კი, ლექსიკონში ფიქსირდება როგორც პირველწყაროს ვარიანტი (ფედოულენკოვა 1997: 50-97). ტ. ფედოულენკოვა ახდენს ბიბლიიზმების ვარიანტების ტიპების შემდეგნაირ კლასიფიკაციას:

1. გრამატიკული ვარიანტები-ამ ჯგუფში ერთიანდება საკუთრივ გრამატიკული, მორფოლოგიური და მორფოლოგიურ-სინტაქსური ვარიანტები: «*To be in the deep waters/water*», «*to make broad one's phylactery/phylacteries*», «*pride goeth/goes before a fall*», «*out of the mouse/mouses of babes and sucklings*», «*strengthen somebody's hand/hands*», «*the land of promise*»-«*promised land*», იგივე «*strengthen somebody's hand*»-«*strengthen hands of somebody*»...

\* საიდუსტრიაციო მაგალითებად ვიყენებთ სხვადასხვა საკვლევი ენის ერთეულებს ჩვენი კვლევის მასალიდან

2. ლექსიკური ვარიანტები—მოიცავს ვერბალურ, სუბსტანციურ, ზედსართაულ, წინდებულის ვარიანტებს: «ask for bread and be given a stone» - «ask for bread and receive a stone» ან «cast in one's lot with somebody»-«to throw in one's lot with somebody»; «stop one's ear»-«close one's ears to something»-«shut one's ears to something»-«seal one's ears to something», «cry from the housetops»- «declare from the rooftops»-«shout from the housetops», «a drop in the bucket»-«a drop in the ocean»\* და სხვა.

3. კვანტიტატური ვარიანტები—მოიცავს შევიწროებულ კვანტიტატურ ვარიანტებს და გაფართოებულ კვანტიტატურ ვარიანტებს: «crumbs that fall from the rich man's table»- «crumbs from the rich man's table», «clean hands»-«one's hands are clean»....

4. შერეული ვარიანტები: «blind leaders of blind»-«the blind leading the blind» ან «labourers in somebody's vineyard» - «labourers in the vineyard».

ვარიანტების ტიპების განხილვის შემდეგ, უშალოდ ჩვენმა მასალის კვლევამ დაგვანახა, რომ ბიბლიიზმების ნაწილი (თუმცა მცირე) ვარიაციას ყოველთვის ლექსიკური იდენტობის ფარგლებში არ უშვებს ე. ი. ზოგ შემთხვევაში ვარიაციის დროს ხდება მნიშვნელობის შეცვლა, თუმცა დაცულია მსგავსი სემანტიკური ჩარჩო.

ა. კუნინის და ა. თაყაიშვილის მიერ შემუშავებულ ვარიანტების ჯგუფებზე დაყრდნობით გამოვყავით ჩვენთვის რელევანტური ვარიაციის ოთხი ტიპი:

1. *სინონიმური;*
- 2.. *კონტექსტუალური, რომელიც თავის მხრივ თუ ქვევით უფლებად დაგვავით:*
  - ა) როდესაც ხტრუქტული ვარიაცია ცვლის ერთეულის სემანტიკას;
  - ბ) როდესაც ხტრუქტურული ვარიაცია არ ცვლის ერთეულის სემანტიკას;
3. *გრამატიკული;*
4. *პოზიციური.*

ვარიაციის პირველი ტიპი *სინონიმურია.* როგორც სახელწოდება მიგვითოვებს და როგორც უკვე აღინიშნა, სინონიმური ვარიაციის დროს ხდება სიტყვის შეცვლა სინონიმური მნიშვნელობის ლექსემით:

\* სახტერესო ის, რომ ეს ბიბლიიზმი ქრონიკასა და რუსულზე უშვებს ლექსიკურ ვარიაციას, მგრამ ლექსემა «bucket» იცვლება არა ლექსემა «ოქტაენი», არამედ ლექსემა «ზღვით». შესაბამისად, ხდება მოცულობის შეცწროება და გვექნება: «ზღვაში წვეთი», «კაپია ვ more». იტლიურზე კა არსებობს ორივე ფორმა ე. ი. ამ ბიბლიიზმში შესაძლოა ორივე ლექსემის ჩასმა. შესაბამისად, ბიბლიიზმები «una goccia nel mare»- «una goccia nell'oceano» ლექსიკურ ვარიანტებად თანარსებობს.

1. To cry/shout from the household;
2. There is/exists nothing new under the sun;
3. Like/as a lamb to the slaughter;
4. To remove/take off scales from someone's eyes;
5. The sins of fathers are visited upon/on the sons და სხვა.

შეცვლილი ლექსემა შეიძლება იყოს მეტყველების ნებისმიერი ნაწილი. როგორც დავინახეთ, მოყვანილ პირველ მაგალითში იცვლება არსებითი სახელი *cry* სინონომური ლექსემა *shout*-ით. მეორე და მეოთხე მაგალითებში ხდება ზმის ვარირება, მეორეში ზმა—*to be* იცვლება *to exist*-ით, მეოთხეში—*to remove-to take off*-ით. მესამე და მეხუთე მაგალითებში კი ხდება წინდებულების ვარიაცია: *on/upon, like/as*.

ვარიაციაზე მსჯელობისას აღსანიშნია ის, რომ არსებითი სახელისა და ზმის შეცვლა შეიძლება ყველა ენაში მოხდეს, მაგრამ რაც შეეხება წინდებულს, ენის სპეციფიკურობიდან გამომდინარე ეს ყველა ენისთვის ვერ იქნება დამახასიათებელი. ზოგად შტრიხებში, ქართული და რუსული სინთეზური ენებია, ანუ ისინი თავისი კატეგორიების საწარმოებლად ფლექსიებს იყენებენ, მაშინ როცა ინგლისური ანალიზური ენაა, რომელიც კატეგორიებს აწარმოებს არა ფლექსიების საშუალებით, არამედ დამხმარე სიტყვების მეშვეობით; რაც შეეხება იტალიურს, ესაა სინთეზურ-ანალიზური ენა, რომელიც ერთი მხრივ, სარგებლობს დამხმარე სიტყვებით, (მაგალითად, დროების საწარმოებლად არსებობს დამხმარე ზმნები *avere* და *essere*), მეორე მხრივ კი, იყენებს ფლექსიებს (მაგალითად ზმა *იუდლება:* *essere-sono, sei, è, siamo, siete, sono*)

ქართულში სინონომური ვარიაციის დროს ჩვენი დაკვირვებით, ძირითადად არსებითი სახელი იცვლება:

1. დმგრობა პკითხობ-უფალობა პკითხობ;
2. ევას ჩამომავლობა-ევას მოდგმა;
3. ქრისტეს გამცემი-ქრისტეს გამყიდველი;
4. ქრისტეს ვირი-ქრისტეს ჯორი;
5. ლაზარეს დამხვავება-ლაზარეს დახველება და სხვა.

იმ ერთგულებში, რომლებიც უშვებს სინონიმურ-ლექსიკურ ვარიაციას, არ შეგვინიშნავს ქართულისათვის დამახასიათებელი თავისებურება, რომელიც მხოლოდ ქართულის სპეციფიკურიბაზე მიგვითითებდა.

იტალიურში, ინგლისურის მსგავსად, შეიძლება მოხდეს როგორც სახელის შეცვლა, ასევე წინდებულის, ზმნის სინონიმური გარიაცია:

1. *Non restare pietra su pietra—non restare pietra sopra pietra;*
2. *Non essere degno di leggere i calzari ad uno—non essere degno di leggere le scarpe ad uno;*
3. *Conoscere una cosa dall'alfa all'omega—sapere una cosa dall'alfa all'omega;*
4. *Mettere la lucerna sotto il moggio—mettere la fiaccola sotto moggio;*
5. *Frutto proibito-frutto vietato;*
6. *Construire sulla sabbia—edificare sulla sabbia და სხვა.*

პირველ მაგალითში ადგილი აქვს წინდებულის გარიაციას, წინდებული სა იცვლება *sopra*-თი. მეორესა და მეოთხეში ცვლილებას განიცდის არსებითი სახელი—*calzari*/*scarpe*, *lucerna*/*fracola*. მესამე მაგალითში კი ხდება ზმნის სინონიმური გარირება *sapere*/*conoscere*. რაც შეეხება მეხუთე მაგალითს, აქ ცვლილებას განიცდის ზედსართავი სახელი: *vietato*/*proibito*. ბოლო მაგალითში ადგილი აქვს ორმაგ გარიაციას. ერთი მხრივ იცვლება ზმნა—*edificare*-*construire*, მეორე მხრივ, წინდებული—*sopra*/*sulla*.

რუსულში, სხვა ენების მსგავსად, შეიძლება მოხდეს ზმნისა და არსებითი სახელის გარირება. მაგალითად: ბიბლიიზმი «*напечатать печать*», უშვებს ორი სახის სინონიმურ გარიაციას.

- 1 იცვლება ზმნა: *классть печать*;
- 2 იცვლება არსებითი სახელი: *напечатать отпечаток*.

საინტერესო ის, რომ მოყვანილი ბიბლიიზმი სინონიმურ გარიაციას უშვებს ქართულ შიც. მსგავსად რუსულისა, ქართულ ენაშიც ხდება არსებითი სახელის და ზმნის შეცვლა: «*კარის ბეჭდის დადგება*»

1. იცვლება ზმნა: *კარის ბეჭდის დადგება/დაკვრა;*
2. იცვლება არსებითი სახელი: *კარის ნიშნის/ბეჭდის დადგება.*

სიტყვა ბეჭდი ამ მაგალითში არაა აქტუალიზებული საწყისი მნიშვნელობით, არამედ ერთ-ერთი კონტაციური მნიშვნელობით, რომელიც ლექსემა ნიშანს სინონიმია (თუმცა ეს მნიშვნელობა გაცვეთილია და უფრო ნაკლებადაა (ცნობილი).

იგივე ბიბლიიზმი არც იტალიურსა და არც ინგლისურში არ უშვებს ვარიაციას. ორივე ენაში არსებობს არავარირებული ფორმა «*to put the mark of Cain*», «*mettere il segno di Caino*».

კვლევამ გვანახა, რომ იშვიათია შემთხვევები, როცა ერთი ერთეული იდენტური ტიპის ვარიაციას უშვებს ოთხივე ენაში ანუ ბიბლიიზმის ვარიაციის შესაძლებლობა რომელიმე კონკრეტულ ენაში არ გულისხმობს იგივე ბიბლიიზმის ვარიაციის შესაძლებლობაც სხვა ენებშიც. სინონიმური ვარიაცია, როგორც ეს დაკვირვებამ გვიჩვნა, ხდება სემანტიკური იდენტობის ფარგლებში. ზემოთ მოცემულ არცერთ მაგალითში არ ხდება მნიშვნელობის დარღვევა, თუმცა სინონიმურ ვარიაციას შეიძლება მოჰყვეს სტილისტური შეფერილობის შეცვლა. მაგალითად: «*нажасить отпечаток*» სტილისტურად უფრო დატგირთული, ვიდრე «*кластъ печатъ*» გამომდინარე ზმნის სტილისტური შეფერილობიდან. ასევეა ქართული ბიბლიიზმი «*ძეჭდის დასმა*», რომელიც უფრო ძლიერია, ვიდრე «*ნიშნის დასმა*», რადგან ლექსემა ძეჭდი აქტუალიზებულია მოძველებული მნიშვნელობით, რაც განსაკუთრებულ სტილისტურ შეფერილობას ანიჭებს ბიბლიიზმს.

კონტექსტუალური ვარიაციის დროს, როგორც ზემოთ იქნა ნათქვამი, ხდება ერთი ლექსემის მეორე, არასინონიმური, მსგავსი ან განსხვავებული სემანტიკის ლექსემით შეცვლა. ვარიაციის ამ ჯგუფში გამოვყავით ორი ქვეყნული:

ა. როდესაც სტრუქტურის ვარიაცია არ ცვლის ბიბლიიზმის სემანტიკას ანუ როცა ვარიაცია ხდება სემანტიკური იდენტობის ფარგლებში. ასეთი ტიპის ბიბლიიზმები განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ინგლისურ ენაში მოვიძიეთ.

1. *To build on sand-to erect on sand;*
2. *Whited sepulcher-painted sepulchre;*
3. *To turn the other cheek-to turn the left cheek-to show the left cheek;*
4. *A voice in the wilderness-crying in the wilderness;*
5. *A stolen fruit- a forbidden fruit;*
6. *A house divided against itself-a nation divided against itself;*
7. *A drop in the bucket-a drop in the ocean;*
8. *To cast in one's lot with somebody- to throw in one's lot with somebody;*
9. *Land of Canaan-promised land;*
10. *The man of God-the lamb of God* და ასე შემდეგ.

ვარირებული ლექსემები შეგვიძლია მივიჩნიოთ კონტექსტუალურ სინონიმებად. მაგალითად: ლექსემების *stolen* და *forbidden*-ის ლექსიკური მნიშვნელობა აბსოლიტურად განსხვავდება ერთმანეთისაგან, მაგრამ ზემოთ მოვანილ ბიბლიოზმში ლექსემების ვარირების შედეგად არ ხდება მნიშვნელობის შეცვლა. ინგლისურთან შედარებით, ქართულში ამ ჯგუფის ბიბლიოზმები არცოუისე ბევრი. მათი მაგალითებია:

1. განკითხვის დღუ-წარდგვნის დღე;
2. ნოჟს მტრედი-მშვიდობის მტრედი;
3. მამონას მსახურება-მამონას თაყვანისცემა;
4. იუდა გამცემელი-იუდა ისკარიოტელი;
5. კაენის ბეჭედი-კაენის წყველია;
6. აბრაამის წიაღში კოფნა-აბრაამის უბეში კოფნა და სხვ.

როგორც ვხედავთ, ქართულ ბიბლიოზმებში ვარირებას განიცდის ძირითადად არსებითი სახელი: განკითხვა-წარდგვნა, ნოჟ-მშვიდობა, გამცემელი-ისკარიოტელი, ბეჭედი-წყველი, წიაღი-უბე. თუმცა შეიძლება შეიცვალოს ზმნაც: მსახურება-თაყვანისცემა, მაშინ როცა ინგლისურში არსებითი სახელის და ზმნის ვარირებასთან ერთად (*voice-cry, house-nation, turn-show, bucket-ocean, build-erect*) ვხვდებით ზედსართავი სახელით ცვლილებასაც *whited/painted, left/other, stolen/forbidden*.

იტალიურში კონტექსტუალურ ვარიაციას სემანტიკური იდენტობის ფარგლებში განიცდის შემდეგი ბიბლიოზმები:

1. Predicare la Croce adosso a qualcuno-bandire la Croce adosso a qualcuno;
2. Una goccia nel mare- una goccia nell'oceano;
3. Seminare/spargere/mettere zizzania;
4. Essere ipocrito-essere fariseo;

ერთეულებში იცვლება ზმნა: *predicare/bandire, seminare/spargere* და არსებითი სახელი: *mare/oceano, fariseo/ipocrito*.

რესულ ერთეულებშიც ხდება ან არსებითი სახელის ან ზმნის და ან ზედსართავი სახელის ცვლილება.

1. Немоицкий сосуд-сосуд скудельный;
2. Голос вопиющего в пустыне-глас вопиющего в пустыне;
3. Мудрый как змий- мудрый как Соломон;

4. Проклятие Каина-Каинова печать (ერთეულში ადინიშნება სტრუქტურული ცვლილება);

5. Метать бисер перед свинями-рассыпать бисер перед свинями;

6. Зарывать свой талант в землю-зарывать свой дар в землю.

როგორც ვხედავთ მეორე, მესამე და მეოთხე მაგალითებში ხდება არსებითი სახელის ჩანაცვლება: *Голос/глас, Соломон/змий, проклятие/печать, Зоругэл-Чегдесартаვი სახელის: немощный/скудильный, ხოლო ბოლო მაგალითში კი ხდება ზმის შეცვლა არასინონიმური მნიშვნელობის მქონე ზმით: метать /рассыпать.*

კონტექსტუალური ვარიაციის მეორე ქმარჯულს ეპუთვნის შემთხვევები, როდესაც ბიბლიიზმებში სიტყვის ჩანაცვლება იწვევს სემანტიკის შეცვლასაც. ჩვენი აზრით, ამ ტიპის ვარიაცია ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ იგი გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ ფრაზეოლოგიური ერთეულის სტრუქტურა არაა ჩაკეტილი და ვარიაცია ყოველთვის სემანტიკური იდენტობის ფარგლებში არ ხდება. თუმცა, მეორე მხრივ, ვარიაციის ამ ტიპს ადგილი აქვს სულ რამდენიმე ბიბლიიზმი და არცერთ საკვლევ ენაში მაღალი სიხშირით არ ხასიათდება. ინგლისურ ენაში ასეთი ბიბლიიზმია: «To get/give/want/lack/earn/work for daily bread». ბიბლიიდან ინგლისურში დამკვიდრდა ერთეული «to give the daily bread», რომელმაც დროთა განმავლობაში განიცადა ვარირება და ამჟამად ზმნა give-ის გვერდით ინგლისურ იდიომების ლექსიკონებში მითითებულია ზმნების მოედი წევება: *to get, to want, to lack, to work for, to earn for* (ლონგმენის ლექსიკონი 1979: 39). ლექსიკონში ეს ბიბლიიზმები დაფიქსირებულია არა როგორც სხვადასხვა ერთეულები, არამედ ერთიდაიმავე ბიბლიიზმის ვარირებული ვარიანტები. ერთეულის ბირთვია «daily bread», რომელიც მეორადი ფრაზეოლოგიზაციის შედეგად ცალკე ბიბლიიზმადაა დამკვიდრებული და ვარირებულ ფორმებშიც სემანტიკურ ბირთვს წარმოადგენს. ზმნა, როგორც ვხედავთ, არის არამყარი ელემენტი ანუ იგი არ წარმოადგენს ერთეულის ბირთვს, პირიქით, იცვლება და მის ცვლილებასთან ერთად იცვლება ბიბლიიზმის ჩაკეტილი სტრუქტურაც, ე.ი. დარღვეულია სემანტიკური იდენტობა, თუმცა დაცულია ლექსიკური მსგავსების ჩარჩო. მაგალითად: «to work for daily bread» ნიშნავს სარჩოსთვის მუშაობას, «to earn daily bread» სარჩოს მოპოვებას მუშაობის გზით, ე.ი. ვარირებულ ლექსიკური მსგავსების ჩარჩო. მაგალითად: «to work for daily bread» ნიშნავს სარჩოსთვის მუშაობას, «to earn daily bread» სარჩოს მოპოვებას მუშაობის გზით, ე.ი. ვარირებულ ლექსიკური მსგავსების ჩარჩო.

არაიდენტური სემა, რომელიც მხოლოდ მსგავსების ჩარჩოს ინარჩუნებს გარირებულ ერთეულებში. ზემოთთქმულთან დაკავშირებით, შეიძლება წარმოიშვას მოსაზრება, რომ ბიბლიიზმები «to give/earn daily bread» და «to get daily bread» ცალ-ცალკე, დამოუკიდებელ ბიბლიიზმებად უნდა განვიხილოთ, რასაც ჩვენ არ ვეთანხმებით, რადგან მიგვაჩნია, რომ ბიბლიიდან წარმოშობილმა ერთეულმა (ამ კონკრეტულ შემთხვევაში: *to give daily bread*) ვარირება განიცადა, კერძოდ, მისმა ერთ-ერთმა კომპონენტმა *to give* შეიძინა ვარიანტები, რომლის ჩანაცვლება იწვევს ერთეულის სემანტიკის შეცვლას სემანტიკური ბირთვის შენარჩუნებით. რაც შეეხება ისეთ ბიბლიიზმებს, რომლებიც ასევე საერთო სემანტიკურ ბირთვს შეიცავს, მაგრამ არაა ბიბლიიდან წარმოშობილი, არამედ ბიბლიაზე დაფუძნებულები, მიგვაჩნია, რომ ისინი წარმოადგენს არა ვარირებულ ფორმებს, არამედ დამოუკიდებლად გაფორმებულ ერთეულებს. მაგალითად: ბიბლიაზე დაფუძნებული ორი ბიბლიური ერთეული: «*To be Cain*» და «*To raise Cain*», რომლებშიც ვაწყდებით ერთიდაიგივე, ერთეულისთვის ცენტრალურ ნაწილს—*Cain*. განსხვავება მხოლოდ ზმნაშია, ერთი ერთეული შეიცავს ზმნას *to be*, მეორე—*to raise*, პირველი ნიშნავს—იყო კაენი ანუ მეცლები, მეორე კი—კინძებ განმდვინვარებას. ამ ერთეულებში სემანტიკური სტრუქტურა აბსოლუტურად განსხვავებულია. ჩვენ ასეთ ერთეულებს არ მივიჩნევთ ვარირებულ ფორმებად, რადგან აქ არაა პირველწყარო ლექსემა, რომელიც შეიძენდა ვარიანტს, არამედ საქმე გვაქვს ორ სხვადასხვა გზით ფორმირებულ ერთეულთან.

ასევე სემანტიკური მსგავსების და არა იდენტობის საზღვრებში აქვს ადგილი კონტექსტუალურ ვარიაციას ბიბლიიზმებში: «*To hide one's light under the bushel*», რომელიც ვარირებს როგორც «*to keep one's light under the bushel*» ან «*to try the patience of Job*»—«*to have the patience of Job*», «იობის დღეში ყოფნა»—«იობის დღეში ჩავარდნა». პირველ ბიბლიიზმში სემანტიკური ცენტრია «*light under the bushel*» (თუმცა ამ სახით, ცალკე ერთეულად არაა ბიბლიიზმი დამკვიდრებული საკვლევ ენაში), მეორეში კი—«*the patience of Job*». ერთეულებში ვარირებს ზმნები *hide/keep, have/try, ჩავარდნა/ყოფნა*. ზემოთ მოცემული ბიბლიიზმი «*to try the patience of Job*» ნიშნავს იობის მოთმინების საკუთარ თავზე გამოცდას, ხოლო «*to have the patience of Job*»—იობის მოთმინების ქონას. ბიბლიიზმი «*to hide one's light under the bushel*» ნიშნავს—იყო თავმდაბალი საკუთარი შეხაძლებლობისა და ნიჭისადმი.

ერთეულში ვარიაციას განიცდის ზმნა *to hide*, რომელიც იცვლება ზმნა *to keep*-ით და ასევე ცვლილებას განიცდის მნიშვნელობაც. მაგრამ, უკვე განხილული მაგალითის მსგავსად, ეს ცვლილება არაა მკვეთრი, დაცულია სემანტიკური ხაზი, თუნცა ვარიაციას სემანტიკური იდენტობის ფარგლებში არ აქვს ადგილი. განსხვავებას ქმნის ორი ზმნის ხასიათი: ბიბლიიზმი ზმნით *to keep* ნიშნავს—დარჩე *თავმდაბალი*, გააგრძელო *თავმდაბლად ყოფნა*, ე.ი. მოქმედება განგრძობითია. ბიბლიიზმი ზმნა *to hide*—ით კი არ შეიცავს განგრძობითობის ელემენტს. ქართულ ბიბლიიზმი «იობის დღეში ჩავარდნა/ყოფნა» ასევე მნიშვნელობის ცვლილებას იწვევს ზმნების ხასიათი (ერთეულების მნიშვნელობა საშინელი ტანჯვა-წამების განცდა). ზმნა ჩავარდნა დასრულებული ზმნაა (*terminative verb*), ხოლო ზმნა ყოფნა განგრძობითი ხასიათის ზმნა (*durative verb*). ბიბლიიზმი «იობის დღეში ჩავარდა» მიგვითითებს, რომ მოქმედება ერთჯერადად მოხდა წარსულში, ხოლო «იობის დღეში იყო» დასრულებულობის ელემენტს არ შეიცავს და მოქმედების განგრძობითობაზე აკეთებს აქცენტს.

კონტექსტუალურ ვარიაციას სემანტიკის შეცვლით უშვებს იტალიური ბიბლიიზმებიც: «essere una Madonnina infilzata»—«parere una Madonnina infilzata», (იყო მადონა და ჩანდე მადონა), «avere la pazienza di Giobbe»—«provare la pazienza di Giobbe», «to have the patience»—«to try the patience of Job». (იობის მოთმინების ქონა-იობის მოთმინებიც გამოცდა), «essere/fare/parere la costa Susanna», (იყო/მოიმოქმედო/ჩანდე სუსანა(სავით), «essere San Tommaso»—«fare San Tommaso» (იყო წმინდა თომა-იმოქმედო როგორც წმინდა თომამ) და სხვა. პირველი ბიბლიიზმი ნიშნავს—იყო ადამიანი, რომელიც თავს სხვებს სათხოდ აჩვენებს, სინამდვილეში კი არაა სათხო. განსხვავება ორ ერთეულს შორის მდგომარეობს იმაში, რომ ფორმა ზმნით *essere* გამოხატავს დარწმუნებულობას, ხოლო ერთეული ზმნით *parere* კი—ეჭვს: *o*<sub>1</sub> მოჩვენებითად სათხო (იმპლიკაცია: მე ჩემს არგუმენტში დარწმუნებული ვარ) და *o*<sub>2</sub> მოჩვენებით სათხო ადამიანი ჩანს (იმპლიკაცია: ჩემს არგუმენტში არ ვარ დარწმუნებული, თავს არ ვდებ, თუმცა ვუშვებ ალბათობას). ერთეულის ვარიანტებში იცვლება სემანტიკა, თუმცა ორივე ბიბლიიზმი ჯდება მიახლოებული სემანტიკური სტრუქტურის ჩარჩოში.

საინტერესო სურათია ბიბლიიზმი: «essere San Tommaso», სადაც ვარიაციას განიცდის ზმნა *essere*, რომელიც ვარირებს ზმნასთან *fare*. შესაბამისად, ვარიანტები ნიშნავს—იყო ურწმუნო თომა და ურწმუნო თომასავით

მოქცევა. რუსულში არსებობს ბიბლიიზმი: «Фома неверный», რომელიც ასევე მოციქულ თომას უკავშირდება. ბიბლიის მიხედვით, მოციქულმა შეიტყო ქრისტეს აღდგომა, მაგრამ არ დაიჯერა და თქვა: სანამ ჩემი თვალით ნალურსმევს არ ვნახავ, ვერ ვირწმუნებო (იოანე 20). შესაბამისად, ეს ბიბლიიზმი ნიშნავს არაერთგულ ადამიანს. ბიბლიიზმის ვარირებული ფორმაა «Фома неверующий», რომელიც ხაზს უსმევს ადამიანის თვისებას—არაერთგულებას, ხოლო როდესაც ვიყენებო გამოთქმას «Фома неверный», მხედველობაში გვაძვს ვინმეს მიერ წარმოჩენილი ურწმუნება: «По своей природе принадлежу к людям, которых называют *Фома неверный*»<sup>1</sup>.

როგორც დაკვირვებამ გვიჩვენა, კონტექსტუალური ვარიაციის მეორე ტიპის დროს ყველა ენაში ხდება მხოლოდ და მხოლოდ ზმნის ვარირება, განსხვავებით კონტექსტუალური ვარიაციის პირველი ტიპისა, როდესაც ცვლილება შეიძლება განიცადოს ნებისმიერმა მეტყველების ნაწილმა.

ვარიაციის მესამე ტიპი ერთეულის გრამატიკული ვარიაციაა, რომელიც მორფოლოგიული სტრუქტურის შეცვლას გულისხმობს. ამ ტიპის ვარიაციის დროს იცვლება გრამატიკული კატეგორიები და ამ კატეგორიების მაწარმოებელი საშუალებები. გრამატიკული ვარიაცია ყველა ენაში სპეციფიკურია, რადგან ყველა ენას გააჩნია კატეგორიების საწარმოებელი სხვადასხვა საშუალებები. ინგლისურ ბიბლიიზმებში ჩვენი დაკვირვებით, ხშირია ისეთი სახის ვარირება, როდესაც სინთეზური ნათესაობითი იცვლება ანალიზური ფორმით, ე.ი კუთვნილებითი ბრუნვა «`ს» იცვლება «of»-ფრაზით:

1. *The patience of Job-Job's patience;*
2. *An apple of Sodom-Sodom's apple;*
3. *The comforter of Job-Job's comforter;*
4. *The mark of Cain-Cain's mark;*
5. *The curse of Cain-Cain's curse;*
6. *The tower of Babel-Babel's tower* და სხვა.

ჩვენი საკვლევი ენებიდან ამ სახის გრამატიკულ ვარიაციას ადგილი აქვს მხოლოდ ინგლისურში. ეს ბუნებრივიცაა, რადგან სხვა სამ ენას აღნიშნული გრამატიკული კატეგორიის საწარმოებლად მსგავსი საშუალებები არ

---

<sup>1</sup> მაგალითი მოყვანილია ზეპირი დისკურსიდან.

მოეპოვება. გრამატიკული ვარიაციის დროს შეიძლება მოხდეს მეტყველების ნაწილის რიცხვის კატეგორიის ფორმის ცვლილება—მხოლობითი შესაძლოა გახდეს მრავლობითი და პირიქით. ასეთ შემთხვევებს ადგილი აქვს ყველა საკვლევ ენაში, რადგან ყველა მათგანში არსებობს რიცხვის მსგავსი კატეგორია. მოვიყვანოთ მაგალითები:

1. *Like a lamb to the slaughter- like lambs to the slaughter;*
2. *To leave to someone's tender mercy-to leave to someone's tender mercies;*
3. *An apple of Sodom -apples of Sodom;*
4. *ქრისტებ გამყიფველი-ქრისტებ გამყიფველი;*
5. *მალები ცხრის ტყავში-მალები ცხრის ტყავში;*
6. *უძღები შვილი-უძღები შვილი/შვილები;*
7. *Non esserci santo che tenga-non esserci santi che tengano;*
8. *Слепой ведет слепого-слепые ведут слепых;*
9. *Блудный сын-блудные сыновя და სხვა.*

გარდა მსგავსი შემთხვევებისა, შესაძლოა მოხდეს ოვითონ მეტყველების ნაწილის ცვლილება:

1. *სოდომური ცოდვა-სოდომის ცოდვა;*
2. *Dare il giudizio di Salomone-il giudizio Salomonico;*
3. *Torre di Babele-torre Babilonica;*
4. *Offerta di Caino-offerta Cainica;*
5. *Башня Бабилона-Бабилонская башня;*
6. *Ослица Валаама-Валаамова ослица;*
7. *Каинова печать-печать Каина და სხვა.*

როგორც ვხედავთ, აღნიშნულ ერთეულებში საკუთარი არსებითი სახელიდან ხდება ზედსართავის წარმოება: *სოდომი/სოდომური, Salomone/Salomonico, Babele/babilonica, Caino/Cainica, Каинова/Каина, Валаамова/Валаама, Бабилонская/ Бабилона.* ქართულში მეტყველების ნაწილის ცვლილებას არ მოხდევს სხვა სახის ცვლილება, იტალიურში კი ცვლილების დროს ერთეულიდან ვარდგბა წინდებული *di*, რომელიც ნათესაობითი ბრუნვის ფუნქციის მატარებელია. ქართულში მხოლოდ რამდენიმე ბიბლიური საკუთარი სახელი იძლევა მეტყველების ნაწილის შეცვლის შესაძლებლობას. მაგ. ქართულში ვიტყვით «სოდომური ცოდვა», მაგრამ არ ვიტყვით «კაენური ცოდვა», მაშინ როცა იტალიურსა და რუსულში მსგავსს შეზღუდვებს ადგილი

არ აქვს. საინტერესოა ავლიშნოთ ისიც, რომ ასეთი ცვლილების დროს თთხივე ენაში იცვლება საპუთარი სახელი—პერსონაჟის ან ქალაქის სახელი: *Salomone, Babele, Бабилон, Валаам, Caino...*

გრამატიკული ტიპის ვარიაციის დროსაც, სინონიმურის მსგავსად, ადგილი არ აქვს სემანტიკის შეცვლას და შესაბამისად, ჩაკეტილი რჩება სემანტიკური სტრუქტურაც.

ბიბლიიზმებში ვარიაციის შესწავლისას გაირკვა, რომ ერთი და იგივე ბიბლიიზმი შეიძლება უშეებდეს ორი ტიპის ვარიაციას. მაგალითად: ბიბლიიზმი «ქრისტეს გამყიდველი» შეიმჩნევა სინონიმური ვარიაციას: «ქრისტეს გამცემი» და გრამატიკული ვარიაცია: «ქრისტეს გამყიდველი». ასევე ბიბლიიზმი «like a lamb to slaughter», რომლის გრამატიკულად ვარირებული ფორმაა «like lambs to the slaughter», სინონიმური-«as a lamb to the slaughter». ასეთ ვარიაციას ა.კუნინი შერეულ ვარიაციას უწოდებს (კუნინი 1972: 101), ჩვენ კი მას არ გამოვყოფთ ცალკე ჯგუფად, რადგან იგი არსებითი ნიშნით არ განსხვავდება სხვა ტიპებისგან და შესაბამისად, ვაერთიანებთ გრამატიკული ვარიაციის ჯგუფში.

პოზიციური ვარიაციის დროს იცვლება ერთეულის წყობა. საინტერესოა ის, რომ ბიბლიიზმების უმრავლესობა ფიქსირებული წყობის ერთეულებს წარმოადგენს, რომლებშიც დაუშვებელია ლექსემების გადანაცვლება. თუმცა ბიბლიიზმთა გარკვეული ნაწილი ამის საშუალებას იძლევა:

1. ღვთის ხატება—ხატება ღვთისა;
2. პური არსობისა—არსობის პური;
3. ქრისტეს პერანგი გახდაო—გახდა ქრისტეს პერანგი;
4. ზღვაში წვეთი—წვეთი ზღვაში და ა.შ.

ქართულში მსაზღვრელ-საზღვრულის მიმართება განსაზღვრულია. მსაზღვრელი, თანამედროვე ქართულში, წინ უსწრებს საზღვრულს. ამიტომ არის ტენდენცია, რომ ძველ გამოთქმებში, რომლებშიც მსაზღვრელი მოჰყვება საზღვრულს, მოხდეს გადანაცვლება, იმისთვის, რომ გამოთქმა უფრო ბუნებრივად მოერგოს ენას. ასეთ შემთხვევებში, როგორც მასალაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, ახალ ფორმასთან ერთად თანაარსებობს ძველი ფორმაც, რომელსაც სტილისტურად უფრო ამაღლებული ქდერადობა აქვს. მაგალითად: «პური არსობისა» იცვლება «არსობის პურით». საპირისპირ ტენდენცია (ე.ი როცა იცვლება წყობა: მსაზღვრელი—საზღვრული, მაგალითად:

«აბრაამის ბატქანი»—«ბატქანი აბრაამისა») ქართულში არ შეიმჩნევა. რუსულში, ქართულისაგან განსხვავებით, უფრო ბევრი ბიბლიიზმი უშვებს პოზიციურ ვარიაციას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება მსაზღვრელ—საზღვრულის პოზიციის შეცვლას.

1. *сосуд скудельный - скудельный сосуд;*
2. *заблудшая овца- овца заблудшая;*
3. *Фома неверный- неверный Фома;*
4. *Земля обетованная- обетованная земля;*
5. *Манна небестная- небестная манна* და სხვა.

ენათაშორისი კელების თვალსაზრისით, საინტერესოა ის ფაქტი, რომ ერთი და იგივე ბიბლიიზმა შეიძლება პოზიციური ვარიაცია დაუშვას ერთ საკვლევ ენაში, დანარჩენ სამში კი-არა. ამის მაგალითია უკვე განხილული ქართული ბიბლიიზმი «ზღვაში წვეთი»—«წვეთი ზღვაში». ბიბლიიზმი საკვლევი ენებიდან მხოლოდ ქართულში იცვლება; ინგლისურში, რუსულსა და იტალიურში კი იგივე სახის ვარიაცია შეუძლებელია («a drop in the sea»—*in the sea a drop*, «una goccia nel mare», ~~«nel mare una goccia»~~, «капля в море», ~~«в море капля»~~) ისევ და ისევ გამომდინარე ენების სპეციფიკურობიდან: ინგლისურში, რუსულსა და იტალიურში ადგილის გარემოება უნდა მოხდევდეს წინადადების მთავარ წევრს, ქართულში კი მსგავსი შეზღუდვები არ არსებობს.<sup>1</sup>

რაც შეეხება პოზიციურ ვარიაციას ინგლისურში, იგი ფიქსირდება მაგრამ არა ისეთი სიხშირით, როგორც რუსულსა და ქართულში. ინგლისურში პოზიციურ ვარიაციას ადგილი არა აქვს მსაზღვრელ—საზღვრულის გადანაცვლების სახით, რადგან ამ მხრივ, ინგლისური უშვებს დიდ შეზღუდვას საზღვრულისა და მსაზღვრელის ადგილების შენაცვლების თვალსაზრისით. თუ ქართულის შემთხვევაში ლაპარაკი იყო მხოლოდ იმაზე, რომ წყობა-მსაზღვრელი და საზღვრული უფრო მისაღებია ენისათვის, ინგლისურის შემთხვევაში, ასეთი წყობა აუცილებელი და ფიქსირებულია. ჩვენ ვამბობთ «promised land», მაგრამ შეუძლებელია ცალკე გამოვიყენოთ «land promised»<sup>2</sup>, ან «good Samaritan» და არა «Samaritan good», «New Juerusalem» და არა «Jerusalem new». ე.ი. ინგლისურში სიტყვათა წყობა ფიქსირებულია, შესაბამისად, პოზიციური ვარიაცია ძალიან იშვიათი მოვლენაა და მხოლოდ მაშინ აქვს

<sup>1</sup> აქ აღსანიშვა ისიც, რომ იტალიური, ინგლისური და რუსული ენები უფრო დიდ სიახლოეს ამჟღავნებს ერთმანეთან, ვიდრე რომელიმე მათგან ქართულთან (რამაც ამ შემთხვევაში აჩინა თავი), რადგან ისინი ერთანაბეჭდა ინდოევროპულ ენათა ოჯახში.

<sup>2</sup> თუ შას არ მოხდევს რაიმე სახის დაკონკრეტება.

ადგილი, როდესაც წინადაღების რომელიმე ნაწილზე ვაკეთებთ აქცენტირებას. მაგალითად, ინგლისურში არსებობს ბიბლიიზმი «*Man cannot live by bread alone*», რომელიც საჭიროებიდან გამომდინარე, შეიძლება ასეთი სახით გამოვიყენოთ «*By bread alone man can not live*» ან ბიბლიიზმი «*To make bricks without straw*» შეიძლება გამოიყენებოდეს შემდეგი ფორმით: «*Without straw do not make bricks*».

იტალიურში კი სიტყვათა წყობა არ არის ისე მკაცრად ფიქსირებული, როგორც ინგლისურში, ამიტომ აქ ინგლისურთან შედარებით, უფრო ბევრი ერთეული უშვებს პოზიციურ ვარიაციას. მაგალითად:

1. *Costruire sulla sabbia-sulla sabbia costruire;*
2. *Buon Samaritano - Samaritano buono;*
3. *Smarrita pecora - pecora smarrita;*
4. *Scagliare la pietra prima - scagliare la prima pietra* და სხვა.

სტატისტიკური მაჩვენებლებით, ჩვენი საკვლევი ენების ბიბლიიზმების 69% პოტენციურად უშვებს ვარიაციას, რაც გააძლევს საფუძველს იმის სათქმელად, რომ ბიბლიიზმებისათვის ვარიაცია ჩვეული მოვლენაა. როგორც დავინახოთ, ყოველი ენა თავისი სპეციფიკურობიდან და თავისებურებიდან გამომდინარე იძლევა ვარიაციის სხვადასხვა ტიპის შესაძლებლობებს.

### **3.3 ბიბლიიზმების გავრცობა და რედუცირება**

ბიბლიიზმების სტრუქტურულ მახასიათებლებზე საუბრისას უნდა აღინიშნოს, რომ ვარიაციის გარდა, ერთეულებში ფიქსირდება ბიბლიიზმების გავრცობის შემთხვევები ე.ო. მათი სტრუქტურის გაზრდა სხვა კომპონენტებით და მისი საპირისპირო მოვლენა: გამარტივება ანუ სტრუქტურული რედუცირება. ლექსემით/ლექსემებით ბიბლიიზმის გავრცობის შემთხვევაში, ჩვენი დაკვირვებით, ადგილი აქვს გამოხატული აზრის ინტენსივიკაციას. შესაბამისად, გასავრცობად გამოყენებულ ლექსემებს ჩვენ ინტენსივიკატორებს ვუწოდებთ. ა. კუნინი ამ სახის მოვლენას აერთიანებს ვარიაციის ერთ-ერთ ჯგუფში და მას კვანტიტატურ ვარიაციას უწოდებს (კუნინი 1972: 95-107). ამავე სახელწოდებით ვარიაციის ჯგუფში შეაქვს მსგავსი მოვლენა ტ. ფედეულენკოვასაც (ფედეულენკოვა 1997: 78). ჩვენ ამ მიღების საპირისპიროდ, ვარიოება გვესმის როგორც ერთიდამავე ერთეულის ფარგლებში

განხორციელებული ლექსემის სხვადასხვა ტიპის ცვლილება. ასევე, ჩვენი აზრით, გავრცობის მოვლენა სუბიექტურ ფაქტორზეა დამოკიდებული და ამიტომ ფორმალურად მისი დახასიათება ვერ მოხერხდება, თუმცა შეგვიძლია მოვიყვანოთ პოტენციური მაგალითი: «the spirit is willing but the flesh is weak». ამ ფრაზაში შეიძლება მოხდეს ინტენსიფიკატორის «really» ჩასმა, რის შედეგადაც მივიღებთ ერთეულს: «the spirit is *really* willing, but the flesh is weak»; ასევე იტალიურ ბიბლიიზმში «Lo spirito è pronto, ma la carne è inferma» მსგავსად ზემოთმოყვანილი ინგლისური ბიბლიიზმისა, შესაძლოა მოხდეს ინტენსიფიკატორით «davvero» გავრცობა. «*lo spirito e* *davvero* pronto, ma la carne inferma». რუსულში ბიბლიიზმი: «Беден, как Иов», ნათქვამის ინტენსიფიკაცია შეიძლება მოვახდინოთ შემდეგნაირად: «*точно так* беден как Иов» და სხვა.

ამ მოვლენის საპირისპიროდ, შეიძლება მოხდეს ბიბლიიზმების სტრუქტურული გამარტივება/რედუცირება, ერთეულში გატარებული აზრობრივი ინვარიანტის შენარჩუნებით. როგორც იტალიელ ფრაზეოლოგიური ერთეული შეიძლება დაიყოს ორ ტიპად: პირველ ჯგუფს განებუთვნება ერთეულები, სადაც ძირითადი დატვირთვა მოდის ზმნაზე, ხოლო მეორე შემთხვევაში, ზმნა მხოლოდ დამხმარე ელემენტია და შესაბამისად, მისი ვარირება არ შეცვლის ერთეულის აზრს (ვიერი 1984: 380). ჩვენი დაკვირვებით, ბიბლიიზმებში რედუცირება ანუ ფორმალური გამარტივება, სწორედ იმ ერთეულებს ეხება, რომლებშიც ზმნა არამდგრადი და არაბირთვული ელემენტია და რომლის ჩანაცლება ადვილად შეიძლება სხვა სიტყვით. ამ მოვლენასაც, გავრცობის მსგავსად, ტ. ფედეულენკოვა ვარიაციის ტიპებში კვანტიტატურ ვარიაციად განიხილავს (ფედეულენკოვა 1997: 78), მაგრამ, ისევ დავაზუსტებთ, რომ რადგანაც ვარიაცია გვესმის, როგორც მხოლოდ ერთეულის სტრუქტურაში შემავალი ელემენტების ჩანაცვლების შესაძლებლობა და არა მისი გავრცობა/შემოკლება, ეს მოვლენა არ შეგვაჭვს ვარიაციის საზღვრებში და მას ცალკედ განვიხილავთ, კერძოდ, როგორც ბიბლიიზმების სტრუქტურული ცვლილებების ერთ-ერთ შესაძლებლობას.

ბიბლიიზმებზე დაკვირვებით, ერთეულების რედუცირება ძირითადად ხდება უკვე ენაში სრული ფორმის გამოთქმად დამკვიდრების შემდეგ. მაგალითად, ბიბლიიდან ინგლისურსა და იტალიურში დამკვიდრდა ბიბლიიზმი «*To sell one's birthright for a mess of pottage*» – «vendere qualcosa per un piatto di

*lenticchie*, რაც ნიშნავს ძვირფახის გაყიდვას უბრალო რამისათვის. ერთეულებმა განიცადა რედუცირება და გახდა «a mess of pottage», «un piatto di lenticchie», რომელიც ნიშნავს უბრალოს, უმნიშვნელოს, არაფასეულოს. ამ შემთხვევაში, ერთეულები ამოვარდა ზმნები «sell» - «vendere», რადგანაც, როგორც ავლნიშნეთ, ისინი არ წარმოადგენს ერთეულის ძირითადი დატვირთვის ლექსემებს და ადვილად ჩანაცვლებადია სხვა ზმნებით, რადგან ძირითადი აქცენტი და დატვირთვა მოდის ერთეულის არსებითი სახელის ფრაზაზე, რომელიც, როგორც დავინახეთ, პირველწყაროსთან ერთად დამკვიდრდა ცალკე გაფორმებულ ერთეულად.

მსგავსი შემთხვევები ძალიან ხშირია საკვლევი ენების ბიბლიიზმებში, რადგან ყველა ენა ერთგვარად ისწრაფვის ერთეულის გამარტივებისაკენ, აზრის კონდენსირებისაკენ. იგივე ტიპის მაგალითებია: «Conoscere una cosa dall'alfa all'omega», «To know something from Alfa to Omega», რომლებიც მსგავსი შეკვეცის შემდგომ სემანტიკის შეცვლის გარეშე დამკვიდრდნენ ერთეულებად «Alfa e omega», «Alfa and omega», (ერთეული არსებული, მაგრამ ნაკლებად გამოყენებადი რუსულსა და ქართულში). ასევე რედუქცია განიცადეს ბიბლიიზმებშა: «Dare il bacio di Giuda»-«Il bacio di Giuda», «To put new wine into old bottles»-«New wine into old bottles», «To turn the other cheek»-«The other cheek», «ქრისტეს ვიწრო და ეკლიან გზაზე სვლა»-«ვიწრო და ეკლიანი გზა», «To make bricks without straw»-«Bricks without straw», «Деньги корень всех зол»- «Корень всех зол», «Хлеб наш наущный»-«Хлеб наущный» და სხვა.

ქართული ბიბლიიზმი «ბაბილონის გოდოლის აშენება», უსაზღვრო არეულობას ნიშნავს. მნიშვნელობა ილუსტრირებულია შემდეგ წინადაღებაში: «საწყალო ბავშვებო! თუ თქვენ ამ ბაბილონის გოდოლის აშენებაში სრული გონება კიდევ შეგრჩათ, ბარაქალა თქვენი ბუნების ძლიერებას» (სახოკია: 1979 43). გარდა აღნიშნული გამოთქმისა, არსებობს მეორადი ფრაზეოლოგიზაციის და სტრუქტურული გამარტივების შედეგად დამკვიდრებული ბიბლიიზმი «ბაბილონის გოდოლი», რომელიც ასევე ძალიან ბუნებრივი და ხმარებადი გამხდარა ქართველებისათვის.

აღსანიშნია ისიც, რომ როდესაც ერთეულები რომელიმე ელემენტის, ძირითადად, ზმნის შეკვეცა აღინიშნება ანუ როდესაც ხდება ერთეულის რედუცირება და ენაში უკვე რედუცირებული ფორმით დამკვიდრება,

პირველფორმის გვერდით, ხშირად ხდება რედუცირების ამ ტიპის ენათაშორის დამთხვევასაც. მაგალითად, გამოთქმამ «to kill the golden calf», რედუცირება განიცადა, რომლის შედეგადაც დამკვიდრდა ფორმით «the golden calf», ისევე როგორც იტალიურში «Ammazzare il vitello ingrassato» დამკვიდრდა ფორმით «il vitello ingrassato».

როგორც დავინახეთ, ჩვენს მიერ წარმოებული ბიბლიიზმების სტრუქტურული შესწავლა გულისხმობს მათი სტრუქტურული მახასიათებლების დაგენას, ერთეულების შემაღენელ ელემენტებს შორის არსებული მიმართებების განსაზღვრას. ენათაშორის ბიბლიიზმებში ვარიაციის შესწავლამ დაგვანახა, რომ ბიბლიიზმებში დაფიქსირებული სტრუქტურული თავისებურებანი შეპირობებულია კონკრეტული ენის სპეციფიკით, რაც გვაძლებს ამ ენებში გამოყენებული ბიბლიიზმების სტრუქტურული მახასიათებლების იზომორფიზმისა და ალომორფიზმის სურათს.

## IV ნაწილი

### ბიბლიოზმი სემანტიკურ დონეზე

#### 4.1 მნიშვნელობის სპეციფიზირების მიმართულება ბიბლიიზმებში

ენობრივი ნიშნის სამგანზომილებიანი სისტემის მეორე განზომილება სემანტიკა, (ბერძ. sēmantikos «მნიშვნელობის მქონე»), რომელის სწავლობს ენობრივი ერთეულის მიმართებას კონკრეტულ რეფერენტთან ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, ადგენს მიმართებას აღსანიშნესა და აღმნიშვნელს შორის. ინგლისელი სემანტიკოსის ჯ. ლიჩის მიხედვით, სემანტიკის შესახებ დაწერილ ლიტერატურაში სავარაუდოა, საერთო ასპექტები მოიქმებოს, რადგან ყველა მეცნიერი სხვადასხვა პოზიციიდან ცდილობს სემანტიკის საკვლევი სფეროსა და ობიექტის დახასიათებას. ერთი რამ კი ცხადი ხდება: სემანტიკის შესწავლა ითვალისწინებს მნიშვნელობის შესწავლას თავისი ფართო გაგებით, ზოგადად სემანტიკა კი არის «the study of meaning of the meaning» (ლიჩი 1976: 8).

ბიბლიიზმების სემანტიკის შესწავლისას, ერთეულებში გამოვყოფთ მიმართულებებს, რომლებიც უკავშირდება ერთეულების შინაარსობრივ მხარეს

და მათზე დაყრდნობით ვიკვლევთ ბიბლიიზმების სემანტიკურ სტრუქტურას. ამ პროცესში საკუთრივ სემანტიკის გარდა, თავისთავად ერთვება ისეთი დისციპლინები, როგორიცაა ლექსიკოლოგია და სტილისტიკა.

ზოგადად, ბიბლიიზმების სემანტიკური კვლევის ფარგლებში გამოიყო შემდეგი მიმართულებები:

1. მნიშვნელობის სპეციფიზირების;
2. ენათა შორისი კვიკალების გამოვლენის;
3. ხატოვნების სპეციფიკის შესწავლის;
4. მეორადი ფრაზეოლოგიზაციის მოვლენის შესწავლის;
5. კონტაქტის შესწავლის მიმართულებები.

სემანტიკური კვლევის პირველი მიმართულებით ვსწავლობთ ბიბლიიზმებში მნიშვნელობის მოდიფიცირების პროცესს. როგორც უკვე ავლიშენეთ, ბიბლიიზმები ქრისტიანი ენების თეზაურუსის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. გარდა იმისა, რომ ქრისტიანული კულტურის ენებში დამკვიდრებულია უამრავი უშაუალოდ ბიბლიაში გამოყენებული გამოთქმა, ქრისტიანული ენები, როგორც ზემოთ ითქვა, ბიბლიიდან სესხულობს ლექსემებს და ბიბლიის საფუძველზე ქმნის ბიბლიიზმებს, რომლებსაც საკუთარ საჭიროებას უფარდებს. აღქმა ამა თუ იმ ბიბლიური მოვლენისა კი სხვადასხვაგვარია და მონაცემების ერების მიხედვით. აქედან გამომდინარე, კონკრეტული ენა ხან აფართოებს მნიშვნელობას ანუ ხდება მნიშვნელობის აბსტრაგირება-გენერალიზაცია, ხან ავიწროებს, ანუ ხდება მნიშვნელობის კონკრეტიზაცია-სპეციალიზაცია, ხან აკეთილშობილებს, ხან აუარესებს და ხანაც ანეიტრალებს მას. ამ შემთხვევაში საქმე გვაქს ლექსიკური მნიშვნელობის გარდაქმნასთან და ამ გარდაქმნის სხვადასხვა სახეობასთან, რაც არ ჯდება ვარიაციის მოვლენის ფარგლებში. ბიბლიიზმებში მსგავსი ცვლილებები ისევ და ისევ განპირობებულია ენის მატარებელი ერის სპეციფიკითა და საჭიროებით (ბეირის 1993: 34).

გადავიდეთ კონკრეტულ შემთხვევებზე: მნიშვნელობის გაუარესების საინტერესო მაგალითი იქნება სამ ენაში დამკვიდრებული ბიბლიური ერთეული: «the old Adam», «il vecchio Adamo», «светхий Адам» (გამოთქმის ქართული შესატყვისი მხოლოდ საეკლესიო სფეროსათვის იქნება სწორად გამოყენებული და დეკოდირებული, ისიც განსხვავებული ფორმით «ძველი კაცი»), რომელიც სიძველესთან არაა დაკავშირებული და სემანტიკით განსხვავდება იმ

«ადამისაგან», რომელსაც ვხვდებით გამოთქმაში «Not to know someone from Adam». ამ უკანასკნელ ერთეულში მნიშვნელობა გამოიყოფა სიძველის სემით და ნიშნავს სრულიად უცნობ რაიმეს ანუ ადამის მნიშვნელობის რეგისტრი ნეიტრალურია, ისევე როგორც ადამის სახელთან დაკავშირებულ სხვა ერთეულებში: «om Adamo», «ადამის ხნის», «una costola d'Adam», «ადამის დროიდან» და სხვა. ამათგან განსხვავებით, ბიბლიიზმში «the old Adam» და მის ეპიგალენტებში «il vecchio Adamo», «ветхий Адам» მნიშვნელობა გაუარესებულია და მთლიანად ერთეული ნიშნავს ადამიანის იმ ბოროტ მხარეს, რომელსაც ვერაფერი შეცვლის. მნიშვნელობის ცვლილების ეს მიმართელება შემდეგნაირად შეგვიძლია ავხსნათ: გამოვყოთ ლექსემაში «ადამი» შემდეგი სემები:

1. ძველი-რადგან იგი სახელია პირველი ადამიანისა;
2. ღვთის ხატება, ძე ხორციელი;
3. ცოდვილი ადამიანი, რომელმაც სამოთხე დაკარგა.

ჩვენი აზრით, სიტყვის პირველი სემით აქტუალიზებას ადგილი აქვს საკვლევი ენების შემდეგ ბიბლიურ ერთეულებში: «ადამის ხნის», «ადამ-გუგუს დროინდელი», «ომ Адама», «ко времен Адама» «da Adamo in qua», «as old as Adam», «essere parente per parte di Adamo»; ლექსემა მეორე სემით დამკვიდრებულია ერთეულში: «ადამის შვილი», «siamo tutti di Adamo», «venire dalla costola di Adamo»; მესამე სემით კი-უკვე ნახსენებ ბიბლიიზმში: «il vecchio Adamo», «the old Adam», «ветхий Адам». ბოლო მაგალითში მნიშვნელობას გაუარესებულია მივიჩნევთ, რადგან ადამთან დაკავშირებული პირველი ასოციაცია, ჩვენი აზრით, არ არის მხოლოდ ცოდვილი ადამიანისა, განსხვავებით კაენისაგან, რომელშიც ეს სემა პიპერსემაა, რადგან ადამის სახელთან დაკავშირებით შეიძლება გაგვიჩნდეს ისეთი რამოდენიმე სრულფასოვანი ასოციაცია, როგორიცაა სიძველე, ადამიანის დასაბამი, პირველი ცოდვა და სხვა. რადგანაც აღნიშნულ ბიბლიიზმში ამ სრულუფლებიანი სემებიდან ერთ-ერთია ხორცშესხმული, რომელიც იმპლიციტურად ადამის უარყოფით ქმედებას გულისხმობს, საქმე გვაქვს მნიშვნელობის გაუარესებასთან. გარდა ამისა, ლექსემა «ადამს» მოეპოვება პერიფერიული სემებიც, რომლებიც თავის მხრივ, აქტუალიზებულია ისეთ ერთეულებში, როგორიცაა «vestito/costume d'Adam», «в костюме Адама», რაც სრულ სიშიშვლეს ნიშნავს, «venire dalla costola d'Adam», (იყო ადამის

პირდაპირი შთამომავალი), «the faithful Adam», «the outward Adam», «Adam's apple», «il pomo di Adamo» და სხვა.

გარდა ლექსიკური-სემანტიკური გარდაქმნის ამ სახეობისა, ბიბლიიზმში შეიძლება მოხდეს მნიშვნელობის განეიტრალება და გაკეთილშობილება-გაუმჯობესება, რომლის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ქართული ბიბლიიზმი «იუდას კერძი». ეს ბიბლიიზმი მხოლოდ ქართულში არსებობს და დანარჩენ საკვლევ ენებში შესატყვისი არ მოეპოვება. იუდა, როგორც ცნობილია, ქრისტეს ერთ-ერთი მოწაფე იყო, რომელმაც უფალი ოცდაათ კერცხლად გაყიდა. სიტყვა იუდა შეიძლება გამოიყენებოდეს მეტაფორული მნიშვნელობით და მეტყველებაში შექმნას რიგი ოკაზიონალური ფრაზეოლოგიზმებისა, რომლებიც გამოიყოფა ერთი ჰიპერსემის, კერძოდ, მოდალატების საფუძველზე. მაგალითად: «რა იუდა ხარ», ნიშნავს რა მოდალატე ხარ, «იუდასავით ნუ მომექცევი»-ნუ მიღალატებ და სხვ. ასეთი შემთხვევებისაგან განსხვავდით, გამოოქმაში «იუდას კერძი» მნიშვნელობა განეიტრალებულია, რადგან იგი არ ეხება დალატს, პირიქით, მას ხუმრობის ელფერი გასდევს და ხშირად სწორედ ამ დატვირთვით გამოიყენება. ამ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, ლექსიკურ-სემანტიკური გარდაქმნის დროს მოქმედებს შემდეგი კანონზომიერება: ფრაზეოლოგიური ერთეულის ფორმირების პროცესში კონტექსტში წინ წამოიწევს სიტყვის (ამ შემთხვევაში ლექსემა იუდას) პოტენციური/ასოციაციური სემა, რომელიც ასახავს დენოტატის მეორად, არაარსებით თვისებას და სწორედ ამ არაარსებითი და ხანდახან არამოტივირებული თვისებით ხდება ლექსემის დამკვიდრება ბიბლიიზმში.

განვიხილოთ ლექსიკური გარდაქმნის შემთხვევა ოთხენოვან ბიბლიიზმში: «ხელების დაბანა», «to wash one's hands of», «lavarsene le mani», «умыть руки». ბიბლიის მიხედვით, რომაელმა სარდალმა პილატემ არ ისურვა ქრისტეს გასამართლება, მიხვდა რა უფლის უდანაშაულობას, მაგრამ კერც დაიცვა იგი ხალხის წინაშე. ამის ნაცვლად, მოატანინა წყალი, ხელები დაიბანა და თქვა: დაფიქრდით, ეს ადამიანი უდანაშაულოა, მე მის სიკვდილზე პასუხს არ ვაგებო (მათე 27:24). მიუხედავად იმისა, რომ პილატეს ქმედება არსით უარყოფითია, ჩვენი აზრით, მასში პოზიტიური ელემენტიც არის, რომელიც საერთოდ წაშლილია ბიბლიურ გადააზრებულ ლექსემა პილატეში და მის სახელთან დაკავშირებულ ბიბლიიზმებში, მსგავსად ერთეულისა

«პილატესავით ხელების დაბანა» (თუმცა ამ ფორმით უფრო ნაკლებად იხმარება საკვლევ ენებში), სადაც კონტაცია მძაფრი უარყოფითია. მაგალითად: «პილატესავით დაიბანს ხელებს და განზე გადგება» (ჯავახიშვილი 1961: 78). აქ იმპლიციტურად იგულისხმება, რომ პილატეს საქციელი უარყოფითია და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს გამართლებული ანუ ერთეულებში «პილატესებრ ხელების დაბანა», «to wash hands like Pilate», «lavarsene le mani come Pilato», «умыть руки как Пилат» მნიშვნელობა გაუარესებულია. თუმცა, როგორც ავღნიშნეთ, აღნიშნული ფორმით ბიბლიიზმი ნაკლებად იხმარება საკვლევ ენებში. სამაგიეროდ, ძალიან დიდი პროდუქტულობით და სისტირის მაღალი ხარისხით ხარგებლობს ერთეულის ვარირებული ფორმა «ხელების დაბანა», «to wash one's hands», «lavarsene le mani», «умыть руки», სადაც მნიშვნელობის ცვლილება სულ განსხვავებულ მიმართებულებას იძენს-მასში ხდება მნიშვნელობის განეიტრალება და ნაწილობრივ გაუმჯობესებაც კი ანუ უარყოფითი ქმედების საფუძველზე წარმოშობილი ერთეულის მნიშვნელობა შესაძლოა კონტექსტის მიხედვით მონაცემლებდეს, იყოს უარყოფითიც და ნეიტრალურიც. თუ უარყოფითი მნიშვნელობა შენარჩუნებულია შემდეგ კონტექსტში აქტუალიზებულ იტალიურ ბიბლიიზმი «Quando si trattava dei soldi, Luigi sempre se ne lavava le mani» (ძინგარელი 2002: 563). მეორე მხრივ, ამავე გამოთქმას, როგორც ავღნიშნეთ, შეიძლება, მოეპოვებოდეს სხვა მნიშვნელობაც, კერძოდ, პასუხისმგებლობის მოხსნა, რაც არაა გაუმართლებელი, უარყოფითი ქმედება. მაგალითად: «Сделайте как хотите, Константин Алексеевич, я умываю руки!» (სტეპანოვი 1962: 76), სადაც ჩანს, რომ მთქმელის მიერ ხელების დაბანის ანუ პასუხისმგებლობის მოხსნის პროცესს არავითარი ანალოგია არ გააჩნია პილატეს მიერ პასუხისმგებლობის მოხსნის უარყოფით ქმედებასთან. თქმულიდან გამომდინარე, როცა ერთეულს ვიყენებთ პირველი მნიშვნელობით, კერძოდ: პასუხისმგებლობის მოხსნა და ამით უარყოფითი ქმედების ჩადენა, მას შეიძლება, დაგუმატოთ «პილატესავით», რაც მიუთითებს იმაზე, რომ პასუხისმგებლობის მოხსნის ხელების დაბანის პროცესი უარყოფითია. ხოლო როცა ამ ბიბლიიზმს ვიყენებთ უბრალოდ პასუხისმგებლობის მოხსნის მნიშვნელობით, ერთეულს ვერ დავუმატებთ ლექსემა «პილატე», რადგან იგი სხვა სემანტიკური დატვირთვას შეიძენს. ზოგადად, პილატე თავის ქმედების საფუძველზე მხოლოდ უარყოფითი მოვლენის ამსახველ ერთეულად უნდა დამკვიდრებულიყო ენების მიერ

შექმნილ გამოთქმებში თავისი დატვირთვიდან გამომდინარე, მაგრამ ამის საპირისპიროდ, ქართულში ვხვდებით ისეთ გამოთქმას, როგორიცაა «პილატეს ცრემლი», რომელიც მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ქართულში ნაკლებად გამოიყენება, ო. სახოკიას ხატოვან თქმათა ლექსიკონის განმარტებით, ირონიით ნიშნავს არაყს, სიმწარეს. მაგ: «თუკლორებ შეიძატისა გზირი დუქანში, თანაც თრი ჭიჯა პილატეს ცრემლი გადააცეცხლა» (სახოკია 1979: 487)\*. საინტერესოა ერთეულში პილატეს აღნიშნული ფორმით დამკვიდრების მიზეზიც: ადრე ხალხში გავრცელებული იყო თქმა იმის შესახებ, რომ მაცხოვრის ჯვარცმის დროს პილატეს თვალებიდან ცრემლები წამოცვიდა, რაც ქართველებმა ხალხმა სიმწარის ცრემლების ანალოგიით რატომდაც არაყს მიუსადაგეს (სახოკია 1979: 488).

როდესაც ჩვენ ლექსიკური გარდაქმნის შესახებ ვსაუბრობთ, ვაულისხმობთ გზას, რომელიც ბიბლიურმა ერთეულმა გაიარა ბიბლიიდან ენაში შეღწევამდე ან შექმნამდე ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, ერთეულის ფრაზეოლოგიზაციის გზას.

თუ განხილულ მაგალითს «ურწმუნო თომას» თავისი სამენოვანი შესატყვისით: «Фома неверный», «doubting Thomas», «fare come san Tommaso» დავუბრუნდებით და მას კონტექსტში დავაკვირდებით: «მედია, რომელიც არ არის ურწმუნო თომას პოზიციაში, თავის ფუნქციას კარგავს». (29 მაისი, 2004, კავკასია, ახალი ამბები), დავინახავთ, რომ ამ შემთხვევაშიც გამოთქმაში დომინანტი ხდება ურწმუნოების სემა და იჩრდილება თომასთან დაკავშირებული სხვა ისეთი სემები, როგორიცაა ქრისტეს მოციქულობა, პირველი ქრისტიანობა და სხვ. თუმცა, ჩვენი აზრით, ურწმუნოების თვისების წინა პლაზე წამოწევა ქართულსა და რუსულ ერთეულებში ახდენს თომას სახელთან დაკავშირებული მნიშვნელობის გაუარესებას. ასევე გაუარესებულია მნიშვნელობა ინგლისურსა და იტალიურ შესატყვისებშიც, მაგრამ გაუარესების ხარისხი უფრო მძაფრია რუსულსა და ქართულში, რადგან ინგლისურში ერთეული დამკვიდრებულია არა ურწმუნოების, არამედ უოფანის სემის აქტუალიზებით, რაც ჩვენი აზრით, უფრო შეეფერება და ახასიათებს თომას ქმედებას ვიდრე ურწმუნოების სემა.

\* ეს და სხვა ილუსტირებული მაგალითები მოყვანილია ო. სახოკიას ლექსიკონიდან, სადაც, თავის მხრივ ავტორი იყვნებს სხვადასხვა ქართველი შექრდების ნაწარმოების ციტატებს;

ზოგადად, თომას საქციელი შეგვიძლია დავახასიათოთ თრივე სიტყვით: *doubting*, იმიტომ რომ მან ბოლომდე არ დაიჯერა მომხდარი და ურწმუნო იმიტომ, რომ მას ღმერთის სრული რწმენა არ აღმოაჩნდა. ის ფაქტი, რომ ბიბლიიზმი სხვადასხვა სახითაა დამკვიდრებული საკვლევ ენებში, რისი შედეგიც საბოლოო ჯამში მნიშვნელობის გაუარესების ხარისხია, შეიძლება ენის სპეციფიკურ სემანტიკურ ველს მივაწეროთ, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ სიტყვა *doubting*-ის სინონიმებად ითვლება ქართული და რუსული საეჭვო და *сомнительный*, ეს თრი ლექსემა არ შედის იგივე მიმართებაში სხვა ლექსემებთან, როგორც ინგლისური *doubting*, რადგან ინგლისური «*doubting Thomas*» ნიშნავს ადამიანს, რომელიც თვითონ ეჭვობს ე.ი. მოქმედება მისგან გამომდინარეობს, მაშინ როცა ქართულ და რუსულ «*сомнительный Фома*» და «*საეჭვო თომასი*» სავსებით განსხვავებული იმპლიკაცია მოეპოვება. ეს იქნება არა ადამიანი, რომელიც თვითონ ეჭვობს, არამედ ის, ვინც ეჭვს იწვევს ე.ი. მოქმედება მასზე მიემართება. ამ შემთხვევას ჩვენ ერთ საინტერესო თვალსაზრისამდე მივყავართ: ენათა შორის სხვაობა წარმოჩინდება არა მხოლოდ სემანტიკის და პრაგმატიკის დონეზე, როგორც ეს ფართოდაა აღიარებული, არამედ უპირველეს ყოვლისა, სინტაქსის დონეზე, როცა მოქმედებს ფრაზათა გაწყობის სხვადასხვა ნორმა და როდესაც ენათშორის სინონიმებად აღიარებულმა ლექსემებმა შეიძლება უკვე სხვა სიტყვასთან მიმართებაში გამოავლინოს თავისი თავისებურება. საინტერესოა ერთეულების იტალიურში ვარიანტიც, სადაც არც *doubting*-ის და არც ურწმუნოს შესატყვისი არაა აქტივიზირებული. იგი არის უბრალოდ «essere/fare come san Tommaso» (სიტყვასიტყვით: *io sono abbracciato dal Signore e sono dunque Thomas*) ანუ აქ ადარაა ქმედების კონკრეტიზირება, პირიქით, მნიშვნელობა აბსტრაგიზირებულია და როდესაც ადრესატი მიმართავს ადრესანტს «è San Tommaso» ან «fa come San Tommaso», ადრესანტმა ფრაზის დეკოდირებისას იცის, რომ მას ადარებენ წმინდა თომას ურწმუნოების ან ყოყმანის სემის საფუძველზე. იტალიურ ერთეულში ასევე მოიპოვება ერთი ლექსემა, რომელიც არცერთ სხვა ენის ერთეულში არაა მოცემული, კერძოდ-«წმინდა».

თქმულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ გამოთქმებში: «*Фома неверный*», «*doubting Thomas*», «*fare la parte di San Tommaso*», «*ურწმუნო თომა*» მნიშვნელობის სხვადასხვა დოზით გაუარესება აღინიშნება. განხილული მაგალითების

თანახმად, შეგვიძლია დავადგინოთ, რომ ყოველი ენა თავისი საჭიროებიდან და აღქმის სპეციფიკიდან გამომდინარე წარმართავს სისტემაში ბიბლიური მეტაფორის შეტანას. ლექსიკური გარდაქმნების შესწავლის საინტერესო მაგალითებს გვთავაზობს სიტყვა «კაენთან» დაკავშირებული ბიბლიოზმები. კაენი, ბიბლიის მიხედვით, სახელია პირველი მკვლელი ადამიანისა. შესაბამისად, მასში მკვლელის სემა მთავარი ანუ ჰიპერსემაა. ჩვენი დაკვირვებით, ლექსემა კაენი საკვლევ ენებში დამკვიდრებულია არა მხოლოდ მკვლელის აღსანიშნად, ე.ი. იმ კონკტრეტული ცოდვისა, რომელიც მან ჩაიდინა, არამედ ყოველგვარი ბოროტების სიმბოლოდ. თავდაპირველად გავეცნოთ იმ მაგალითებს, რომლებშიც კაენი ძირითადი სემითაა დამკვიდრებული, ესენია: «კაენის ცოდვა», «the mark of Cain» «Каинова печать», «il segno di Caino» და ასე შემდეგ. ხოლო გამოთქმას «to raise Cain» მკვლელობასთან კავშირი არ აქვს ანუ ჰიპერსემა დაჩრდილულია და წინ წამოიწევს უფრო ზოგადი სემა-სიავე, ბოროტება. ეს ერთეული ნიშნავს ვინმეს გამძინვარებას, რომლის შედეგი მხოლოდ მკვლელობა შეიძლება არც კი იყოს. ე.ი. ერთეულში ფიქსირდება მნიშვნელობის გაფართოება-გენერალიზების შემთხვევა, ისევე როგორც სიტყვა კაენთან დაკავშირებულ მეორე ინგლისურ ბიბლიიზმში «the curse of Cain» (ადამიანი, რომლის ბედია იხეტიალოს ერთი ადგილიდან მეორეზე\*), რომელშიც მოქმედებს ზუსტად ცვლილების იგივე მიმართულება, რაც უკვე განხილულ ერთეულში, მხოლოდ ამ შემთხვევაში, წინა პლანზე წამოიწევს სხვა პერიფერიული სემა, კერძოდ-მკვლელობის შემდგომ კაენი დაიწყევლა თავისი ქმედებისთვის და წილად ხვდა ერთი ადგილიდან მეორეზე ხეტიალი. შესაბამისად, ერთეულში მნიშვნელობის სპეციფიზირებასთან გვაქვს საქმე. ასევე პერიფერიული სემითაა სიტყვა კაენი აქტუალიზებული იტალიურ ბიბლიიზმებში: «fare l'offerta di Caino», რომელიც ნიშნავს-იყო არამადლიერი, სიკეთისა და გულუხვობის გარეშე გააკეთო საქმე. ისევე როგორც ბიბლიიზმი *«andare ramigo come Caino»*, რაც ნიშნავს ვერასოდეს ვერ ეწიო მშვიდობიან ცხოვრებას. ამ მაგალითებშიც მნიშვნელობის განეიტრალებასთან გვაქვს საქმე.

მნიშვნელობის დავიწროების მაგალითი იქნება ინგლისური ბიბლიიზმი *«to separate the sheep from the goat»*. გამოთქმა, რომელიც უშუალოდ ბიბლიიდან მომდინარეობს თავდაპირველად ნიშნავდა კარგისაგან ცუდის გარჩევას.

\* თუმცა ეს კაენის ერთ-ერთი სემაა

დღესდღობით ინგლისურში ბიბლიიზმის მნიშვნელობა დავიწროებულია და ნიშნავს არა ზოგადად კარგის გარჩევას ცუდისგან, არამედ კარგი ბიზნესმენის გარჩევას ცუდისგან (ლონგმენის ინგლისური იდიომების ლექსიკონი 1990:99), მაშინ როდესაც, მნიშვნელობის დავიწროების ეს მიმართულება არ შეიმჩნევა სხვა საკვლევ ენებში.

თუ შესადარი ენების ბიბლიიზმებში მნიშვნელობის სპეციფიზირების მიმართულებას დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ ოთხი ენის ეკვივალენტებში მნიშვნელობა ცვლილებას განიცდის, ზოგ ერთეულში გენერალიზებული, აბსტრაქტიზებულია, ზოგში კი კონკრეტიზებული.\* როგორც ა. თაყაიშვილი შენიშნავს, ქართული ენისათვის დამახასიათდებლია კონკრეტიზაცია, რომელიც თავს იჩენს არა მხოლოდ ფრაზეოლოგიურ ერთეულებსა და ხატოვან გამოთქმებში, არამედ ცალკეულ სიტყვებშიც კი (თაყაიშვილი 1961: 43). მაგალითისათვის მოვიყვანოთ ნათესაობის სემანტიკური ველი, რომელშიც ხდება ლექსემების კონკრეტიზება შემდეგი ლექსემებით დაიდა, მამიდა, ხიდედრი, დედამთილი და ასე შემდეგ, მაშინ როდესაც დანარჩენ საკვლევ ენებში მსგავსი დაპირისპირება არ არსებობს. ეს ტენდენცია, ნაწილობრივ, შესამჩნევია ქართულ ბიბლიიზმებშიც. მაგალითად, ქართულში მოიპოვება ბიბლიიზმი «ხელის გულზე ტარება», რაც რუსულში გენერალიზებული ფორმით არის წარმოდგენილი, როგორც «носить на руках» ე.ი იცვლება კონკრეტიზებული ქართული შესატყვისით «ხელის გული».

საინტერესო ტენდენცია შევნიშნეთ იტალიურ ბიბლიიზმებშიც. ის ერთეულები, რომლებშიც დამკვიდრებულია რაიმე ნიშნით ცნობილი ბიბლიური პერსონაჟები, არ შეიცავს იმ ქმედების კონკრეტიზებას, რომლითაც ცნობილნი არიან. თუ ქართულში, რუსულსა და ინგლისურში განხილული ბიბლიიზმი არსებობს ფორმით: «ურწმუნო თომასავით მოქცევა», «to do like doubting Thomas», «вести себя как Фома неверный», შესაბამის იტალიურ შესატყვისში მსაზღვრელი არ არის წარმოდგენილი: «fare come san Tomasso». ასევეა იტალიური ბიბლიიზმი «fare una parte di Pilato», რომელიც ქართულში კონკრეტიზირებული შეიძლება იყოს როგორც «პილატესავით ხელების დაბანა».

\* ამ შემთხვევაში ვაჟლისხმობთ მნიშვნელობის შეცვლას არა ბიბლიური ციტატიდან ფრაზეოლოგიურ ერთეულამდე, არამედ ოთხენოვანი მახალის საფუძვლებზე.

მეორე საინტერესო ნიშანი, რაც იტალიურ ბიბლიიზმებს სხვა ენათშესატყვისი ეპივალენტებისგან გამოარჩევს არის ის, რომ ერთეულები, რომლებიც წმინდანებისა და მოციქულების სახელებს უკავშირდება, აუცილებლად შეიცას სტრუქტურაში მაკონკრეტებელ ლექსემა «წმინდას» და ყოველთვის ამ ლექსემით გამოიყენება, მაშინ როცა სხვა საკვლევ ენებში ეს ტენდენცია არ შეინიშნება. თუ იტალიურში არსებობს გამოთქმები: «Fare la parte di San Tommaso», «Far San Pietro», «Prendere San Pietro per la barba» და სხვა, სადაც წმინდანები არა მარტო სახელებით არიან მოხსენიებულნი, არამედ აუცილებლად სიტყვა წმინდანთან ერთად, დანარჩენ სამ ენაში მსგავს გამოთქმებში უჩვეულოა ლექსემა «წმინდანით» ერთეულის დაკონკრეტება.

რაც შეეხება ინგლისურ ბიბლიიზმებს, სპეციფიკურობა ჩვენი დაკავირვებით, მდგომარეობს იმაში, რომ აქ დომინირებს ბიბლიიზმები, რომლებიც სტრუქტურაში შეიცავს ზმნებს ანუ თუ ყველა დანარჩენ საკვლევ ენებში ბიბლიიზმი ფრაზეოდოგიური ერთეული მხოლოდ ორწევრა ან სამწევრა გაფორმებული ერთეულია, სადაც ერთია საზღვრული და ერთი ან ორი მსაზღვრელი, ინგლისური ბიბლიიზმების უმრავლესობას დასრულებული და გაწყობილი წინადადების ფორმა აქვს. სწორედ ამ თვისებით გამოირჩევა ინგლისური ბიბლიიზმები ყველა სხვა ჩვენი საკვლევი ენების ბიბლიიზმებისაგან. მაგალითად, ინგლისურში დომინირებს ბიბლიიზმები წინადადების სტრუქტურით: «to cast pearls before swine», «pride goes before a fall», «let the dead bury the dead», «to build on sand», «man cannon live by bread alone», «sell one's birthright for a mess of pottage» და სხვა\*. ინგლისური ბიბლიიზმების სპეციფიკურობად მივიჩნევთ იმასაც, რომ ისინი, ძირითადად, დიდაქტიკურ-დამრიგებლური ტონალობისა არიან, რაც აშკარად გამოარჩევს მათ სხვა ენების ბიბლიიზმებისაგან.

როგორც ვნახეთ, ბიბლიიზმები, მიუხედავად იმისა, რომ ერთნაირი დატვირთვის მოვლენიდან წარმოიშვა, ენების მიხედვით მნიშვნელობის სპეციფიზირებას განიცდის. ჩვენი აზრით, მნიშვნელობის სპეციფიზირება ძალიან ინდივიდუალური კატეგორიაა და უკავშირდება ენის მატარებელი ერის ცნობიერების, აზროვნების და ა.შ. საკითხებს, რადგან ყველა ენა მისი საჭიროებიდან გამომდინარე ახდენს მნიშვნელობის მოდიფიცირებას გამოთქმის

\* მოუხელავად იმისა, რომ ეს სპეციფიკურობა უფრო სტრუქტურულ მანასიათებლებს განკუთვნება, საკვლევი ენები ბიბლიიზმების სპეციფიკურობაზე საუბრისას, ამ ფაქტის აღნიშნენა საჭიროდ ჩავთვლეთ (თმ.).

ბიბლიური ფესვებიდან ენაში ფრაზეოლოგიურ გამოთქმად დამკვიდრების პერიოდში.

#### **42 ეკვივალენტურობა ბიბლიიზმებში**

ბიბლიიზმების სემანტიკური პლევის შემდეგი მიმართულებით ხდება საკვლევ ენებში ეკვივალენტურობის გამოვლენა და დაფიქსირებული ტიპების კლასიფიკაცია/ შესწავლა შეპირისპირებითი პოზიციებიდან. უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი «ეკვივალენტი» და «ეკვივალენტურობა» სპეციალურ ლიტერატურაში გამოიყენება როგორც ზოგადი გაგებით, ასევე დიფერენცირებული შინაარსითაც.

XX საუკუნის სამოციანი წლების დასაწყისში, სამანქანო თარგმანის იდეის განვითარებასთან დაკავშირებით თავი იჩინა ენათაშორისი სინონიმის პრობლემით დაინტერესებამ ანუ ენებს შორის კანონზომიერ შესაბამისობათა ძიებამ. ამასთან დაკავშირებით, ეკვივალენტურობა მოიაზრებოდა, როგორც ენის ნიშანთა შესაბამისობა წყარო ენასა და თარგმანში (საყვარელიძე 2001: 3-10).

ა. ეტინგერის მტკიცებით, თარგმანი შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც ერთი ენის ელემენტთა ჩანაცვლება მეორე ენის ელემენტებით (ეტინგერი: 1960: 55). ელემენტებში იგულისხმება კონკრეტული ენის ნიშნები და მათი გამოვლინება.

ი. რეცეპტი ეკვივალენტურობას უკავშირებს მხოლოდ ტექსტის მიკროელემენტთა შესატყვისობას ცალკეულ სიტყვათა დონეზე. ამასთან დაკავშირებით მას შემოაქვს ისეთი ცნებები, როგორიცაა სრული ეკვივალენტები, ნაწილობრივი ეკვივალენტები და ვარიანტული შესატყვისები (რეცეპტი 1950: 12-77). სრულ ეკვივალენტად უნდა მივიჩნიოთ ინგლისური actress და ქართული მსახიობი ქალი. ამ შემთხვევაში ნ. საყვარელიძის მიხედვით, «სიტყვა სიტყვაში ჯდება» (საყვარელიძე 2001: 32). ისეთ შემთხვევაში კი, როცა წყარო ენის რომელიმე ერთეულის ეკვივალენტად თარგმანის ენაში სიტყვის რამდენიმე მნიშვნელობიდან ერთ—ერთის შერჩევა ხდება საჭირო, საქმე გვაქვს ნაწილობრივ ეკვივალენტთან. ამის მაგალითია სიტყვის «big» (დიდის) ძირითადი მნიშვნელობა და იგივე სიტყვის ქართული ეკვივალენტი მნიშვნელობა მოზრდილი, ძლიერი. ი. რეცეპტის აზრით, სემანტიკური

ეკვივალენტები მუდმივი და მდგრადია კონტექსტის გარეშე, ხოლო პოლისემიის შემთხვევაში, რომელიც დაფიქსირდა სიტყვაში *pin* და მის ქართულ შესიტყვებებში: გულსაბუჯი, თმის სამავრი, ქინძისთავი, ლაპარაკი შეიძლება ვარიანტულ შესატყვისებზე, რომელთა შერჩევა შესაძლოა მხოლოდ კონტექსტის გათვალისწინებით (რეცეპცია 1982: 54). ოუმცა, გაუგებარია ი. რეცეპციის ნაწილობრივი ეკვივალენტების და ვარიანტული შესიტყვებების განსხვავების კრიტერიუმი, რადგან კონტექსტი ორივე შემთხვევაში მნიშვნელოვანია (საყვარელიძე 2001: 33).

გამომდინარე კონცეფციიდან, რომ სიგმატურ პლანში შეიძლება გაიმიჯნოს ხუთი რანგი, რომლებსაც შევსაბამება ხუთი ენობრივი სიდიდე-მორფემა, სიტყვა, სინტაგმა, წინადადების ერთი წევრის სახით გაერთინებული სიტყვათა ჯგუფი და წინადადება, ა. ჰელიდეი ცდილობს გამოავლინოს თუ რომელ რანგში შეიძლება დამყარდეს ეკვივალენტურობა. მისი აზრით, ეკვივალენტურობის ალბათობა თანდათან იზრდება უმარტივესი რანგიდან (მორფემიდან) შემდეგ რანგებზე გადასვლის პროცესში და საბოლოოდ, დასტურდება მარტოოდენ მთელი წინადადების დონეზე; ხოლო რაც უფრო დაბლა ვეშვებით უკუსვლით-უმაღლესი რანგიდან უმარტივესი რანგისაკენ (წინადადებიდან მორფემისაკენ) ეკვივალენტურობის ალბათობა თანდათან კლებულობს და საბოლოოდ ქრება, რადგან მორფემა უთარგმნელი ელემენტია (ჰელიდეი 1967: 84).

ყველა განხილულ კონცეფციაში, ეკვივალენტურობა გააზრებულია როგორც ენობრივ ნიშანთა რეფერენციალური შესაბამისობა. აქცენტი თითოეულ შემთხვევაში გამახვილებულია ენის ნიშანთა თარგმნითი ეკვივალენტების ანუ ენათაშორისი სინონიმის გამოვლინებაზე.

განსხვავებულ პოზიციაზე დგას ი. ნაიდა, რომელიც ცდილობს, გაარღვიოს თარგმანთან ვიწრო სემანტიკური მიდგომის საზღვრები. იგი განარჩევს ორ განსხვავებულ ორიენტაციას თარგმანში-ფორმალური ეკვივალენტურობის მიღწევის ცდა და დინამიკური ეკვივალენტურობისაკენ სწრაფვა (ნაიდა 1964: 10-96). ნაიდასული დინამიკური ეკვივალენტურობის პრინციპი უპირისპირდება ფორმალურს. მასში პირველ პლანზე წამოწეულია თარგმანის პრაგმატიკული განზომილება, მთარგმნელის ორიენტაცია თარგმანის ტექსტის ადრესაზე. ი. ნაიდა ასევე არ გამორიცხავს ფორმალური ადეკვატურობის დაცვას გარკვეული ტიპის ტექსტში. იგი ხაზგასმით

აღნიშნავს, რომ ტექსტის ზოგიერთ ტიპში შინაარსი დომინირებს ფორმაზე, თუმცა არც შინაარსისა და ფორმის ერთიანობის პრინციპს გამორიცხავს. დინამიკური ეკვივალენტობის პრინციპის დაცვით შესრულებული თარგმანისთვის დამახასიათებელია გამოხატვის ფორმათა სისმუშაქე და ბუნებრიობა. შეტყობინების მიმღებს ასეთ შემთხვევაში, არ მოეთხოვება, ესმოდეს ორიგინალის კულტურის კონტექსტი, პირიქით, მას სთავაზობენ ქცევის ისეთ მოდუსს, რომელიც მისი საკუთარი კულტურის კონტექსტს უფრო შეესაბამება. ამ აზრის ნათელსაყოფად ი. ნაიდას მოჟავს «ახალი ადოქტორის» ჯონ ფილიპისეული თარგმანის ერთ-ერთი ნაწყვეტი, სადაც ნაცვლად სეგმენტისა «greeted each other with a Holy kiss» მთარგმნელს უპირატესობა მიუნიჭებია ასეთი ინტერპრეტაციისთვის: «greeted each other with a hearty handshake»—მისალმება გულთბილი ხელის ჩამორთმევით, რაც აშკარად შეესაბამება ინგლისელის ქცევის მოდუსს (ნაიდა 1964: 74).

დროთა განმავლობაში ეკვივალენტურობის პრობლემა თარგმანში უფრო და უფრო დაუკავშირდა კომუნიკაციურ განზომილებას. ეკვივალენტურობის ცნება ენის ცალკეულ ნიშანთა დონიდან აშკარად ინაცვლებს ტექსტის, როგორც ერთიანი ენობრივი წარმონაქმნის კომუნიკაციური დირებულების დონეზე.

ბ. ეგერის მტკიცებით, თარგმანის ეკვივალენტურობა მხოლოდ ტექსტის დონეზე შეიძლება გამოვლინდეს და მისი არსი თარგმანისა და ორიგინალის მასალის კომუნიკაციური დირებულებების თანხვედრაში მდგომარეობს, რაც იმას ნიშნავს, რომ ორიგინალის კომუნიკაციური დირებულება ინგარისანტულია თარგმანის ტექსტისთვის (ეგერი 1978: 48).

თუ ეკვივალენტურობას დავუკვირდებით სემიოზისის სამივე განზომილების გათვალისწინებით, დავინახავთ, რომ იგი სამივე დონეზე მხოლოდ იდეაშია შესაძლებელი. სინტაქსური მატრიცის შეუცვლელად ეკვივალენტურობის მიღწევა იგივე ინგლისურსა და ქართულში, სადაც მოქმედებს ენათა სტრუქტურული არაერთგვაროვნებით განპირობებული გამონათქვამის სინტაქსური გაწყობის რადიკალურად განსხვავებული ნორმები, თოთქმის შეუძლებელია. სინტაქსური მატრიცის უცვლელობა შეიძლება დადასტურდეს მარტო მცირე ზომის ინტერტექსტუალურ სეგმენტებში. ეკვივალენტურობა სემანტიკის დონეზე კი შესაძლებელია და გამოიყოფა ორი სახეობა:

1. ეკვივალენტურობა გამონათქვამის ლექსიკურ-ფრაზეოლოგიურ კომპონენტების დონეზე;
2. ეკვივალენტურობა რეფერენციალურ დონეზე (საყვარელიძე 2001: 30-38):
 

პირველ შემთხვევაში ფორმალურ-სტრუქტურული არაერთგვაროვნების ფონზე ეკვივალენტურობა მყარდება ტოლფასიანი სემების აქტივიზაციით, ხოლო მეორე შემთხვევაში, არც სტრუქტურული ერთგვაროვანება აღინიშნება და არც სემანტიკური კომპონენტები შეიცავს იდენტულ სემებს, მაგრამ შენარჩუნებულია აზრობრივი ინვარიანტი. კომპონენტური დონის სემანტიკური ეკვივალენტობა დასტურდება ქვემოთ წარმოდგენილ ერთეულებში, რომლებშიც აქტივიზირებულია მეტ-ნაკლებად ტოლფასი სემები. მაგალითად: «*a new broom sweeps clean*»-«ახალი ცოცხი კარგად გვის», «*to add oil on fire*»-«*ცეცხლზე ნავთის დასხმა*» და სხვა. ფაზები ზოგადად კ.წ. უთარგმნელ ერთეულთა კატეგორიას ეკუთვნის, მაგრამ ზოგიერთ ფრაზეოლოგიურ შესიტყვებას ან გამოთქმას შეიძლება აღმოჩნდეს აზრობრივადაც და შინაგანი ფორმითაც ტოლფასი ფრაზეოლოგიური ეკვივალენტი, რომელთაგან ზოგი საკუთრივ თარგმნითი ვარიანტია, მაგრამ უკვე დაფიქსირებული ენის ფრაზეოლოგიურ ფონდში და ფართოდ გავრცელებული ხმარებაში. კომპონენტური დონის ეკვივალენტურობას კი უმეტესად ამჟღავნებს კ.წ. «*ინტერნაციონალური ფრაზეოლოგიზმები*», რომლებიც თარგმანში არ საჭიროებს ტრანსფორმაციას სემანტიკური კომპონენტების დონეზე. სწორედ ასეთ კატეგორიას განეკუთვნება «*ბიბლეიზმები*» ან მითოლოგიური წყაროებიდან მრავალი ენის ფრაზეოლოგიურ ფონდში დამკვიდრებული ისეთი ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც სხვადასხვა ენაში შევიდა პოპულარული ფოლკლორული წყაროებიდან: «*daily bread*», «*ձური არხობისა*», «*хлеб наш насыпный*», «*thirty pieces of silver*», «*молодая азбука*», «*тридцать серебреников*», «*to throw a stone*», «*бросить камень*», «*wash one's hands off*», «*бояться счастья* დაბანა» «*смыть руки*» და სხვა (საყვარელიძე 2001: 54-57).

კომპონენტური დონის სემანტიკური ეკვივალენტურობის შემთხვევაში იშვიათია, რომ ეკვივალენტური ფრაზა ან მთელი გამონათქვამის სტრუქტურა ყველა ფორმალურ-სტრუქტურული პარამეტრით დაემთხვეს ორიგინალის შესაბამისს სეგმენტს. მასში შეუძლებელია არ აისახოს შეპირისპირებულ ენათა სისტემებისმიერი სპეციფიკა, თუმცა, მეორე მხრივ, ეს არ ქმნის არსებით დაბრკოლებას სემანტიკური ტოლფასოვნების მიღწევისათვის.

ჩვენ სრულიად ვეთანხმებით 6. საყვარელიძის მოსაზრებას, რომ სხვადასხვა ენების ბიბლიიზმები არ საჭიროებს სემანტიკური კომპონენტების ტრანსფორმაციას, რადგან ჩვენ შემთხვევაში, ვერ ვისაუბრებო ერთ დომინანტ ენაზე, რომლიდანაც მოხდებოდა სხვა ენებზე თარგმნა, იმ მოსაზრებით, რომ საკვლევი ენებიდან არც-ერთი არ წარმოადგენს ბიბლიის ორიგინალ ენას. თუმცა, ჩვენი აზრით, ბიბლიიზმები მიუხედავად იმისა, რომ სემანტიკურ ტრანსფორმაციას არ საჭიროებს, მაინც ამჟღავნებს სხვადასხვა ტიპის ეპივალენტურობას, რომელშიც აისახება შეკირისპირებული ენების სპეციფიკა, ენების მატარებელი ხალხის აზროვნება...., რაც საბოლოო ჯამში, გვაძლევს საკვლევი ენების ბიბლიიზმების ალომორფიზმისა თუ იზომორფიზმის სურათს ეპივალენტურობის კუთხით. საკვლევ მასალაზე დაკვირვების შემდეგ, ბიბლიიზმებს ვაჟრთიანებოთ ორ ეპივალენტურობის ჯგუფში, ესაა ა. სრული და ბ. ნაწილობრივ ეპივალენტების ჯგუფები. თავის მხრივ, მეორე ჯგუფში გამოვყოფთ ორ ქვეჯგუფს, რომლებშიც ვაჟრთიანებოთ 1. სტრუქტურულ ეპივალენტებს, როდესაც აღინიშნება სემანტიკური სხვაობა და სტრუქტურული თანხვედრა და

2. სემანტიკურ ეპივალენტებს, როდესაც აღინიშნება სემანტიკური თანხვედრა და სტრუქტურული სხვაობა.

სრულ ეპივალენტად ჩვენ მივიჩნევთ ისეთ ენათაშორის ერთეულებს, რომელთა შორის მსგავსება აღინიშნება ფორმით და სემანტიკით. დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ საკუთრივ ბიბლიიზმთა უმრავლესობა ფორმით და სემანტიკით იდენტურია ე.ო. ისინი ერთმანეთის მიმართ სრულ ეპივალენტურობას ამჟღავნებენ. მაგალითისათვის მოვიყვანოთ ბიბლიიზმი: «the eleventh hour», «одиннадцатый час». ამ ერთეულში ცალ-ცალკე ლექსემები ერთი მხრივ, eleventh—одиннадцатый და მეორე მხრივ, hour—час სინონიმურ—ეპივალენტურ ჯაჭვს წარმოადგენს. ლექსემების კომბინაცია კი გვაძლევს ერთ მნიშვნელობას-დაგვიანებით, ბოლო მომენტში. რაც შეეხება ერთეულის სტრუქტურას, აქ უნდა ავლინიშნოთ, რომ ჩვენ კარგად გვესმის ენების განსხვავებული სტრუქტურული მახასიათებლების არსებობა და გამოვდივართ იქიდან, რომ ზოგიერთი ენა ანალიზურია, ზოგი კი სინთეზური და ამდენად, არსებობს სპეციფიკური საშუალებები ენობრივი კატეგორიების გამოსახატავად, რაც, ბუნებრივია ერთეულებში თავს იჩენს. მაგალითად, განხილულ ინგლისურ მაგალითში წარმოდგენილია არტილკი the, რასაც რუსელში

ანალოგია არ მოეპოვება, იმ მიზეზით, რომ რუსულში, საკვლევი ენებიდან ქართულის მსგავსად, არტიკლის კატეგორია არ არსებობს. მიუხედავად ასეთი სპეციფიკურობისა, ჩვენ ერთეულების სტრუქტურასაც მსგავსად მივიჩნევთ, რადგან გარდა საკუთრივი ენობრივი სპეციფიკური კატეგორიისა—უნიკალიზმისა, არაა სხვა ცვლილება ანუ ის ტრანსფორმაცია, რომლის საშუალებითაც მიიღწევა თარგმანის ეკვივალენტურობა, შიდადონეობრივია და არა დონეთაშორისი. მოყვანილი მაგალითის მოდელი ორივე ენაში იქნება: Adj.+N. ამასთან ერთად, მსგავსია ერთეულებში ხატოვანებაც. ყველაფერი ეს გვაძლევს საფუძველს, რომ მსგავსი ერთეულები სრულ ენათაშორის ეკვივალენტებად მივიჩნიოთ. იგივე ტიპის ეკვივალენტებია: «რწმენა საქმის გარეშე მკვდარია», «Faith without works is dead», «Вера без дел мертвa», რომლის მნიშვნელობაა—კეთილი საქმის კეთება აუცილებელია. ამ შემთხვევაშიც, სემანტიკური თანხვედრის გარდა, ოთხენოვანი ბიბლიოზმების სტრუქტურული მოდელიც მსგავსია: N+N↔prosp.(prepos)+V→Adj, მიუხედავად იმისა, რომ ენებში კვლავ თავს იჩენს ენობრივი უნიკალიზმები.

სრული ეკვივალენტების სხვა მაგალითებია:

1. *ბაბილონის კოდოლიო—the tower of Babel—la torre di Babele—Вавилонская башня;*
2. *bricks without straw—кирпичи без соломы;*
3. *ნოეს კიდობანი—Noë's ark—arca di Noe—Ноев Ковчег;*
4. *ხელების დაბანა—wash one's hands off—lavaresene le mani—умыть руки;*
5. *ორი ბატონის მხახურება—to serve two masters—servire due padroni—служить двум господам;*
6. *მშვიდობის მგრძელი—the dove of peace—la colomba della pace—голуб мира;*
7. *ჯვა ჯვაზე ამ დარჩა—Non restare pietra su pietra—not to leave one stone upon another—не оставить камня на камне;*
8. *კლის გვირგვინი—la corona di spine—a crown of thorns—тэрновый венец;*
9. *ყველაფერის თავისი დრო აქვთ—everything has its time—всему свое время—tutto ha il suo tempo;*
10. *გიუვარდებ მეგრი უბი—love your enemies—ama il tuo nemico—любите врагов ваших და სხვ.*

როგორც კვლევამ გვიჩვენა, ნაწილობრივი ეკვივალენტურობის შემთხვევაში საქმე გაცილებით რთულად დგას. როგორც აღინიშნა, ამ ჯგუფში ერთიანდება ენათაშორისი ერთეულები, რომლებშიც აქტივიზირებულია მსგავსი კომპონენტები, მაგრამ სემანტიკა განსხვავდება და ერთეულები, რომლებშიც აქტივიზირებულია სხვადასხვა არასინონიმური მნიშვნელობის ლექსემები, მაგრამ სემანტიკა მსგავსია.


ნაწილობრივი სტრუქტურული\* ენათშორისი ეკვივალენტის მაგალითია «კაენის ნიშანი», «the mark of Cain». ერთეულები იდენტურია ფორმით და თითქოსდა მნიშვნელობაც მსგავსი უნდა ჰქონდეთ. მაგრამ, როგორც დაკვირვებამ გვიჩვენა, ისინი სემანტიკური სტრუქტურით განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ინგლისურში ერთეულის მნიშვნელობაა დანაშაული, ძოროტილაქა, რომლის ჩამორეცხვა არაა ადვილი (ოქსფორდის თანამედროვე იდიომების ლექსიკონი 1991: 54), ქართულში კი ესაა გამაფრთხილებელი ნიშანი (სახოკია 1950: 300). მეორე მხრივ, ამ ინგლისურ ერთეულს გააჩნია სხვა ნაწილობრივი ქართული ეკვივალენტი სემანტიკურ პლანში: «კაენის ცოდვა», რომელიც არ წარმოადგენს საპუთრივ ბიბლიიზმს, განსხვავებით გამოთქმა «კაენის ნიშნისაგან», არამედ ბიბლიურ ხდომილებაზე დაფუძნებულ ბიბლიიზმს. თუ ინგლისურად ვიტყვით «*You will bear the mark of Cain for the rest of your life*», ქართულში იგივე აზრი შესაძლოა შემდეგნაირად გამოიხატოს: «შენ კაენის ცოდვა მოული ცხოვრება გაგყვება». სტრუქტურული ნაწილობრივი ეკვივალენტის მეორე მაგალითად შეიძლება განვიხილოთ ბიბლიიზმი «მამა აბრამის ბატქანი», რომელსაც ქართულში იუმორისტული დატვირთვისაა და ნიშნავს მოჩვენებითად მიამიტ ადამიანს: «გამომიხვედი შენც მამააბრამის ბატქანი».† აბრაამს, ძველი აღქმის წინაასწარმეტყველს, ბიბლიის მიხედვით ჰყავდა ბატქანი, რომელმაც ერთხელ იგი სიტყვიერი გაფრთხილებით განსაცდებლისაგან იხსნა. ქართულისაგან განსხვავებით, რუსულსა და ინგლისურში ერთეულები «Balaam's ass», «Валаамова ослица» ნიშნავს ადამიანს, რომელმაც თავისი პროტესტი უცებ შეიძლება გამოთქას, მაგ: «Вот и Валаамова ослица заговорила» (გორგი 1985: 363), მაშინ როდესაც ეს მნიშვნელობა არ ფიქსირდება იდენტური სტრუქტურის ქონე ქართულ ეკვივალენტში.

\* ამ შემთხვევაში იგულისხმება სემანტიკური სტრუქტურა ცალკეული კომპონენტების დონეზე  
† მაგალითი აღებულია ზეპირი სასუმრო დისკურსიდან.

ნაწილობრივი სემანტიკური ეკვივალენტების საინტერესო მაგალითს წარმოადგენს ბიბლიიზმი: «ადამის დროიდან», «From Adam», «От Адама», «Современ Адама», «Dai tempi di Noè». უკელა მათგანი აღნიშნავს დროის ძალიან შორეული მონაკვეთიდან მომდინარე ქმედებას. საინტერესოა ის, რომ ერთეულები წარმოადგენს ბიბლიურ ამბავზე დაფუძნებულ ბიბლიიზმებს. მათი შექმნის პროცესში მოქმედებდა ენისთვის სპეციფიკური გარეენობრივი ფაქტორებიც, კერძოდ: ადამი და ნოე-ესაა ორი ბიბლიური პერსონაჟი, ადამისახელია პირველი ადამიანისა, ნოე კი წარდგნის შემდეგ გამართლებული ადამიანისა. ქართულმა, ინგლისურმა და რუსულმა ენებმა სიძველის აღსანიშნად აირჩია ლექსება ადამი, იტალიურმა კი ნოე, ორივე სახელის აქტუალიზება ხდება სიძველის სემიოტ, ე.ი. იტალიური ბიბლიიზმი წარმოადგენს ინგლისურის, რუსულისა და ქართულის ნაწილობრივ სემანტიკურ ეკვივალენტებს, სადაც დამთხვევა ხდება სემანტიკის პლანში, სტრუქტურულად კი ერთეულები განსხვავდება. ასევე საინტერესო მაგალითად მიგვაჩნია უკვე განხილულ ბიბლიიზმთან დაკავშირებული ბიბლიიზმი «ადამის ხნის» ე.ი. ძალიან ძველი ან მოხუცი, რომელსაც ინგლისურში მოეპოვება ეკვივალენტი: «As old as Adam» ან «As old as Methuselah» (განსხვავებული სინტაქსით). იტალიურში კი ამ აზრის გამოსახატავად იყენებენ ერთეულს, სადაც აქტუალიზებულია ლექსემა ნოე: «Avere gli anni di Noè».

ენათაშორისი ეკვივალენტურობის საინტერესო მაგალითად მიგვაჩნია ბიბლიიზმი «Good works», «კეთილი საქმეები», «Affari buoni», «Добрые дела». ბიბლიიზმის მნიშვნელობაა ადამიანის მიერ შესრულებულ უანგარო საქმე საზოგადოებისთვის. საპალევი ენების ბიბლიიზმები სემანტიკურ პლანში იდენტურია. ქართული და რუსული ბიბლიიზმები: «კეთილი საქმეები», «добрые дела» ერთმანეთის მიმართ სრულ ეკვივალენტურობას ამჟღავნებს, ისევე როგორც ინგლისური და იტალიური «Good works», და «Affari buoni», რადგან ამ წყვილებში დამთხვევა ხდება როგორც სემანტიკურ, ასევე ფორმალურ ასპექტში. ხოლო ორენოვანი წყვილები უკვე ერთმანეთის მიმართ ნაწილობრივ ეკვივალენტობას ამჟღავნებს, რადგან მათი სტრუქტურა შეიცავს

არაერგვაროვან ლექსემებს, პერძოდ, ქართულ-რუსულში გვაქვს კეთილ-  
დიბრიй\*, იტალიურსა და ინგლისურში კი—*buono-good*.



საინტერესოა ის შემთხვევებიც, როცა ჩვენი საბოლევი ენიდან ერთში ან ორში მოიპოვება ბიბლიიზმი, სხვებში კი ხასიათდება ნულოვანი შესატყვისით. მაგალითად, «ვაი თქვენ მწიგნოგარნო და ფარისეველნო»—ვკითხულობთ ბიბლიაში, «თვალმაქცნო, შეითორებულ სამარხებს რომ გავხართ, რომდებიც გარედან ლამაზნი ჩანან, შიგნით კი სავსეა მკვდართა ძვლებით და ყოველგვარი უწმინდურებით» (მათე 23: 27), ინგლისურში: «Woe unto you scribes and pharisees, hypocrites, for you are like whitened sepulchre which indeed appear beatiful outward but are within full of dead men's bones and all uncleanness», იტალიურში «Guai a voi, ipocriti, maestri della legge e farisei. Voi siete come tombe imbiancate all'estero sembrano bellissime, ma dentro sono piene di ossa si morti e marciume», რუსულში «Горе вам, книжники и фарисеи, лицемеры, что уподобляетесь окрашенным гробам, которые снаружи кажутся красивыми, а внутри полны костей мертвых и всякой нечистоты».

\* მოუხვევად იმისა, რომ ლექსემები კეთილია და ძირის სემინტიკური თვალსაზრისით ერთმანეთს ემთხვევა, რაც იძლევა საფუძველს, რომ ქართული და რუსული ბიბლიიზმები იდენტური სტრუქტურის მქინედ ვაღიაროთ, სტრუქტურის მქინედ ვაღიარებით, პოზიციებიდან განხილვამ შეიძლება სხვაგვარი სურათი მოგვცეს. კერძოდ, თუ კეთილის დააქრიტულ ანალიზს ვაწარმოებთ, დაფინანვთ, რომ მისი მთავარი სემა იყო კარგი, ამის დასტურია დღევანდელ ქართულში შემორჩენილი დათხნებების ფორმა, რომელიც სწორედ ამ სიტყვით გამოიხატება: კეთილი, ვეუძნებით მოსაუბრებს და გამოვაზარებოთ ერთგვარ თანხმობას. დღესდღობით კი ეს სემა ლექსემა კეთილში უფრო პერიფრენულია და არ წარმოადგენს ინგლისური ლექსემა გood ან იტალიური buono-ს სინინის.

ინგლისურსა და იტალიურში მოყვანილი ციტატიდან დამკვიდრდა ბიბილიიზმი «whited sepulchre», «sepulchro imbiancato», რომელიც ფარისეველ ადამიანს ნიშნავს. ინგლისური ერთეული ვარიაციასაც უშვებს. კერძოდ, ლექსემა *whited* ვარირებს ლექსემა *painted*-სთან. აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ «whited sepulchre» მხოლოდ ინგლისური ბიბლიის ძველ თარგმანშია—თანამედროვე თარგმანში იგი შეცვლილია კომბინაციით «whitewashed tomb», რაც სემანტიკით «whitewashed sepulchre»-ის იდენტური შესატყვისია. თვით «whited sepulchre», «შეთეთრებული (შეფერქილი/განზოგილი) სამარხი» წარმოადგენს კულტურის ერთ-ერთ რეალიას და უკავშირდება რომაელთა ყოფას. იგი თავდაპირველად ეროვნულ კოლორიტი იყო, რომელსაც გარკვეული ტრადიცია მოეპოვებოდა; კერძოდ, რომაელები ამ პერიოდში სამარხებს ათეთრებდნენ, რადგან დამე ლამაზი გამოჩენილიყო; მათთვის დასამარხი ადგილი იყო არა *burial*, არამედ *sepulchre*, რაც დღესდღეობით ნაკლებად გამოიყენება ამ მნიშვნელობით. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენი დაკვირვებით, ეს იდიომი უფრო ხმარებადი და ბუნებრივია იტალიურისათვის, რადგან როგორც უკვე ავღნიშნეთ, იგი ერთ-ერთი რომაული რეალიაა. რუსული ენის ლექსიკონი ადასტურებს განხილული ბიბლიიზმის შესატყვისს, ესაა ფრაზა «гробы повалленные», რომელიც ენაში არსებობს, თუმცა გამოყენების თვალსაზრისით, როგორც დაკვირვებამ გვიჩვენა, აღარ გამოიყენება და დემეტაფორიზაციას განიცდის.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ფრაზეოლოგიური ერთეულის წარმოქმნის პროცესში მოქმედებს ენათა სპეციფიკა და ასევე კონკრეტული საჭიროება. ამით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ ბიბლიიზმთა ნაწილი ჩვენს საკვლევ მასალაში ერთმანეთს არ ემთხვევა, რადგან მათი ნაწილი ენის შექმნილია, ენის კუთვნილებას წარმოადგენს და აქედან გამომდინარე, მათ ერის ხასიათი გასდევს. საინტერესოა ისიც, რომ ყოველი ქრისტიანი ერი დამოუკიდებლად, განსხვავებულად შიფრავდა და აღიქვამდა ბიბლიის ტექსტს. ჩვენი აზრით, სწორედ ასეთი დამოუკიდებელი აღქმის შედეგია ის, რომ ყოველი ერი სხვადასხვაგვარ ბიბლიიზმებს ქმნიდა ან ირჩევდა კონკრეტულ გამოთქმას, მაგრამ სხვა ერის მიერ შერჩეული ბიბლიიზმისგან განსხვავებულ მნიშვნელობას დებდა მათში. აქედან გამომდინარე, გარდა იმისა, რომ შექმნილი ბიბლიიზმების კონტაციური დიაპაზონი შეიძლება არ დაემთხვეს ერთმანეთს, ასევე შესაძლოა, რომელიმე საკვლევ ენაში არსებობდეს

ბიბლიიზმი, დანარჩენ სამ ენაში კი მას არ ჰქონდეს შესატყვისი. ასეთ ერთეულთა რიგს განეკუთვნება ქართული ბიბლიიზმი: «ქრისტეს პერანგი გახდაო», რომლის მნიშვნელობაცაა-საცილო, სადაც საქმე გახდა. ბიბლიაში ვკითხეულობთ: «და კითარცა ჯვარს აცვეს იგი, განიყვეს სამოხი მიხი და განიგდეს წილი, რათა აღესრულოს თქმული იგი წინასწარმეტყველისამიერ, რომელიცა იტყვის: განიყვეს სამოხი მათ შორის და კვართსა შორის განიგნებ წილი» (იონე 20:23-34) (კვართი-პერანგი). როგორც ჩანს, ამ ციტატისათვის ჩვენი საკლევი ენებიდან მხოლოდ ქართულს მიუმართავს და შეუქმნია ბიბლიიზმი, რომელიც იგივე ბიბლიური წყაროს ნულოვანი ეკვივალენტურობით ხასიათდება ინგლისურში, რუსულსა და იტალიურში.

ეკვივალენტურობის პრობლემასთნ დაკავშირებით, ჩვენი აზრით, საინტერესოა ერთი საკითხიც: ჩვენი დაკავირვებით, არის შემთხვევები, როცა ენების მიერ შექმნილ ბიბლიაზე დაფუძნებული ფრაზეოლოგიური ერთეულები ერთმანეთს არ ემთხვევა, მაგრამ მათ მოეპოვება სხვა სახელთან ან ქმედებასთან დაკავშირებული მსგავსი სემანტიკის, სხვა ენის მიერ შექმნილი ბიბლიური ფრაზეოლოგიური ეკვივალენტები. ამ შემთხვევაშიც საქმე გვექნება სემანტიკურ ეკვივალენტობასთან, რომელიც არსით ნაწილობრივ ეკვივალენტის კატეგორიას მიეკუთვნება. როგორც ითქვა ბიბლიიზმს: «the old Adam» მოეპოვება შესატყვისი ორ ენაში, იტალიურსა და რუსულში, ესენია: «il vecchio Adamo» და «ветхий Адам»\*. ერთეულის მნიშვნელობაა ადამიანის ცოდვილი მხარე. ქართულში ამ ერთეულის არარსებობა ენის სისტემაში შევსებულია სხვა ბიბლიიზმით: «ევას თესლი», რომელიც იგივე სემანტიკის მატარებელია. ერთის მხრივ, ქართულსა და მეორეს მხრივ, ინგლისურ-იტალიურ-რუსულ ბიბლიურ ერთეულებს აერთიანებს საერთო სემა-პირველი ადამიანი და მის მიერ ჩადენილი ცოდვა. პირველი ცოდვა, როგორც ცნობილია, ორივე ადამიანმა ჩაიდინა. ქართულში ამ ცოდვის აღსანიშნად დამკვიდრდა სიტყვა კვა, დანარჩენ სამ ენაში კი ადამი. ჩვენი აზრით, ქართული ბიბლიიზმი უფრო მძაფრია, რადგან ადამი იყო პირველი ცოდვის გამზიარებელი და არა ჩამდენი, ე.ო სათავე ცოდვისა იყო ევა. მსგავსი შემთხვევები უპირველესად

\* ჩვენი დაკვირვებით, რუსული ერთეული ნაკლებად გამოყენებადია. ქართულში იგივე წყაროდან დამკვიდრებული ფრაზა «ძველი კაცი» მხოლოდ საეკლესიო წრისთვის იქნება მოტივირებული.

განპირობებულია ექსტრალინგვისტური ფაქტორებით და ასახავს ენის მატარებელი ერის აზროვნებასა და ამა თუ იმ მოვლენის აღქმის სპეციფიკას.

როგორც პალევამ გვიჩვენა, შესწავლილ ბიბლიიზმებში 37% ერთმანეთის მიმართ სრულ ეკვივალენტურობას იჩენს, ხოლო 24%-ნაწილობრივს, მაშინ როდესაც 39%-ს სხვა ენაში შესატყვისი არ მოეპოვება.

როგორც დავინახეთ, ნაშრომში ბიბლიიზმებში ეკვივალენტობა მოიაზრება, როგორც სემანტიკურ-სტრუქტურულ-ფორმალური ენათაშორისი თანხედრა, რომლის საფუძველზეც გამოიყოფა სრული და ნაწილობრივი ენათაშორისი ბიბლიიზმების ეკვივალენტურობის ჯგუფები.

#### **4.3. ხატოვნება ბიბლიიზმებში**

სემანტიკური პალევის შემდეგი მიმართულებით ხდება საკვლევი ენების ბიბლიიზმებში ხატის სპეციფიკის შესწავლა. ამ შემთხვევაში ჩვენი მიზანია არა ბიბლიური ტექსტის თარგმანის სპეციფიკის შესწავლა, არამედ ბიბლიის იმ ადგილების, რომლებმაც სათავე დაუდო საკვლევი ენების კონკრეტულ ბიბლიიზმებს ე.ო. ვიკლეპთ ერთეულთა ხატოვანების სპეციფიკურობას ენების მიხედვით. ბიბლიის თარგმანის საკითხს მიეძღვნა უამრავი გამოკვლევა, რომელიც ორიენტირებულია ბერძნულიდან და ებრაულიდან კონკრეტულ ენაზე თარმანის სპეციფიკის შესწავლაზე. ზოგადად, თარგმანთან და ხატის შენარჩუნებასთან დაკავშირებით, არსებობს უამრავი მოსაზრება და ნაშრომი (დობროვოლსკი 1992, ოროდეკა 1990, შენკი 1986, ლატიშევი 1983 და სხვ). მაგალითად ი. რეცეპტი გამოჰყოფს თარგმანის ოთხ გზას:

1. უცხოური ხატის სრული შენარჩუნება;
2. უცხოური ხატის ნაწილობრივი შენარჩუნება;
3. ხატოვნების სრული შეცვლა;
4. უცხოური ხატის სრული მოხსნა (რეცეპტი 1995: 84-92).

თვით ოთხენოვანი ბიბლიიზმების თარგმანის შედარება ორიგინალთან რომ წარმოადგენდეს ჩვენს მიზანს, ცხადია, ეს და ამის მსგავსი მოსაზრებები იქნებოდა შედარების ამოსავალი, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში ხდება იმ ბიბლიიზმების ხატოვნების კვლევა, რომლიდანაც არც ერთი არაა პირველწყარო, ე.ი ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ოთხენოვანი ბიბლიიზმების ხატი

შევუდაროთ ერთმანეთს და არა პირველწეროს.

დასაწყისშივე უნდა ავღნიშნოთ, რომ ბიბლიის თარგმნას ყველა ენაში საკუთარი ტრადიცია და ფესვები მოეპოვება. ბიბლიის თარგმნა საკვლევ ენებში დაიწყო დროის სხვადასხვა ეტაპზე. მაგალითად, იტალიურისთვის ესა XIII, ხოლო სლავებისათვის XI-ე საუკუნე. როგორც ცნობილია, ბიბლიის თარგმნა საქართველოში დაიწყო ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადების დღიდანვე. თუმცა თარგმნილი ბიბლიის პირველ ტექსტებს, სამწუხაროდ, ჩვენამდე არ მოუდწევია. ინგლისში კი ბიბლიის თარგმანის მცდელობა მეშვიდე საუკუნიდან იღებს სათავეს. ბიბლიის თარგმანი ყოველთვის ითვალისწინებს იმ ენის სპეციფიკას, რომელზედაც იგი ითარგმნება და ასევე იმ ლინგვისტურ თუ ექსტრალინგვისტურ ფაქტორებს, რომელიც თავს იჩენს თარგმანის დროს (ნაიდა 1961: 31).

საერთოდ, უკვე თარგმნილი ბიბლიიზმების დამკვიდრება თვით ენაში სხვადასხვაგარად ხდებოდა: უმრავლეს შემთხვევაში, ხდებოდა ერთეულების ადაპტირება რეალობასა და დროში, ზოგჯერ-პირდაპირ ბიბლიური ენისთვის არაბუნებრივი ფორმით, რადგან ბიბლია, უმრავლეს შემთხვევაში, სპეციფიკური, რელიგიური და არქაული მეტაუნით ითარგმნებოდა. ბიბლიიზმების დამკვიდრება ენებში კონკრეტული ფორმით უკვე ენისა და ამ ენის მატარებელი ერის სუბიექტურ ფაქტორზეა დამოკიდებული, რაც საბოლოო ჯამში, თავს იჩენს ენებში არქაული ფორმითა და ჩვეულებრივი, ენისთვის მორგებადი ფორმით დამკვიდრებული ბიბლიიზმების არსებობაში.

ყველა ენის ბიბლიიზმი, რა თქმა უნდა, სპეციფიკურობით ხასიათდება. ასევე სპეციფიკურია ხატოვნებაც ყველა ენაში. ამგვარი თავისებურებების კვლევისას, პირველი რამ, რაც ჩვენი კვლევის დასაწყისშივე ცხადი გახდა, არის ის, რომ საკვლევი ენებიდან იტალიური ბიბლიიზმები არსებითად განსხვავდება ქართული, რუსული და ინგლისური ბიბლიიზმებისგან. დავიწყოთ იქიდან, რომ არცერთ საკვლევ ენაში არ მოიპოვება ისეთი სიმრავლის ბიბლიური ერთეულები, როგორც იტალიურ ენაში. ეს, ჩვენი აზრით, აიხსნება იმით, რომ თუ ბიბლია რომელიმე ენასა და ერთან სიახლოეს იჩენს, ეს უპირველესად, იტალიური ენა და ერია. იტალიურში არსებობს ყველაზე მეტი ბიბლიიზმი, რომელსაც შესატყვისი საკვლევი სამი ენათაგან არცერთში არ მოეპოვება. ასევე იტალიური ბიბლიიზმებიც სპეციფიკად ის, რომ მისი მნიშვნელოვანი ნაწილი არქაული ფორმისაა-უამრავ იტალიურ ბიბლიურ

ფრაზეოლოგიურ ერთეულში ლექსემები შემონახულია თავისი პირველწყაროს ფორმით, რაც რა თქმა უნდა, იწვევს ხატის სიმძაფრეს და დაჭიმულობას. ეს გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ იტალიური ბიბლიიზმების უმრავლებობა დაჭიმული ხატოვნებით ხასიათდება. იტალიური არქაული ლექსემის მქონე ბიბლიიზმთა მაგალითებია «Fare in una *fiat*» (*fiat lux ებრაულ.-იყოს ნათელი*), «fare il santificetur», «venire al *redder rationem*», «essere vox *clamantis in deserto*», «conoscere una cosa *dall'alfa all'omega*» და სხვა. საინტერესოა ისიც, რომ ბევრი ასეთი ბიბლიიზმის გვერდით არსებობს თანამედროვე ვარიანტიც. მაგალითად, არქაული ფორმაა—«essere vox *clamantis in deserto*», თანამდეროვე—«essere una voce nel deserto» (ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა). ერთეულის არქაულ ფორმაში აქტივიზირებულია ლათინური ფორმა: *vox clamantis* და არა თამანედროვე სიტყვა *voce*, შესაბამისად, ხატოვნება სუსტდება ერთეულის თანამედროვე ვარიანტში. აღნიშნული ბიბლიიზმი ყველა წვენს საკვლევ ენაში სტილისტურად საკმაოდ დატვირთულია: «*ხმა ღაღადებისა უდაბნოსა შინა*», «a voice crying in the wilderness», «глас вопиющего в пустыне». თუმცა, ამის მიზეზი სხვადასხვაა, პერძოდ: ქართული ბიბლიიზმი ხასიათდება უჩვეულო წყობით—არა ღაღადების *bēda*, არამედ *bēda* ძღაღადებლისა; მას მოვპოვება ძველი, არქაული ფორმა—უდაბნოსა შინა და არა უდაბნოში, ასევე, ქართულში ფრაზის *bēda* ღაღადებისა გამოყენება, ნაცვლად მხოლოდ *bēbi* *voice*, *глас*, *voce* (სხვა საკვლევი ენების ბიბლიიზმებისაგან განსხვავებით) დამატებით სტილისტურ შეფერილობას ძენს ერთეულს. ინგლისურ ერთეულში გამოყენებულია ლექსემა *wilderness*, რომელიც უფრო ძლიერია ვიდრე უდაბნო თავისი სინონიმებით *пустыня-deserto*. რუსულში, ჩვენი აზრით, სიმძაფრეს იწვევს ზედსართავი სახელი *вопиющий* და სიტყვა *глас*. იტალიურ ბიბლიიზმში კი, როგორც აღინიშნა, გამოყენებულია *vox clamantis*, ბიბლიური ფორმა, რაც თავისთავად ემოციურ დატვირთვას და ხატის სიმძარეს ანიჭებს ბიბლიიზმს. თქმულიდან გამომდინარე, ყველა ერთეული ძლიერი ხატოვნებით ხასიათდება, თუმცა ამის მიზეზი, როგორც დავინახეთ, სხვადასხვაა.

არქაული ფორმის ბიბლიიზმი გულისხმობს არა მხოლოდ გამოთქმებში პირველწყარო ლექსემების არსებობას, არამედ ასევე უკვე გამოყენებიდან გამოსული ან ნაკლებად გამოყენებადი ლექსემებისასაც. სწორედ ამ

შემთხვევასთან გვაქვს საქმე იტალიური ბიბლიოზმის: «Sotto il sole non v'è nulla di nuovo» შემთხვევაში. იტალიური ვ'ე, რომლის ინგლისური შესატყვისი იქნება there is, ნაკლებად გამოყენებადია, მის ნაცვლად ენაში გამოიყენება თანამედროვე ფორმა ც'ე. ეს თავისთავად, სპეციფიკურს ხდის ერთეულის ხატოვნებას.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგად ჩარჩოებში იტალიური ბიბლიოზმების უმრავლესობა ზემოთ დასახელებული მიზეზებით დაჭიმული ხატოვნებით ხასიათდება, ეს მაინც არ გვაძლევს საფუძველს იმისთვის, რომ ყველა იტალიურ ბიბლიოზმში ხატი მძაფრად მივიჩნიოთ. ენათაშორის ბიბლიოზმ-მკვიფალენტებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ხატი და მისი ხარისხი კონკრეტულ ერთეულებში ენების მიხედვით მონაცელეობს. გარკვეულ შემთხვევებში, შეიძლება იტალიური ბიბლიოზმი არ იყოს ისეთი ხატოვანი, როგორც ქართული, ინგლისური თუ რუსული. ამის დასადგენად მივმართავთ შედარებით ანალიზს რამდენიმე ენათაშორის ბიბლიოზმში: «იუდას ამბორი», «il bacio di Giuda», «поцелуй Иуди», «the kiss of Judas». ოთხი ენათაშორისი ბიბლიოზმის შედარების შედეგ მივედით დასკვნამდე, რომ ქართულში ხატი, სხვა ენებთან შედარებით, უფრო ძლიერია. ეს, ჩვენი აზრით, გამოწვეულია ლექსემა «ამბორის» სტილისტური შეფერილობით. სიტყვები ამბორი, bacio, поцелуй, kiss სინონიმებად აღიქმება, თუმცა ისინი არა წარმოადგენს ტოლფასოვან სინონიმებს. სიტყვა «ამბორი» უფრო ამაღლებულია, იგი არ ცვლის ლექსემა «კოცნას». დანარჩენ ენებში კი მსგავსი დაპირისპირება არ მოიპოვება. ამიტომ, ვფიქრობთ, ლექსემა «ამბორი» სათანადო ელფერს ძენს ბიბლიოზმს და აშკარად გამოარჩევს ენათაშორისი ეკვივალენტებისაგან ხატის დაჭიმულობით. ის, რომ ქართულ ერთეულში აქტუალიზებულია სიტყვა ამბორი და არა კოცნა გარკვეულწილად დაკავშირებულია იმ ბიბლიურ ციტატასთან, რომლიდანაც ერთეული დამკვიდრდა. ბიბლიაში ვკითხულობთ:

«ხოლო მიხმა გამცემდა მიხცა მათ ნიშანი და უთხრა: ვიხაც მე ვეამბორები ის არის იგი და შეიძყარით. მყიდვე მივიდა იქხოსთან და უთხრა: ვიხარდეს რაბი და ეამბორა» (მარკოზი 14: 45). მაშინ როდესაც დანარჩენ სამი ენის ბიბლიის ანალოგიური ადგილის თარგმანში ვკითხულობთ:

*«Now the betrayer had given them a sign, saying «the one I kiss is the man, seize him» and he came up to Jesus and said Hail master and kissed him».*

იტალიურში: «Il traditore si era messo d'accordo con loro, aveva stabilito un segno e aveva detto quello che baccero» e` lui voi prendetelo e portatelo via . Subito Giuda si avvicinò a Gesù e disse: maestro, poi lo bacio».

რუსულში: «Кого я поцелую, Тот и есть, возмите Его... и прииед, тотчас подошел к Нему, и говорит: Равви! Равви! и поцеловал его».

ბიბლიიზმების ხატოვნებაზე ყურადღებას ამახვილებს 6. საყვარელიძე (საყვარელიძე 2001: 75-78). მას მოჰყავს ბიბლიიზმების მაგალითები მხატვრული თარგმანიდან, სადაც ხდება ხატოვნების შენარჩუნება: «I'm not in favour of this modern mania for turning bad people into good people at a moment's notice. As a man sows to let him reap.»

«არა მწამს დღევანდელი მანია ცუდი ადამიანის ერთბაშად მორჯულებისა. დაკრაც დათეხა, იგივე მოიძეას».

თარგმანში აღინიშნება მორფოლოგიური ცვლილება (ზმის აწმყო დროის ფორმა ტრანსფორმირებულია წარსულის ფორმაში), მაგრამ შენარჩუნებულია სემანტიკურად ტოლფასი ელემენტების და ხატოვნების ეფექტიც. უფრო დიდი სტრუქტურული ცვლილებაა შემდეგ მაგალითში:

«I'll hoped to get through life without a case of this kind, but John Taylor pointed at me and said: «you are it». «Let this cup pass from you, eh?»

«Right, but do you think I could face my children otherwise?»

«ბოლო დრომდე იმედი მქონდა ამგვარ საქმეს თავიდან ავიცილებდი, მაგრამ რადა უნდა მექნა, როცა ჯონ ტეილორმა სწორედ ჩემჯებ გამოიშვირა თითო და მითხრა:

— სწორედ შენი ხაქმაო;

— შენ კი ხატომდი, თუ შესაძლოა ამაცლინე ეს ხასმისო, ხომ?»

— მართალი ხარ, მაგრამ როგორ გგონია, უარი რომ მეთქვა, შევძლებდი ჩემი შვილებისთვის თვალი გამესწორებინა?»

თანამოსაუბრის რეპლიკაში აქტივიზირებულია ბიბლიიზმი «ამაცლინე ეს თასო» (სასმისი) ორიგინალში ელიფსურ წინადაღებაში, რისი საჭიროებაც შეიქმნა შორისდებული eh-ის ფუნქციის გამოხატვისათვის.

ბიბლიიზმების ხატოვნების მსგავსი ანალიზი ძალიან საინტერესოა, თუმცა, ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში, ხატის დაჭიმულობის განმსაზღვრელი მაინც კონტექსტი ხდება და არა ცალკე აღებული ერთეული. აქედან გამომდინარე, მსგავსს ანალიზს გადავყავართ პრაგმატიკის საზღვრებში (იხ. ნაწილი V), რაც

ამ ეტაპზე ჩვენი მიზანი არაა, რადგან ჩვენ ხატოვანების სპეციფიკის სემანტიკური ანალიზით შემოვიფარგლებით.

ცალკე აღებულ ენათაშორის ბიბლიიზმებში ხატოვნების საილუსტრაციოდ ავიდოთ რამდენიმე მაგალითი:

1. «*τοξαλος τοξαλοις βιολη*», «*an eye for an eye*», «*l'occhio per l'occhio*», «*ока за ока*». ერთეული ძველი ადქმიდან მოდის და ნიშნავს, რომ ბოროტების სანაცვლოდ საჭიროა ბოროტების მიგება. თუ ჩვენ ენათაშორისი ბიბლიიზმების ხატოვნების სპეციფიკას დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ ხატი უფრო მძაფრია ქართულსა და რუსულ ბიბლიიზმებში, რისი მიხეზიც, ორივე ენაში სხვადასხვაა. კერძოდ, ქართულში გამოყენებულია ძველქართული წინდებული წილ (ე.ი. სანაცვლოდ), რომელიც ფაქტობრივად, დღესდღეისობით ამოვარდნილია ხმარებიდან, ხოლო რუსულში გამოყენებულია ძველი სლავური ფორმა *ока*, რაც, თავის მხრივ, ერთეულს ანიჭებს სტილისტურ დატვირთვას. ორივე შემთხვევაში ენა არ იძლევა საშუალებას არქაული სიტყვები შეიცვალოს თანამედროვე ვარიანტებით, რაც ისევ ავდნიშნავთ, ერთეულს ინგლისურენოვანი და იტალიური ეკვივალენტისაგან აშკარად გამოარჩევს, რადგან ამ ენებში დამკვიდრებულ გამოთქმებში აქტუალიზებულია თანამედროვე ლექსემები.

2. «*Tomorrow will take care of itself*», «*беззаботно* *беззаботно*», «*завтрашний день сам о себе позаботится*», «*per domani ci pensa domani*». წარმოდგენილ ბიბლიურ გვივალენტებში ჩვენი აზრით, ხატი გამორჩეულია ქართულ ერთეულში, მას უფრო მეტი ემოციური შეფერილობა და დატვირთვა მოეპოვება, ვიდრე სხვა დანარჩენ ენათაშორის ეკვივალენტებს, რაც ჩვენი დაკვირვებით, გამოწვეულია, სასაუბრო ენაში ერთეულის ბიბლიური ფორმით დამკვიდრებით. თანამედროვე ფორმის ნაცვლად- «ხვალინდელი დღე თავის თავზე თავადვე იზრუნებს»\*, ენაშ ერთეული მიიღო ბიბლიური არქაული ფორმით: «*беззаботно* *беззаботно* *беззаботно*», რაც საბოლოო ჯამში, ადასტურებს ქართულ ბიბლიიზმში ხატოვნების დაჭიმულობას. დანარჩენი სამი ენის ერთეულები კი აბსოლუტურად ჩვეული თანამედროვე სტრუქტურის მქონენი არიან და შესაბამისად, ვერ იწვევენ ხატის დაჭიმულობას.

3. სამენოვან გამოთქმებში «*powers that be*», «*ძლიერნი ამა ქვეუნისა*», «*сильные мира сего*» (იტალიურში გამოთქმას შესატყვისი არ მოეპოვება) ხატოვნება

\* თუმცა ოკაზიონალური სახით შესაძლოა ერთეულის თანამადროვე ფორმაც შეგვხდეს.

მაღალი ხარისხითაა წარმოდგენილი, რაც ჩვენი დაკვირვებით, გამოწვეულია შემდეგი მიზეზებით: ა) ინგლისური ერთეულის თანამედროვე გრამატიკის თვალსაზრისით გაუმართავი წყობა. თანამედროვე, ენისთვის ვარიანტით უნდა იყოს: the powers that are, ნაცვლად ბიბლიური ფორმისა the powers that be; ბ) ქართულში აქტუალიზებული არქაული ნაცვალსახელით ამა, ნაცვლად ნაცლალსახელი აზისა; გ) ქართული გამოთქმის უჩვეულო წყობა, ნართანიანი მრავლობითი: (თანამედროვე ენაში ხმარებული ფორმა იქნებოდა: ამ ქვეყნის ძლიერები); დ) რუსულში ჩვენებითი ნაცვალსახელი *cetero*, რაც ბიბლიური თარგმნითი ვარიანტია და რომლის ნაცვლად შესაძლებელი იყო ჩამჯდარიყო ნაცვალსახელის თანამედროვე ფორმა *этого*.

როგორც დავინახეთ, ბიბლიიზმებში ხატოვნება ძირითადად განპირობებულია ენაში ბიბლიიზმის დამკვიდრების ფორმის სპეციფიკით: ჩვენი დაკვირვებით, ბიბლიური ფორმის ერთეულები, თანამედროვე ენისათვის უჩვეულო, არაბუნებრივი ელემენტებითა და მახასიათებლებით იწვევეს ხატის სიმძაფრესა და დაჭიმულობას სხვადასხვა დოზით, ხოლო ენაზე მორგებული ერთეულები, არქაული ფორმებისა და თავისებურებების გარეშე, ზოგადად, ფრაზეოლოგიური ერთეულისათვის ჩვეული ხატოვნებით ხასიათდება.

#### **4.4 მეორადი ფრაზეოლოგიზაცია ბიბლიიზმებში**

ბიბლიიზმების სემანტიკური კვლევის ერთ-ერთი მიმართულებაა მეორადი ფრაზეოლოგიზაცია. თუ ბიბლიიზმთა ენის ფონდში დამკვიდრების პროცესს დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ ბიბლიური გამოთქმა იძენს ხატოვან, გადააზრებულ მნიშვნელობას (თუ მას ხატოვნება თავიდანვე არ ახასიათებს) და ყალიბდება დამოუკიდებლად გაფორმებულ გადააზრებულ ერთეულად. ამის მაგალითებია: «თვალის ჩინი», «an apple of one's eye», «a crown of thorns», «зеница ока», «ეკლის გვირგვინი», «la corona di spine», «терновый венец» და სხვა. ესაა ერთეულის პირველადი ფრაზეოლოგიზაციის გზა, რომელსაც იგი გადის ბიბლიიდან ენაში შედწევა-დამკვიდრებამდე. პირველადი ფრაზეოლოგიზაციის შედეგად ქრისტიანულ ენებში შედწეული გამოთქმები ჩვენი დაკვირვებით, ქრისტიანულ აზროვნებასა და ფასეულობებს ეფუძნება, გვთავაზობს სამყაროს ქრისტიანული მსოფლაღქმით გააზრებას. სხვადასხვა ენაში და სხვადასხვა

დროს ასეთმა ერთეულებმა შეიძლება განიცადოს მეორადი ფრაზეოლოგიზაცია.

თუ პირველადი ფრაზეოლოგიზაციის შემთხვევაში ენა ბიბლიის საფუძველზე ქმნის გამოთქმას, რაც სხვადასხვა ლექსემის, მოვლენისა თუ ქმედების გადააზრების და ამ გადააზრებული მნიშვნელობით საგნისა თუ მოვლენის სახელდების შედეგია, მეორადი ფრაზეოლოგიზაცია არის უკვე გადააზრებული ერთეულის ხელახლი გადააზრება, რომლის შედეგად იცვლება ერთეულის ფორმა (რაც განასხვავებს ამ მოვლენას მნიშვნელობის სპეციფიზირების მოვლენისაგან) და რაც ყველაზე მთავარია, უმრავლეს შემთხვევაში, ცვლილების განიცდის ერთეულის სემანტიკური სტრუქტურაც. ეს მოვლენა შეპირობებული შეიძლება იყოს სხვადასხვა მიზეზით: შესაძლოა მეორადი ფრაზეოლოგიზაციის მიზეზი გახდეს რომელიმე მწერლის მიერ გამოყენებული ბიბლიური ფრაზა საკუთარი ინტერპრეტაციით და ელემენტებით ან ოკაზიონალური სახით გამოყენებული ბიბლიიზმი, რომელმაც შესაძლოა შეიძინოს პროდუქტულობა, გავრცელდეს საზოგადოებაში და გახდეს სრულად ცალკე გაფორმებული ფრაზა; ასევე ამის მიზეზი შეიძლება იყოს სხვადასხვა ექსტრალინგვისტური ფაქტორი.

მეორადი ფრაზეოლოგიზაცია ბიბლიიზმებში ძირითადად საკუთრივ ბიბლიიზმებს ეხება. თვით ეს მოვლენა ადვილად ამოსაცნობია რადგან, ჩვენი დაკვირვებით, მეორადი ფრაზეოლოგიზაციის შედეგად მიღებულ ერთეულები უკვე სხვა ტონალობისა და დატვირთვისაა, რაც არსებითად განსხვავდება პირველწყარო ერთეულის დატვირთვისაგან. შემთხვევების უმრავლესობაში, მეორადი ფრაზეოლოგიზაციის შედეგად მიღებული ერთეულები იძენს იუმორისტულ შეფერილობას. მაგალითად, იტალიური ბიბლიიზმი «Lavarsene le mani», (ისევე როგორც ერთეულის სამენვანი შესატყვისები) ნიშნავს პასუხისმგებლობის მოხსნას. ერთეული ამ ფორმით, პირველადი ფრაზეოლოგიზაციის შედეგია და გვხვდება ყველა საკვლევ ენაში. ამის გარდა, იტალიურმა ბიბლიიზმა განიცადა მეორადი ფრაზეოლოგიზაციაც, რომლის შედეგად დამკვიდრდა როგორც: «lavarsene le mani e i piedi», რაც სიტყვასიტყვით ხელებისა და ფეხების დაბანას ნიშნავს და საწყისი ერთეულისგან განსხვავებით, გამოიყენება მსუბუქ, იუმორით დატვირთულ დისკურსში პირველწყაროს მსგავსად, პასუხისმგებლობის მოხსნის მნიშვნელობით.

მეორადი ფრაზეოლოგიზაციის მაგალითად მოვიყვანთ ბიბლიიზმი «Ten commandments», რომელმაც მეორადი ფრაზეოლოგიზაციის შედეგად შეიძინა ფორმა «the eleventh commandment» და იუმორისტული შეფერილობა. ბიბლიიზმი ნიშნავს რაიმეს, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ათი მცნება. იგივე ერთეულმა განიცადა მეორე მიმართულებით მეორადი ფრაზეოლოგიზაცია, მხოლოდ სემანტიკის შეცვლით და შეიძინა მნიშვნელობა «ათი ფრჩხილი». გამოთქმა ამ მნიშვნელობით მას შემდეგ დაინერგა, რაც შექსპირმა თავის პიესაში «ჰენრი VI» გამოიყენა იგი: *«Duchess of Gloucester, could I come near your beauty with my nails. I'd set my ten commandments in your face»* (შექსპირი 2002: 37).

ასევე რუსული ბიბლიიზმი «В костюме Адама», მეორადი ფრაზეოლოგიზაციის შედეგად გაივრცო და გახდა «в костюме Адама и Евы». ორივე ერთეული ნიშნავს სრულ სიშიშვლეს.

მეორადი ფრაზეოლოგიზაცია ძალიან ბუნებრივი ჩანს ერთი ტიპის ბიბლიიზმების მეორე ტიპის ბიბლიიზმებად გადაკეთების შემთხვევაშიც. ჩვენი დაკვირვებით, შეიძლება სიტყვა-ბიბლიიზმმა დასაბამი მისცეს უამრავ ფრაზეოლოგიურ ერთეულ-ბიბლიიზმს ან ანდაზა-ბიბლიიზმიდან წარმოიშვას ფრაზეოლოგიური ერთეული-ბიბლიიზმი. მეორადი ფრაზეოლოგიზაციის ამ შემთხვევაში, ბიბლიისეული ჭეშმარიტება და ბიბლიური არქეტიპები იცვლება ადამიანის მიერ აღქმული რეალობითა და გამოცდილებით, რაც შეხაძლოა, ეწინააღმდეგებოდეს კიდევ ბიბლიაში გადმოცემულ აზრსა და სწავლებას. მაგალითად, ყველასათვის ცნობილია გამოთქმა: «აკრძალული ხილი», რაც ნიშნავს ადამიანისათვის აკრძალულ ნებისმიერ საგანსა თუ ქმედებას:

«Запретный плод вам подавай

А без того вам рай не рай» (პუშკინი 1995: 76).

აღნიშნული ბიბლიიზმი ძველი აღქმიდან წარმოიშვა და ადამის და ევას მიერ სამოთხეში დაწესებულ აკრძალვას უკავშირდება. ამ მნიშვნელობით, ჩვენ ხშირად შეიძლება შეგვხვდეს ერთეული ამა თუ იმ ტიპის დისკურსში. ამის გარდა, ერთეულმა ყველა საკვლევ ენაში განიცადა მეორადი ფრაზეოლოგიზაცია და დამკვიდრდა ფორმებით: «акрძალული ხილი ტბილია», «the forbidden fruit is sweet», «il frutto proibito e' più saporito», «запретный фрукт славшее», რაც უკვე აღარ ითვალისწინებს სახარებისეულ სწავლებას, არამედ

უფრო ადამიანის მიერ აღქმულ სიტკბოგბაზე საუბრობს, რისი შედეგიც, თავის დროზე, კაცობრიობისთვის ხილული სამოთხის დაკარგვა გახდა.

მეორადი ფრაზეოლოგიზაციის შედეგად უნდა მივიჩნიოთ რუსული ბიბლიიზმი: «не хлебом единым жив человек», რომელიც ადამიანის მიერ ბიბლიიზმის «хлеб наущный» მეორადი გადააზრების შედეგია.

ინგლისური ბიბლიიზმი «the gift of God» (ღვთის წყალობა), რუსულში ასე ჟდერს: «Дар Божий». გამოთქმა ნიშნავს ყველაფერ დადებითს, რაც ადამიანს ღმერთმა უბოძა. რუსულში ერთეულმა განიცადა მეორადი ფრაზეოლოგიზაცია, რის შედეგადაც დამკვიდრდა უკვე ანდაზა-ბიბლიიზმის ფორმით: «не надо путать Божий дар с яичницей», რაც ნიშნავს იმას, რომ ადამიანმა ღვთისგან ბოძებული სიკეთე არ უნდა აურიოს წვრილმანებში.

როგორც დავინახეთ, ბიბლიიზმების მეორადი ფრაზეოლოგიზაციის შედეგად ხდება ფორმირებული ბიბლიური ერთეულის ხელახალი გადააზრება, რაც გამოიხატება ერთეულებში სტრუქტურული ცვლილებების შეტანით, რომლის საბოლოო შედეგიც ბიბლიიზმის სემანტიკური დატვირთვის და რეგისტრის შეცვლაა.

#### 4.5. ბიბლიიზმი და კონტაცია

სემანტიკური კვლევის მომდევნო უტაპზე გადავდივართ ბიბლიიზმების კონტაციის დადგენასა და შესწავლაზე. კონტაცია ეს არაა მხოლოდ სიტყვის მეორადი ან პერიფერიული მნიშვნელობა, არამედ ის, რაც მსმენელში დადებით ან უარყოფით ასოციაციას იწვევს. როცა რაიმე ენობრივი ნიშნის დეკოდირებას ვახდენთ, ჩვენი ფონური ცოდნით მას კონკრეტულ აღმნიშვნელს ვუკავშირებთ, რომელიც ასევე ფონური ცოდნიდან გამომდინარე, ჩვენში იწვევს ამ მოვლენის კონკრეტულ აღქმას (ე.წ. აღსანიშნისა). როდესაც ვიყენებთ ისეთ გამოთქმა-ბიბლიიზმს, როგორიცაა «ქრისტეს ადამიანია» და ერთეულს დადებითი კონტაციის ბიბლიიზმად ვახასიათებთ, ვგულისხმობთ იმას, რომ ჩვენს ცნობიერებაში არსებობს «ქრისტეს» აღმნიშვნელის დაკავშირება აღსანიშნთან, რომელიც ჩვენი ცოდნიდან გამომდინარე, უკავშირდება კონკრეტულს: ქრისტე-დმტრი, რომელიც განკაცდა, ისსნა კაცობრიობა და სხვა. აქედან გამომდინარე, ვხვდებით, რომ ერთეულის კონტაცია

დადებითია (თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთაღნიშნული სამკუთხედის მიმართება ირლგვევახოლმე. თუ რიგ შემთხვევებში, არ გავითვალისწინებო პრაგმატიკულ ორიენტაციას, ვერ შევძლებო ერთეულის კონტაციის დადგენას და მისი მნიშვნელობის სწორად დეკოდირებას თ.მ.). კონტაციის კრიტერიუმის საფუძველზე ბიბლიიზმები დაგჭავით სამ ჯგუფად: პირველში გავაერთიანეთ დადებითი კონტაციის ბიბლიიზმები, მეორეში— უარყოფითი და მესამეში—ჩეიტრალური. როგორც დაკვირვებამ გვიჩვენა, ქართულსა და რუსულ ენებში განსაკუთრებულად დიდი რაოდენობისაა დადებითი შეფერილობის ბიბლიური ფრაზეოლოგიური ერთეულები; კერძოდ, ქართულში შესწავლილი ერთეულების 59% დადებითი კონტაციისაა, ხოლო რუსულში—54%. მოვიყვანოთ მაგალითები: «იონას აფირო», «აბრამის ბატიანი», «ნოეს მგრუდი», «ნოეს ვაზის ღვინო», «ხევის კარის გაღება», «ღვთის ხატება», «ძვარველი ანგელოზი», «голуб мира», «манна небесная», «путь истины», «хлеб насыщенный», «земля обутованная», «чистые руки», «десять заповедей», «вдовья лепта», «the patience of Job», «avere la pazienza di Giobbe», «иондіс მოთმინება», «терпение Иова» და სხვა. თუმცა ეს ბიბლიიზმებიც ერთმანეთისაგან გმოციური შეფერილობით განსხვავდება: ზოგი ემოციურად ძალიან მძაფრია, ზოგი მათგანი — ნაკლებად (ემოციური შეფერილობა ნაწილობრივ ხატოვანებას უკავშირდება). მაგალითად: «ქრისტეს ტირილი» უფრო მძაფრია, ვიდრე «ნოეს ვაზის ღვინო», «someone's cup is full» უფრო ძლიერი და შეფერილია, ვიდრე «the dove of peace». იტალიური და ინგლისური დადებითი კონტაციის მქონე ბიბლიიზმების მაგალითებია: «avere gli anni di Matusalemme», «bere il calice», «fare la parte di buon Samaritano», «Pane date e pane avrete», «essere un Eden», «avere un talento», «essere la pietra angolare», «Abraham's bosom», «it is better to give than to receive», «faith will move mountains» და სხვა. ამ ენებში კი დადებითი კონტაციის ბიბლიიზმების მაჩვენებლები ასე ნაწილდება: ინგლისური—32%, იტალიური—39%.

მეორე ჯგუფში, როგორც ავღნიშნეთ, ვაერთიანეთ უარყოფით კონტაციის ბიბლიიზმებს. უარყოფითი კონტაციის ერთეულები დადებითი კონტაციის ერთეულების მსგავსად, ერთ საინტერესო ტენდენციას ამჟღავნებს: ორივე შემთხვევაში სიტყვა ერთეულში მკვიდრდება იმავე კონტაციით, როგორითაც ბიბლიაში ვხვდებით. მაგალითად, იონა, იობი, სამარიტელი, ხოლომონი, იოანე... ბიბლიის დადებითი პერსონაჟებია და აქედან გამომდინარე, ფრაზეოლოგიური ერთეული—ბიბლიიზმების კონტაციაც, რომლებშიც ეს

ლექსემებია გამოყენებული, დადებითია: «კეთილი სამარიტელი», «იონას აფირო», «სოლომონ ბრძენი», «ქრისტეს ადამიანი», «fare la parte di buon Samaritano», «the patience of Job», «avere la pazienza di Giobbe», «essere un Eden», «avere la sapienza di Salomone», «добрый самаритянин», «Иоанн Креститель», «вдовья лепта» და სხვა. მეორე მხრივ, პეტრონაშები იუდა, კაცი, პილატე უარყოფით მოვლენებთანაა დაკავშირებული და ამიტომ ერთეულები, რომლებიც სტრუქტურაში ამ ლექსემებს შეიცავს, უმთავრესად, უარყოფითი კონტაციის მატარებელი არიან. (თუმცა შეიძლება მნიშვნელობა შეცვლილი იყოს ე.ი. უარყოფითი კონტაციის სიტყვამ შექმნას ნეიტრალური კონტაციის ერთეული). უარყოფითი კონტაციის ბიბლიოზმების მაგალითებია: «to raise Cain», «to leave to someone's tender mercies», «fare come Pilato», «зарывать свой талант», «блудный сын», «ложка дегтя в бочке меда», «держать свет под спудом», «მგელი ცხვრის ტყავში», «ნასუფრალის გადაყრა», «ბაბილონის გოდოლის აშენება» და სხვა. ეს ერთეულებიც ერთმანეთისაგან სიმძაფრით განსხვავდება, მაგალითად— «essere un povero di spirito» ემოციურად უფრო შეფერილია ვიდრე «lavarsene le mani».

საინტერესოა ისიც, რომ საკუთრივ ბიბლიოზმები კონტაციითაც ემთხვევა ერთმანეთს, რაც რა თქმა უნდა, ბუნებრივიცაა. ენათაშორისი ბიბლიოზმების ერთ-ერთი იზომორფიზმი სწორედ კონტაციით დამთხვევაა. აქვე აღსანიშნია ისიც, რომ ენაში მიმდინარე ცვლილებებიდან გამომდინარე, ძალიან ხშირად ხდება ბიბლიოზმების მნიშვნელობის შეცვლა სხვადასხვა ექსტრალინგვისტური ფაქტორების გამო, თუმცა ეს არაა მასიური ხასიათის და ბიბლიოზმების უმრავლესობა, ჩვენი დაკვირვებით, კონტაციით ერთმანეთს ემთხვევა. უარყოფითი კონტაციის ბიბლიოზმები საკვლევ ენებში შემდეგნაირად ნაწილდება: ქართული-29%, რუსული-19%, ინგლისური-38% და იტალიური 42%.

გარდა დადებითი და უარყოფითი კონტაციის ბიბლიოზმებისა, არსებობს მესამე ჯგუფი, რომელშიც გაერთიანებულია ნეიტრალური კონტაციის ბიბლიოზმები. ეს ის ერთეულებია, რომლებიც არც დადებით და არც უარყოფით მოვლენას არ ახასიათებს: «not to know someone from Adam», რომელიც ნიშნავს სრულიად არ იცნობდე ვინმეს, «ადამის ხნის», «ადამის შვილი», იტალიური ბიბლიოზმი «l'arca di Noe», «essere parente per un parte di Adamo», რუსული «дерево познается по плоду», «от Дана до Вирсалии», ქართული

«ლაზარესებრ დასველება», «ზღვაში წვეთი» და სხვა. ნეიტრალური კონტაციის ერთეულების მაჩვენებლები კი საკვლევი ენების მიხედვით შემდგანაირად გამოიყერება: ქართული—16%, რუსული—27%, ინგლისური—30% და იტალიური—19%.

ზემოთოქმული იმის შესახებ, რომ ერთეულში ლექსემა მკვიდრდება თავისი პირველადი დატვირთვით, როგორც ითქვა, არ ვრცელდება ყველა შემთხვევაზე, რადგან ზოგ შემთხვევაში, უარყოფითი კონტაციის მქონე ბიბლიოზმებში შესაძლოა შეგვხვდეს დადებითი პერსონაჟი. ამის მაგალითია იტალიური ბიბლიოზმი «fare come San Pietro», რომელიც სიტყვასიტყვით წმინდა პეტრესავით მოქცევად ითარგმნება. პეტრე, როგორც ყველასოფის ცნობილია, უფლის ერთ—ერთი მთავარი მოციქულია, რომელსაც ქრისტიანული სამყარო კარგად იცნობს. წარმოდგენილ ერთეულში, მიუხედავად პეტრეს უდიდესი დამსახურებისა ქრისტიანული სამყაროს მიმართ, უტრირებულია მისი შეცდომა—მის მიერ ქრისტეს უარყოფა და ნიშნავს რაიმეს უარყოფას, დამალვას.

ასევე არსებობს ისეთი შემთხვევები, როდესაც დადებითი პერსონაჟები ნეიტრალურ კონტაციის ერთეულებში მკვიდრდება, მაგ: «ლაზარესებრ დასველება», «იობის დღეში ჩავარდნა», «ai tempi di Noe'»... ან როდესაც უარყოფითი კონტაციის ლექსემები—დადებითი ან ნეიტრალური კონტაციის ერთეულებში იკიდებს ფეხს: «ეშმაკის ფეხი», «პილატეს ცრემლი», «da Adamo in qua» და სხვა.

განხილულის საფუძველზე, ის რომ საკუთრივ ბიბლიოზმები კონტაციით ერთმანეთს ემთხვევა, რაც ენათაშორისი ბიბლიოზმების ერთ-ერთ იზომორფიზმად შეიძლება მივიჩნიოთ. მიუხედავად საკვლევ ენებში არსებული ტენდენციისა—სხვადასხვა გზით მოხდეს ბიბლიოზმების მნიშვნელობის მოდიფიცირება სხვადასხვა ექსტრალინგვისტური ფაქტორის გამო, ბიბლიოზმების უმრავლესობა, როგორც ითქვა, კონტაციით ერთმანეთს ემთხვევა. მაგალითად, «The patience of Job», «Avere la pazienza di Giobbe», «იობის მოთმინება», «Терпение Иова» ყველა ენაში დადებითი კონტაციით ხასიათდება, «Cast pearls before swine», «ნუ დაუყრით მარგალიტსა ღორსა», «Gettare le perle ai porchi», «Бросить жемчуг перед свиньями»—უარყოფითი და სხვა.

როგორც დავინახეთ, კონტაცია ყველა ბიბლიოზმისოფის დამახასიათებელი მოვლენაა, რომლითაც საკვლევი ენების ბიბლიოზმების

უმრავლესობა ერთმანეთს ემთხვევა, რადგან კონტაცია გარკვეულწილად დამოკიდებულია იმ ბიბლიურ ამბავსა თუ პერსონაჟზე, რომელიც კონკრეტული დატვირთვის მატარებელია.

## V ნაშილი

### ბიბლიოზმი და პრაბმატიკა

#### 5.1 პრაგმატიკა, სემიოზისის მესამე განზომილება

ნაშრომის ამ ნაწილში ჩვენი მიზანია საკვლევი ენების ბიბლიოზმების შესწავლა ენობრივი ნიშნის სამგანზომილებიანი სისტემის მესამე განზომილების, კერძოდ, პრაგმატიკის საზღვრებში. ბიბლიოზმების პრაგმატიკული პარამეტრების დადგენა ხდება როგორც შიდაენობრივი, ასევე შეპირისპირებითი პოზიციებიდან. პრაგმატიკულმა კვლევამ თავისთავად გადაგვიყვანა კვლევის ისეთ სფეროებში, როგორიცაა სოციოლინგვისტიკა, (რომელიც შესაძლოა პრაგმატიკისგან დამოუკიდებლადაც განვიხილოთ), ხმარების სისტემის ხარისხის არეალი და სხვა, ანუ კვლევაში ჩაერთო ყველა ის მიმართულება, სადაც მონაწილეობს არა მხოლოდ ბიბლიოზმი—აღმნიშვნელი თავისი კონკრეტული აღსანიშნით, არამედ ის მომხმარებელი, რომელიც ერთეულს იყენებს.

თუ მეოცე საუკუნის ლინგვისტიკას გადავხედავთ, დავინახავთ, რომ დესკრიფიული ენაომეცნიერების განვითარების ბოლო ეტაპს სწორედ პრაგმატიკა წარმოადგენს. გ. ლებანიძე მეოცე საუკუნის ლინგვისტიკას სემიოტიკის ლინგვისტიკას უწოდებს და ხსნის ლინგვისტიკის თეორიული საფუძვლის-ნიშნის ცნებას (ლებანიძე 1998: 24-29). მისი აზრით, ნიშნის ცნება გულისხმობს ნიშნის სტრუქტურის ორმაგ აღნაგობას—მის მოცულობას პორიზონტალურ და ვერტიკალურ ჭრილებში. პორიზონტალურ ჭრილში ყოველი ნიშანი, იერარქიის რომელ დონეზეც არ უნდა იმყოფებოდეს, ხასიათდება სამი განზომილებით, რომლებსაც სემიოტიკის, როგორც ერთიანი მოდელების მიხედვით, ეწოდება სინტაქტიკა, სემანტიკა და პრაგმატიკა. თუ ჩვენ ამ დინამიკას შევაუმშავთ, მაშინ ეს იქნება მოძრაობა სინტაქტიკიდან

პრაგმატიკამდე. ლინგვისტიკის განვითარების პირველი ეტაპი, როგორც უკვე ითქვა, იყო სინტაქსური აზროვნება, რომელსაც მოჰყვა სემანტიკური, ხოლო შემდეგ პრაგმატიკული ეტაპები. ამ მოდელის ფარგლებში, წინსვლა შეუძლებელია, რადგან იგი უკვე ამოიწურა თეორიული თვალსაზრისით. რაც შეეხება ემპირიულ-პრაგმატიკულ კვლევას, იგი დიდხანს შეიძლება გაგრძელდეს, მაგრამ მეცნიერების განვითარების რომელიდაც ეტაპზე დინამიკა შეიძლება ნიშნავდეს დასასრულს (ლებანიძე 1998: 33).

თქმულიდან გამომდინარე, ვერტიკალურ ჭრილში გვექნება ნიშანთა იერარქიული ტიპოლოგია. ამ ტიპოლოგიას წარმოშობს სრულ და არასრულ ნიშანთა ურთიერთდაპირისპირება და ურთიერთკავშირი, რაც ქმნის ენის დონეებრივ ორგანიზაციას (გამყრელიძე 2003: 33). პორიზონტალურ ჭრილში საბოლოო ეტაპად გვევლინება პრაგმატიკა, ვერტიკალურში კი გვევლინება ტექსტი.

ტერმინი პრაგმატიკის ფუნქციებელს, ჩ. მორისს იგი ესმოდა როგორც მოძღვრება იმ დამოკიდებულებათა შესახებ, რომელიც მყარდება ენის ნიშნებსა და მათ ინტერპრეტატორებს შორის (მორისი 1964:25). ეს კონცეფცია დღესდღეისობით ცნობილია როგორც «ბიპევიორისტული სქემა» ანუ პრაგმატიკული ნიშნადობის საზომად მიჩნეულია არასამეტყველო ეფექტი, საპასუხო ფიზიკური ქმედება. მაგრამ, ამ მოსაზრების საპირისპიროდ, უნდა ითქვას ის, რომ კომუნიკაციური აქტი იმით განსხვავდება ამ სქემისაგან, რომ პრაგმატიკა არაა უშუალოდ მიბმული დროსა და ადგილთან, პრაგმატიკული ეფექტი მხოლოდ და მხოლოდ პოტენციურია.

6. საყვარელიძის აზრით, ლინგვისტური პრაგმატიკა ესაა ცნება იმ მრავალგვარი ერთმანეთზე დაშრევებული ურთიერთობის ფორმებისათვის, რომლებიც მყარდება ენობრივ ნიშნებთან და მათ ერთობლიობასთან ადამიანთა ვერბალური კომუნიკაციის პირობებში. ეს ურთიერთობები, დეტერმინირებული კომუნიკაციის მიზნით, მისი განხორციელების სიტუაციით და კომუნიკანტთა ინდივიდუალური ფაქტორით, თავის მხრივ, კლინდება ენობრივ ფორმათა იმგვარ სელექციაში, რომელიც უზრუნველყოფს კომუნიკაციის აქტის განხორციელებას (საყვარელიძე 2001: 87).

თ. გამყრელიძის განმარტებით, პრაგმატიკა, შეისწავლის რა ნიშნის მომხმარებლის დამოკიდებულებას ნიშანთან, გვევლინება ყველაზე სრულ ასპექტად და მოიცავს როგორც სინტაქტიკურ, ასევე სემანტიკურ ასპექტებს.

პრაგმატიკა განიხილავს პიროვნების ფაქტორებს და შეძლებისდაგვარად სრულად ახასიათებს ენაში, როგორც ნიშანთა სისტემაში რეალურად არსებულ მიმართებებს (გამყრელიძე 2003: 31).

დ. კრისტალის აზრით, პრაგმატიკა შეისწავლის ენას მისი მომხმარებლის პოზიციიდან ანუ ესაა საკომუნიკაციო აქტის შესწავლა სოციოლინგვისტურ კონტექსტში (კრისტალი 1995: 37). ჯ. ლიჩს კი მიაჩნია, რომ პრაგმატიკა ეს არის დისციპლინა, რომელიც სწავლობს მიმართებას ენობრივ გამოთქმასა და მის მომხმარებელს შორის. მისი მოსაზრებით, საზღვარი სემანტიკასა და პრაგმატიკას შორის გადის მნიშვნელობასა და მის გამოყენებას, ცოდნასა და შესრულებას შორის (ლიჩი 1977: 89). ჯ. იულის მოსაზრებით, პრაგმატიკა მთქმელის მნიშვნელობის, კონტექსტუალური მნიშვნელობის შესწავლაა, სხვაგვარად რომ ითქვას, შესწავლა იმისა, თუ როგორ ხდება უფრო მეტის თქმა, ვიდრე წარმოთქმა (იული 1997: 23).

თუ თავიდან პრაგმატიკა განისაზღვრა როგორც მიმართება ნიშანსა და მის გამოყენებელ სუბიექტს შორის, თანამედროვე პრაგმატიკა ამ საზღვრებს სცილდება, თუმცა განმარტების ბირთვი შენარჩუნებულია. კერძოდ, ეს არის სუბიექტის ან სუბიექტის როლის ასახვა ენობრივი ქმედებით. ერთგვარი ევოლუციის შემდეგ პრაგმატიკის განმარტება, როგორც სუბიექტის ენობრივ ნიშანთან მიმართება მოგველებული აღმოჩნდა და ყურადღება გადავიდა ორი სუბიექტის ურთიერთმიმართებაზე კომუნიკაციურ პროცესში და ასევე მათ მიმართებაზე კომუნიკაციისადმი. პრაგმატიკა იმდენად ფართო გახდა, რომ შეუძლებელია ენობრივი ერთეულის ერთი პრაგმატიკული მიმართულებით კვლევა, რადგან მასში გაერთიანებული უამრავი მომენტი და ქვესფერო.

სემანტიკა, როგორც წინა თავში ვთქვით, უშუალოდ უკავშირდება ერთეულის მნიშვნელობას— თუ რა მნიშვნელობა ცალკე მდგომ ერთეულს ანუ ესაა კავშირი აღსანიშნესა და აღმნიშვნელს შორის. თუ ბიბლიურ ფრაზეოლოგიურ ერთეულს: «*l'età di Matusalemme*» (სიტყვასიტყვით–მათუსას ასაკი) ავიდებთ, დავინახავთ, რომ მისი აღმნიშვნელი შედგება სამი ლექსემისგან და უკავშირდება აღსანიშნეს, ნიშნავს რა მათუსას ასაკსა და გადატანით პლანში, ძალიან ძველს ან მოხუცს. ბიბლიური ერთეული ფორმით გამჭირვალეა ანუ ჩვენ ვხედავთ კავშირს ერთეულის ფორმასა და მნიშვნელობას შორის. მათუსამ, ბიბლიურმა პერსონაჟმა ცხრაას სამოცდაცხრა წელიწადს იცოცხლა. ამის საფუძველზე, აღნიშნული ერთეული

გადააზრებულად ახასიათებს ყველა ხანდაზმულ ადამიანს. ესაა კავშირი აღსანიშნება და აღმნიშვნელს შორის და ამ ორის დაკავშირებით, ჩვენს წარმოდგენაში ჩამოყალიბებული ერთეულის მნიშვნელობა. მაგრამ ამის გარდა, ერთეულს მოეპოვება სხვა მნიშვნელობა, რომლის სწორად დეკოდირებას პრაგმატიკული ორიენტაციის გარეშე, ერთს კულტურის გაუთვალისწინებლად ვერ მოვახდებოთ. სწორედ ამ შემთხვევასთან გვაქვს საქმე იტალიური ბიბლიიზმის «l'età di Matusalemma» შემთხვევაში, რომელიც ახასიათებს როგორც ძალიან მოხუცებულს, ასევე შესაბამის ადამიანს, მხოლოდ მაშინ როცა ერთეულს იყენებს ახალგაზრდა. შეიძლება ითქვას «lei ha l'età di Matusalemma» და მხედველობაში ყავდეთ 40-50 წლამდე ადამიანიც. თქმულის თანახმად, იტალიური ერთეული არ აკეთებს მნიშვნელობის პრესუპოზიციას. ჩვენი აზრით, ასეთ შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა უნდა გავითვალისწინოთ კულტურული ყოფა, პრაგმატიკული განზომილება, რომლის გარეშე ბიბლიიზმის მნიშვნელობის გაგება გაძნელდება. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ იტალიურში აღნიშნულ ბიბლიიზმს გააჩნია სხვა დირებულება, რაც მის მნიშვნელობას უნიკალურს ხდის სხვა საკვლევი ენების ეკვივალენტ ბიბლიიზმებთან შედარებით.

## 5.2 სამეტყველო აქტების თეორია და ბიბლიიზმი

ბიბლიიზმების შესახებ არსებულ მცირე კვლევებში (ბეირიხი 1994, ფედულენკოვა 1998...) მთავარი აქცენტი გაკეთებულია სემანტიკის და ნაწილობრივ, სტრუქტურის კვლევაზე. პრაგმატიკული დირებულება კი ყველაზე ნაკლებადაა შესწავლილი. მიუხედავად იმისა, რომ ბიბლიიზმების პრაგმატიკული შესწავლა არ გვაძლევს საშუალებას ვაწარმოოთ სხვადასხვა ენების ბიბლიიზმების შედარებითი ანალიზი იმ მასშტაბით, როგორითაც ამის საშუალებას იძლევა სემანტიკური და თუნდაც სტრუქტურული კვლევა, ჩვენი აზრით, იგი არანაკლებ საინტერესო და მრავალმხრივი პროცესია.

საკვლევი ენების ბიბლიიზმები შეიძლება თვით პრაგმატიკული კვლევის ჩარჩოებში რამდენიმე კუთხით შევისწავლოთ. საკვლევი მასალის გათვალისწინებით, საინტერესოა ზოგადად, ყველა საკვლევ ენაში ხმარებული

ბიბლიიზმების პრაგმატიკული პარამეტრების განსაზღვრა, მათი პრაგმატიკული კვლევა სხვადასხვა ტიპის დისკურსისა და კონტექსტის გათვალისწინებით, რაც ძირითადად, ეყრდნობა ბიბლიიზმების სამეტყველო აქტების თეორიის თვალსაზრისით განხილვას. ასევე პრაგმატიკული კვლევის ჩარჩოებიდან, უკვე შეპირისპირების პოზიციიდან საინტერესოა ენების მიხედვით ბიბლიიზმების პრაგმატიკული ორიენტაციის განსაზღვრა, რაც ყველა ენაში სპეციციკურია და უკავშირდება ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ენის ცნობიერება, ყოფა, ფსიქოლოგია, სოციალური გარემო და ასე შემდეგ. ასევე პრაგმატიკული თვალსაზრისით საინტერესო აღმოჩნდა ანალიზი, რომელიც ჩატარდა ბიბლიიზმების ენობრივ მომხმარებლებს შორის და რომლითაც ვადგენთ ბიბლიიზმების ხმარების სიხშირის ხარისხს.

პრაგმატიკა, თანამედროვე გაგებით, მოიაზრება კომუნიკაციის რეალური პროცესის შემსწავლელ დისციპლინად. ეს კი უპირველესად, გულისხმობს კონტექსტს, რომელშიც ერთეული გამოიყენება. კონტექსტი, თავის მხრივ, უკავშირდება სამეტყველო აქტს.

კვლევის პირველი კუთხით ვიდებთ ბიბლიიზმებს, არა როგორც დამოუკიდებლად ფუნქციონირებად ერთეულებს, არამედ კონკრეტულ კონტექსტში აქტუალიზებულს და ვცდილობთ მათ დახასიათებას ძირითადი პრაგმატიკული პარამეტრებისა და მახასიათებლების გათვალისწინებით ე.ი. ჩვენ ვიკლევთ ბიბლიიზმის პრაგმატიკულ მნიშვნელობას, ადრესატის პრაგმატიკულ ორიენტაციას, იმ ილოკუციურ ძალას, რომელიც გამოყენებულ გამოთქმას უდევს საფუძვლად ანუ ჩვენ ვახდენთ ბიბლიიზმების ფუნქციონალური მხარის განსაზღვრას.

სამეტყველო აქტის თეორიის ფუძემდებლები ჯ. ოსტინი და ჯ. სერლი ამტკიცებდნენ, რომ ენის გამოყენება-ესაა ქმედების აღსრულება. სამეტყველო აქტით ჩვენ არა მხოლოდ ენას ვიყენებთ, არამედ აღვასრულებთ რაიმე მოქმედებას (ოსტინი..1971: 13-19). სამეტყველო აქტი ესაა კომუნიკაცია, კონტექსტი, მეტყველების პროცესი, რომელიც ითვალისწინებს სამურთერთდაკავშირებულ და ურთიერთგანმსაზღვრელ ელემენტს: ლოკუციურ აქტს-ერთეულის წარმოდგენა კონკრეტული ბგერითი ელემენტებით ხორცშესხმულ მნიშვნელობის მქონე გამოთქმად; ილოკუციურ აქტს, ერთეულის კომუნიკაციურ ძალას და პერლოკუციურ აქტს- მსმენელის მიერ გამონათქვამის გამიზნულობის რეალიზებას. სამივე მომენტი მოლიანობაში

შეადგენს სამეტყველო აქტს, რომელიც გამოხატულია სამეტყველო ქმედებით და უპირველესად, უკავშირდება კონტექსტს, კომუნიკაციის პროცესს, სადაც მონაწილეობს მეტყველების სუბიექტი და ობიექტი— მთქმელი და მსმენელი, რომელთა შორის კომუნიკაცია წარმატებით მაშინ «შედგება» თუ მათ აერთიანებთ საერთო ფონური ცოდნა, სოციო-კულტურული ფაქტორები და ასე შემდეგ ანუ როდესაც კომუნიკაციაში ხდება მაქსიმების დაცვა (გრაისი 1975:114).

კ. ოსტინმავე შემოგვთავაზა სამეტყველო აქტების პირველი კლასიფიკაცია, რომლის მიხედვითაც, სამეტყველო აქტები ასრულებს ორ ძირითად ფუნქციას-ესაა კონსტანტივის (რაიმე ფაქტის კონსტანტაციის) და პერფორმატივის, რომელიც უკვე იწვევს რაიმე ქმედებას (ოსტინი 1971:20). პერფორმატიული ანალიზი გულისხმობს გამონათქვამში იმპლიციტურ დონეზე დაფიქსირებული იმ პერფორმატიული ზმნის მიგნებას, რომლითაც ხდება გამონათქვამის რეალური მნიშვნელობის გაგება. მაგალითად, თუ ვინმეს ფანჯრის დაკეტვას ვთხოვთ: «please, close the window!» გამონათქვამის პერფორმატიული ანალიზის შედეგად აღმოვაჩენთ პერფორმატიულ ზმნას— I ask you to close the window და შესაბამისად, განვსაზღვრავთ სამეტყველო აქტის ილოკუციურ ძალას.

პერფორმატიული ანალიზით ვერ იხსნება მეტაფორული ერთეულების სამეტყველო მახასიათებლები. იმის თქმა და ვარაუდი, რომ ბიბლიოზმა შეიძლება შეასროლოს როგორც კონსტანტივის, ასევე დეკლარატივის ფუნქცია კი შესაძლებელია. გამოთქმა «to wash the hands» კონსტანტივი იქნება, ხოლო «ask and you will be given» კი დეკლარატივი. ასევე კონსტანტივის ფუნქციითაა აღჭურვილი ისეთი ბიბლიოზმები, როგორიცაა: «Aspettare il corvo», «prendere le proprie carabattole e andarsene», «il pane e la sassana», «predicare la croce addosso a qualcuno», «ოსპის შეჭამანდის მიცემა», «აღდღომის გათენება», «ხოლომონ ბრძები», «კბილების დრჭება», «бросить первый камень», «немощиенцкий сосуд», «вдовья лепта», «держать свет под спудом», «be condemned out of one's mouth», «lion in the path», «the prince of peace», «with a lash». უკელა ეს ერთეული ცალკე აღებული, ახდენს რაიმეს კონსტანტაციას, თუმცა, ჩვენი დაკვირვებით, კონტექსტში შეიძლება შეიძინოს პერფორმატიული ფუნქციაც. მაგალითად: «თქვენ ისე მოიქცით, როგორც გინდათ, პირობას გაძლევთ, ერთი ღერი თმისა არ

მოგაკლდებათ». \* ცალკე აღებული ბიბლიიზმი: «ერთი ღერი თმისა არ მოგაკლდება», რომელსაც საფუძვლად უდევს იმპლიციტური გავრცობა «ღვთის ნების გარეშე», წარმოადგენს ირიბ კონსტანტინე, მაშინ როდესაც უკვე აღნიშნულ კონტექსტში აქტუალიზებული პერფორმაციული ფუნქციით გვხვდება, გამოხატუალია პერფორმაციული ზმნით და შესაბამისად, განსაზღვრავს ნათქვამის ილოკუციურ ძალას—გამხნევებას, რომელსაც რეალობაში შეიძლება პერლოკუციური ეფექტიც თქმულის წარმატებით განხორციელებას მოჰყვეს.

როგორც აღმოჩნდა, საკვლევი ენების ბიბლიიზმების უმრავლესობა, სწორედ კონსტანტინეს ფუნქციის ბიბლიიზმებია, თუმცა შეიძლება შეგვხვდეს პერფორმატივი ბიბლიიზმებიც: «ითხოვდით და მოგვცემათ», «კისხარს კისხრის მიეცით, დმგროს დმრთისა», «*mon vi conosco*», «*date pane e pane avrete*», «*chi ha orrecchi per udire, oda*», «*ეძიეთ და იპოვით*», «*cercate e troverete*», «*bussate e vi sara aperto*», «*it is better to give than to receive*», «*и скажите и найдете*», «*кесарево кесарю*», «*do as I say not as I do*», «*the leopard does not change his spots*», «*you cannot serve god and mammon*», «*judge not that you be not judged*», «*physician, heal yourself*», «*as a tree fall so shall it lie*» და სხვა. უკვე ენათაშორისი შედარებითი პოზიციებიდან ჩვენი დაკვირვებით, ინგლისურ ენაში არსებობს უკელაზე მეტი რაოდენობა პერფორმატივი-ბიბლიიზმებისა, კერძოდ 67%, რომელთა სიღრმისეულ სტრუქტურაში ძალიან ადვილად შეგვიძლია პერფორმატიული ზმნის ამოცნობა. ყველა პერფორმატივი ან იწვევს ქმედებას, ცვლის სამყაროს ან ხელს უწყობს რაიმე ქმედებას: «*do as I say not as I do*», (სიღრმისეულ სტრუქტურაში: I order you to do as I say not as I do); ან «*it is better to give, than to receive*» (I hereby advise you that....), «*if you won't work, you shan't eat*» (I assure you...) და სხვა. ყველა ამ ზმნის გახსნის შემდეგ, შესაძლოა განვსაზღვროთ ნათქვამის ილოკუციური ძალა. ამ შემთხვევაში ჩვენ არ ვსაუბრობთ კონტექსტში შეძენილ პერფორმაციულ ფუნქციაზე, არამედ დამოუკიდებლად მდგარი, ცალკე გაფორმებული ბიბლიიზმის პერფორმაციულ ძალაზე, რომელიც კონტექსტში ამავე ფუნქციით შეიძლება აქტუალიზდეს ან შეიცვალოს ძალა.

ჯ. ოსტინის კლასიფიკაციის შემდეგ ჯ. სერლმა შეიმუშავა სამეტყველო აქტების კლასიფიკაცია, რომელშიც გამოყო ხუთი ფუნქცია, განსხვავებით ჯ. ოსტინის ორწევრა კლასიფიკაციისგან, ესენია: ღეკლარატივი, რეპრეზენტატივი, ექსპრესივი, დირექტივი და კომისივი. დეპლარატივი, როგორც

\* მაგალითი აღმატებულია ზემოთ დისკურსიდან

ამას ტერმინი გვეუბნება, ახდენს რაიმეს დეკლარაციას და გარესამყაროში შეაქვს ცვლილება. ფართოდ გავრცელებული მაგალითია ჯვრისწერის საქორწინო ცერემონიალი, როდესაც მღვდლის მიერ წარმოთქმული ფრაზას რეალობაში შეაქვს ცვლილება, (ანუ წყვილი ხდება ცოლ-ქმარი). რეპრეზენტატივი ახდენს რაიმეს რეპრეზენტაციას, ფაქტის კონსტანტაციას და ესადაგება ჯ. ოსტინის კონსტანტივს. მაგალითად, ბიბლიიზმი «რასაც დასთეს, იმას მოიძეო», ახდენს იმ ფაქტის კონსტანტაციას, რომ ადამიანს ცხოვრებაში მიეგება ის, რაც მან დაიმსახურა, შესაბამისად, იგი კონსტანტივია. მაშინ როცა ექსპრესივით გამოიხატება მოსაუბრის შინაგანი მდგომარეობა და დამოკიდებულება რაიმესადმი, ხოლო დირექტივით ხდება მთქმელის მიერ მოსაუბრისადმი ან მესამე პირისადმი რაიმე დირექტივის მიცემა, რაც შეიძლება იყოს რჩევა, ბრძანება, თხოვნა და სხვა, ე.ო. დირექტივი ითვალისწინებს მოქმედების შესრულებას. კომისივით, კი გამოიხატება მოსაუბრის ინტენცია.

ჯ. ოსტინის და ჯ. სერლის მიერ ფილოსოფიურ ლინგვისტიკის სფეროში შექმნილი სამეტყველო აქტების თეორიის ნაზრევი დახვეწას და გაღრმავებას პოულობს მომდევნო წლების ენათმეცნიერა შრომებში. ინგლისელი ენათმეცნიერი ჯ. იული სამეტყველო აქტის ფუნქციების განსაზღვრის და მისი მახასიათებლების დადგენის შემდეგ, მიჯნავს პირდაპირ და ირიბ სამეტყველო აქტებს (იული 1983: 22-37). გამონათქვამი მეტყველებაში პირდაპირი და ირიბი ფუნქციით შეიძლება შეგვხვდეს. შესაბამისად, სამეტყველო აქტი შეიძლება იყოს პირდაპირი და ირიბი. პირდაპირი სამეტყველო აქტის დროს ყოველგვარი მეორადის გულისხმობის გარეშე ხდება ადსანიშის შესაბამისობა აღმნიშვნელთან ანუ თუ გამოთქმის «გარეთ ცივა» ილოკუციური ძალა არაა გაფრთხილება და რჩევა იმისა, რომ გარეთ სიცივეა და მთქმელი ურჩევს მსმენელს თბილად ჩაიცვას, არამედ უბრალოდ ფაქტის კონსტანტაცია, მაშინ მეტყველების აქტი, რა თქმა უნდა, პირდაპირია. ხოლო, როცა უფრო მეტი ითქმევა, კიდრე წარმოითქმევა, მაშინ საქმე გვაქვს ირიბ სამეტყველო აქტთან. სამეტყველო აქტების თეორიის შესახებ დაწერილი და ნათქვამი უმრავლეს შემთხვევაში გულისხმობის არამეტაფორული გამოთქმების დეკოდირების მექანიზმის დადგენას. ესე იგი, სამეტყველო აქტების თეორიაში შედიოდა არაფიგურალური, არასატოვანი გამოთქმები. თუმცა, რა თქმა უნდა, რაღაც დოზით იყო ლაპარაკი მეტაფორული გამოთქმის სწორედ დეკოდირებაზეც.

ჯ. სერლის მიხედვით, ფრაზეოლოგიური გამოთქმის დეკოდირების დროს კომუნიკაციის აქტში მონაწილე მსმენელი ახდენს მისთვის ცნობილი პრაგმატიკული წესების მორგებას სიტუაციაზე და ირჩევს ყველაზე სწორს (სერლი 1979: 29). მაგრამ ეს და მსგავსი ცალსახა განმარტებები სრულად ვერ გვაწვდის იმ მექანიზმის ამოცნობის საშუალებას, რომელიც მოქმედებს სამეტყველო ქმედებაში მეტაფორული ერთეულის დეკოდირების დროს. ასე რომ, ენათმეცნიერებაში ჯერ კიდევ ძალიან აქტუალურია მეტაფორული გამოთქმების დეკოდირების სირთულის საკითხი.

რადგანაც ყველა ბიბლიიზმი მეტაფორულად გადააზრებული ერთეულია, მათ პრაგმატიკულ ბუნებაზე საუბრისას უნდა ითქვს, რომ ისინი მხოლოდ ირიბი სამეტყველო აქტის ფუნქციით იქნებიან რეალიზებული. მეტაფორული გამოთქმის ხმარების შემთხვევაში ისედაც ნათელია, რომ მოსაუბრე თავის აზრს აფიქსირებს არა პირდაპირ, არამედ ამბობს ერთს და გულისხმობს უფრო მეტს (იული 1983 : 37).

ზოგადად ილოკუციური და პერლოკუციურ ძალაზე საუბრისას, უნდა ვთქვათ, რომ ილოკუციური ძალის გამოცნობა ნათქვამში კონტექსტის გარეშეც ხდება შესაძლებელი, მაშინ როდესაც პერლოკუციური ძალა აუცილებლად გულისხმობს კონტექსტს და ამ კონტექსტში აქტუალიზებულ ერთეულს. მან ასევე შეიძლება შეიძინოს დამატებითი ილოკუციური ფუნქციაც.

ილოკუციური და პერლოკუციური აქტები ჩვენი აზრით, ერთმანეთთან მიზეზ-შედეგობრივი კავშირითაა დაკავშირებული. ბ. ფრეიზერის მიხედვით, ილოკუციური ძალა მთქმელის დამოკიდებულებაა ერთეულის პროპოზიციული შინაარსისადმი (ფრეიზერი 1984: 54). ხოლო პროპოზიცია, ესაა ილოკუციური ძალის შედეგი (სერლი 1979: 34). ჩვენი აზრით, ილოკუციური ძალის პარამეტრების ანალიზი შესაძლოა კონტექსტის გათვალისწინებით, მაშინ როდესაც პერლოკუციური ძალა ე.ო. ის შედეგი, რაც შეიძლება ილოკუციურმა ძალამ მსმენელზე მოახდინოს, შეიძლება უმრავლეს შემთხვევაში, გაუგებარიც კი დარჩეს. შესაბამისად, სამეტყველო აქტის ანალიზის დროს ძირითადი ყურადღება მახვილდება ილოკუციურ ძალაზე. თუ ზემოთაღნიშნული ენათმეცნიერები საუბრობდნენ ზოგადად სამეტყველო აქტებზე და მის შემადგენელ ელემენტებზე, ბ. ფრეიზერი, მთავარ აქცენტს ილოკუციურ ძალაზე ამახვილებს. თუ ჯ. სერლი და ჯ. ოსტინი სამეტყველო აქტების კლასიფიკაციას ახდენდნენ, ბ. ფრეიზერი, სავსებით სამართლიანად, ახდენს

ილოკუციური ძალის კლასიფიკაციას და გამოყოფს: რეპრეზენტატივებს, დირექტივებს, კომისივებსა და კვალუატივებს (ფრეიზერი 1984: 48-64).

ჩვენი აზრით, ილოკუციურ ძალაზე საუბრისას უნდა გაიმიჯნოს ორი მიმართულება: ის, რაც ცალკე მდგომ ერთეულს აქვს და ის, რასაც იგი კონტექსტში იძენს. დამოუკიდებლად გაფორმებული ბიბლიიზმები, თავისთავად შეგვიძლია მოვათავსოთ ენათმეცნიერთა მიერ შემოთავაზებული ილოკუციური ძალის კლასიფიკაციის რომელიმე ჯგუფში. თუ გამოთქმა «ეძიეთ და პპოვეთ» დირექტივია, ინგლისური ბიბლიიზმი *«there is nothing new under the sun»* რეპრეზენტატივი იქნება, რადგან ახდენს არაპირდაპირი გზით კონსტანტაციას იმ ფაქტისას, რომ ამ ქვეყანაზე არაფერია ახალი და უცხო. მსგავს შემთხვევაში, შეგვიძლია შიდაენობრივი პოზიციებიდან განვსაზღვროთ ამა თუ იმ ცალკე კონტექსტის გარეშე მდგარი გამოთქმის ილოკუციური ძალა. ამგვარი ანალიზი ჩვენ მხოლოდ იმ ბიბლიიზმებზე შეგვიძლია ჩავატაროთ, რომლებიც სტრუქტურაში ზმნას შეიცვას ანუ როდესაც არის ქმედების აღმნიშვნელი სახელი, რომელიც ჩვენ ერთეულის ილოკუციურ ძალას დაგვანახებს. ხოლო პერლოკუციული ძალა რეალიზდება მხოლოდ კონტექსტში და მხოლოდ ნაწილობრივაა მისი განსაზღვრა შესაძლებელი.

სამეტყველო აქტში ბიბლიიზმების კოდირება—დეკოდირების პროცესი ძალიან საინტერესო საკვლევი აღმოჩნდა. სამეტყველო აქტი, როგორც აღინიშნა, ესაა მეტყველების პროცესი, ერთგვარი კონტექსტი, რომელიც გულისხმობს მთქმელისა და მსემენლის მონაწილეობას ამ პროცესში. მეტყველ სუბიექტისა და ობიექტის მათ შორის სამეტყველო აქტის განხორციელების წარმატებულობა დამოკიდებულია ნათქვამის სწორად კოდირება/დეკოდირებაზე, რაც თავის მხრივ, ეფუძვნება ისეთ არალინგვისტურ ფაქტორებს, როგორიცაა მათი ფონური ცოდნა, მენტალიტეტი, მრწამსი და ზოგადად, ცნობიერება და სოციო-კულტურული გარემო. ყველა ეს პირობა მაქსიმალურად უნდა იყოს დაცული როდესაც საქმე ეხება არაპირდაპირ სამეტყველო აქტს—როდესაც მთქმელი მეტაფორული გზით არაპირდაპირად ცდილობს ნათქვამის გადაცემას. თუ იგი არ იქნება დარწმუნებული იმაში, რომ მსმენელს იგივე გაგება და ფონური ცოდნა აქვს, მაშინ ვერ ექნება ნათქვამის სწორი დეკოდირების გარანტია ე.ი. ყველა ის ფაქტორი, რომელიც საჭიროა სამეტყველო აქტის წარმატებულად განხორციელებისთვის, კიდევ უფრო მაქსიმალურად უნდა იყოს გათვალისწინებული და დაცული ნათქვამის არაპირდაპირი გზით გადაცემის

დროს, რადგან სამეტყველო აქტში მეტაფორული გამოთქმების გამოყენებით მაქსიმების დარღვევის საშიშროება იზრდება.

ბიბლიიზმების სამეტყველო აქტებში გამოყენების დროს, ჩვენი დაკვირვებით, მთქმელი და მსემენელი—კომუნიკაციაში მონაწილე სუბიექტი და ობიექტი უპირველესად საერთო თეზაურუსიდან უნდა გამოდიოდნენ, მათ უნდა ჰქონდეთ მეტ–ნაკლებად საერთო კულტურულ–რელიგიური სქემატა, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი ერთნაირად უნდა აღიქვამდნენ და აფასებდნენ ზოგად მოვლენებს და ისეთ ზოგად ცნებებს, როგორიცაა თეორი და შავი, კეთილი და ბოროტი. ამ პირობების დაცვის შემთხვევაში, ნათქვამის სწორად დეკოდირების ალბათობა მაღალია, თუმცა უკვე სამეტყველო აქტში შეიძლება გაიხსნას იმპლიკაციის რამდენიმე დონე, რომელიც შესაბამისად, რთული და კომლექსური აღსაქმელი შეიძლება აღმოჩნდეს.

უკვე არაერთხელ ითქვა, რომ ბიბლიიზმი გულისხმობს სემანტიკურ ასპექტში გადააზრებას, რაც თავისთავად მეტაფორული ხასიათისაა. მეტაფორის პვლევის ისტორია წარმოადგენს სემანტიკური კვლევის ისტორიას და იგი გამორიცხავს მის შესწავლას კომუნიკაციური ლინგვისტიკის ჭრილში. თუმცა, არსებობს რამდენიმე თვალსაზრისი, რომელიც ცდილობს დაადგინოს მეტაფორის ადგილი პრაგმატულ პვლევაში და გამოიკვლიოს თუ როგორ გაიგება მეტაფორა პვლევის დროს. კერძოდ, პ. გრაისი მას ირონიასა და პიპერბოლასთან ერთად ნორმიდან გადახვევად მიიჩნევს, ნორმად ამ შემთხვევაში განიხილება ავტორისეული მაქსიმები. პ. გრაისი მიხედვით, თუ სუბიექტის სიტყვების გამო ირლევა სასაუბრო მაქსიმები, მსმენელი იწყებს რაიმე მსგავსი პროპოზიციის ძიებას, რომელსაც მოსაუბრე გულისხმობდა და რომლის მიხედვითაც მსმენელი აღიქვამს მოსაუბრის სათქმელს (გრაისი 1975 : 115-120).

დ. უილსონო და დ. სპერბერი თვლიან, რომ პირდაპირი არაზუსტი მეტაფორული მეტყველება მხოლოდ სიზუსტის ხარისხით განსხვავდება (სპერბერი 1986 : 5-115). ბ. ფრეიზერის აზრით, მეტაფორული გამოთქმის პერლოკუციური ძალის ამოცნობა ძირითადად, მსმენელზეა დამოკიდებული, რადგან მან უნდა გადასინჯოს თავის ცნობიერებაში არსებული ყველა ინტერპრეტაციის საშუალება და განსაზღვროს გამოთქმის რეალური, კონტექსტი შეძენილი მნიშვნელობა (ფრეიზერი 1984 : 30-61).

ქართველი მკვლევრები განსხვავებულ პოზიციაზე დგანან. თუ

გ. ნებიერიძე მიიჩნევს, რომ პრაგმატიკას დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია ისეთი სემანტიკური პროცესების კვლევაზე, როგორიცაა მეტაფორა, მეტონიმია, სინეკდოკე (გ. ნებიერიძე 1991 : 35) საპირისპირო აზრი ამტკიცებს, რომ მეტაფორა არის სემანტიკური კატეგორია და მისი პრაგმატიკული კვლევა არაა მიზანშეწონილი ან სასურველი. მ. რუსიეშვილის აზრით, მეტაფორა პრაგმა-სემანტიკური კატეგორიაა და მეტაფორული ერთეულების სტრუქტურაში (ანდაზა, იდიომი თუ ფრაზეოლოგიური ერთეული) აუცილებლად შემავალი მეტაფორა პოეტური მეტაფორის მსგავსად კონსტრუირდება და გაიგება (რუსიეშვილი 2003: 87).

თქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მეტაფორული გამოთქმა ესაა ირიბი კომუნიკაციის აქტი ე.ი. როცა მოსაუბრე მსმენელს უფრო მეტს გადასცემს, ვიდრე ეს ექსპლიციტურად ჩანს. მეტაფორული გამოთქმის, მათ შორის ბიბლიიზმის კონტექსტუალური აქტუალიზაციის დროს მსმენელმა უნდა მიიღოს არა მხოლოდ ერთი ბირთული პროპოზიცია, არამედ რთული აზრი, რომელიც რამდენიმე პროპოზიციისგან შედგება. გამოთქმის კონტექსტუალური აქტუალიზაციის დროს კომუნიკაციის წარმატება იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად მსგავსია მსმენელის და მოსაუბრის ცნობიერებაში ასახული ინტერპრეტაციული იმპლიკაციები. მოსაუბრე მეტაფორული გამოთქმის გამოყენებით გულისხმობს იმას, რომ მსმენელი შესძლებს მისი ნათქვამის ინტერპრეტაციას ანუ ააგებს ისეთ პროპოზიციას, რომელიც დაემთხვევა მის ინტენციას რელევანტურობის დაცვით. როცა რელევანტურობა დაცული იქნება და მოსაუბრე მთქმელის სიტყვებს რელევანტურად ჩათვლის, იგი შეეცდება ცნობიერებაში აღიდგინოს მოსაუბრის პრაგმატიკული ორიენტაცია, რომელიც ცნობიერებამდე გამოთქმაში გამოყენებულმა მეტაფორამ უნდა მიიტანოს. ამ რეკონსტრუქციის წარმატებისთვის როგორც ითქვა, საჭიროა, რომ მოსაუბრეს-მსმენელს აერთიანებდეს ფონურ-სასაუბრო ცოდნა, ასევე მათ უნდა პქონდეთ იმპლიკაციების აგების მსგავსი სისტემა. ამ პროცესში მთქმელი თანამოსაუბრეს გადასცემს მეტაფორული გამოთქმის იმპლიციტურ აზრს და კონკრეტულ მიზანდასახულობას. ეს პროცესი არაა მარტივი, რადგან მთქმელი მსმენელს სათქმელს არაპირდაპირი იმპლიკაციების საშუალებით გადასცემს, რომელიც მსმენელმა უნდა აღიდგინოს. მის ცნობიერებაში კონსტრუირებული იმპლიკაციების სისწორეზეა დამოკიდებული კონსტრუირებული იმპლიკაციის წარმატება.

იმისთვის, რომ ვნახოთ თუ როგორ რეალიზდებიან ბიბლიიზმები სამეტყველო აქტებში, მოვიყვანოთ კონკრეტული მაგალითები საკვლები ენების რეალობიდან:

1. *Hercule Poirot said: «there is no question of failure, Hercule Poirot does not fail».*

*Sir Joseph Hoggin looked at the little man and grinned: «Sure of yourself, aren't you? he demanded. «Entirely with reason». «h, well,» sir Joseph leaned back in his chair «pride goes before a fall, you know» (Christie 1989: 95) .*

ბიბლიური გამოთქმა «pride goes before a fall» ცნობილი უნდა იყოს ადრესატისათვის, მან უნდა იცოდეს, რომ ამ ერთეულის სემანტიკა—ამპარტაციება დაცემით მთავრდება. მან ცნობიერებაში არსებული ერთეულის კონკრეტული ცოდნა უნდა დაუკავშიროს კონკრეტულ სიტუაციას. ამ პროცესის გავლის შემდეგ კი იგი ადვილად ჩაწვდება მთქმელის პრაგმატიკულ ინტენციას და მიხვდება, რომ მის მიერ დაპირებული ქმედება არ მოსწონს თანამოსაუბრებს, არ მოსწონს მისი თავდაჯერებულობა და ამიტომ აძლევს გაფრთხილებას. აქედან გამომდინარე, ჩვენც შეგვიძლია დავასკვნაოთ, რომ ბიბლიიზმი «pride goes before a fall» მოცემულ კონტექსტში იძენს გაფრთხილების მნიშვნელობას. ამ კონტექსტში აქტუალიზებული ბიბლიიზმის ილოკუციური ძალა ირიბი კონსტანტივია (რეპრეზენტატივი), ხოლო პერლოკუციური კი—ერთგვარი გაფრთხილება.

2. *Robert: «well, look here now, Caroline, it's no good kicking against the pricks. We've got to marry».*

*Caroline: «I'm hanged if we do so» (Maugham: 1991: 107).*

როგორც ვხედავთ კომუნიკაციაში მონაწილეობს ორი თანამოსაუბრებ. ადრესატი ადრესანტს ხელს სთავაზობს და არა მარტო სთავაზობს, არამედ ცდილობს მის გადარწმუნებას. ირიბი კონსტანტივის ფუნქციით აქტუალიზებული ბიბლიიზმის ილოკუციური ძალა—მსმენელის გადარწმუნება ერთგვარი პროლოგია, ქორწინების შეთავაზების წინაპირობა; ხოლო პერლოკუციური გამიზნულობა—თანამოსაუბრის დარწმუნება, დაყოლიებაა, რაც, აღნიშნულ შემთხვევაში, არ შედგა, მოსაუბრის რეაქციიდან გამომდინარე.

3. *«You can't put words into the mouth of the witness» (Gardener: 1983: 109).*

ამ მაგალითშიც ისევ საქმე გვაქვს ირიბი კონსტანტივის ფუნქციით აქტუალიზებულ ბიბლიიზმთან. მომხმარებელის პრაგმატიკულ ინტენციად

შეგვიძლია მივიჩნიოთ რჩევა, ხოლო პერლოკუციურ გამიზნულობად—რჩევის მიღებით გადაწყვეტილების შეცვლა.

4. «*You said to me once that life without me was dust and ashes to you»* (Christie 1999: 23).

ამ სამეტყველო აქტში განხორციელებული ბიბლიოზმის ილოკუციური ძალა ისევ და ისევ ირიბი კონსტანტაციაა, ხოლო პერლოკუციური ძალა კი შეიძლება რამდენიმენაირად განვხაზღვროთ: საყვედური, იმედგაცრუება, შეცოდება. პერლოკუციური გამიზნულობა, ამ შემთხვევაში შეიძლება გაიხსნას ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა ოქმულის ინტონაცია, ტონი და წინაპირობა, რაც ამ შემთხვევაში, სამწუხაროდ, ვერ დგინდება.

5. «*What said Alasko of my horoscope? -demanded Leicester-«you already told me, but it has escaped me, for I think boyifasut lightly of that art».*

«*Many learned and great men have thought otherwise»- said Varney- «and not to flatter your lordship, my own opinion leans that way»!*

«*A, Saul among the prophet? »-said Leicester-«I thought thou were skeptical in all such matters as thou could neither see nor hear, smell, taste or touch, And that thy belief was limited by thy senses»* (Scott 1970: 35).

სამეტყველო აქტში ბიბლიოზმს აქვს ევალუატივის ფუნქცია, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსაუბრე ახდენს შეფასებას. ერთეულის სემანტიკური სტრუქტურიდან გამომდინარე, შეიძლება დავადგინოთ, რომ ბიბლიოზმის ილოკუციურ ძალას—შეფასებას თან სდევს პერლოკუციური გამიზნულობაც, რომელიც შეიძლება ერთგვარ მხილებადაც ჩავთვალოთ.

6. «*მოვიდოდი სახლში სადილისათვის».*

«*არაფერი გქონია და არც უფლება გაქვს მოითხოვო. რა დაგითესია, რასა მკი?»* (სახოკია 1979: 54).

კონტექსტში მონაწილე მეორე მოსაუბრე ბიბლიოზმის გამოყენებით ახდენს ცალკე აღებული ირიბი კონსტატივის მქონე ბიბლიოზმის: «*რასაცა დასთებს, იმას მოიძიო*» სახცელილებას და წინ წამოწევს მის მთავარ პრაგმატიკულ დატვირთვას—მხილებას, საყვედურს, რაც შეიძლება გამოოქმის ილოკუციურ ძალად ჩავთვალოთ, მაშინ როცა პერლოკუციური გამიზნულობა შეიძლება იყოს მსმენელის მხრიდან მობოდიშების, შეწუხების გამოწვევა.

5. «*თვალები (დიამბეგის) საოცრად სწრაფნი და წვრილნი. ასეთის თვისებანი, რომ თაფლისა სთოვს, ოდეს უყურებს დლიურსა ამა ქვეყნისა* ე.ი. უეზდის ნაჩალნიკსა» (ილია 1984: 37). ბიბლიოზმი «*დლიური ამა ქვეყნისა»* ცალკე

ნიშნავს მდიდრებს და გავლენიანებს უარყოფითი შეფერილობით. წარმოდგენილ კონტექსტში კი ჩვენ მასში შევიცანით დამატებითი მნიშვნელობა. ბიბლიური ფრაზა მწერალს შესაძლებლობას აძლევს, რომ თავისი ირონიული დამოკიდებულება ბიბლიიზმის საშუალებით გადმოსცეს. ამ ირონიას ბიბლიიზმის სემანტიკა არ გულისხმობს, იგი მხოლოდ განსაზღვრულ კონტექსტში აქტუალიზებული მნიშვნელობაა, რომელიც გამოხატავს მწერლის პრაგმატულ ინტენციას. ბიბლიიზმი წარმოდგენილია, როგორც კონსტანტივი, მისი პერლოკუციური გამიზნულობა კი-ორიენტირებულ მკითხველზე ნაჩალნიკის სურათის ირონიის ჭრილში წარმოდგენა და სათანადოდ განწყობა.

6. იტალიური ბიბლიიზმი «*fare in una fiata*» ნიშნავს რაიმეს ჩქარა გაკეთებას ყოველივე ზედმეტი მნიშვნელობის გარეშე.

«*Sei d'accordo?*»

*non si debba fare le cose in un fiat, senza pensare.* (არ უნდა იმოქმედო სწრაფად, დაფიქრების გარეშე).\*

კონტექსტში მონაწილე პირველი თანამოსაუბრე მეორეს ეკითხება თანხმობას. მეორე მონაწილე კი იყენებს არაპირდაპირ სამეტყველო აქტს და ნაცვლად, იმისა, რომ პირდაპირ ან უარი და ან თანხმობა განაცხადოს, აცხადებს, რომ მისი აზრით, არაა მიზანშეწონილი ყველაფრის სწრაფად, დაფიქრების გარეშე გაკეთება. ამ აზრის გამოსახატავად კი იშველიებს ბიბლიიზმს «*fare in una fiata*», რომელიც ამ შემთხვევაში, წარმოადგენს ირიბ კონსტანტივს და ასევე დამატებით იძენს ირიბი დირექტივის ფუნქციასაც, რადგან ნათქვამი არის ერთგვარი მოწოდება, რჩევა მთქმელისა, რომ მოსაუბრე არ აჩქარდეს. პერლოკუციურ გამიზნულობად კი შეგვიძლია თანამოსაუბრის გადარწმუნება მივიჩნიოთ.

7. «*Ma adesso che posso fare io »?*

«*Chi cerca, trova*».

კონტექსტში მონაწილე სუბიექტი მოსაუბრეს რჩევას ეკითხება. მოსაუბრე კი ნაცვლად იმისა, რომ ურჩიოს კონკრეტული რამ, მიმართავს ბიბლიური გამოთქმას: «*გინვ ეძიებს, პოვებს*», რომელიც პირველმა მოსაუბრემ ფონური ცოდნიდან გამომდინარე, ადვილად უნდა აღიქვას და ჩასწვდეს მთქმელის

\* მაგალითი მოყვანილია ზეპირი სასაუბრო დისკურსიდან

პრაგმატიკულ ინტენციას. ნათქვამი აღიჭურვება ირიბი დირექტივის ილოკუციური ძალით და გულისხმობს მსმენლის გამხნევებას, მოქმედებისკენ მოწოდებას, რაც ნათქვამის პერლოკუციური ძალა იქნება.

ზემოთოქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მეტაფორული ერთეულით წარმოდგენილი ბიბლიიზმი კონტექსტში ხშირად იძნეს ისეთ ილოკუციურ ძალას, რომელიც ცალკე მდგომ ბიბლიიზმი არ ფიქსირდება. ბოლო შემთხვევაში კონსტანტივი ბიბლიიზმი უკვე დირექტივი გახდა და შესაბამისად, კომპლექსური გახდა მისი აღქმის მექანიზმიც.

8. «*Are you enjoying it Jenkins?*» he asked.

«*Not very much*», - admitted Jenkins, «*but you know, forbidden fruit is sweetest. The ban on smoking makes it more exciting*».

როგორც ვხედავთ, ორ მოსაუბრეს შორის სასაუბრო თემა სიგარეტის მოწევაა, რომელზეც პირველი მოსაუბრე ეკითხება მეორეს თავის აზრს. თანამოსაუბრისგან კი იდებს პასუხს, რომ იგი არ მოსწონს, მაგრამ რადგანაც ყველასათვის ცნობილია ის, რომ «*forbidden fruit is sweetest*», სწორედ ამ მიზეზით ეწევა. ბიბლიიზმი გამოყენებულია როგორც ირიბი კონსტანტივი მსჯელობის ფორმით, რომელიც ხსნის მოქმედის არჩეული გზის არსეს-იგი ეწევა იმიტომ, რომ აკრძალული ხილი ყველაზე ტბილია, თუმცა ეს მას არც ისე მოსწონს.

9. «*Mr. Phillips is still alive, but living with his daughter's family now*».

-«*Well, you do not surprise me! he must be as old as Mathusalah*».

განხორციელებულ არაპირდაპირ სამეტყველო აქტში ბიბლიიზმი «*as old as Mathusalah*» ირიბი კონსტანტივის ფუნქციასთან ერთად ითავსებს ევალუატივის ფუნქციასაც, რადგან ის, რომ ვიდაც არის არა ძალიან მოხუცი, არამედ მათუსას ხნის, რა თქმა უნდა, მოქმედის შეფასებას წარმოაჩენს ამ ადამიანის მიმართ. მეორე მოსაუბრე აფასებს მოქმედის ნათქვამს და გამოხატავს თავის დამოკიდებულებას აღნიშნულთან. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბიბლიიზმის პერლოკუციური ძალა არის მსჯელობა, შეფასება და აზრის დაფიქსირება.

10. «*რას აკეთებ-მეთქი, შე ქრისტეს ვეხისძვრებულო შენა?*»

«*არაფერი, ჯონი ბატონო, ხაუზმეს ვიმზადებო დილისთვის*»

(გამსახურდია 1983: 337).

მოცემულ სამეტყველო აქტში ბიბლიიზმი «*ქრისტეს ვეხისძვრებულო*» განხორციელებულია ევალუატივის ფუნქციით, ვინაიდან

გადმოცემულია მთქმელის სუბიექტური დამოკიდებულება, შეფასება. ბიბლიოზმის სემანტიკიდან გამომდინარე, შეიძლება ჩავწვდეთ ერთეულის პერლოკუციურ გამიზნულობასაც, რაც შეგვიძლია მივიჩნიოთ მუქარად, განრისხებად, შეშინებად, რამაც, როგორც კონტექსტიდან ჩანს, პრაგმატიკული ინტენცია—შეშინება შეასრულა, რაღან მოსაუბრე ამის შემდეგ ცდილობს თავის გამართლებას და მთქმელის მიერ დატეხილი რისხვის განეიტრალუებას ახსნის გზით.

მიუხედავად იმისა, რომ პრაგმატიკული განზომილება ბოლო დროს არა მხოლოდ კონტექსტს დაუკავშირდა, არამედ წინ წამოწია სუბიექტისა და ობიექტის როლის ასახვა სამეტყველო აქტში, შეგვიძლია, ბიბლიოზმების პრაგმატიკული ლირებულებების დადგენის დროს ვისარგებლოთ მხოლოდ ისეთი კონტექსტებით, სადაც მოცემულია კომუნიკაციური აქტის მხოლოდ ერთი წევრი და მის მიერ აქტუალიზებული ბიბლიოზმი, რომელიც კონტექსტში ასევე სხვადასხვა დატვირთვისა და შეფერილობას იძენს. მაგალითად:

1. «ღორს წინ მარგალიტი არ დაუყარო», (ფილმი: «ყველაფერი დედაჩემის შესახებ» ალმადოვარი). ესაა კომპრესირებული მსჯელობა, რომლითაც მთქმელი მსმენელს ერთი წინადადებით მიმართავს და რეალიზდება ბიბლიოზმის ილოკუციური ძალა, კერძოდ, ირიბი დირექტივი. ხოლო რაც შეეხება იმლიციტურ პერლოკუციურ გამიზნულობას, კონტექსტიდან გამომდინარე, შეიძლება იგი მივიჩნიოთ რჩევად, გაფრთხილებად და ასე შემდეგ.
2. «უძინისნობით, არა მოხდება რა ქვეყანაზე, შენი პატრონიც და მფარველიც ის არის, ერთი ბეჭედი თმისა არ მოგაკლდება. თუ დავთის ნება არ იქნება» (ილია 1988: 67). კონტექსტში აქტუალიზებულ ბიბლიოზმს «ერთი ბეჭედი თმისა არ მოგაკლდება» წარმოადგენს ირიბ კონსტანტივს ან რეპრეზენტატივს, რადგან აკეთებს ფაქტის რეპრეზენტაციას იმის შესახებ, რომ ამქვეყნად ყველაფერი დმურთზეა დამოკიდებული. იგი გამოიყენება შეჯამების სახით და არა მსჯელობის გასაშლელად, ხოლო მისი იმლიკაციურ, პერლოკუციურ ძალად მსმენელის გამხნევება შეიძლება მივიჩნიოთ.
3. მოვიყვანოთ ილიას მიერ გამოყენებულ ბიბლიოზმი ნაწარმოებიდან «კაცია-ადამიანი?»: «ამისი ძვირფასი მეუღლე, დარგვანი სწორედ თავისი ქმრის ძეორე გვერდი გახლდათ და იყვნენ «ერთ სულ ერთ ხორც», როგორც

ბრძანებს საღმრთო წერილი. მერე რარიგად იგივე სიმბრვალე, იგივე სიმსუქნე, იგივე მოცინარი პირი და თითქმის იგივე სისულელე» (ჭავჭავაძე 1989: 76).

ბიბლიიზმი, «ერთ ხულ ერთ ხორც» ირიბი კონსტანტივის ფუქნით არის წარმოდგენილი, ნათქვამისთვის უფრო მეტი ექსპესიულობის მისანიჭებლად. ამ შემთხვევაში, ილიამ გააკეთა გათვლა მკითხველზე ანუ სამეტყველო აქტში მონაწილე ობიექტზე და სწორი დეკოდირების გასამარტივებლად, ბიბლიიზმის გამოყენების შემდეგ მოახდინა აზრის დაზუსტება, რომ ესაა წმინდა წერილის სიტყვები. ბიბლიიზმი შეიძლება მივიჩნიოთ არგუმენტის გაშლის წინაპირობათაც, რადგან მწერალს იგი მოყავს მსჯელობის, არგუმენტის დეტალებში წარმოდგენის წინ. პერლოკუციურ გამიზნულობად შეიძლება მივიჩნიოთ მკითხველის უფრო მეტი სიცხადით დარწმუნება.

4. «В этой семье настоящая Содом и Гомора» ამბობს ერთ-ერთი რუსული ფილმის მონაწილე პერსონაჟი ოჯახში არსებული არეულობის წარმოსადგენად. იგი ბიბლიიზმის გამოყენებით აკეთებს ფაქტის კონსტანტაციას ირიბი სამეტყველო აქტით, თან ავსებს გამონათქვამს ახალი ილოკუციური ძალით, რაც მის უქმაყოფილებად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

5. «Я заблудшая овца! злите на меня, окаянного! как проповинился я перед церковью» .

ბიბლიიზმი «заблудшая овца» ნიშნავს ადამიანს, რომელსაც გზა აბნევია, ადგილი ვერ უპოვია, რაღაცაში შემცდარა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ბიბლიიზმს არ ახასიათებს არც საყვედური და არც გასამართლება, რასაც ბიბლიიზმის სემანტიკური სტრუქტურა გულისხმობს. მას წარმოოქმნას სამეტყველო აქტის სუბიექტი, ახასიათებს რა თავის თავს ამ ბიბლიიზმით, წარმოაჩენს თავის პრაგმატიკული ინტენციას, სინაზულს, მონანიებას, რასაც ცალკე ბიბლიიზმში ვერც ზედაპირულ და სიღრმისებულ დონეზე ვერ ამოვიკითხავთ და რაც უნდა განისაზღვროს, როგორც გამონათქვამის ილოკუციური ძალა.

6. «Не надо выносить кор из избы, это мой совет».<sup>1</sup>

მოცემულ მაგალითში, ბიბლიიზმი რეალიზდება დირექტივის ფუქნით, ილოკუციური ძალით—პირდაპირი რჩევის მიცემით: მეტაფორული გამოთქმით შეაჩეროს თანამოსაუბრის ქმედება.

<sup>1</sup> მაგალითი მოყვანილია ზეპირი დისკურსიდან

## **7. «აეროპორტში ქრისტეს ტირილი იყოს»<sup>2</sup>**

მოცემულ მაგალითში ბიბლიიზმი «ქრისტეს ტირილი» რეალიზდება როგორც კვალუატივი, მთელი ნათქვამის კონსტანტივის ფუნქციის გასაშლელად.

## **8. «სად მომიყვანებულია?»**

«მოთმინებითა შენითა».<sup>3</sup>

კონტექსტში მონაწილეობს ორი თანამონაწილე, რომელთაგანაც პირველი ეკითხება მოსაუბრეს იმის შესახებ, თუ სად მიიყვანა იგი. ნაცვლად იმისა, რომ მან პირდაპირი პასუხი მიიღოს მათი ადგილმდებარეობის შესახებ, ადრესანტი ლაკონურად წარმოთქვამს ბიბლიიზმს, რაც თავისთავად განსაზღვრავს აქტის არაპირდაპირობას. რეალიზებული ბიბლიიზმი არის უფრო გრცელი ბიბლიიზმის: «მოთმინებითა შენითა მოიპოვე თავი შენი» ნაწილი, რომლის ილოკუციური ძალა ირიბი დირექტივია—ანუ რჩევა, მოწოდება იმისა, რომ დაიცადოს და ცოტა ხანში ყველაფერი ნათელი გახდება. პერლოკუციურ ძალად კი შეგვიძლია მივიჩნიოთ ერთგვარი მოწოდება.

როგორც დავინახეთ, ბიბლიიზმების კონტექსტში შესწავლა იძლევა შესაძლებლობას, დავადგინოთ ბიბლიიზმების პრაგმატიკული დირექტულება, მათი აქტუალური მნიშვნელობა, ფუნქციონალური მხარე. როგორც აღმოჩნდა, ბიბლიიზმების უმრავლესობის პირველადი ფუნქცია ირიბი კონსტანტაციაა, რომელიც ძალიან ხშირად ნარჩენდება კონტექსტში. ამის გარდა, კონკრეტულ კონტექსტში შეიძლება გაჩნდეს მისი სხვა დატვირთვა იქნება ეს დირექტივი, კვალუატივი თუ სხვა.

ზემოთმოყვანილ კონტექსტში პერლოკუციური ძალით ნათქვამი უმრავლეს შემთხვევაში, მაშინ იტვირთება, როდესაც სამეტყველო აქტში მონაწილე ორივე წევრის გამონათქვამი ფიქსირდება. ხოლო როდესაც მხოლოდ ერთის მიერ მოყვანილი თქმულია წარმოდგენილი, პერლოკუციური ძალა შეიძლება ალბათობის თეორიით დავადგინოთ, ალბათობის შესაძლო რამდენიმე ვარიანტით.

<sup>2</sup> მაგალითი მოყვანილია საპატრიარქოს რადიო “ივერიის” გადაცემიდან: საუბრები მართმადიდებელ მოძღვართან, 2005 წ.

<sup>3</sup> სექტ.

<sup>3</sup> მაგალითი მოყვანილია ერთ-ერთი ესპანური მხატვრულ ფილმიდან, რომლის სათაურიც სამწუხაროდ, ჩემთვის ცნობილია გახდა

### **5.3 ბიბლიოზმი და სოციოლინგვისტიკა**

თუ პრაგმატიკული პრაქტიკული კვლევის პირველი ეტაპი მიზნად ისახავდა სხვადასხვა ენობრივი სისტემის ორალობაში აქტუალიზებული ბიბლიოზმების პრაგმატიკული მახასიათებლების დადგენას, ახლა ჩვენი მიზანია ენათაშორისი ურთიერთშეპირისპირების პოზიციებიდან, მათი კვლევა სოციო-ლინგვისტური თვალსაზრისით.

ენა უპირველესად, სოციალურ გარემოს უკავშირდება, რომელშიც იგი გამოიყენება და რომლის გარეშე მისი არსებობა შეუძლებელი იქნებოდა. ენის სოციალური ბუნების აღიარება თანამედროვე ენათმეცნიერების ერთ-ერთი მახასიათებელია. ამიტომ ბიბლიოზმების კვლევისას გვერდს ვერ აუკლიოთ ბიბლიოზმების კონკრეტულ სოციალურ-ენობრივ გარემოში ფუნქციონირების საკითხს.

სოციოლინგვისტიკა თავდაპირველად პრაგმატიკის სფეროში ვითარდებოდა. შემდეგ კი, კერძოდ, გასული საუკუნის მეორე ნახევრის ბოლო ათწლეულში იგი დამოუკიდებელ დისციპლინად ჩამოყალიბდა იმ მიმართებების საკვლევად, რომელიც ენასა და საზოგადოებას შორის არსებობს. სოციოლინგვისტიკის სფეროში ხდება იმის დადგენა, თუ როგორი მიმართებები არსებობს ენობრივ სისტემასა და სოციალურ სტრუქტურას შორის, ემყარება რა მისი ერთ-ერთი ფუძემდებლის ანტუან მეიეს დებულებას იმის შესახებ, რომ ენობრივი მოვლენის გაგება მხოლოდ მისი სოციალური ბუნების გათვალისწინებითაა შესაძლებელი (მეიე 1921). ნიშნის ენობრივ სისტემაში არსებობა მართალაც უკავშირდება იმ სოციუმის ექსტრალინგვისტურ ფაქტორებს, რომელშიც იგი არსებობს, იქნება ეს ფსიქოლოგიური, ფილოსოფიური, ეთნოლოგიური თუ სხვა. ის, რომ ბიბლიოზმი ქრისტიანულ ენებში არსებობს, ყველასთვის მეტ-ნაკლებად მოტივირებულია, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა სოციო-ლინგვისტურ გარემოში მისი დატვირთვა და ფორმა შეიძლება შეიცვალოს ენის მატარებელი საზოგადოების სპეციფიკის, მენტალიტურისა და სხვა გარეენობრივი ფაქტორების გათვალისწინებით. სწორედ ამით შეიძლება ავხსნათ საკვევი ენების ბიბლიოზმების კვლევის შედეგები. კერძოდ, ის ფაქტი, რომ რომელიმე ენაში ერთი წყაროდან წარმოშობილი გამოთქმა შეიძლება ირონიული შეფერილობით გამოიყენებოდეს, სხვა დანარჩენ ენებში კი-პირველადი დატვირთვით, სწორედ

იმ საზოგადოებას და სოციუმს უკავშირდება, რომელშიც იგი გამოიყენება. აქვე უნდა ვახსენოთ ბიბლიიზმის სპეციფიკა სოციოლინგვისტურ გარემოში: ცალკე აღებული ბიბლიიზმი მარკირებულია მხოლოდ გრამატიკულად და წმინდა ლინგვისტური პოზიციიდან, მაშინ როდესაც სოციო-ლინგვისტური პოზიციიდან იგი შეიძლება არ აღმოჩნდეს მარკირებული. ჩვენ ამ შემთხვევაში დაინტერესებული ვართ ეთნოლოგიური კონტექსტით, რომელიც გულისხმობს ენის როლის დახასიათებას. ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში საკმარისი არაა ვიცოდეთ ბიბლიიზმის შესაძლო სემანტიკური მნიშვნელობა, რაც მოტივაციითა და ჩვენი ფონური ცოდნით შეიძლება განვსაზღვროთ. ძალიან ხშირად, თუ კონტექსტში

აქტუალიზებული ბიბლიიზმის მნიშვნელობას საკუთრივ ამ ენის პრაგმატიკული პოზიციებიდან არ დავაკვირდებით, ვერ შევძლებთ მის სწორ დეკოდირებასა და ფუნქციონალური მხარის დადგენას. ჩვენი დაკვირვებით, ბიბლიიზმები სხვადასხვა სოციალურ-ენობრივ-ეთნოლოგიურ გარემოში სხვადასხვაგარად ვითარდებიან. ხშირია შემთხვევები, როდესაც უდიდესი სიბრძნის მატარებელი გამოთქმის მნიშვნელობა ირონიით იტვირთება. სწორედ მსგავსი ფაქტორების გათვალისწინებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საკუთრივ კონკრეტული ენის პოზიციებიდან არჩეული პრაგმატიკული ორიენტაცია ბიბლიიზმის სწორედ გაგება/აღქმაში დაგვეხმარება. სოციო-კულტურულ-ეთნოლოგიურ ფაქტორს უკავშირდება ის, რასაც ჩვენ მ. ბერდის სტატიში ვკითხულობთ: «*All rules have exceptions, and the exception to the «Russians are great quoters and Americans are not» rule is Biblicalisms. This is the one area where English-speakers excel with Biblical quotes, references and paraphrases for every occasion*» (ბერდი, ონლაინ სტატია). მოყვანილი ციტატიდან შეგვიძლია განვაზოგადოთ ის, რომ ბიბლიიზმების ენაში დამკვიდრებისა და ფუნქციონირების მიზეზები განპირობებულია სხვადასხვა ექსტრალინგვისტური ფაქტორით. სტატიის ავტორის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ რუსულის ენობრივ სისტემაში არსებობს უამრავი ბიბლიური გამოთქმა, რუსისთვის ისინი არაა ისე შესისხლხორცებული, როგორც ინგლისური ენის მატარებლისათვის. მაგალითად ორივე ენაში არსებობს ბიბლიიზმები: «*The ten Commandments*»- «десять заповедей», «*thou shalt not steal*», «*не укради*» და ა.შ რომლებიც აბსოლუტურად ბუნებრივია ინგლისურისათვის, მაშინ როდესაც რუსულ გარემოში აღნიშნული ერთეულების გამოყენება გარკვეულ განათლების ქონას უკავშირდება. მაგალითისათვის ავტორს მოჟყავს

კონტექსტი—როდესაც მოსაუბრე მსმენელს სხვისი განსჯისგან თავშეკავებას ურჩევს, შეუძლია მიმართოს ბიბილიიზე «*judge not, that you be not judged*», რომელიც ძალიან ბუნებრივია ინგლისური ენობრივი გარემოსათვის, მაშინ როდესაც, რუსი მსგავს კონტექსტში ნაცვლად გამოთქმისა: «*Не судите, да не судимы будете*», უპირატესობას მიანიჭებს რუსული რეალობისთვის უფრო მორგებულ იდიომს, გრიბოედოვის ცნობილ ფრაზას «а суд кто?» იგივე შეიძლება ითქვას ინგლისელისთვის აბსოლიტურად მოტივირებულ და ხშირად ხმარებად გამოთქმაზე: «*the writing on the wall*», რომლის რუსული შესატყვისი: «*письмена на стене*» რუსულენოვანისთვის არაპროდუქტული შეიძლება აღმოჩნდეს. სწორედ ამით აისხება ის ფაქტი, რომ უამრავმა ბიბლიურმა სახელმა რომელიმე კონკრეტულ ენაში შეიძლება კონტექსტში ხატის ისეთი სიმაფრე და დატვირთვა ვერ შეიძინოს, როგორც სხვა ენაში რაც, ჩვენი აზრით, უპირველესად, უკავშირდება ბიბლიური ერების ენებში ბიბლიური მეტაფორის აღქმის მექანიზმის გახსნასა და დეკოდირებას ე.ო. ბიბლიური კოგნიტური მეტაფორის სხვადასხვა დოზით აღქმას, ცნობიერ დონეზე მეტაფორის სხვადასხვა დოზით წარმატებით განხორციელებას, რაც გამოხატულებას, რა თქმა უნდა, ვერბალურ დონეზეც პოულობს. იობი, ბიბლიური პერსონაჟია, რომელმაც, თავისი მოთმინების საზღაურად უფლისგან ჯილდო მიიღო და დაიბრუნა ყველაფერი, რაც ცხოვრებაში დაკარგა და რის გამოც, თითქოს სასოწარკვეთილებაში უნდა ჩავარდნილიყო. გამოთქმა «*the patience of Job*» (*терпение Иова*) და «*long-suffering Job*» (многострадальный Иов) ინგლისელისათვის ძალიან რეალურად აღქმადი მეტაფორაა, მაშინ როდესაც რუსისთვის უფრო ბუნებრივია «*ангелское терпение*», ისევე როგორც ინგლისელისთვის ხმარებული «*good Samaritan*»-ის ეკვივალენტი «*добрый самаритянин*», რუსისათვის ნაკლებად ხმარებადია (ბერდი, ონლაინ სტატია)

საკუთრივ ენობრივი სპეციფიკის პოზიციებიდან შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი საკვლევი ენების ბიბლიიზმები, როგორც სხვადასხვა სოციალურ-ნობრივ სივრცეში ფუნქციონირებადი ერთეულები, სხვადასხვა სპეციფიკით ხასიათდება. მაგალითად, ინგლისურ და იტალიურ ბიბლიიზმებში განსაკუთრებით ჭარბობს უარყოფითი კონოტაცია (იხ. თავი 4.5.). გარდა ამისა, ინგლისურ ბიბლიიზმებში ფიქსირდება ერთი საინტერესო მოვლენაც-მათ უმრავლესობას აქვს დიდაქტიკური ტონი, რაც სხვა ენებთან შედარებით, აღსანიშნავი და

შესამჩნევია. ქართულ და რუსულ ენობრივ რეალობაში, ჩვენი დაკვირვებით, არ გამოიყენება დიდი რაოდენობის ბიბლიიზმები, რომელიც იტალიურისა და ინგლისურისათვის ძალიან რეალურია. ამის მიზეზი, ჩვენი აზრით, ათწლეულების განმავლობაში დამყარებული კომუნისტური ყოფაა, როდესაც იდევნებოდა ყველაფერი ქრისტიანული და ეკლესიური. ამან ასახვა ენაშიც ჰპოვა, საიდანაც თანდათანობით ამოვარდა უამრავი ისეთი ბიბლიიზმი, რომელიც აშკარად ახდენდა ბიბლიის და ბიბლიური მოტივების უტრირებას: «იონას აკირო», «ლაზარეგებრ დასველება», «ქრისტეს აღამიანი» და სხვა. მაშინ როდესაც, ინგლისურსა და იტალიურში ბიბლიიზმები ძალიან ხმარებული და დიდი რაოდენობით შესულია ენაში, რაც აბსოლიტურად ბუნებრივია. საბჭოთა პერიოდში და შემდეგაც თვით ბიბლიის ტექსტს ქართველი მოსახლეობა, ისევე როგორც რუსი, ეკლესიური ადამიანების გარდა, ნაკლებად იცნობდა, რაც, ხელს უშლიდა ბიბლიიზმების სხვადასხვა სახითა და სხვადასხვა დოზით ენაში დამკვიდრებას. მაშინ როდესაც ინგლისურში ბიბლიური ტექსტის შესწავლას ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება სკოლებსა და საგანმანათლებლო არაეკლესიურ დაწესებულებებშიც, რაც თავის მხრივ, აღამაღლებს ენაში ბიბლიიზმის დამკვიდრების, ხმარების სიხშირესა და მეორადი ფრაზეოლოგიზაციის ხარისხს. იგივე შეიძლება ითქვას იტალიურზეც, რადგან კათოლიკური ყოფა უპირველესად დაკავშირებულია იტალიურ ენასა და რეალობასთან, რის გამოც ბიბლიური ტექსტი და უამრავი ბიბლიიზმი ძალიან ბუნებრივი გამხდარა ენისათვის (თუმცა აღნიშნული ტენდენციით, ხდება საწყისი ბიბლიიზმებისთვის განსხვავებული კონტაციის მინიჭება).

ამგვარად, ყველა ენაში სპეციფიკური გამოყენებისა და დატვირთვის ბიბლიიზმების ფუნქციონირება დიდათაა დამოკიდებული იმ კონკრეტულ სოციალურ-ენობრივ გარემოზე, რომელშიც ისინი მკვიდრდებიან და არსებობოდენ.

#### 5.4 ბიბლიიზმი და ხმარების რეგისტრი

ბიბლიიზმები, მრავალი ენის ხატოვანი ფონდის ძირითადი საყრდენი ერთეულები, გვხვდება არა მხოლოდ ხმარების ერთ რომელიმე კონკრეტულ სფეროში, არამედ რამდენიმეში. უფრო ზოგადად რომ ვთქვათ, ბიბლიიზმი

გამოიყენება ორგორც ოფიციალურ, ასევე არაოფიციალურ მეტყველებაში, იგი გვხდება ყველგან—მხატვრულ ლიტერატურაში, მედიაში, ყოველდღიურ არაოფიციალურ საუბარში და სხვა. თუმცა, როცა ჩვენ ვამბობთ, რომ ბიბლიიზმი თითქმის ყველა ხმარების სფეროში გამოიყენება, არ ვგულისხმობთ იგივე ე.წ. ქუჩურ მეტყველებას ან ჟარგონულ სფეროებს, რომლებსაც, ბიბლიიზმები, თავისი ფუნქციური არსიდან გამომდინარე, ვერ ერგება.

ბიბლიიზმები «სიბრძნის წიგნიდან» წარმოქმნილი ერთეულებია და ამიტომ მათი გამოყენება განათლებული, (უფრო მეტად, რელიგიურად განათლებული) ხალხის მიერ ხდება. არსებობს ბიბლიიზმები, რომლებიც არსითვე მიეკუთვნებიან კონკრეტულ გამოყენების სფეროს, ფორმალურს ან პირიქით—არაფორმალურს, მაგრამ ბიბლიიზმების უმრავლესობაში ეს საზღვარი მოშლილია, რადგან ბიბლიიზმი გამოყენებით შეიძლება მონაცემლებდეს—შეგვხვდეს ამაღლებულ, დახვეწილ მეტყველებაში, მეორე მხრივ კი, ყოველდღიურ საუბარში. ბიბლიიზმები ამ ნიშნითაც შეიძლება დავაჯგუფოდ: 1. ოფიციალური ხმარების ერთეულები: *«the law of the medes and persians»*, *«rule with a heavy hand»*, *«molti poi che sono primi saranno ultimi»*, *«vanita` delle vanita` e tutto vanita`»*, *«padre perdona ed essi perche` non sanno quel che fanno»*, *«ძლიერი ამ ქვეყნისა»*, *«ამინ და კირიელებოსნი»*, *«закон мидийский и персидский»* და მრავალი სხვა. ამ ერთეულების შემთხვევაში არსებობს უფრო მეტი შესაძლებლობა იმისა, რომ ისინი ოფიციალურ მეტყველებაში შეგვხვდეს, იქნება ეს პროზა, პრესა თუ ქადაგება. არსებობს ისეთი ბიბლიიზმებიც, რომლებიც არსით არაოფიციალური გამოყენებისაა ანუ ისინი უფრო ყოველდღიურ მეტყველებაში და საუბრებში შეიძლება შეგვხვდეს. თუმცა ამავე დროს, ასეთი ბიბლიიზმების ნაწილის ოფიციალურ მეტყველებაში აქტუალიზებაც არაა გამორიცხული. 2. არაოფიციალური რეგისტრის ბიბლიიზმებია: *«აღდგომის გათენება»*, *«ზღვაში წვეთი»*, *«აბრაამის ბატყანი»*, *«to fall by the wayside»*, *«the bird of peace»* და სხვა.

გარდა იმისა, რომ ბიბლიიზმები შეიძლება იყოს დადებითი, ნეიტრალური და უარყოფითი კონტაციის, ოფიციალური და არა ოფიციალური გამოყენების, ისინი შეიძლება ხასითდებოდეს სხვადასხვა სტილით ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბიბლიიზმები შეიძლება მივაკუთვნოთ სხვადასხვა სტილისტურ რეგისტრს. მასალის შეგროვების დროს ჩვენი ყურადღება მიიპყრო

ლექსიკონის ავტორთა შენიშვნებმა ამა თუ იმ ბიბლიიზმის სტილისტურ შეფერილობის შესახებ (პოვერი 1983: 6-7, გალენდი 1979: 7...). მათზე და ბიბლიიზმების გამოყენების კონკრეტულ მაგალითებზე ზედაცრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ არსებობს ბიბლიიზმები ირონიული, სახუმარო, იუმორისტული დამაკნინებელ-შეურაცმულელი ელფერით.\* თქმული აბსტრაქტურ დეკლარაციად რომ არ დაგვრჩეს, მოვიყვანოთ ბიბლიიზმების კონკრეტული მაგალითები: ბიბლიიზმი «ნოეს კიდობანი» უკავშირდება ყველასათვის ცნობილ ბიბლიური ნოეს მიერ კიდობანის აგების ამბავს, რომელშიც ნოემ ოჯახთან ერთად მსხვილფეხა და წვრილფეხა ცხოველებიც მოათვასა. გამოთქმას «ნოეს კიდობანს» ხუმრობითი ელფერი გასდევს და ნიშნავს ძალიან დიდი ტევადობის საგანს «თქვენი ოჯახი სწორედ რომ ნოეს კიდობანია, ქვეწის ხალხს დაიტევს» (სახოკიძ 1979: 467).

ყველასათვის ცნობილია ბიბლიიზმის «მამა აბრამის ბატკანის», (რომელიც უწყინარ ადამიანს ნიშნავს) ხმარების სფეროც ერთგვარად განსაზღვრულია. მას არ გამოვიყენებოთ ფორმით: «შენ მამა აბრამის ბატკანი ხარ» და ოქმულით არ გამოვთქვამთ აზრს, რომ თანამოსაუბრე უცოდველი და აგრეთვე უწყინარია. ეს ხდება იმიტომ, რომ ბიბლიიზმს გააჩნია იუმორისტული შეფერილობა—«დიდი მამა აბრამის ბატკანი გამომიხვედი», ვიტყვით მაშინ როცა ჩვენი მოსაუბრე არა უწყინარი და უდანაშაულოა, არამედ პირიქით. აქაც საჭირო ხდება ენობრივი საწყისიდან სწორი პრაგმატიკული ორიენტაცია, რომელიც მეტაფორის სწორად აღქმის საშუალებას მოგვცემს. სწორედ კონკრეტული ენის, ამ შემთხვევაში ქართული ენის პოზიციებიდან პრაგმატიკული ორიენტაციით შესაძლოა დადგინდეს ის საძრახისი ელფერი, რომელიც ბიბლიიზმს «ლაზარებებრ დახველება» გასდევს. ლაზარე, ზოგადად, ქართულ რეალობაში ასოცირებული იყო ჩაგრულ ადამიანთან. (სახოკია 1979: 77). ასევე საძრახისი ელფერის მქონეა რუსული ბიბლიიზმი «აანლუდია იუცა», რაც უწესო ქალს ნიშნავს. ირონიული შეფერილობა გასდევს ინგლისურ ბიბლიიზმს «*the blind leading the blind*», ვარიაციის შედეგად «*the blind leader of the blind*»\*, რომელიც უწყინარ ადამიანს ნიშნავს) ხმარების სფეროც ერთგვარად განსაზღვრულია.

\* ოფერა ისიც უნდა ავღნოსნოთ, რომ მეტყველი გამოივისა სტილისტური რევისტრის მიხედვით შეუძლებელია, რადგან ერთეულმა ფონქციონირების დროის შეიძლება შეიძინოს კონკრეტული სტილისტური შემცირებისა

\* უფრო სწრად ეს ბიბლიოთმი შედგავა მესამედი ფრაზეოლოგიზაციისა, რადგან საწყისი ფორმა იყო ანდაზა: *when the blind lead the blind both shall fall into the ditch*, რომელიც მეორადი ფრაზეოლოგიზაციის შედეგად დამკვირდა ფუ-ად: the blind leading the blind შემდეგ კი რომელიც არის მეტყველეობის მიმღები.

რომელიც ახასითებს იმ მმართველებს, რომლებიც ისევე უგუნურები არიან, როგორც მათ მიერ მართული ხალხი. «*to get Hilda out of the house was a step forward, even in the Bat chair, even if they could see nothing beyond their noses the blind leading the blind*» (Hartley 1995: 101).

რაც შეეხება იტალიურ ბიბლიიზმებს, არ შეიძლება არ ავღნიშნოთ, რომ იტალიური ბიბლიიზმების დიდ ნაწილს გააჩნია იუმორისტული ან ირონიული შეფერილობა, რაც ალბათ იტალიური ბიბლიიზმების სპეციფიკურობაა და განპირობებულია ხალხის აზროვნებისა და ფსიქოლოგიის ფაქტორებით. მაგალითად, სახუმარო ელფერი აქვს იტალიურ ბიბლიიზმს: *«essere un uomo con poca fede»*, რომელიც მოციქულ პეტრეს უკავშირდება და ნიშნავს მცირედმორწმუნეს. პეტრემ, ბიბლიის მიხედვით სამჯერ უარყო უფალი. ჩვენი აზრით, ეს ერთეული სემანტიკურ ასპექტში წარმოადგენს ურწმუნო თომას ეპივალენტს. ასევე სახუმარო ელფერის მქონეა ერთეული *«essere parente di un parte di Adamo»* (პირდაპირი თარგმანით იყო ადამის მხრიდან ნათესავი), რომელსაც შეგვიძლია ქართული არა ბიბლიური წარმოშობის ეპივალენტიც კი მოვუძენოთ, ეს იქნება «ყვავი ჩხიძვის მამიდა», *«fare il santificatur»*, *«siamo tutti di Adamo»* და სხვა.

როგორც ლ. ხაჭაპურიძის ნაშრომში ვკითხულობთ, რომელიც ქართველი მრევლის ენაში ბიბლიიზმების შესწავლას ეძღვნება, ბიბლიური ფრაზეოლოგიური ერთეულების მნიშვნელობის ცვლა სწორედ ირონიულმა დატვირთვამ განაპირობა (ხაჭაპურიძე 2004: 30), რასაც ბიბლიიზმებზე ჩვენი დაკვირვების შემდეგ, აბსოლიტურად ვეთანხმებით.

თუ უკვე ილუსტრირებულ იტალიურ ბიბლიიზმს *«essere sale della terra»* მოვიყვანო მაგალითად, ვნახავთ, რომ ერთეულსაც ირონიული დატვირთვა გასდევს, მაშინ როდესაც, ირონია არ ახასიათებს მის ენათაშორის ეპივალენტებს. ჩვენი მოსაზრებით, ეს ერთეული იტალიურში არსებობდა და ნიშნავდა *«ლმრთის რჩეულს»*, როგორც დანარჩენ საკვლევ ენებში. დროთა განმავლობაში იტალიელების სოციო-კულტურულ გარემოში ბიბლიიზმმა მოიპოვა ირონიული დატვირთვა, მნიშვნელობა გადააზრდა და დღესდღეობით, ბიბლიიზმიც ახასიათებს ადამიანს, რომელიც ფიქრობს, რომ მალიან მნიშვნელოვანია, სინამდვილეში კი შეიძლება ეს სიმართლეს არ შეესაბამებოდეს. თუმცა ეს შეძენილი ირონია შესაძლოა სემანტიკური სტრუქტურის ნაწილადაც განვიხილოთ, პრაგმატიკული პარამეტრი მოცემულ

შემთხვევაში იქნება ის, რომ ენათა შეპირისპირების პოზიციებიდან უნდა გავითვალისწინოთ სოციო-კულტურული გარემო, რომელშიც ერთეული გამოიყენება.

გამოთქმისათვის ირონიული შეფერილობის მინიჭების შემთხვევები სხვადასხვა დოზით სხვა საკვლევ ენებშიც ფიქსირდება. მაგალითად, რუსულში გამოთქმა: «агнеп боожий» ახასიათებს ადამიანს, რომელიც, ხშირად ისევ მეტაფორულად რომ დავახასიათოთ, ამა სოფლის არაა, ისევე როგორც სახუმარო ტონალობისაა ქართული ბიბლიიზმები «მშვიდობის მტრული», «ადამ-კუკუს დროიდან» და სხვა.

## 5.5 ხმარების სიხშირის ხარისხი ბიბლიიზმებში

პრაგმატიკული საზღვრების ფარგლებში ბიბლიიზმთა კვლევის ერთ-ერთი მიმართულებაა მათი ხმარების სიხშირის დადგენა რაც, რა თქმა უნდა, პირდაპირპროპორციულად უკავშირდება ბიბლიიზმის, როგორც ენობრივი ერთეულის მომხმარებელს. ენა ცვალებადი, სასრული, დია სისტემაა, რომელიც დროის მსვლელობასთან ერთად ცვლილებებს განიცდის (გამყრელიძე 2003: 21). ეს ცვლილებები კი განპირობებულია სხვადასხვა ენობრივი თუ გარეენობრივი ფაქტორებით: დროთა განმავლობაში ენაში შედის ახალი სიტყვები, გამოთქმები, მაშინ როდესაც გამოთქმების ნაწილი ცვდება და მათი გამოყენება იშვიათი ხდება. თუ შევადარებთ დღევანდელ სასაუბრო ქართულსა თუ ინგლისურს და შესაბამისად, ოცდაათი წლის წინათ არსებულ სასაუბრო ენებს, მათ შორის აშკარა განსხვავებას დავინახავთ. ენა, როგორც თავისთავადი ფენომენი, ასეთ შემთხვევებში არ იცვლება იმგვარად, რომ იგი დაშორდეს თავის პირველ ვარიანტს. უპირველესად ის ელემენტები, რომლებიც, ჩვენი აზრით, ევოლუციურად, მაგრამ სწრაფად და მაღალი სიხშირით იცვლება, ლექსიკის დონის ერთეულებია, ე.ი. წლების მსვლელობასთან ერთად იცვლება ენის ლექსიკა: ის, რაც რამდენიმე ათეული წლის წინ ენის ლექსიკური ფონდისთვის ბუნებრივი ელემენტი იყო, შეიძლება დღესდღეობით თანამედროვე ადამიანისთვის გაუგებარი და არამოტივირებულიც აღმოჩნდეს, ან დღეს ხმარებული ენის მომხმარებლისთვის ძალიან ბუნებრივი და ხმარებული ნებისმიერი ლექსიკური ერთეული, რამდენიმე ათეული წლის

შემდეგ შეიძლება მომავალი თაობისთვის მოძველებული და არამოტივირებული აღმოჩნდეს.

როდესაც ვამბობთ, რომ ჩვენ მიზანს შეადგენს ბიბლიიზმთა ხმარების სიხშირის ხარისხის განსაზღვრა, ვგულისხმობთ იმის დადგენას, თუ რაოდენ ხმარებულია ესა თუ ის ბიბლიიზმი დღესდღეობით. ამ მიზნით ჩვენ გამოგვადგება მხატვრული ლიტერატურა, თუმცა მხოლოდ ნაწილობრივ, რადგან წიგნის დაწერის დრო შეიძლება წლებით შორდებოდეს აწმყოს. ბიბლიიზმების სიხშირის ხარისხის დადგენის მეორე, უფრო საიმედო გზა, ინფორმატებს შორის წარმოებული ანალიზია.

სიხშირის ხარისხი შეიძლება იყოს მაღალი, როცა ბიბლიიზმი ძალიან ხმარებულია, საშუალო-როცა ბიბლიიზმი არც ისე ხშირად გამოიყენება ან გამოიყენება მხოლოდ სპეციფიკურ, განსაზღვრულ სფეროში და დაბალი-როდესაც ბიბლიიზმი იშვიათად გამოიყენება მომხმარებლის მცირე ნაწილის მიერ. თვით ხმარების სიხშირის ხარისხის განსაზღვრასაც შეიძლება კრიტიკულად მივუდგეთ, რადგან როცა ვამბობთ, რომ ბიბლიიზმს ახასიათებს დაბალი სიხშირის ხარისხი, ვგულისხმობთ, რომ ამ ერთეულს ენის მატარებელი ხშირად არ იყენებს, მაშინ როცა კონკრეტულ სფეროში შეიძლება იგივე ერთეულს ხმარების მაღალითს თუ მოვიშველიებთ, ქართულ ენაში არსებულ უამრავ ბიბლიიზმს შეიძლება არ იცნობდეს ენის ბევრი მომხმარებელი ან იცნობდეს, მაგრამ არ იყენებდეს, მაშინ როდესაც საპატრიარქოს რადიო ივერიის გადაცემებში, ძალიან ხშირად შევხვდებით ენაში არსებულ დაბალი სიხშირის ხარისხის მქონე ბიბლიიზმებს.

ბიბლიიზმები, ჩვენი დაკვირვებით, ძალიან მაღალი სიხშირის ხარისხით გამოირჩევა საეკლესიო ენაში. ის ბიბლიიზმი, რომელიც საერთო ენობრივ სისტემაში არ გამოიყენება ან დაბალი ხმარების სიხშირის ხარისხით ხასიათდება, შეიძლება ხშირად იხმარებოდეს სხვადასხვა ტიპის საეკლესიო ტექსტები, იქნება ეს ქადაგება თუ სხვა სახის დისკურსი. ნაშრომში სიხშირის ხარისხი განსაზღვრულია არა კონკრეტული სფეროს ინფორმატების გამოკითხვით, არამედ სხვადასხვა სფეროს და ეროვნების მიზნობრივ ჯგუფებში წარმოებული ანალიზის მიღებული შედეგებით.

ენების მიხედვით თუ მივყვებით, აღმოჩნდება, რომ მაღალი სიხშირის ხარისხით ხასიათდება ისეთი ბიბლიიზმები როგორიცაა: «ხამოთხის კარი»,

«მშვიდობის მტრული», «ხელების დაბანა», «რასაცა დახმუქებ, იმას მოიძი», «დღეები დათვლილია», «ერთი ბეჭვი თმისა არ მოგაკლდება», «პური არსობისა», «მამა აბრამის ბატყანი», «ხამოთხე იყო», «მფარველი ანგელოზი», «უწმუნო თომა», «ქრისტებ ტირილი» და სხვ. ანუ ამ გამოქმების შემთხვევაში არსებობს ძალიან მაღალი ალბათობა, რომ ისინი შეგვხდნენ ხშირად როგორც ურველდღიურ საუბარში, ასევე მას მედიაში თუ ლიტერატურაში. ინგლისურენოვნებისთვის, ასეთი მაღალი სიხშირით ხმარებული გამოჰქმებია: «*all things are possible with the God*», «*it is better to give than to receive*», «*faith will move mountains*», «*you cannot serve two masters*», «*there is a time for everything*», «*doubting Thomas*», «*to reap what one has sown*», «*cup is full*», «*money is the root of all evil*», იტალიურისთვის კი: «*anni di Matusalemme*», «*Da un parte di Adamo*», «*construire sulla sabia*», «*essere il sale della terra*», «*non esserci santo che tenga*», «*lavarsene le mani*», «*aspettare il messia*», «*chi ha orrechi per udire, oda*», «*dare le perle ai porchi*», «*se Dio vuole*», «*gli ultimi saranno i primi*», «*essere un uomo di poca fede*, და სხვა. ხოლო რუსულისათვის: «не выносить сор из избы», «зарывать свой дар в землю», «блудный сын», «запретный плод», «посеять ветер и пожать бурю», «манна небесная», «кесаруко кесарю», «метать бисер перед свиньями» და სხვა. ანუ ეს ერთეულები ნაცხობი და გამოყენებადია საშუალო განათლების მქონე ინდივიდების მიერ. ამას ადასტურებს ა. იდიომის ლექსიკონები, რომლებშიც გამოთქმები აღნიშნულია, როგორც ხშირად გამოყენებადი და ბ. მიზნობრივ ჯგუფებში ჩვენს მიერ ჩატარებული გამოკითხვების შედეგები.

საკვლევი ენების ბიბლიიზმების ნაწილი შეიძლება სიხშირის ხარისხით დაემთხვეს ერთმანეთს. თუმცა დამთხვევას ოთხივე საკვლევ ენაში იშვიათად აქვს ადგილი, რადგან რაც უფრო მეტია შესადარი საკვლევი ენა, მით უფრო ნაკლებია დამთხვევის ალბათობა, რადგან ოთხ ენიდან ერთეული პროდუქტიული შეიძლება იყოს სამსა ან ორში და ერთსა ან ორში კი ხასიათდებოდეს დაბალი სიხშირის ხარისხით. ამის მაგალითად მოვიყვანთ უკვე ნახსენებ ბიბლიიზმს «*sepolchro imbiancato*», რომლის ინგლისური შესატყვისი იქნება «*whited sepulchre*», «*гроб поваленный*», აქედან ინგლისური არაა ხშირად გამოყენებადი, რუსული ერთეული ძალიან იშვიათად გამოიყენება, ხოლო იტალიურ ბიბლიიზმს ახასიათებს ძალიან მაღალი ხმარების სიხშირის ხარისხი და თუ რუსულში და ინგლისურში არსებობს

იმის ალბათობა, რომ ენის მატარებელი არ იცნობდეს მას, იტალიურში იგი ყველასათვის მოტივირებული ერთეულია.

ბიბლიიზმების გარკვეულ ნაწილს ახასიათებს ხმარების საშუალო სიხშირის ხარისხი—ისინი არ გამოიყენება ძალიან ხშირად. ასეთი ბიბლიიზმები უფრო ფართო წრის მიერ შეიძლება არ იყოს ხმარებადი და მათი გამოყენების სფეროც შესაძლოა, განსაზღვრული იყოს. ქართული ბიბლიიზმი «სოდომური ცოდვა» შეიძლება ბევრისთვის იყოს ცნობილი, მაგრამ მათ მიერ არც ისე ხშირად გამოყენებადი. იგივე შეიძლება ითქვას ერთეულებზე: «ბაბილონის გოდოლი», «იობის მოთმინება», «დვთის ხატება», «უძღები შვილი» და სხვა. ისინი უფრო ხშირად სპეციფიკური გამოყენებისანი არიან ანუ მათი ხმარების სფერო არაა ნებისმიერი. ინგლისური ერთეულების მაგალითად შეიძლება დავასახელოთ *«a mess of pottage»*, *«to make bricks without strong»*, *«a promised land»*, *«a widow's mite»* და სხვა. იტალიური: *«essere una canna al vento»*, *«fare il santificetur»*, *«vendere qualcosa per un piatto di lenticchie»*, რუსული: *«Посеять ветер и пожать бурю»*, *«мудрый как Соломон»*, *«отец лжи»*, *«излить свой гнев на кого-то»* და ასე შემდეგ.

ბიბლიიზმების ნაწილს კი ახასიათებს დაბალი ხმარების სიხშირის ხარისხი ანუ ისინი ამ მხრივ არაპროდუქტიულები არიან. ერთეული შეიძლება დროის გარკვეულ ეტაპზე მაღალი სიხშირის ხარისხით ხასიათდებოდეს, მაგრამ დროთა განმავლობაში შეიძლება მათი სიხშირის ხარისხი დაუცეს და გახდეს ე.წ. გაცვეთილი. ასეთი ერთეულები შესაძლოა, ძალიან იშვიათად გამოიყენებოდეს ან არ გამოიყენებოდეს, მათ მხოლოდ ძველ ნაწერებში თუ შევხვდებით. მაგალითად, თ. სახოკიას ხატოვან თქმათა ლექსიკონში შეტანილია ბიბლიიზმები *«ნოეს ვაზის დვინო»*, *«ამინ და კირილებისონ»*, *«ნახუფრალის ვადაყრა»* და სხვა, რომელიც დღეს პრაქტიკულად არ გამოიყენება ანუ ისინი გაცვეთილია და ხმარების დაბალი სიხშირე ახასიათებთ. ამ გამოთქმებს მხოლოდ წინა პერიოდის ლიტერატურაში თუ შევხვდებით: *«რა ნუხუა გამოვა, ხწორედ ნოეს ვაზისა იქნება»*, ან *«მანამ საქმე რამ გამოგვიჩნდება ცუდად ჯდომას ცუდად შრომა სჯობს, ამინ და კირილებისონ»*\*. იგივე ბედი განიცადეს ინგლისურმა ბიბლიიზმებმა *«to go the way of all flesh»*, *«sow the wind and reap the whirlwind»*, *«saw taros amang someone's wheat»*, *«to*

\* აღნიშნული მაგალითები მოყვანილი აქებ თ. სახოკიას სხვადასხვა ლიტერატურული წყაროდან.

*gird up one's loin's».* ეს ერთეულები თანამედროვე იდიომების ლექსიკონებში შეტანილია როგორც «old fashioned» ან «obsolete» ანუ გაცვეთილი. ასევეა იტალიური ბიბლიიზმები: *fare il calice*, *restare come la moglie di Lot*, *fare la parte di Marta e quella di Maria* და ა.შ. რუსული—«Давит и Ионофан», «держать свет по спудом» და სხვა.

ბიბლიიზმების სიხშირის ხმარების დასადგენად ამოვარჩიეთ 30 ერთეული ბიბლიიზმი, რომლის საფუძველზეც შევადგინეთ კითხვარები ინფორმატებში ჩავატარეთ ანალიზი. ამ მიზნით, შეირჩა ოთხი მიზნობრივი ჯგუფი, კრძალ, პირველ ჯგუფი—12 აშშ-ს ალაბამას უნივერსიტეტის ამერიკელი სტუდენტი, მეორე ჯგუფი—9 იტალიელი, მესამე ჯგუფი—15 ქართველი და მეოთხე ჯგუფი—8 რუსულენოვანი ინფორმატი, რომელიც აერთიანებდა სხვადასხვა ასაკისა და განთლების მქონე ხალხს. კითხვარებში\* ინფორმატებს უნდა მოეხდინათ ბიბლიიზმების კატეგორიზაცია როგორც ხშირად, საშუალოდ და იშვიათად გამოყენებადი ერთეულებისა.

მიზნობრივ ჯგუფებში სხვადასხვა განათლების და სფეროს ინფორმატების გაერთიანება მოხდა სპეციალურად, რათა მიღებული შედეგით მიგველო რეალობის ამსახველი სურათი.

პირველი ჯგუფის ინფორმატების მიხედვით განხილული ბიბლიიზმებიდან 60-67% ხმარების მაღალი სიხშირის ხარისხით ხასიათდება, 17-27% საშუალო და ხოლო 16-20% დაბალი. დანარჩენ ჯგუფებში ეს მაჩვენებლების შემდეგნაირად ნაწილდება: მეორე ჯგუფში 65-75% მაღალი, 19-25% საშუალო, ხოლო 10-19% დაბალი, მესამე მიზნობრივ ჯგუფში: 55-59%—მაღალი, 34-41% საშუალო და 12-29% დაბალი, ხოლო მეოთხე ჯგუფში 43-47% მაღალი, 47-53% საშუალო და 33-39% დაბალი.

მიღებული შედეგებიდან, შეგვიძლია დავასკვნად, რომ ზოგადად, ბიბლიიზმი წარმოადგენს ხშირად გამოყენებად ერთეულს, თუმცა ენებში მათი ხმარების სიხშირის ხარისხის განსხვავება, როგორც ზემოთ აღინიშნა, სხვადასხვა ექსტრალინგვისტური ფაქტორის შედეგია. მიღებული სურათი კიდევ ერთხელ გვაძლევს სურათს იმისას, რომ ზოგადად, ბიბლიიზმები ყველა ქრისტიანი ერის ენისთვის კარგად ცნობილი და გამოყენებადი გამოთქმებია.

\* კითხვარის ნიმუშად იხ. დანართი VI;

## დასპუნები

1. ბიბლიიზმი წარმოადგენს ქრისტიანი ერების კუთვნილებას—ლინგვისტურ ინტერდისციპლინალურ ერთეულს, რომლის იდენტიფიცირება ხდება სემანტიკური, ეტიმოლოგიური და სტრუქტურული კრიტერიუმების საფუძველზე. შესაბამისად, ბიბლიიზმის დისტინქციური მახასიათებლებია იდიომატურობა, ბიბლიური ეტიმოლოგია და მინიმუმ სიტყვისა და მაქსიმუმ წინადადების სტრუქტურა;
2. ბიბლიიზმი, როგორც ლინგვისტური ინტერდისციპლინალური ერთეული მოიცავს ლინგვისტიკის რამოდენიმე საკვლევ სფეროს, კერძოდ, ლექსიკოლოგიას, სტილისტიკას, ფრაზეოლოგიას, პარემიოლოგიასა და სოციოლინგვისტიკას; ასევე იგი მოიცავს ენის იერარქიული დონეების მორფოლოგიურ, ლექსიკურ და სემანტიკურ დონეებს და შესაბამისად, გვევლინება როგორც ა. სიტყვა-ბიბლიიზმი, ე.ი როგორც ლექსიკური ერთეული, ბ.ფრაზეოლოგიური ერთეული-ბიბლიიზმი, ე.ი როგორც ფრაზოლოგიური ერთეული და გ. ანდაზა/აფორიზმი-ბიბლიიზმი, ე.ი. როგორც პარემიოლოგიური ერთეული. ბიბლიიზმების პლატფორმის კონცენტრაციურ ჰარმონიულ კონსტრუქციას და პარადიგმატულ პლანში;
3. ბიბლიიზმების ტიპოლოგიურ იერარქიაში პირველი ადგილი უკავია სიტყვა-ბიბლიიზმს, რომელიც გვევლინება როგორც ლექსიკური დონის ერთეული-ბიბლიიზმი ეტიმოლოგიის გადააზრებული ლექსები (ან ბიბლიიზმი ეტიმოლოგიის სახეცვლილი ლექსები); მისი დისტინქციული მახასიათებლებია იდიომატურობა, ბიბლიური ეტიმოლოგია და ერთწევრა სტრუქტურა; სიტყვა-ბიბლიიზმები ემიჯნება ბიბლიური ანთროპოლოგიის სიტყვებს, რომლებსაც მოქმედებათ სიტყვა-ბიბლიიზმების მხოლოდ ორი დისტინქციური მახასიათებელი—ერთწევრა სტრუქტურა და ბიბლიური ეტიმოლოგია. მესამე, ტიპოლოგიური მახასიათებელი კი, კერძოდ, გადააზრებული მნიშვნელობა არ ახასიათებთ. სიტყვა-ბიბლიიზმის შემთხვევაში, ჩვეულებრივი ბიბლიური სიტყვისგან განსხვავებით, ერთ ენობრივ ნიშანს შეესაბამება ორი აღსანიშნი, რომელიც ერთმანეთან ძირითადად მსგავსების კრიტერიუმითაა დაკავშირებული. სიტყვა-ბიბლიიზმი მნიშვნელობის ორპლანოვნებით ხასიათდება: პირველ

პლანში წარმოდგენილია ბიბლიური, რელიგიური მნიშვნელობით, მეორე პლანში კი—გადააზრებული მნიშვნელობით, რომელიც დომინირებს მის პირველად, რელიგიურ დატვირთვას; სიტყვა-ბიბლიიზმის, როგორც ლექსიკური დონის მინიმალური ერთეულის შესწავლა შესაძლოა ლექსიკოლოგიის პოზიციებიდან სტილისტიკის დახმარებით. სიტყვა-ბიბლიიზმები ასახელებს საგნებს, ხდომილებებსა და პერსონაჟებს და მეტყველებაში გამოიყენება ოქმულისათვის მეტი ექსპრესიულობის მინიჭების მიზნით;

4. საკვლევი ენების ბიბლიიზმების 53% თანაარსებობს სულ მცირე ორ საკვლევ ენაში და განსხვავდება 47%. სიტყვა-ბიბლიიზმების ნაწილის თანაარსებობა საკვლევ ენებში აიხსება საერთო ქრისტიანული მსოფლადქმითა და ოეზაურულით, ხოლო განსხვავება—იმ ფაქტით, რომ სიტყვა-ბიბლიიზმი წარმოადგენს პულტურულ—ისტორიულ ოდენობას, რომელშიც ფიქსირდება ენის მატარებელ ხალხთან დაკავშირებული ექსტრალინგვისტური ფაქტორები;
5. სიტყვა-ბიბლიიზმი, რომელიც სემანტიკურ სტრუქტურაში ტროპის არსებობას გულისხმობს, შეიძლება პოლისემანტურობითაც ხასიათდებოდეს. ასევე მან შესაძლოა საფუძველი დაუდოს ოკაზიონალურ ან უზუალურ ბიბლიურ ფრაზეოლოგიურ გამოთქმას ან შესაძლოა, თავად გახდეს ფრაზეოლოგიური ერთეულის სტრუქტურული შეკვეცის შედეგი;
6. სიტყვა-ბიბლიიზმებმა ენის რეალობაში შეღწევის ან ენაში ფუნქციონირების დროს შესაძლოა გარკვეული მოდიფიკაცია განიცადოს, კერძოდ, მორფოლოგიური და ლექსიკურ—მორფოლოგიური. ეს ცვლილებები მოტივირებულია საკვლევი ენის სპეციფიკით და შეპირისპირებითი თვალსაზრისიდან და გვაძლევს მორგოლოგიურ და ლექსიკურ დონეზე საკვლევი ენების იზომორფიზმისა და ალომორფიზმის სურათს;
7. სიტყვა-ბიბლიიზმების ნაწილი ენების ფონდში შესულია არასწორი ინტეპრირების გზით და მათი გამოყენებაც, არასწორი დატვირთვით ხდება. ასევე სიტყვა-ბიბლიიზმები, რომელთა სემანტიკურ სტრუქტურაშიც ფუნქციონირებს ბიბლიური კოგნიტური მეტაფორა გარეენობრივ რეალობაში ხდება სახელდების წყარო;

8. სიტყვა-ბიბლიიზმი, ბიბლიიზმების იერარქიაში ყველაზე მცირე ზომის ერთეული უპირისპირდება ერთი მხრივ, ბიბლიიზმ-ფრაზეოლოგიურ ერთეულს და მეორე მხრივ, ბიბლიიზმ-ანდაზას. სიტყვა-ბიბლიიზმსა და ფრაზეოლოგიურ ერთეულ-ბიბლიიზმს შორის დაპირისპირება სტრუქტურულ ხაზე გადის, რადგან მიუხედავად ერთეულების ორი ტოპოლოგიური მახასიათებლის თანხვედრისა (ეტიმოლოგიური და იდიომატური), განსხვავება ხდება სტრუქტურული ნიშნით;
9. ბიბლიიზმი-ფრაზეოლოგიური ერთეულები ლექსიკური დონის კუთვნილი ერთეულებია, რომელთა კლასიფიცირებაც შესაძლოა მოხდეს სემანტიკური და სემანტიკურ-ეტიმოლოგიური კრიტერიუმის საფუძველზე პირველადი კლასიფიკაციის დროს ბიბლიური ფრაზეოლოგიური ერთეულები იყოფა ორ ჯგუფად, ესენია:
- ა. საკუთრივ ბიბლიიზმები, ე.ი. ერთეულები, რომლებსაც ბიბლიური პროტოტიპული ფრაზა მოეპოვება და
  - ბ. ბიბლიაზე დაფუძნებული ერთეულები ე.ი. ერთეულები, რომლებსაც ბიბლიური პროტოტიპული ფრაზა არ მოეპოვება; სემანტიკურ-ეტიმოლოგიური კრიტერიუმის საფუძველზე მეორადი კლასიფიკაციის დროს პირველადი კლასიფიკაციისას გამიჯნულ თითოეულ ჯგუფში ვანსხვავებოთ ორ ქვეჯგუფს. პირველი ჯგუფის ბიბლიიზმებში განირჩევა: ა. ბიბლიიზმები, რომლებიც ბიბლიიზმები გადააზრებული მნიშვნელობით გამოიყენება და ბ. ბიბლიიზმები, რომლებიც ბიბლიიაში პირდაპირი მნიშვნელობით გამოიყენება;
- მეორეში კი: ა. ბიბლიურ ხდომილებაზე/პერსონაჟზე დაფუძნებული ერთეულები და ბ. ბიბლიურ პერსონაჟზე დაფუძნებული ერთეულები, რომლებიც ენის სისტემაში დამკვიდრებულია კონკრეტული პერსონაჟის მეორესარისხოვანი სემიო. საკუთრივ ბიბლიიზმების პროცენტულად ყველაზე მაღალი რაოდენობა ინგლისურ ენაში დაფიქსირდა, სადაც შესწავლილი ბიბლიიზმების 68% საკუთრივ ბიბლიიზმია. ყველაზე დაბალი კი-ქართულში, სადაც შესწავლილი ბიბლიიზმების მხოლოდ 42% მართვის ამ ჯგუფს. მაღალი მაჩვენებლის მიხედვით მეორე ადგილზეა რუსული ენა, სადაც საკუთრივ ბიბლიიზმების რაოდენობა მთლიანის 61%-ია, რის შემდეგაც მოდის იტალიური ენა, სადაც აღნიშნულმა

მაჩვენებელმა 52% შეადგინა. შესაბამისად, ბიბლიაზე დაფუძვნებული ფრაზეოლოგიური ერთეულების სტატისტიკური მაჩვენებლები საკვლევი ენების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება: ქართული—58%, იტალიური—46%, რუსული—39% და ინგლისური—32%. მეორადი კლასიფიკაციის დროს გამოყოფილი ქვეჯგუფების სტატისტიკური მაჩვენებლების სურათი კი შემდეგნაირად გამოიყერება:

- ა. საკუთრივ ბიბლიიზმების ჯგუფში—პირველი ქვეჯგუფის ერთეულები:  
ინგლისურსა და რუსულში 43%, ქართულში 36%, იტალიურში 44%;  
შესაბამისად, მეორე ქვეჯგუფის ერთეულები: ქართულში 64%, იტალიურში 56%, ხოლო ინგლისურსა და რუსულში—57%;
- ბ. ბიბლიაზე დაფუძვნებულ ბიბლიიზმების ჯგუფში:
- ა. პირველი ქვეჯგუფის ერთეულები სტატისტიკური მონაცემებით ყველა საკვლევ ენაში აღემატება მეორე ქვეჯგუფის ბიბლიიზმებს. ინგლისურსა და რუსულში იგი შეადგენს 67%, ქართულში 56%, ხოლო იტალიურში 84%. შესაბამისად, მეორე ქვეჯგუფის ერთეულები, სადაც არ ხდება მთავარი სემის უტრირება საკვლევ ენებში შემდეგნაირად განაწილდა: ინგლისური და რუსული 33%, ქართული 44% და იტალიური 16%;
10. ბიბლიიზმ—ფრაზეოლოგიური ერთეულების სემანტიკური კლასიფიკაციის დროს გამოიყოფა ორი ჯგუფი:
- ა) ბიბლიიზმი—იდიომები, რომლის ყველა შემადგენელი ლექსემა გადააზრებულია;
- ბ) ბიბლიიზმი—ფრაზეოლოგიზმები, რომლებშიც სულ მცირე, ერთი კომპონენტი პირდაპირი მნიშვნელობითაა აქტუალიზებული. სემანტიკური კლასიფიკაციით დაჯგუფებული ბიბლიიზმ—ფრაზეოლოგიური ერთეულების სტატისტიკური მაჩვენებლები ასე გამოიყერება: შესწავლილი იტალიური ბიბლიიზმების 58% იდიომია, ხოლო 42% ფრაზეოლოგიზმი, ქართულში კი 65% იდიომი და 35% ფრაზეოლოგიზმია; თითქმის მსგავსი მონაცემებია რუსულში, სადაც 64% იდიომია, ხოლო 36% ფრაზეოლოგიზმი, მაშინ როდესაც ინგლისურში იდიომების ყველაზე დიდი რაოდენობა დაფიქსირდა, კერძოდ 72%, ფრაზეოლოგიზმის კი—მსოლოდ 28%.
11. ბიბლიიზმი ენობრივი იერარქიის სემანტიკურ დონეზე გვავლინება, როგორც პარემიოლოგიური ერთეული—ბიბლიური ანდაზა ან აფორიზმი. ანდაზა—ბიბლიიზმი გვევლინება ბიბლიური ეტიმოლოგიის, დიდაქტიკური

ფუნქციის, ზოგადრეფერენტულ კომუნიკაციურ გადააზრებულ ერთეულად, რომელიც ერთი მხრივ, უპირისპირდება სიტყვა—ბიბლიოზმს, ხოლო მეორე მხრივ, ფრაზეოლოგიურ ერთეულს—ბიბლიოზმს. ბიბლიურ პარემიოლოგიურ ერთეულს, გარდა ბიბლიური ეტიმოლოგიისა და გადააზრებულობისა, ახასიათებს ისეთი მახასიათებლები, რომლებიც სხვა ტიპის ბიბლიოზმებში არ ფიქსირდება; კერძოდ, სინტაქტიკურ დონეზე აუცილებელი პირობა—დასრულებული წინადაღების ფორმა (რომლითაც გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლოა დაემთხვეს ფრაზეოლოგიურ ერთეულს) და შრეებრივი სემანტიკური სტრუქტურა. პარემიოლოგიური ერთეულის ერთ—ერთ შრეზე ცნობიერდება სემანტიკური აზრობრივი ოპოზიციური სტრუქტურა და ილექტა სამყაროს სიღრმისეული გააზრება და კოგნიტური მსოფლებლი. ბიბლიური ანდაზა სხვადასხვა სოციალურ—ეთნოლოგიურ კონტექსტში რამდენიმე ტიპის მნიშვნელობის ცვლილებას განიცდის, კერძოდ:

1. როდესაც ანდაზა მოდიფიცირდება ფრაზეოლოგიურ ერთეულად, ოკაზიონალურად ან უზუალურად, აზრობრივი ინვარიანტის შენარჩუნებით;
2. როდესაც იცვლება ანდაზის სტრუქტურა და მასთან ერთად, მნიშვნელობაც;
3. როდესაც ბიბლიური სიუჟეტის მიხედვით ადამიანთა აღქმით, იქმნება «ანდაზა», რომლის აზრი შეიძლება არც იყოს გატარებული ბიბლიაში;
12. ბიბლიური აფორიზმი წარმოადგენს პარემიოლოგიის საკვლევ ობიექტს, რომელსაც ახასიათებს ანდაზის ყველა მახასიათებელი, თუმცა მისგან გასხვავდება მძაფრი სტილისტური დატვირთვით, ლაკონური ფორმით და მარტივი წინადაღების სტრუქტურით (ეს უკანასკნელი არ აღინიშნება ყველა ანდაზაში, რადგან ანდაზას შესაძლოა პქონდეს როგორც მარტივი, ასევე როგორც წინადაღების ფორმა);
13. ბიბლიოზმი სემიოზისის პირველ განზომილებაში გვევლინება მობილური სინტაქსური წყობის ერთეულად. ბიბლიოზმისთვის ჩვეული მოვლენა, გარიაცია აბათილებს აზრს ფრაზეოლოგიური ერთეულის სტრუქტურულ და ლექსიკურ ჩაგეტილობაზე. ვარიაციას ენათაშორის ბიბლიოზმებში ადგილი როგორც სემანტიკური იდენტობის ფარგლებში, ასევე

სემანტიკური ცვლილებების ფონზე. გამოიყოფა ვარიაციის შემდეგი ტიპები:

1. სინონიმური;
2. კონტექსტუალური, რომელიც თავის მხრივ ორ ქვეჯგუფად დაგყავით:
  - ა) როდესაც ვარიაცია ცვლის ერთეულის სემანტიკას;
  - ბ) როდესაც ვარიაცია არ ცვლის ერთეულის სემანტიკას;
3. გრამატიკული;
4. პოზიციური.

კონტექსტუალური ვარიაციის მეორე ქვეჯგუფის შემთხვევაში, სტრუქტურული ვარიაციის დროს იცვლება სემანტიკაც, რაც ეწინააღმდეგება მრავალი წლის განმავლობაში ენათმეცნიერებაში მიღებულ მოსაზრებას ფრაზეოლოგიური ერთეულის სტრუქტურულ ჩაკეტილობაზე; ვარიაცია არაა რომელიმე საკვლევი ენისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელი მოვლენა; ზოგადად, შეგროვებული ერთეულების 69% პოტენციურად უშვებს ვარიაციას. შეპირისპირების პოზიციებიდან საკვლევი ენების ბიბლიოზმების ვარიაციის ტიპების შესწავლა გვაძლევს ენებს შორის არსებული სტრუქტურული და სინტაქტიკური მსგავსება—განსხვავებულობის სურათს, რაც აისახება ბიბლიოზმების ვარიაციის ტიპებზე და განაპირობებს მათ სპეციფიკურობას. სინონიმური ვარიაციის დროს ინგლისურ და იტალიურ ენებში ცვლილებას განიცდის არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, ზმნა და წინდებული, ქართულში კი მხოლოდ არსებითი სახელი ვარირებს, მაშინ როცა რუსულში ვარირებს არსებითი სახელი და ზედსართავი სახელი. კონტექსტუალური ვარიაციის დროს ვარირებული ლექსემები წარმოადგენენ კონტექსტუალურ სინონიმებს. სინონიმური ვარიაციის მსგავსად, ქართულში ამ ტიპის ვარიაციის დროს ცვლილებას განიცდის ძირითადად არსებითი სახელი, მაშინ როცა დანარჩენ სამ ენაში ამასთხ ერთად ვარირებს ზედსართავი სახელი და ზმნა; გრამატიკული ვარიაცია განსაკუთრებით მაღალი სიხშირის ხარისხით ხასიათდება იტალიურში, რუსულსა და ინგლისურში, რადგან გარდა არსებითი სახელის რიცხვის შეცვლისა, რომელიც ყველა ენაზე ერთნაირად ვრცელდება, თავს იჩენს ენის კუთვნილი კატეგორიები. ინგლისურში ადგილი აქვს კუთვნილებითი ბრუნვის შეცვლას ანალიზური ფრაზით. პოზიციური ვარიაცია გავრცელებულია რუსულში, შემდეგ

კი—ქართულში, რადგან ეს ენები უშვებენ მსაზღვრელ საზღვრულის წყობის შეცვლის შესაძლებლობას, მაშინ როცა იტალიური პოზიციური ვარიაციის სიხშირის ხარისხით მესამე ადგილას დგას, რადგან აქ, ინგლისურისაგან განსხვავებით, წყობა არ არის მკაცრად ფიქსირებული; ინგლისური ენა კი არ უშვებს მსაზღვრელ-საზღვრულის წყობის შეცვლას და ორლექსემიან ინგლისურ ბიბლიოზმებში პოზიციური ვარიაცია თითქმის შეუძლებელია;

14. სინტაქტიკური პოზიციებიდან ბიბლიოზმებში ადინიშნება ერთეულების რედუცირებისა და გავრცობის შემთხვევები. რედუცირება ენების მიერ ლაპონურობისა და აზრის კონდენსირებისაკენ სწრაფვის შედეგია, ხოლო გავრცობა—ნათქვამის ინტენსიფიცირების, რაც ძირითადად, დამოკიდებულია კონტექსტსა და ენის მომხმარებლის სუბიექტურ ფაქტორზე;

15. ბიბლიოზმებში სემანტიკური კვლევის ფარგლებში ადინიშნება მნიშვნელობის სპეციფიზირება, კერძოდ, გაუარესება, განეიტრალიზება, გაკეთილშობილება და სხვა. მნიშვნელობის სპეციფიზირების შემთხვევა კონკრეტული ენისმიერად მოტივირებული და განპირობებულია ენის მატარებელი ერის სპეციფიკითა და საჭიროებით. მნიშვნელობის სპეციფიზირების დროს ხდება მნიშვნელობის სემანტიკურ—ლექსიკური გარდაქმნა, რომლის ცვლილების მიმართულების კვლევა ხდება სემური ანალიზით. საკვლევი ენებისთვის დამახასიათებელია სპეციფიზირების სხვადასხვა გამოვლინება, რაც ენების სემანტიკური ალომორფიზმიდან გამომდინარეობს. კერძოდ, ქართულისათვის დამახასიათებელია კონკრეტიზება, რესულისთვის გენერალიზება, იტალიური ბიბლიოზმებისათვის—სემანტიკურ სტრუქტურაში პერსონაჟის ქმედების ექსკლუზია. ასევე იტალიურ ერთეულების სტრუქტურაში, რომლებიც წმინდანებისა და მოციქულების სახელებს უკავშირდება, სხვა საკვლევი ენების ბიბლიოზმებისაგან განსხვავებით, ყოველთვის შეიცავს მაკონკრეტებელ ლექსემა «წმინდას». ინგლისური ბიბლიოზმების სემანტიკური სპეციფიკურობა მდგომარეობს იმაში, რომ ისინი ძირითადად, დიდაქტიკურ—დამრიგებლური ტონალობისანი არიან;

16. ენათაშორისი ბიბლიოზმების შედარების პოზიციებიდან ფიქსირდება ეპივალენტურობის რამოდენიმე გამოვლინება. შესაბამისად, გამოიყოფა  
ა. სრული და ბ. ნაწილობრივი ენათაშორისი ეკვივალენტების ჯგუფები.

ნაწილობრივ ენათაშორის ეკვივალენტებში გამოიყო თრი ქვეჯგუფი:

- ა. სტრუქტურულ ეკვივალენტების, როდესაც აღინიშნება სემანტიკური განსხვავება და სტრუქტურული თანხვედრა და
- ბ. სემანტიკურ ეკვივალენტების, როდესაც აღინიშნება სემანტიკური თანხვედრა და სტრუქტურული სხვაობა. სრული ეკვივალენტობის შემთხვევაში ენების უნიკალურობი, განსხვავებული კატეგორია სრული ეკვივალენტობის მიღწევისათვის დაბრკოლებას არ ქმნის, რადგან ერთეულების ბირთვული მოდელი არ იცვლება. ნაწილობრივი ეკვივალენტობის მეორე ქვეჯგუფში შესაძლოა ერთეულები სხვადასხვა ბიბლიური წყაროდან მომდინარეობდეს, განსხვავება ენების მიერ აღქმულ ბიბლიურ მეტაფორაშია;

17. ენათაშორის ბიბლიოზმებში ხატოვანება სპეციფიკურობით ხასიათდება და ძირითადად განპირობებულია ენაში ბიბლიოზმის დამკვიდრების ფორმის სპეციფიკით: ბიბლიური ფორმის ერთეულები, თანამედროვე ენისათვის უჩვეულო არაბუნებრივი ელემენტებითა და მახასიათებლებით (როგორიცაა არქაული ფორმები, უჩვეულო, არაგრამატიკული წყობა, სტილისტური შეფერილობა) იწვევეს ხატის სიმბაზრესა და დაჭიმულობას სხვადასხვა დოზით, ხოლო ენაზე მორგებული ერთეულები, არქაული ფორმებისა და თავისებურებების გარეშე ზოგადად, ფრაზეოლოგიური ერთეულისათვის ჩვეული ხატოვანებით ხასიათდება. ენათაშორისი ერთეულები შესაძლოა დაემთხვეს ან არ დაემთხვეს ხატოვანების დაჭიმულობით;

18. ბიბლიოზმებისათვის დამახასიათებელია მეორადი ფრაზეოლოგიზაცია, რაც წარმოადგენს გადააზრებული ერთეულის ხელახალ გადააზრებას, რომლის დროსაც, იცვლება ერთეულის სტრუქტურა და სემანტიკური შეფერილობა/სემანტიკური მნიშვნელობა, თუმცა ასეთ შემთხვევების უმრავლესობაში შენარჩუნებულია შინაარსობლივი ბირთვი. მეორადი ფრაზეოლოგიზაცია, რომელიც ძირითადად ეხება საკუთრივ ბიბლიოზმებს, შეპირობებული შეიძლება იყოს სხვადასხვა მიზეზით: შესაძლოა მეორადი ფრაზეოლოგიზაციის შედეგი გახდეს რომელიმე მწერლის მიერ გამოყენებული ბიბლიური ფრაზა საკუთარი ინტერპრეტაციით და ელემენტებით ან დასაშვებია მისი საფუძველი იყოს ოკაზიონალური სახით გამოყენებული ბიბლიოზმი, რომელმაც შესაძლოა

შეიძინოს პროდუქტების და გახდეს სრულად ცალკე გაფორმებული ფრაზა. მეორადი ფრაზეოლოგიზაციის შედეგად მიღებული ერთეულები პირველწყაროსთან შედარებით სხვა ტონალობისა და დატვირთვისაა. უმრავლესობა შემთხვევაში, მეორადი ფრაზეოლოგიზაციის შედეგად მიღებული ერთეულები იძენს იუმორისტულ შეფერილობას;

19. ენათაშორისი ბიბლიიზმები სხვადასხვა კონტაციისაა, რის საფუძველზეც გამოიყოფა ბიბლიიზმების კონტაციის სამი ჯგუფი:
- ა. დადებითი, ბ. უარყოფითი და გ. ნეიტრალური. ქართულსა და რუსულში დადებითი კონტაციის ბიბლიიზმების ყველაზე დიდი რაოდენობა დაფიქსირდა, პერძოდ, 59% და 54%, ხოლო იტალიურსა და ინგლისურში 39% და 32%. უარყოფითი კონტაციის ბიბლიიზმები საკვლევ ენებში შემდეგნაირად ნაწილდება: ქართული—25%, რუსული—19%, იტალიური 42% და ინგლისური—38%, ხოლო ნეიტრალურის: ქართული—16%, რუსული—27%, იტალიური—19% და ინგლისური—30%. ენათაშორისი ბიბლიიზმების ერთ-ერთი იზომორფიზმია ის, რომ მათი უმრავლესობა კონტაციით ერთმანეთს ემთხვევა. ბიბლიიზმების კონტაცია დამოკიდებულია იმ ბიბლიურ ამბავსა თუ პერსონაჟზე, რომელიც კონკრეტული დატვირთვის მატარებელია;
20. ბიბლიიზმს სემიოზისის მესამე განზომილების, პრაგმატიკის პოზიციიდან ვახასიათებთ, როგორც ირიბ სამეტყველო აქტში აქტუალიზებულ გამოთქმას ე.ი. როცა მოსაუბრე მსმენელს უფრო მეტს გადასცემს, ვიდრე ეს ექსპლიციტურად ჩანს; ბიბლიიზმის კონტექსტში აქტუალიზების დროს საჭიროა კომუნიკაციის მონაწილეებს აერთიანებდეს საერთო ფონური ცოდნა, რაც უპირველესად, მათ საერთო რელიგიურ სქემატას გულისხმობს და რაზეც დამოკიდებულია კომუნიკაციის წარმატებულობა; კონტექსტუალურმა ანალიზმა ცხადყო, რომ სხვადასხვა კონტექსტში აქტუალიზებული (იქნება ეს ზეპირი თუ წერითი) ბიბლიიზმები იძენს ისეთ ილოკუციურ ძალას, რომელიც ცალკე მდგომ ერთეულებში არ ფიქსირდება; ბიბლიიზმების უმრავლესობის პირველადი ფუნქციაა ირიბი კონსტანტაცია, რომელიც ძალიან ხშირად კონტექსტში ნარჩენდება. კონტექსტში პირველადი ფუნქციის გარდა ბიბლიიზმები იძენს სხვა დატვირთვას, იქნება ეს დირექტივი, ევალუატივი თუ სხვა. კონტექსტში აქტუალიზებული ბიბლიიზმები გამოხატავს: გაფრთხილებას, რჩევას,

გადარწმუნებას, იმედგაცრუებას, საყვედურს, მონანიებას და სხვა. კონტექსტუალური ანალიზით დგინდება ის, რომ პერლოკუციური ძალით ნათქვამი უმრავლეს შემთხვევაში მაშინ იტვირთება, როდესაც სამეტყველო აქტში მონაწილე თრივე წევრის გამონათქვამი ფიქსირდება. ხოლო როდესაც მხოლოდ ერთის მიერ მოყვანილი თქმულია წარმოდგენილი, პერლოკუციური ძალა შეიძლება ალბათობის თეორიით დავადგინოთ, ალბათობის შესაძლო რამდენიმე ვარიანტით;

21. ბიბლიიზმები არსებობენ კონკრეტულ სოციალურ-კულტურულ გარემოში, რაც მათ სპეციფიკურობას განსაზღვრავს. სხვადასხვა სოციო-კულტურულ გარემოში ბიბლიიზმის დატვირთვა და ფორმა შეიძლება შეიცვალოს ენის მატარებელი საზოგადოების სპეციფიკის, მენტალიტეტისა და სხვა გარეენობრივი ფაქტორების გათვალისწინებით; ცალკე აღებული ბიბლიიზმი მარკირებულია მხოლოდ გრამატიკულად და წმინდა ლინგვისტური პოზიციიდან, მაშინ როდესაც სოციო-ლინგვისტური პოზიციიდან იგი შეიძლება არ აღმოჩნდეს მარკირებული; ბიბლიიზმები რეალური მნიშვნელობის გაშიფვრა მხოლოდ სოციალურ-კულტურული საწყისებიდან ხდება შესაძლებელი;
22. ბიბლიიზმები გამოყენების სხვადასხვა რეგისტრის ერთეულებია, რომლებიც გვხვდება არა მხოლოდ ხმარების ერთ რომელიმე კონკრეტულ სფეროში, არამედ რამდენიმეში. ბიბლიიზმი გამოიყენება როგორც ოფიციალურ, ასევე არაოფიციალურ ენაში (მხატვრული ლიტერატურა, მედია, ყოველდღიურ არაოფიციალურ მეტყველება და სხვა). არსებობს ბიბლიიზმები, რომლებიც არსითვე მიეკუთვნებიან კონკრეტულ გამოყენების სფეროს, ფორმალურს ან პირიქით-არაფორმალურს, მაგრამ ბიბლიიზმების უმრავლესობაში ეს საზღვარი მოშლილია, რადგან ბიბლიიზმი გამოყენებით შეიძლება მონაცვლეობდეს-შეგვხდეს ამაღლებულ, დახვეწილ მეტყველებაში, მეორე მხრივ კი, ყოველდღიურ საუბარში. ამის მიუხედავად, გამოიყო ოფიციალური და არაოფიციალური გამოყენების ბიბლიიზმები;
23. რადგანაც ბიბლიიზმები დინამიური ერთეულებია, დროის სხვადასხვა მონაკვეთში სხვადასხვა ენაში ჩნდება ახალი ბიბლიიზმები, მაშინ როცა ძველი ერთეულები შესაძლოა გახდნენ ნაკლებად ხმარებულნი და დროთა განმავლობაში ან მოდიფიცირდნენ ან გავიდნენ ენის სიტემიდან.

ბიბლიიზმებს შესაძლოა ახასიათებდეს მაღალი, საშუალო და დაბალი სიხშირის ხმარების ხარისხი. ოთხ მიზნობრივ ჯგუფის ინფორმატიკული წარმოებული ანალიზით დადგინდა, რომ ზოგადად, ბიბლიიზმები საკვლევ ენებში წარმოადგენს ხშირად გამოყენებად ერთეულებს, თუმცა მათი ხმარების სიხშირის ხარისხი მონაცვლეობს გამოთქმასა და ენის მიხედვით და შეპირობებულია სხვადასხვა ექსტრალინგვისტური ფაქტორით.

## ბამოყენებული ლიტერატურა:

- ალექსინა 1989: Алексина А.И., *Фразеологическая Единица и Слово*, Минск: BGU, 1989
- ალტენბერგი 1998: Altenberg, B., *on the Phraseology of Spoken English: The Evidence of Recurrent Word-Combinations / Phraselogy*. Ed. A.P.Cowie, Oxford: Clarendon Press, 1998
- ამოსოვა 1963: Амосова Н.Н., *Основы английской фразеологии*. Л.: Наука, 1963
- ანდერსონი 1971: Anderson S.R., *On the Linguistic Status of the Performative/Constative Distinction*, Indiana University, Linguistics Club, 1971
- არნოლდი 1973: Арнольд И.В., *Английское Слово*, М: Висшая школа, 1973
- არხანგელსკი 1964: Архангельский В.Г., *Устойчивые Фразы в Современном Русском Языке*, Ростов-на-Дону: Ростовский Университет, 1964
- აჯენი 1960: Ageno F. , *Premesa a un Repertorio di Frasi Proverbiali*, Romance Philology, XIII/3, 242-264, 1960
- ახმანოვა 1957: Ахманова О.С., *Очерки По Общей и Русской Лексикологии*, М: Висшая школа, 1957
- ბაბკინი 1970: Бабкин А.М, *Русская фразеология*, Ленинград: Наука, 1970
